

მართლმსაჯულება № 2 '23
კანონი

Justice and Law Legal Journal
#2(78) 2023

N2(78)'23

მართლმსაჯულება



კანონი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი
The Scientific-Practical Legal Journal of the Supreme Court of Georgia and the Association of Judges of Georgia

რედაქტორი ნინო ძიდიგური

რედაქტორის მოადგილე
ირმა ბექაური

ნომერზე მუშაობდა:
მარინე ვასაძე
დიზაინი:
ბესიკ დანელია



საპარტამენტო მოსამართლეთა
ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილობითი ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

სარედაქციო საბჭო:
დიანა ბერეკაშვილი
თამარ ზამბახიძე
მზია თოდუა
გიორგი მიქაუტაძე
ზურაბ ძლიერიშვილი
ჟონი ხეტურიანი

Editorial Board:
DIANA BEREKASHVILI
TAMAR ZAMBAKHIDZE
MZIA TODUA
GIORGI MIKAUTADZE
ZURAB DZLIERISHVILI
JONI KHETSURIANI

Editor:
NINO DZIDZIGURI

Deputy Editor:
IRMA BEKAURI

The issue was prepared by
MARINE VASADZE

Designed by
BESIK DANELIA

*English version of articles has been provided by Candidates
of Law faculty of Tbilisi State University*

უაპ (UDC) 340.11+340.130.5
მ-306

ISSN 1512-259X

- სიმონ ჩხაიძე
5 უსაფუძვლო გამდიდრების სამართალურთიერთობის სუბსიდიური ხასიათი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში
THE SUBSIDIZED NATURE OF UNJUSTIFIED ENRICHMENT LITIGATION IN THE PRACTICE OF GEORGIAN COURTS
SIMON CHKHAIDZE
- ირმა გელაშვილი
56 არასრულწლოვანთა რეპროდუქციული უფლებების დაცვა
PROTECTION OF REPRODUCTIVE RIGHTS OF MINORS
IRMA GELASHVILI
- მარიამ ოზიაშვილი
70 კანონის ცოდნის პრეზუმფცია
ადვინისტრაციულ სამართალურთიერთობებში მონაწილე კერძო პირებთან მიმართებით
PRESUMPTION OF KNOWLEDGE OF THE LAW
IN RELATION TO PRIVATE PERSONS PARTICIPATING IN ADMINISTRATIVE PROCEEDINGS
MARIAM OZIASHVILI
- ქეთევან მეფარიშვილი
95 უფლების უგრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი სამოქალაქო პროცესში
THE BASIS FOR THE USE OF PROVISIONAL AND PROTECTIVE MEASURES IN THE CIVIL PROCESS
KETEVAN MEPARISHVILI
- ია ჩხეიძე
111 სემსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოკითხვის პროცედურა
THE PROCEDURE OF INTERVIEWING A CHILD VICTIM OF SEXUAL VIOLENCE – PRACTICAL PROBLEMS
IA CHKHEIDZE
- ია ხარაზი
126 საქართველოს გზა გლობალურ სავაჭრო სივრცეში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად
GEORGIA'S PATH TO EARN A VALUABLE PLACE IN THE GLOBAL TRADE MARKET
IA KHARAZI

144 ეკატერინე ლაღიძე
იურიდული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის
შედარებითსამართლებრივი ანალიზი

COMPARATIVE LEGAL ANALYSIS OF CRIMINAL RESPONSIBILITY OF
A LEGAL ENTITY
EKATERINE LAGHIDZE

155 მიხეილ გაბუნია
არასრულწლოვანთა ვიქტიმიზაციის კრიმინოლოგიური
თავისებურებანი

CRIMINOLOGICAL FEATURES OF VICTIMIZATION OF MINORS
MIKHEIL GABUNIA

162 ეკატერინე ნინუა
ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტის სპეციალური საფუძვლები

SPECIAL GROUNDS FOR TERMINATION OF PARTNERSHIP AGREEMENT
EKATERINE NINUA

170 ნატალია ვაშაკიძე
პოლიციის როლი არასრულწლოვანთა დანაშაულის აღკვეთაში

THE POLICE'S ROLE IN SUPPRESSING JUVENILE CRIME
NATALIA VASHAKIDZE

უსაფუძვლო გამდიდრების სამართალური- თობის სუბსიდიური ხასიათი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში

სიმონ ჩხაიძე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

შესავალი

ვიწრო თვალსაზრისით, „სამართალი“ საზოგადოებრივი მოვლენაა,¹ ანუ საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს. არსებითად, იგი ჰუმანიტარული მეცნიერების ერთგვარი, „გამოყენებითი“ დარგია, რომლის დანიშნულებაც სოციალური ჰარმონიის დამკვიდრება, კონფლიქტების პრევენცია და მათი აღმოფხვრაა. სოციალური, საზოგადოებრივი ჰარმონია კი, მხოლოდ სამართლიანობით მიიღწევა.

სამართლიანობა უნივერსალური, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებაა. სამართალი, რომლის მიზანიც სამართლიანობის დამკვიდრება არ არის, თავის ძირითად ფუნქციას და დანიშნულებას კარგავს. ჩვენგან, იურისტებისგან ერი, საზო-

გადოება თუ „მომხმარებელი“ სწორედ ამ დანიშნულების შესრულებისკენ სწრაფვას ან ამის მცდელობას მაინც მოელის. ამიტომ, სამართლის მეცნიერებაში ნებისმიერი კვლევის მიზანი საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემის გაუმჯობესება და სამართლიანობის ზოგად, უნივერსალურ ცნებასთან მისი დაახლოება უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაშრომი ერთგვარ ხელოვნების ნიმუშად გადაიქცევა, რომელიც თვალს და გონებას დაატკბობს, სამართლის განვითარებას კი, დიდად ვერაფერს არგებს.

სამართლიანობა, მართალია, უნივერსალური ღირებულებაა, თუმცა, მისი „საყოველთაოდ აღიარებული ცნება არ არსებობს,“⁴² ხოლო ცალკეული გამოვლინებები თითოეულ ერსა და საზოგადოებას სხვადასხვაგვარად ესმის.

სამართლიანობის აღქმა დროშიც განსხვავდება – ის რაც სამართლიანად მიაჩნდათ წინა საუკუნეებში, უსამართლოა ჩვენი ეპოქისათვის, ხოლო თანამედროვე სამართლიანობა, შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს მომდევნო საუკუნეებისთვის და ა. შ.

მაგალითად, ცნობილი ბაბილონელი მეფის მიერ შემოღებული იგივეობის – ტალიონის პრინციპი ათასწლეულების განმავლობაში სამართლიანობის იმგვარი ეტალონი იყო, რომ ბიბლიაშიც კი ჰპოვა ადგილი – „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ.“ თუმცა, დღესდღეობით, ეს შეხედულება ყოველ შემთხვევაში, სამართლის ჩვენი სისტემისთვის მოძველებული და მიუღებელია.

სამართლიანობა, ჩვენთვის ერთგვარი, შეძენილი რეფლექსია, რომელიც საზოგადოების ცვლილების შესაბამისად, თავადაც იცვლება. თუმცა, ამის მიუხედავად, არის ქცევის წესი, რომელიც ადამიანებს, როგორც ბიოლოგიურ სახეობას, ბუნებით გვახასიათებს. ეს ქცევის წესი ყველა ჩვენგანისათვის ყოველ დროსა და ეპოქაში საერთო იყო, არის და ალბათ, დარჩება კიდევ.

სამართლიანობის მოთხოვნილება განსაკუთრებით მძაფრდება სახელმწიფოსა და ადამიანს, ინდივიდს შორის ურთიერთობის პროცესში. სახელმწიფოს მხრიდან ადამიანების თავისუფალ ნებაში ჩარევა, ამ ნების შეზღუდვა ყოველთვის განსაკუთრებით მძაფრად და მტკივნეულად აღიქმება და ყოველთვის იარსებებს ხალხი, რომლებიც მის აღმოფხვრას ან უმცირესამდე დაყვანას მაინც დაუჭერს მხარს. ალბათ, ეს გასაგებიცაა – მართალია, ჩვენ, ადამიანები საზოგადოებრივი არსებები ვართ, მაგრამ სახელმწიფო ხელოვნური წარმონაქმნია და ჩვენ ის იმისათვის არ შეგვიქმნია, რომ ჩვენივე ყოფა-ცხოვრება და ნება მართოს. დაუშვებელი და მიუღებელია, რომ სახელმწიფომ, რომელიც ადამიანებმა ჩვენს დასაცავად დავაფუძნეთ, თავისი ძალაუფლება ჩვენსავე დასაჩაგვრად გამოიყენოს.

ზოგადად, ჩვენს არსებობას ორი ძირითადი მამოძრავებელი ანუ, როგორც უწოდებენ „ძირითადი ინსტინქტი“ მართავს – გამრავლებისა და თვითგადარჩენის. ჩვენი ყველა მოქმედება

ან თითქმის ყველა მაინც, ამ მამოძრავებელიდან გამომდინარეობს და მათი განვითარების შედეგია. ამათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაინც თვითგადარჩენა და თვითშენარჩუნებაა და სახელმწიფოს არსებობაც, უპირველესად, სწორედ ამ ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურება – მან ჩვენი ფიზიკური თუ ფსიქიკური უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს. თითოეულ ჩვენგანს საკუთარი თავის დაცვა და საკუთარი მიზნების რეალიზაცია დამოუკიდებლად რომ შეგვეძლოს, სახელმწიფოს არსებობა საჭირო არც იქნებოდა. ამის შედეგად, იგი ან მთლიანად მოისპობოდა ან ცერემონიულ, გასართობ სახეს მიიღებდა, თუმცა სამწუხაროდ, დღესდღეობით, სახელმწიფოს გარეშე ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია. ამის გამო, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე მაინც, სახელმწიფო საჭირო და აუცილებელია, ხოლო რადგან ასეა, საჭირო და აუცილებელია ის წესებიც, რომელსაც იგი ადგენს. შესასრულებლად სავალდებულო ნორმების – იქნება ეს მწიბრივი, თუ სამართლებრივი – გარეშე ვერც ერთი საზოგადოება ვერ იარსებებს.

სახელმწიფო მის მიერ დადგენილი მართლწესრიგით ადამიანთა თავისუფალი ნების რეალიზაციაში ერევა. ეს განსაკუთრებით, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებშია თვალსაჩინო. მართლაც, ურთიერთობები, რომლებიც წესით, მთლიანად თავისუფალ ნებასა და თანასწორობაზე უნდა იყოს აგებული, ხშირად, საკმაოდ მკაცრ და შემზღუდავ კანონებს ემორჩილება.³

აღიარებულია, რომ ერთ-ერთი კლასიფიკაციით, სამართლის ნორმები იმპერატიულ და დისპოზიციურ ნორმებად იყოფა.⁴ რასაკვირველია, დისპოზიციური ნორმები იმპერატიულ ნორმებთან შედარებით, მეტ თავისუფლებას იძლევა და სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს ნაკლებად ზღუდავს. იმპერატიული ნორმები კი, „შესასრულებლად სავალდებულოა ყოველგვარი დათქმისა და გამონაკლისების გარეშე.“⁵ ამიტომ, სახელმწიფოს ძალაუფლება, მისი დომინანტი, მბრძანებლური ბუნება ყველაზე მეტად, სწორედ ამ ნორმებში აისახება.

სამოქალაქო სამართალში არსებობს მთელი დარგი, რომელიც ადამიანთა პირდაპირი ნების გარეშე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს. ამ დარგს კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები ეწოდება და მათი მომწესრიგებელი ნორმები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 953-1016-ე მუხლებშია მოქცეული.⁶ ეს ურთიერთობები კანონისმიერია იმიტომ, რომ წარმოიშობა და რეგულირდება კანონის საფუძველზე, ხოლო „ვალდებულებითია,“ რადგან ვალდებულებებს წარმოშობს.

კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებისაგან განსხვავებით, სახელმწიფოებო ურთიერთობებში ადამიანი, ჩვეულებრივ, საკუთარი ნებით შედის, უფრო სწორად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობებს საკუთარი ნებით კისრულობს და აქედან

გამომდინარე, სამართლებრივ რისკებზეც თავად არის პასუხისმგებელი.⁷ მიუხედავად იმისა, რომ რა თქმა უნდა, აქაც ისევე, როგორც ყველა სხვა კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში ნების ავტონომია მნიშვნელოვან როლს ასრულებს, კანონისმიერი ვალდებულებები სხვა ვალდებულებებისაგან იმითაც განსხვავდება, რომ ამ ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმები, ძირითადად, იმპერატიულია და მხარეთა შეთანხმებით, მათი შინაარსის შეცვლა დაუშვებელია. შესაბამისად, ნათელია, რომ:

- ა) კანონისმიერი ვალდებულებები, ჩვეულებრივ, კანონის საფუძველზე, ურთიერთობის მონაწილე სუბიექტთა ნების გარეშე და ზოგჯერ მის გარეშე წარმოიშობა;
- ბ) ამ ურთიერთობათა მოწესრიგებით სახელმწიფო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ერევა;
- გ) ამ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს სახელმწიფოს ნების შეცვლა არ შეუძლიათ.

ამრიგად, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების ძირითადი მომწესრიგებელი სახელმწიფოა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ამ ურთიერთობათა მოწესრიგებისას, სამართლიანობა მომეტებულად მოითხოვება.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში კანონისმიერი ვალდებულებები ქვეყნის ლიბერალურ ან სოციალურ პოლიტიკას უსვამს ხაზს, ავტორიტარულში კი – მბრძანებლურს, მოძალადეობრივს. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს ჩარევა პროპორციული, თანაბომიერი უნდა იყოს და დემოკრატიულ, ანუ დემოკრატიულად ორგანიზებულ საზოგადოებაში საჯარო წესრიგის დაცვას უნდა ემსახურებოდეს⁸. იგი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს შორის უფლება-მოვალეობებს იმთავითვე სამართლიანად უნდა ანაწილდებდეს და მხარეებს ან ერთ-ერთ მათგანს მაინც, მომეტებულ ტვირთად არ უნდა დააწვეს. ამის გამო, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები სხვა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებისაგან გარკვეულწილად, პრინციპულადაც უნდა განსხვავდებოდეს. სწორედ, ამიტომაც განმარტა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ: „ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია გაცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან“⁹ და ამ განმარტებისა, თუ მოწოდების ადრესატად, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სახელმწიფო მიიჩნია.

კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის ერთ-ერთი სახე ის მოთხოვნებია, რომლებიც უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარეობს. სამოქალაქო სამართლის ეს დარგი შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ქონებრივი უპირატესობის მიღებიდან, გამდიდრებიდან წარმოშობილ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს.¹⁰

უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები ძირითადად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კერძო ნაწილის მე-2 კარის მე-3 თავში, 976-991-ე მუხლებშია ასახული.

კანონის ნორმატიული ტექსტიდან გამომდინარე, დოქტრინითა და სასამართლო პრაქტიკით აღიარებულია, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართალი უსაფუძვლო გამდიდრების სამართალურთიერთობათა რამდენიმე ჯგუფს მოიცავს, რომლებსაც გერმანული სამართლის გავლენითა და იუსტინიანეს კოდიფიკაციის კვალდაკვალ,¹¹ ჩვენში „კონდიქციებს“ უწოდებენ.¹² თითოეულ ამ ჯგუფს შესაბამისი „კონდიქცია“ მიესადაგება. ამის შესაბამისად, არსებობს შესრულების კონდიქცია, ხელყოფის კონდიქცია, ხარჯების კონდიქცია, რთული კონდიქცია და ე. წ. გენერალური დათქმა, რომელიც კანონით გაუთვალისწინებელ და მოუწესრიგებელ ყველა სხვა კონდიქციურ შემთხვევას არეგულირებს.¹³

აღიარებულია, რომ თითოეულ ამ კონდიქციას სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები აწესრიგებს: შესრულების კონდიქციის მომწესრიგებელი ნორმები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-981-ე მუხლებშია მოქცეული; ხელყოფის კონდიქციისა – 982-985-ე მუხლებში, ხოლო ხარჯების კონდიქციის – 986-987-ე მუხლებში; რთულ კონდიქციას სამოქალაქო კოდექსის 988-990-ე მუხლები ეხება, ხოლო ე. წ. გენერალური დათქმა კოდექსის 991-ე მუხლითაა მოწესრიგებული.¹⁴

ზოგადად, ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა „სხვისი ვალის გადახდის“ შემთხვევის კონდიქციის ცალკე სახედ გამოყოფა¹⁵ თუმცა, ამ ნაშრომის მიზანი ზემოხსენებულ სამართალურთიერთობათა შორის სხვაობისა და კავშირის კვლევა არ არის.

ყოველი კონდიქციური სამართალურთიერთობა თავისი, განსაკუთრებული სპეციფიკით გამოირჩევა და განსხვავებულადაც რეგულირდება. რასაკვირველია, ამას გონივრული ახსნა და დასაბუთება აქვს – მართლაც, სხვისი ვალის შეცდომით გადახდა და შეცდომით, თუ შემთხვევით სხვისი ქონების განადგურება, თეორიულად და პრაქტიკულადაც სხვადასხვაგვარად უნდა მოწესრიგდეს და გარკვეულწილად, განსხვავებულ ვალდებულებებსაც უნდა იწვევდეს.

თუმცა, რა სახეც არ უნდა ჰქონდეს კონდიქციურ ვალდებულებას და რომელი სამართალურთიერთობიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს იგი, მისი მიზანი უფლებამოსილი პირის ე. ი. კონდიქციური კრედიტორის სამართლიანი დაკმაყოფილება უნდა იყოს – საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლიც ხომ საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას აღიარებს,¹⁶ სამართლიანი განხილვა კი, ცხადია, ძირითადად და პირველ ყოვლისა, სამართლიან შედეგს გულისხმობს – ვერავითარი, თუნდაც ზეკანონიერად ჩატარებული სამართალწარმოება უსამართლო შედეგს ვერ გაამართლებს.¹⁷

კანონის ნორმას „შინაარსს“ მოსამართლეები აძლევენ, შეიძლება ითქვას, რომ განმარტების გარეშე, იგი მხოლოდ კაზმულსიტყვაობა ანუ ბელეტრისტიკაა, რომელიც ზოგჯერ მკითხველს გაახალისებს, ხანდახან კარგ ლიტერატორსაც შთააგონებს,¹⁸ მაგრამ თავის ძირითად ფუნქციასა და დანიშნულებას ვერ შეასრულებს. ამიტომ, სამართლებრივი ურთიერთობის არსის დასადგენად, პირველ ყოვლისა, მოსამართლეების მიერ მისი შეფასების პრაქტიკა უნდა იყოს გამოკვლეული.

ეს ნაშრომიც ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს – სამოქალაქო სამართალში კონდიქციური სამართლის ადგილს ეხება და შემდგომში გამოჩნდება, რომ იგი სწორედ იმ ზოგად და ძირითად ღირებულებასთან, **სამართლიანობასთან** არის დაკავშირებული, რომლისთვისაც სამართალი არსებობს კიდევ.

სუბსიდიურობა

ტრადიციულად, რომის ცივილური სამართლის გაგებით, უსაფუძვლო გამდიდრება შესაბამისი საფუძვლის გარეშე ქონებრივი სიკეთის მოპოვების შედეგად წარმოიშობა.¹⁹ ამ თვალსაზრისით, კერძო სამართლის სხვა ინსტიტუტებისაგან მისი გამიჯვნა რთული არ უნდა იყოს – თუ მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობა რომელიმე სხვა კანონის-მიერი საფუძვლით არის მოწესრიგებული, უსაფუძვლო გამდიდრება არ არსებობს.

ამის ყველაზე ნათელი მაგალითი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტია, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს – არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. ამის შესაბამისად, ნათელია, რომ ნამდვილი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, ერთი შეხედვით, კონდიქციური სამართლის გამოყენება დაუშვებელი უნდა იყოს. თუმცა, სინამდვილეში, ეს ასე არ არის და კონდიქციური სამართლისა და სამოქალაქო სამართლის სხვა დარგებით მათ შორის, სახელშეკრულებო სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობები, ხშირად ერთმანეთს „ფარავს.“

როდესაც სამართლის სხვადასხვა დარგი განსხვავებულ სამართალურთიერთობებს აწესრიგებს, ერთის მიმართ მეორის სუბსიდიურობის თაობაზე მსჯელობა უადგილო და არაფრისმომცემია.

სუბსიდიურობის პრობლემა დგება მაშინ, როცა ერთი და იმავე სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ორ ინსტიტუტს შორის ერთ-ერთს უპირატესობა მიენიჭება.

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკით აღიარებულია, რომ უსაფუძვლო გამდიდრების სამართალურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს სუბსიდიური ხასიათი აქვს, თუმცა თავად სუბსიდიურობის არსთან დაკავშირებით, როგორც ჩანს სასამართლოს პოზიცია არაერთგვაროვანია.²⁰

იმის მიუხედავად, რომ სუბსიდიურობა მნიშვნელოვანი სამართლებრივი კატეგორიაა, მისი ცნება საფუძვლიანად განმარტებული და შეფასებული არ არის. ამის გამო, ხშირად, ბუნდოვანია, იგი ვალდებულების შესრულების თუ უფლების რეალიზაციის დამატებით საშუალებას წარმოადგენს, თუ უნივერსალური ხერხია, რომლითაც სამართლის მიზანი მიიღწევა.

სუბსიდიურობას ნორმათა კონკურენციის ტრილშიც განიხილავენ²¹ – ეს ბუნებრივია, ერთი და იმავე სამართლებრივი ურთიერთობის განსხვავებულად მომწესრიგებელი ორი ან მეტი ნორმიდან უპირატესის დადგენის გარეშე, სუბსიდიურობის პრობლემა ვერ გადაიჭრება, ანუ დამხმარე ნორმას ექნება სუბსიდიური მნიშვნელობა უპირატესის მიმართ და არა – პირიქით. თუმცა, თავად სუბსიდიურობის ცნებასა და შინაარსს ნორმათა კონკურენცია ცხადია, ვერ განმარტავს.

ზოგადად, „სუბსიდია“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დახმარებას, მხარდაჭერას.²² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტატორების პოზიციით, სუბსიდიური ნორმა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ურთიერთობის მარეგულირებელი სპეციალური, უფრო კონკრეტული ნორმა.²³

ასე, მაგალითად, ვალდებულების შესრულების ადგილისა და დროის განმსაზღვრელი ნორმები სუბსიდიურია და მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ სხვაგვარად ზემოხსენებული პირობების დადგენა ვერ ხერხდება.²⁴ ასევე, სუბსიდიურია არასოლიდარული თავდების პასუხისმგებლობაც,²⁵ რაც ნიშნავს, რომ მოვალის მიმართ აღსრულებადი მოთხოვნის არსებობა თავდების პასუხისმგებლობას გამორიცხავს და ა. შ.;²⁶ ეს ნიშნავს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა უწინარესად, სწორედ ძირითადი ნორმის ან პრინციპის საფუძველზე უნდა მოწესრიგდეს. სუბსიდიური ნორმა ამ ურთიერთობაში უნდა ჩაერიოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და ამ ჩარევამ არ უნდა შეცვალოს იმ ძირითადი ნორმის არსი, რომლითაც სადავო სამართალურთიერთობაა მოწესრიგებული. ამ თვალსაზრისით, სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ძირითადი ნორმის არსებობა სუბსიდიური ნორმის გამოყენებას შეუძლებელს ხდის.

საინტერესოა, რომ ამგვარი გაგებით სუბსიდიურობა ნორმათა კონკურენციის ფარგლებსაც ამცირებს. ნორმათა კონკურენცია ერთი და იმავე სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი რამდენიმე ნორმის ერთმანეთთან შეპირისპირებას და ჩვეულებრივ, ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭებას ნიშნავს. როგორც სამართალიანად აღინიშნა:

„ხშირად, კონკრეტული ინტერესთა კონფლიქტის მოგვარების რამდენიმე სამართლიანი თუ სამართლებრივი გზა არსებობს. გარკვეულ კრიტერიუმებსა თუ პრინციპებზე დაყრდნობით შესაძლებელია, ცალკეულ გზას, სხვასთან შედარებით, უპირატესობა მიენიჭოს ან ისინი ურთიერთჩანაცვლებადად ჩაითვალოს, ან ერთი გზის არსებობამ სრულიად გამორიცხოს სხვების არჩევა.“²⁷

თავის მხრივ, სუბსიდიურობა კი, სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების დამატებითი საშუალების გამოყენებას გულისხმობს; მაგრამ თუ არსებითად ერთი და იმავე ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები ერთმანეთს გამორიცხავს, ისინი ერთდროულად კონკურენტულიც და სუბსიდიურიც ვერ იქნება – ამ შემთხვევაში, სუბსიდიური ნორმის გამოყენების ადგილი აღარ დარჩება.

თუმცა, არსებობს სუბსიდიურობის სხვაგვარი გაგება და ის საჯარო სამართლიდან მომდინარეობს. ასე, მაგალითად, ევროკავშირის ხელშეკრულების 5(3) მუხლის თანახმად: „Specifically, it is the principle whereby the EU does not take action (except in the areas that fall within its exclusive jurisdiction), unless it is more effective than action taken at the national, regional or local level. It is closely linked to the principle of proportionality, which requires that any action taken by the EU not go beyond what is necessary to achieve the aims of the treaties. Another related principle, the principle of conferral, states that any policy areas not explicitly agreed in the treaties by all EU Member States remain in their domain“²⁸

შინაარსობრივად, ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირი, მის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული სფეროს გარდა, არ ერევა იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც შეიძლება გადაწყდეს ეროვნულ, რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეზე. ჩარევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ ეს საკითხის უფრო ეფექტიან გადაწყვეტას უზრუნველყოფს. ამასთან, ჩარევა თანაბომიერი უნდა იყოს – ევროკავშირის არცერთი მოქმედება არ უნდა გასცდეს ხელშეკრულების მიზნებს და ხელშეკრულებაში პირდაპირ მითითებულის გარდა, ყველა სხვა საკითხი თავად წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადაწყვიტონ.²⁹

მოკლედ რომ ვთქვათ, საერთაშორისო სამართალში, ისევე როგორც ზოგადად, საჯარო სამართალში სუბსიდიურობა საკითხის ეფექტიანად გადაწყვეტის საგამონაკლისო საშუალებაა. ამ ძალიან კარგი პრინციპის გამოყენება კერძო სამართალშიც წარმატებით შეიძლება; ასე თუ შევხედავთ, დავადგენთ, რომ სუბსიდიური ნორმა ძირითადი ნორმის „დამხმარეა“ და გამოიყენება იმ სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, რომელსაც ძირითადი ნორმა ან საერთოდ ან არასაკმარისად, ან არაეფექტურად ანუ არასამართლიანად არეგულირებს – გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 852-ე პარაგრაფი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 978-ე მუხლი სუბსიდიურობის ამგვარი გაგების თვალსაჩინო მაგალითებია.³⁰

თუმცა, მეორე მხრივ, ძირითადი ნორმებით მოწესრიგებულ ურთიერთობაში სუბსიდიური ნორმების ჩარევა თანაზომიერი უნდა იყოს.

ასე, მაგალითად, შეუძლებელია არასოლიდარულ თავდებს მოვალის მიმართ აღსრულებუნარიან ვალდებულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს კრედიტორის ინტერესების ეფექტიანად დაკმაყოფილების მოტივით – ამ შემთხვევაში, სუბსიდიური პასუხისმგებლობის ფარგლები მკაცრად არის განსაზღვრული და მათი დარღვევა დაუშვებელია;

თუმცა, მეორე მხრივ, მოთხოვნის ხანგრძლივად შემაფერხებელი შესაგებლის³¹ წარდგენა ვითომ მოვალის პასუხისმგებლობას არ გამოირიცხავს მაშინაც კი, როცა იგი უშუალოდ სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმით გამოირიცხულია ე. ი. ამ შემთხვევაში, სუბსიდიური პასუხისმგებლობის ფარგლები ზოგადია. გარდა ამისა, სუბსიდიური სამართალურთიერთობა ძირითადს შეიძლება ფარავდეს სრულად ან ნაწილობრივ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სუბსიდიურობა შეიძლება იყოს ან მკაცრი, ან ზოგადი; ამავდროულად – სრული ან ნაწილობრივი.

ერთი შეხედვით, ამ მსჯელობას მხოლოდ დოქტრინალური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს თუმცა, სინამდვილეში, ასე არ არის და ყველაზე კარგად აღნიშნული კონდიციური სამართლის მაგალითზე ჩანს.

უსაფუძვლო გამდიდრება ერთადერთი სამართალურთიერთობაა, სადაც არა რომელიმე ნორმის, არამედ სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მთელი სისტემის, დარგის სუბსიდიურობის თაობაზე საუბრობენ.³²

საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა ანალიზი აჩვენებს, რომ ასეა იგი გაგებული ჩვენს ქვეყანაშიც, რაც ძალზე მნიშვნელოვან სამართლებრივ და ფაქტობრივ შედეგებს იწვევს. ამის გამო, დადგენა, რა ადგილს უჩენენ საქართველოს სასამართლოები კონდიციურ სამართალს სამართლის სისტემაში, უდავოდ მნიშვნელოვანია.

კონდიციური სამართლის ადგილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთხელ იმსჯელა უსაფუძვლო გამდიდრების სამართალურთიერთობის სუბსიდიურობის შესახებ და განმარტა, რომ:

„უსაფუძვლო გამდიდრება სუბსიდიური ხასიათისაა და მისი გამოყენება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა სამართლებრივი საფუძვლით მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია.“³³

„კონდიციური დანაწესების (სკ-ის 976-ე-991-ე მუხლები) გამოყენების უმთავრესი წინაპირობა მის სუბსიდიურობაში ვლინდება, რაც ნიშნავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების წესები

მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებად გვევლინება მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლო მოვლენათა დინამიკის გათვალისწინებით დაასკვნის, რომ გამორიცხულია სხვა უფრო სპეციალური ნორმის გამოყენება [მაგ.,: პოსესორული ან ვინდიკაციური სარჩელები (სანივთო სამართალი), სარჩელი ვალდებულების შესრულების შესახებ (როგორც პირველადი, ისე მეორადი მოთხოვნები) და სხვა].⁴⁴

მოგვიანებით, საკასაციო პალატამ აღნიშნა: „იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, კერძოდ, დანახარჯების კონდიცია, სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან..., 987-ე პირველი და მე-2 ნაწილიდან..., 989-ე... მუხლებიდან გამომდინარეობს. უსაფუძვლო გამდიდრება სუბსიდიური ხასიათისაა, რაც ნიშნავს, რომ მხარეთა შორის არ უნდა არსებობდეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი. ამდენად, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება მხოლოდ მოთხოვნის სხვა სამართლებრივი საფუძველების არარსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი.“³⁵

„იმის გათვალისწინებით, რომ კონდიციიდან გამომდინარე მოთხოვნები სუბსიდიური ხასიათისაა, ისინი ბოლოს მოწმდება, კერძოდ, თუ სხვა სამართლებრივი საფუძველით სარჩელი წარუმატებელი იქნება, დამატებით მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შემოწმდეს მისი საფუძველიანობა კონდიციური სამართლის ნორმების შესაბამისად“³⁶ და ა. შ.

კონდიციური სამართლის ნორმების სუბსიდიური ხასიათი საქართველოს უზენაესმა სასამართლომ რამდენადმე განსხვავებულად განმარტა ერთ-ერთ უახლეს განჩინებაში.

კერძოდ, საკასაციო პალატამ აღნიშნა: „სასამართლოსთვის უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება (მითითება) სუბსიდიური ხასიათისაა, რაც ნიშნავს, რომ მხარეთა შორის არ უნდა არსებობდეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო საფუძველი.“³⁷

აშკარაა, რომ კონდიციური სამართლისა და კერძო სამართლის სხვა დარგების შეპირისპირების თითქმის ყველა შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლო კონდიციური სამართლის სუბსიდიური ხასიათის თაობაზე მსჯელობს ე. ი. ეს შეხედულება აღიარებულია; თუმცა, თავად სუბსიდიურობის ბუნება ნათელი არ არის.

ზემოხსენებული განმარტებებიდან, პირველ ყოვლისა, ჩანს, რომ სასამართლო მსჯელობს უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის დამხმარე, დამატებითი ხასიათის შესახებ საერთოდ, კონდიციათა ცალკეული სახეების გამიჯვნის გარეშე³⁸ – მხოლოდ ბოლოს დასახელებული გადაწყვეტილება გამოჰყოფს ცალკე „სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო საფუძველს,“ რაც შეიძლება შესრულების კონდიციაზე მინიშნება იყოს. ამავედროულად, ერთ შემთხვევაში, სასამართლო კონდიციური სამართლის გამოყენების წინაპი-

რობად „სხვა სამართლებრივი საფუძვლით მოთხოვნის დაკმაყოფილების შეუძლებლობას“ ასახელებს. ეს განმარტება, არსებითად, კონდიციური ნორმების შეფარდების წინაპირობად არა **სამართლებრივი ურთიერთობის შეფასებას, არამედ მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლის არსებობას ასახელებს.**

სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონდიციური სამართლის ნორმების საფუძველზე მოთხოვნა დაკმაყოფილებადი გახდება იმ შემთხვევაშიც, როცა მისი დაკმაყოფილება სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ძირითადი ნორმების საფუძველზე შეუძლებელი იქნება. ამ თვალსაზრისით, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი უნივერსალურ ხასიათს შეიძენს, რაც არსებითად, სრულ და ზოგად სუბსიდიურობას გულისხმობს;³⁹ ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს საქმეში №ას-201-201-2018, სადაც საკასაციო სასამართლომ დელიქტური სამართლით მოთხოვნის გამომრიცხავი ან შემაფერხებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაშიც, კონდიციური სამართლის გამოყენების აუცილებლობაზე მიუთითა.⁴⁰ მეტიც, სასამართლომ „მოთხოვნის წარმოშობა“, ანუ სამართლებრივი საფუძველი დელიქტურ და კონდიციურ სამართალურთიერთობებში, არსებითად, ერთმანეთთან გაათანაბრა ე. ი. ფაქტობრივად განმარტა, რომ ერთი და იმავე შემთხვევის ერთდროულად დელიქტად და კონდიციად შეფასება შესაძლებელი იყო. თუმცა, სხვა შემთხვევაში, სასამართლოს განმარტებით, კონდიციური სამართლის გამოყენების წინაპირობა „სხვა უფრო სპეციალური ნორმის გამოყენების“ და „სახელშეკრულებო საფუძველის“ გამორიცხვაა — ეს კი, აშკარად, მკაცრი სუბსიდიურობის პრინციპს შეესაბამება.

სინამდვილეში, პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასამართლო ძირითადად, მკაცრი სუბსიდიურობის პრინციპს იცავს, ყოველ შემთხვევაში, სახელშეკრულებო სამართალთან მიმართებით მაინც.

ასე, მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე სასამართლო გამორიცხავს მენარდის მიერ გადაჭარბებულად გაწეული ხარჯის ანაზღაურებას მყარი ხარჯთაღრიცხვის არსებობისას,⁴¹ თუმცა ნათელია, რომ კონდიციური სამართლის ნორმათა საფუძველზე მენარდის მოთხოვნა მეტ-ნაკლებად პერსპექტიული იქნებოდა; იგივე ეხება ქირავნობას, გადაზიდვას, სესხს და ა. შ.

საკასაციო სასამართლო აგრეთვე, შეუძლებლად მიიჩნევს კონდიციური სამართლისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადების გამოყენებას სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემთხვევაში.⁴² ასევე, გამორიცხა კონდიციური სამართლის გამოყენება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ დელიქტის შემთხვევაშიც,⁴³ საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ თუ იკვეთებოდა პირის ნების თავისუფალ ფორმირებაში აშკარა და უხეში ჩარევა, დაზარალებულს მოთხოვნა დელიქტური სამართლის ნორმებზე უნდა დაეფუძნებინა.⁴⁴

ზოგადად, სუბსიდიურობის პრინციპის გაზიარების შემთხვევაში, პრობლემურია იმის აღიარება, რომ შესრულების კონდიცია მაინცდამაინც, სახელშეკრულებო სამართლის ხელყოფის კონდიცია – დელიქტური სამართლის, ხოლო ხარჯების კონდიცია – დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების – გესტორის სამართლის გაგრძელებაა.⁴⁵

პირველ ყოვლისა, ამ სისტემაში არ არის მოქცეული რთული კონდიციისა და გენერალური დათქმის შემთხვევები.

გარდა ამისა, გემოხსენებული შეხედულება საგარაუდოდ, ემყარება იმ ზოგად დაშვებას, რომ ჩვეულებრივ, ორდინარულ სიტუაციაში: „რაიმეს,“ ანუ ქონების გადაცემა ნების გამოვლენის, გარიგების საფუძველზე ხდება, სხვისი ქონების ხელყოფა დანაშაულია, ხოლო დომინუსმა გესტორს გაწეული ხარჯი უნდა აუნაზღაუროს;⁴⁶ თუმცა, უფრო სიღრმისეულად თუ შევხედავთ, აღმოვაჩინოთ, რომ ზოგჯერ, შესრულების კონდიცია უფრო ახლოს დელიქტთან დგას, ხოლო ხელყოფისა და ხარჯების – სახელშეკრულებო ან სანივთო სამართალთან.

მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების არარსებობას, შესაძლებელია ნების გამოვლენა სულაც არ უძღვოდეს; 978-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა კი, აშკარად დელიქტთან „სიახლოვეს“ უფრო იჩენს, თუმცა კი, შესრულების კონდიციის ნაწილია.⁴⁷ ამასთან, ერთ შემთხვევაში, უზენაესმა სასამართლომ კონდიციური სამართლის ადგილი განსხვავებულად დაადგინა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ: „განსაზღვრული სამართლებრივი მიზნის შესაძლო მიღწევისას, როდესაც ერთი მოთხოვნა განსხვავებული სამართლებრივი საფუძველით წარმოიშობა, არსებობს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მოცემულია კანონის იმ ნორმებში, რომელთა თანახმად, ერთ პირს მეორისაგან შეუძლია განსაზღვრული მოქმედების შესრულება ან ასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავება. ერთი და იგივე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით არის შესაძლებელი. ამ დროს, უფლებამოსილ პირს ეკუთვნის თეორიულად, ერთმანეთის თანაბარი, ერთი და იგივე ინტერესის დაცვისათვის გამომწვევი ალტერნატიული სამართლებრივი საშუალებების ერთობლიობა. მოთხოვნათა კონკურენციისაგან განსხვავებით, სადაც მოსარჩელის უფლებამოსილებაა მოთხოვნათა შორის არჩევა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან ერთ-ერთის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა (იხ. დამატებით: ლ. ჭანტურია., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 132; ჰ. ბიოლინგი, პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, თბილისი-ბრე-

მენი, 2004–2009, გვ.14; ქ. ქოჩაშვილი, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას, თბ., 2012, გვ. 280; ს. ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, სად. ნაშრ., თსუ, 2010, გვ. 39; ს. ჭენჭელი, სამოქალაქო კამპუსების დამუშავების მეთოდოლოგია, თბ., 2009, გვ. 84.).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები გარკვეული ლოგიკური რიგითობის მიხედვით უნდა შემოწმდეს. კანონი ამ რიგითობას არ აწესებს. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველების შემოწმების რიგითობა უნდა განისაზღვროს მიზანშეწონილობის მიხედვით და უნდა გამომდინარეობდეს კანონის სისტემიდან. სარჩელთა კონკურენცია, რომელიც მდგომარეობს მოთხოვნის რამდენიმე საფუძველის ერთდროულად ფორმირებაში, მოიცავს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო, სახელშეკრულებო და სავინდიკაციო, სავინდიკაციო და დელიქტურ, დელიქტურ და კონდიქციურ, კონდიქციურ და სავინდიკაციო სარჩელთა კონკურენციას. მესაკუთრის მიერ ნივთზე საკუთრების (მფლობელობის) დაკარგვისას, მისი კანონით დაცული ინტერესების დაცვა შესაძლოა, როგორც სანივთო (სავინდიკაციო), ისე ვალდებულებით – სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტური) ან კონდიქციური სარჩელებით. თითოეული მათგანი მიმართულია უფლებამოსილი პირისათვის ქონების დაბრუნებისაკენ და უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისაკენ.⁴⁸

ეს განმარტება ყველაზე საინტერესო, განსხვავებული, განსაკუთრებული და მნიშვნელოვანია, რადგან უსაფუძვლო გამდიდრების სამართალს არა სხვა სამართლის დანამატად ან დამხმარე საშუალებად, არამედ დამოუკიდებელ ინსტრუმენტად მიიჩნევს.

ყველა სახის სამართალურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს ერთმანეთის თანაბრად, ერთი და იმავე ინტერესის დაცვისათვის გამიზნულ, ალტერნატიულ სამართლებრივ საშუალებებათა ერთობლიობად მოიხსენიებს და ამით კონდიქციური სამართლის ფართო გამოყენებას უხსნის გზას.

მოგვიანებით გამოჩნდება, რომ კონდიქციური სამართლის ამგვარი გაგება თანამედროვე მოთხოვნილებებს ყველაზე მეტად შეესაბამება. თუმცა, როგორც ჩანს, ეს პოზიცია ადგილს მაინც მძიმედ იმკვიდრებს.⁴⁹

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მნიშვნელობა კონდიქციური სამართლისათვის

გასაგები მიზეზების გამო, საქართველოს დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა გერმანული სამართლებრივი აზრისა და პრაქტიკის გაზიარება-დამკვიდრებისკენ მიისწრაფის.⁵⁰

განსაკუთრებული, დახვეწილი და ღრმა გერმანული სამართალი რასაკვირველია მართებულად არის და უნდა იყოს კიდევ საქართველოს იურისტების შთაგონების წყარო და ორიენტირი, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ BGB-ს საფუძველზე არ შექმნილა.

საქართველოს ცივილური კანონმდებლობა შეიცავს არაერთ ფუნდამენტურ ნორმას, რომელიც ჩვენს სამართალში სხვა ქვეყნების სამართლიდან შემოვიდა, რომლის ანალოგიც გერმანულ კანონმდებლობაში არ მოიპოვება და რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს არსებითად ცვლის.

ერთ-ერთი ამგვარი ნორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის 1-ელი ნაწილია. ეს მუხლი არსებითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1302-ე მუხლის ანალოგიურია და მის თანახმად: „ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას“, თუმცა, Code Civil-ის ანალოგიური ნორმისაგან განსხვავებით, ნორმა არ შეიცავს მითითებას ვალდებულების გარეშე გადახდილის დაბრუნების თაობაზე.⁵¹

ზოგადად, აღნიშნული ნორმა არა მარტო მტკიცების ტვირთსა და საგანს განსაზღვრავს, არამედ ვალდებულებითი, უფრო სწორად სახელშეკრულებო ურთიერთობის პრიორიტეტს ადგენს.⁵²

ვიწრო შინაარსით, ნორმა ნიშნავს, რომ ნებისმიერი შესრულება – ფულის გადახდა, ნივთის გადაცემა და ა. შ. ჩვეულებრივ, ვალდებულების საფუძველზე ხდება. ამის გამო, ყველა შესრულების დროს მოქმედებს პრეზუმფცია, კანონისმიერი ვარაუდი, რომ იგი სწორედ ნამდვილი ვალდებულების – ნასყიდობის, სესხის, ქირავნობის და ა. შ. საფუძველზე განხორციელდა. ამიტომ, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ *შესრულებას* მიმღების, კრედიტორის მიერ მითითებული სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა, ეკისრება შემდავებელ მხარეს,⁵³ ივარაუდება, რომ *რახან შეასრულა ე. ი. ვალდებულებაც ჰქონდა*.⁵⁴ ცხადია, ეს შესრულების მიმღებს ვალდებულებისაგან არ ათავისუფლებს – ვალდებულების არსებობის ფაქტი მან დამაჯერებლად და სრულყოფილად უნდა მიუთითოს, იმგვარად, რომ შემდავებელმა მისი უარყოფა შეძლოს.

ამის შესაბამისად, პირველ ყოვლისა, სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის 1-ელი ნაწილი კანონისმიერი პრეზუმფციაა და მითითებისა და მტკიცების ტვირთს ანაწილებს – შესრულების მიმღებმა უნდა დაამტკიცოს, რომ შესრულება მოხდა და დამაჯერებლად და სრულყოფილად მიუთითოს ვალდებულება, რომლის საფუძველზეც იგი განხორციელდა, ხოლო საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი შემსრულებელს ეკისრება.⁵⁵

ნათელია, რომ აღნიშნული თვალსაზრისით, ნორმის მიზანი სამართლებრივი ბრუნვის სტაბილურობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვაა – ყოველდღიურად, მარტო

საქართველოში ასი ათასობით შესრულება ხდება, მათი საფუძვლის ეჭვქვეშ დაყენება კი, სრულ ქაოსს გამოიწვევდა;⁵⁶ ამავდროულად, ნორმას სხვა მნიშვნელობაც აქვს. ამასთან დაკავშირებით, პირველ ყოვლისა, საყურადღებოა, რომ ზოგადად, პრეზუმფციების აღსანიშნავად კანონმდებელი ტერმინ „ვარაუდს“ იყენებს,⁵⁷ ზემოხსენებულ ნორმაში კი, ამის ნაცვლად მითითებულია – „გულისხმობს.“

ლინგვისტური თვალსაზრისით, არსებითად, „ვარაუდი“ და „გულისხმობს“ სინონიმებია⁵⁸ თუმცა, ნათელია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში „გულისხმობს“ ყოველთვის ვარაუდის მაღალ ხარისხს, სამართლებრივი ურთიერთობისათვის თავისთავად დამახასიათებელ თვისებას, განმსაზღვრელ წინაპირობას წარმოადგენს; ამ თვალსაზრისით, მას უფრო „ნიშნავს“ შეესაბამება.⁵⁹

ასე, მაგალითად, „ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც“ (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 35.2); „ვალის მიღების შესახებ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც არაფერია ნათქვამი პროცენტის შესახებ, გულისხმობს, რომ პროცენტიც გადახდილია და ფულადი ვალდებულებაც მთლიანად შეწყვეტილია“ (მუხლი 429.2).

ამისგან განსხვავებით: „ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე“ (მუხლი 158.1); „თუ პირი ნივთს ფლობდა დროის გარკვეული მონაკვეთის დასაწყისში და ბოლოს, ივარაუდება, რომ იგი ფლობდა ამ ნივთს დროის შუა პერიოდშიც“ (მუხლი 166); „თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე“ (მუხლი 325.1); „თუ განსაზღვრულია დრო, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ კრედიტორს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადადღე, ხოლო მოვალეს შეუძლია ვალდებულების შესრულება ვადაზე ადრე“ (მუხლი 366) და ა. შ.

ამის შესაბამისად, ნათელია, რომ სამოქალაქო კოდექსის თანახმად, „ვარაუდი“, ძირითადად, საეჭვო, არაერთმნიშვნელოვან შემთხვევებში ფაქტებისა და გარემოებების მტკიცებას ემსახურება. თავისთავად, იგი სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს არ განსაზღვრავს – იმას, რომ მოძრავ ნივთს მაინცდამაინც მესაკუთრე უნდა ფლობდეს ან იმას, რომ თვის დასაწყისსა და ბოლოში მართვის შემთხვევაში, მძღოლი ავტომობილს მათ შორისაც უნდა ფლობდეს, დარწმუნებით ვერავინ იტყვის, თუმცა ვარაუდი კი, შეუძლია.

ამრიგად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის აზრით, „ვარაუდი“ ძირითადად, კანონის-მიერი პრეზუმფციაა; თუმცა, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება სწორედ იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსი-ლება იურიდიული პირის სახელით მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოსვლას ნიშნავს; ასევე, ძირითადი ვალდებულების შესრულება ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ აქცე-სორულ უფლებებსაც წყვეტს, ამიტომ ფულადი ვალდებულების შესრულების ე. ი. შეწყვეტის თაობაზე გაცემული საბუთი პროცენტებსაც თავისთავად ეხება.

ამრიგად, სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლში „ვარაუდის“ ნაცვლად „გულისხმობის“ მითითება კანონისმიერ პრეზუმფციაზე მეტი უნდა იყოს.

ცხადია, ნებისმიერი შესრულება ყველა შემთხვევაში ვალდებულების არსებობის უტყუარი დასტური ვერ იქნება – ზოგადად, „შესრულება“ ფაქტია, რომელიც ძირითადად, ქმედებაში – მაგალითად, ფულის გადაცემა, ნივთის დამზადება და ა. შ. ან ქმედებისაგან თავის შეკა-ვებაში – მაგალითად, ცნობის გაუმჟღავნებლობა, კონკურენციის აკრძალვა და მისთანანი გამოიხატება.⁶⁰

შესრულება შეიძლება მოხდეს ვალდებულების საფუძველზე ან მის გარეშე. ზოგიერთი შესრულება მაგალითად, სესხის გაცემა ვალდებულებას წარმოშობს, ხოლო ზოგიერთი მაგალითად, სესხის დაბრუნება – წყვეტს; ამიტომ იმის თქმა, რომ ნებისმიერი შესრულება მაინცდამაინც ვალდებულებაა, ანუ შესრულება და ვალდებულება იდენტურია, შეუძლებელია.

ამრიგად, სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის 1-ელი ნაწილი უტყუარად და უდავოდ არ ადგენს ვალდებულების არსებობას თუმცა, ვალდებულების არსებობის პრეზუმფციასთან ერთად, ითვალისწინებს სხვა სამართლებრივ შედეგს.

მაინც რა შედეგი შეიძლება იყოს ეს?

როგორც აღინიშნა, ზემოხსენებული ნორმის თანახმად, იგულისხმება, რომ ყოველ შეს-რულებას საფუძველი აქვს და რადგან ასეა, იგულისხმება ისიც, რომ ეს საფუძველი სამართ-ლებრივად ნამდვილია – წინააღმდეგ შემთხვევაში, ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია ყოველგვარ აზრს დაკარგავდა.

მართლაც, ყოველად არალოგიკური და წარმოუდგენელია, კანონი ვალდებულების არ-სებობაში მის არარსებობასაც გულისხმობდეს. და, რადგან, აშკარაა, რომ ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია სამართლებრივად ნამდვილ ე. ი. საფუძველიანი შესრულების მიძღვრის იცავს, ნათელია, რომ ამგვარ შესრულებას სამართლებრივად არანამდვილი შესრულების მიმართ უპირატესობა აქვს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნორმის არსი ამგვარია – რადგან გადაიხადა ე. ი. უნდა გადა-ეხადა კიდევ; რადგან უნდა გადაეხადა ე. ი. მის ნებას შეესაბამებოდა და რადგან მის ნებას

შეესაბამებოდა ე. ი. ვალდებულებაც ნების, ანუ გარიგების საფუძველზე უკისრია. ეს კი ნიშნავს, რომ ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელსაც ნების გამოვლენის, უფრო კონკრეტულად კი, სახელშეკრულებო სამართალი აწესრიგებს, ამ სამართალითვე უნდა გადაწყდეს.⁶¹

სწორედ აქედან გამომდინარეობს ჯერ საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის სასამართლოების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა⁶² და შემდეგ მისი ასახვა საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის მიერ სამოქალაქო კოდექსის 1303.3 მუხლში, რომლის შინაარსიც ქართულად შეიძლება ამგვარად გადმოიცეს – უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე, მოთხოვნა დაუშვებელია, თუ მოთხოვნის უფლების მქონე პირს შეუძლია სარჩელის აღძვრა სხვა საფუძველზე ან თუ გასულია ხანდაზმულობის ვადა.⁶³ თუმცა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფრანგული კანონმდებლობით უსაფუძვლო გამდიდრების სამართალურთიერთობა განსხვავებულად არის მოწესრიგებული.

ინსტიტუციების გავლენით შესრულებისა და ნაწილობრივ, ხარჯების კონდიქციიდან გამომდინარე სამართალურთიერთობებს – სხვისი ვალის გასტუმრებას, ასევე გესტორის სამართალს საფრანგეთში კვამი სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში აქცევენ;⁶⁴ გარდა ამისა, არსებობს Action in rem verso. შინაარსობრივად, ეს სამართალურთიერთობა ხარჯებისა და ხელყოფის კონდიქციას შეესაბამება.⁶⁵

კვამი სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობებისაგან განსხვავებით, სამოქალაქო კოდექსის რეფორმამდე⁶⁶ Action in rem verso-ს მომწესრიგებელ ნორმებს Code Civil არ შეიცავდა და იგი სასამართლო პრაქტიკით განვითარდა.

ამის შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 1303.3 მუხლი მხოლოდ Action in rem verso-დან გამომდინარე მოთხოვნებზე ვრცელდება.

საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ განხილული რამდენიმე საქმის ანალიზი

საინტერესოა, რომ კონდიქციური სამართლის სუბსიდიური ბუნება ყველაზე ნათლად შეიძლება გამოვლინდეს იმ საქმეებში, სადაც სასამართლომ მათი გამოყენება საჭიროდ არ მიიჩნია. ასე მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში მხარეთა შორის სადავო იყო საბანკო მომსახურებისა და სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება, ერთი მხრივ, მოვალეთა უფლებამონაცვლეების ბანკების მიმართ და მეორე მხრივ, სადაზღვევო კომპანიებისა ამავე ბანკების მიმართ.

საქმეთა ფაბულების თანახმად, მოსარჩელეთა უფლებრივმა წინამორბედებმა ფულადი თანხა ისესხეს კომერციული ბანკებისაგან. ამავდროულად, მოვალეებს სადაზღვევო

კომპანიებთან, კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ჰქონდათ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები. სასესხო ვალდებულების მოქმედების პერიოდში მოვალეები, სხვადასხვა მიზეზით, გარდაიცვალნენ. მოვალეთა უფლებამონაცვლეებმა სათანადო წესით მიმართეს კომერციულ ბანკებს, რომლებმაც თავის მხრივ, მიმართეს სადაზღვევო კომპანიებს და მოითხოვეს სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურება. სადაზღვევო კომპანიებმა ვალდებულება უსაფუძვლოდ არ შეასრულეს. ამის მიუხედავად, კომერციულმა ბანკებმა სადაზღვევო კომპანიების წინააღმდეგ სამართალწარმოების დაწყების ნაცვლად, სასესხო ვალდებულების შესრულება მოვალეთა უფლებამონაცვლეებს მოსთხოვეს; თავის მხრივ, მოვალეთა უფლებამონაცვლეებმა სარჩელი აღძრეს კომერციული ბანკების წინააღმდეგ სასესხო ვალდებულების შეწყვეტილად აღიარებისა და მოვალეთა გარდაცვალების შემდეგ უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის ანაზღაურების მოთხოვნით.

საინტერესოა, რომ პირველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა პრეტენზია, *„რომ მემკვიდრე სრულად ჩაენაცვლა დაზღვეულს გარიგებაში,“ თუმცა, ამავდროულად, განმარტა, რომ: „ბანკი არ შედავებია მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გაუცემლობის გამო, ან ურამდენად დასაბუთებული იყო მზღვეველის უარი. აღნიშნული კი, მოსარჩელეს წარმოუშობს უფლებას, რომ მოთხოვნა წარუდგინოს მზღვეველს (სადაზღვევო კომპანიას), რადგან სწორედ ამ უკანასკნელის ნაცვლად მოუწია დაზღვეულის მემკვიდრეს ბანკის წინაშე ვალდებულების შესრულება და ეს შესრულება მიიღო კრედიტორმა.“⁶⁷*

რადგან მემკვიდრე სადაზღვევო ხელშეკრულების მხარე არ გამხდარა და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბენეფიციარს საერთოდ არ წარმოადგენდა, ნათელია, რომ მას მოთხოვნა სადაზღვევო კომპანიის მიმართ ხარჯების კონდიქციის, უფრო ზუსტად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 986-ე მუხლის საფუძველზე წარმოემობოდა.

მართლაც, თუ ბანკისათვის თანხა სადაზღვევო კომპანიას უნდა გადაეხადა და მის ნაცვლად ეს ვალდებულება მემკვიდრემ შეასრულა ე. ი. ნათელია, რომ მას სხვისი ვალი გადაუხდია. ამავდროულად, უდავოა, რომ სადაზღვევო კომპანიას მემკვიდრის მიმართ ვალდებულება ვერ წარმოემობოდა:

- ა) ხელშეკრულებიდან, რადგან როგორც საკასაციო სასამართლომ განმარტა, მემკვიდრე დაზღვეულს გარიგებაში არ ჩანაცვლებია;
- ბ) დელიქტიდან, რადგან სადაზღვევო კომპანიას მემკვიდრის მიმართ ვალდებულება არ დაურღვევია, ვალდებულების დარღვევის გარეშე კი, დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვერ იარსებებს;

გ) გესტორის სამართლიდან, რადგან სადაზღვევო კომპანიის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მემკვიდრის ვალდებულება ბანკის მიმართ არ შეწყვეტილა, ე. ი. მემკვიდრე არა სხვის, არამედ საკუთარ საქმეს ასრულებდა;

დ) კანონით გათვალისწინებული რომელიმე სხვა, პირდაპირი საფუძვლიდან;

თუმცა, ამასთან ერთად, ყოვლად უსამართლო და არამართებულია სადაზღვევო კომპანიამ არაკეთილსინდისიერებისათვის პასუხი არ აგოს, კეთილსინდისიერება ხომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია.⁶⁸

უსამართლო და არამართებულია, სადაზღვევო კომპანიას მხოლოდ სადაზღვევო პრემიის მიღების უფლება ჰქონდეს, ხოლო ვალდებულების შესრულება მის კეთილ ნებაზე იყოს დამოკიდებული.

რასაკვირველია, სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლის საფუძველზე, მემკვიდრეს შეეძლო სადაზღვევო კომპანიას ბანკის სასარგებლოდ თანხის გადახდა მოეთხოვა, თუმცა, ჯერ ერთი, როგორც აღინიშნა, სადავო იქნებოდა ამ საფუძვლით მემკვიდრის უფლებამოსილება და მეორეც – ყოველ შემთხვევაში, დავის პერიოდში მაინც, მემკვიდრე ბანკის სასარგებლოდ გადახდის ვალდებულებისაგან არ გათავისუფლდებოდა. ეს კი ნიშნავს, რომ ბენეფიციარის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მემკვიდრის ინტერესების დაცვის არაეფექტიანი საშუალებაც იქნებოდა და ამასთან, ვერც კონდიქციური სამართლის გამოყენებას ააცილებდა თავიდან. სწორედ ამიტომ განმარტა საკასაციო პალატამ, რომ მემკვიდრეს თანხის ანაზღაურება სადაზღვევო კომპანიისაგან უნდა მოეთხოვა.

ეს შემთხვევა შეგნებულად და არა შეცდომით სხვისი ვალის გასტუმრებისა და აქედან წარმოშობილი კონდიქციური მოთხოვნის ძალზე კარგი მაგალითი იქნებოდა. ასევე, ძალზე კარგი და საინტერესო მსჯელობისა და განმარტების საგანი იქნებოდა „თავისი ხარჯების ანაზღაურების“ ე. ი. მოთხოვნის ფარგლების თვალსაზრისითაც;⁶⁹ თუმცა, სამწუხაროდ, მსგავსი კატეგორიის სხვა საქმეში სასამართლომ მემკვიდრის მოთხოვნა სადაზღვევო კომპანიის მიმართ არ დააკმაყოფილა. სასამართლომ განმარტა, რომ „სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ ბანკს შეეძლო და აქედან გამომდინარე მოსარჩელე არ იყო უფლებამოსილი აღედრა სარჩელი.“⁷⁰

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში, ზემოხსენებული განმარტების მიუხედავად, სახელშეკრულებოსამართლებრივი საფუძვლის გარდა, მემკვიდრის მოთხოვნის სხვა საფუძვლების თაობაზე მსჯელობა სასამართლომ დასაშვებად არ მიიჩნია.

საყურადღებოა, რომ სასამართლომ მემკვიდრის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა არა სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით მოთხოვნის გამომრიცხ-

ველი ან შემაფერხებელი საფუძვლების გამო (მაგ., სადაზღვევო შემთხვევის არარსებობა, სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობა, ხანდაზმულობა, შეუტყობინებლობა და ა. შ.), არამედ მხოლოდ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების არარსებობის მოტივით.

არსებითად, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ რადგან მემკვიდრე ხელშეკრულების მხარეს არ წარმოადგენდა, მას არც მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა. ამ თვალსაზრისით, სასამართლომ კონდიქციური სამართლის მოქმედების სფერო ძალზე შეამცირა და არსებითად, მისი სუბსიდიური ხასიათი გამოირიცხა.

დაბოლოს, ზემოხსენებული გადაწყვეტილებების გამოტანიდან მცირე პერიოდში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მსგავსი კატეგორიის საქმეებზე განსხვავებული გადაწყვეტილებები გამოიტანა. ამ შემთხვევაში, წინა ორისაგან განსხვავებით, მოსარჩელე ბანკი იყო, რომელიც მემკვიდრისაგან გარდაცვლილი მოვალის სესხის დაბრუნებას ითხოვდა.

სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ: *„მსესხებელი დაზღვეული იყო და ბენეფიციარს წარმოადგენდა კრედიტორი, შესაბამისად, მას შეეძლო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ესარგებლა დაზღვევის ხელშეკრულების პირობებით, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 799-ე და 844-ე მუხლებით. სწორედ ამ რესურსის უშედეგოდ ამოწურვის შემდგომ იქნებოდა გამართლებული კრედიტორის მოთხოვნა ზემოხსენებული ნორმების შესაბამისად. ამ მხრივ, სააპელაციო პალატამ მართებულად დაადგინა, რომ კრედიტორმა მხოლოდ ფორმალურად განკარგა დაზღვევის პირობებიდან გამომდინარე შესაძლებლობა, რაც არ შეესაბამებოდა სამოქალაქო კოდექსის 8.3 და 115-ე მუხლებით დადგენილ ქცევის კეთილსინდისიერების სტანდარტს.“⁷¹*

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა: *„სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემთხვევაში, აღარ იარსებებდა დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის წინაპირობები.“⁷²*

ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ რეალურად, არც სადაზღვევო კომპანიასა და არც მოვალეს ბანკის მიმართ ვალდებულება არ შეუსრულებიათ ე. ი. ბანკს სესხად გაცემული თანხა არ მიუღია. ამის მიუხედავად, სასამართლომ მოვალის მემკვიდრეთა მიმართ მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია.

არსებითად, როგორც ჩანს, სასამართლოს პოზიციით მოვალის გარდაცვალების შემდეგ, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნის ადგილი დაიკავა ბანკის მოთხოვნამ სადაზღვევო კომპანიის მიმართ და მემკვიდრეთა ვალდებულება შეწყდა **ნოვაციის** საფუძველზე.

ამ გადაწყვეტილებათა ანალიზისათვის მნიშვნელოვანია რამდენიმე სიტყვა ნოვაციის სამართლებრივი ურთიერთობისა და საქართველოს სამართალში მისი ადგილის შესახებაც ითქვას.

ზოგადად, ნოვაციას სამართლებრივი ურთიერთობის გარდაქმნას უწოდებენ.⁷³ საინტერესოა, რომ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი მის ლეგალურ დეფინიციასაც იძლევა. კერძოდ, Code Civil-ის 1329-ე მუხლის თანახმად: „La novation est un contrat qui a pour objet de substituer à une obligation, qu'elle éteint, une obligation nouvelle qu'elle crée. Elle peut avoir lieu par substitution d'obligation entre les mêmes parties, par changement de débiteur ou par changement de créancier“ – ამ ნორმის შინაარსი ქართულად ამგვარად შეიძლება გადმოიცეს: ნოვაცია არის ხელშეკრულება, რომლის მიზანია ვალდებულების შეწყვეტა ახალი ვალდებულებით, ახალი ვალდებულება იკავებს ძველი ვალდებულების ადგილს. ნოვაცია შეიძლება მოხდეს როგორც ხელშეკრულების მხარეებს შორის, ასევე კრედიტორისა და მოვალის შეცვლით.⁷⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ამ ურთიერთობას „სხვა შესრულების მიღებით“ ვალდებულების შეწყვეტა შეესაბამება – „*მხარეთა შეთანხმებით, ერთი ვალდებულება შეიძლება შეიცვალოს მეორეთი, რასაც ნოვაცია ეწოდება. ნოვაციის შედეგად თავდაპირველი ვალდებულება წყდება, მაგრამ მის საფუძველზე, იმავე პირებს შორის მყარდება ახალი ვალდებულება.*“⁷⁵

აღნიშნულს, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი ავტორის, ღრმად პატივცემული პროფესორის კომენტარისა, ამ ნორმის თავდაპირველი რედაქციაც ადასტურებს,⁷⁶ სადაც სამართლებრივი ურთიერთობა სწორედ ნოვაციად იყო შეფასებული. მოგვიანებით, ნორმის სათაურის შეცვლა და ფრჩხილებში არსებული სიტყვის ამოღება სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს ვერანაირად ვერ შეცვლიდა, რადგან თავად დისპოზიცია იგივე დარჩა; თუმცა, მეორე მხრივ, ნორმა მარტოოდენ ნოვაციის სამართლებრივ ურთიერთობას არ აწესრიგებდა და აწესრიგებს. ამიტომ, განხორციელებული ცვლილებები სავსებით კანონზომიერი იყო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლისა და BGB-ს 364-ე პარაგრაფის შედარებაც ადასტურებს, რომ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლი BGB-ს ნორმის პირველ ნაწილს, არსებითად, სიტყვასიტყვით იმეორებს თუმცა, სამოქალაქო კოდექსში ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ინკორპორირებული არ არის. ამ ნორმის თანახმად: თუ მოვალე, კრედიტორის დაკმაყოფილების მიზნით, ამ უკანასკნელის წინაშე კისრულობს ახალ ვალდებულებას, მაშინ, დავის შემთხვევაში, ეს არ მიიჩნევა მის მიერ თავდაპირველი ვალდებულების ნაცვლად სხვა ვალდებულების კისრებად⁷⁷;

საყურადღებოა, რომ გერმანულ ტექსტში მითითებულია „*im Zweifel nicht anzunehmen*“ ანუ „საეჭვობისას მხედველობაში არ მიიღება.“ ერთი შეხედვით, აქ საუბარია არა სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსზე, არამედ ნამდვილი ნების დადგენაზე,⁷⁸ თუმცა ამასთან

ერთად, როგორც ჩანს, ზოგ შემთხვევაში, ნორმა ვალდებულების შინაარსის განსაზღვრასაც ემსახურება. ამის გამო, საქართველოს კანონმდებლობაში მსგავსი ნორმის არარსებობას სამართლებრივი ურთიერთობის შეფასებისათვის (როცა ნების გამოვლენა საეჭვო არ არის) მნიშვნელობა არა აქვს – მიუხედავად ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლი და ყოველ შემთხვევაში, BGB-ს 364-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი ერთსა და იმავე სამართლებრივ ურთიერთობას უნდა აწესრიგებდეს.

გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ „სხვა შესრულების მიღება“ ნოვაციასაც მოიცავს.⁷⁹ „სხვა შესრულების მიღებას“ ნოვაციად მიიჩნევდნენ საქართველოს საერთო სასამართლოებიც.⁸⁰

თუმცა, მოგვიანებით, სასამართლომ „სხვა შესრულების მიღება“ განსხვავებულად შეაფასა. ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ განმარტა: „*შესრულების ნაცვლად სხვა შესრულებით ვალდებულების შეწყვეტაზე მხარეები უნდა შეთანხმდნენ. აღნიშნული სახის შეთანხმებას დამხმარე ხასიათის გარიგებას უწოდებენ. შესრულების სანაცვლო შესრულებაზე შესაძლებელია, რომ მხარეები კონკლუდენტური მოქმედებითაც შეთანხმდნენ. ამისათვის უბრალოდ საჭიროა, რომ კრედიტორის მიერ სხვა შესრულების მიღებისას გარემოებებიდან არაორაზროვნად იკვეთებოდეს მისი (კრედიტორის) ნება, რომ იგი თანახმაა ვალდებულებით თავდაპირველად შეთანხმებული შესრულების სანაცვლოდ მიიღოს სხვა შესრულება და ამით შეწყდეს შესაბამისი ვალდებულება. შესრულების სანაცვლო შესრულების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს თავდაპირველი ვალდებულებითი ურთიერთობა, რომელიც ინარჩუნებს იურიდიულ ძალას. შესაბამისად, 428-ე მუხლის საფუძველზე მხარეები ახალ პირობებზე თანხმდებიან მხოლოდ ვალდებულების შესრულების ნაწილში და ამით განისაზღვრება ვალდებულების შეწყვეტის ახალი ფორმა.*“⁸¹ ამით სასამართლომ არსებითად გაიმეორა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება „სხვა შესრულების მიღების“ სამართლებრივი ბუნების თაობაზე.⁸² ეს კი ნიშნავს, რომ სასამართლომ გაიზიარა პოზიციის მიმს შესახებაც, რომ „ნოვაციის შინაარსი არ შეესაბამება 428-ე მუხლის დისპოზიციას.“⁸³

სხვა შემთხვევებშიც, სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლი ვალდებულების ფაქტობრივად შესრულების თვალსაზრისით გამოიყენა.⁸⁴

ნათელია, ამგვარი გაგებით, ნოვაციასა და „სხვა შესრულების მიღებით“ ვალდებულების შეწყვეტას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა – ნოვაციისას ჩვეულებრივ, ერთი ვალდებულების შეწყვეტის შედეგად სხვა ვალდებულება წარმოიშობა. მაგალითად სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებას სადაზღვევო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება ცვლის და ამის შესაბამისად, იცვლება კრედიტორის მოთხოვნის საფუძველი, თუმცა, თავად მოთხოვნის უფლება რჩება; „სხვა შესრულების მიღებისას“ კი,

განისაზღვრება მხოლოდ „ვალდებულების შეწყვეტის ახალი ფორმა“ ისე, რომ არ იცვლება ვალდებულების არსი და საფუძველი. კრედიტორი ფაქტობრივად არსებული ვალდებულების ფარგლებში კმაყოფილდება და ვალდებულება წყდება, ახალი ვალდებულების წარმოშობის გარეშე.

თუ 428-ე მუხლს არ ჩავთვლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ნოვაციას ვალდებულების შეწყვეტის საფუძველად არ მიიჩნევს; თუმცა, მეორე მხრივ, ყოველად წარმოუდგენელია, მხარეებს ვალდებულებითი ურთიერთობის მოწესრიგების ამგვარი ფორმის გამოყენება შეეზღუდოთ. სწორედ ამიტომ მაგალითად, მორიგება სამართლებრივი შედეგებით ხშირად, ნოვაციას უთანაბრდება და ვალდებულების ამგვარი შეწყვეტა სავსებით ლეგიტიმური და დასაშვებია.⁸⁵ მართლაც, თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ სესხად გაცემული ფულის დაბრუნების ნაცვლად მოვალე კრედიტორს სახლს შეუკეთებს, სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება შეწყდება და წარმოიშობა ახალი, ნარდობის სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობა. ამრიგად, უდავოა, რომ საქართველოს სამართალი ნოვაციას უშვებს. ამის შესაბამისად, შესაფასებელია, შეიძლება თუ არა ეს სამართლებრივი ურთიერთობა სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლმა მოაწესრიგოს.

ზოგადად, „სხვა შესრულების მიღება“ მხოლოდ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედება არ არის. შინაარსობრივად, იგი მოიცავს სამ სამართლებრივ ცნებას: „სხვას“, „შესრულებას“ და „მიღებას.“ მოკლედ რომ ვთქვათ, „სხვა“ არსებული ვალდებულებისგან განსხვავებულს ნიშნავს, „შესრულება“ – სამართლებრივი შინაარსის მქონე ქმედებას, ხოლო „მიღება“ – ნების გამოვლენას.

ვალდებულების შეწყვეტას არა ნებისმიერი სხვა შესრულება, არამედ მხოლოდ ისეთი შესრულება იწვევს, რომელსაც კრედიტორი მიიღებს (შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 379).

შესრულების მიღება ნების გამოვლენის საფუძველზე ხდება. ეს კი ნიშნავს, რომ იგი გარიგებაა. ამრიგად, სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლი ნების გამოვლენას, გარიგებას თავისთავად მოიცავს.

როგორც აღინიშნა, „სხვა“ არსებული ვალდებულებისაგან განსხვავებულს გულისხმობს. ეს განსხვავება კი, დასაშვებია არა მარტო ვალდებულების ობიექტში, არამედ ვალდებულების შინაარსშიც გამოიხატებოდეს;

ამრიგად, ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული გარიგება, მათ შორის, სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის შეცვლისკენაც არის მიმართული, სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის შეცვლა კი, ხშირად, სწორედ ნოვაციაა. ამრიგად, სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლი ნოვაციასაც გულისხმობს.⁸⁶

ერთი შეხედვით, აღნიშნულ დასკვნას შეიძლება მხოლოდ ფორმალური, კაზუსტური მნიშვნელობა ჰქონდეს, თუმცა სინამდვილეში, ამ თეორიის განვითარება ძალიან მნიშვნელოვან შედეგამდე მიგვიყვანს. ამის ნათელი მაგალითი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებებია.

ამ შემთხვევაში, უდავოა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ბანკის მოთხოვნის უფლება სადაზღვევო კომპანიის მიმართ ქონებას წარმოადგენდა და მისი წარმოშობა დაზღვეულის გარდაცვალებაზე იყო დამოკიდებული. დაზღვეულის გარდაცვალების შედეგად ბანკმა როგორც მოვალესთან, ისე სადაზღვევო კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა ზემოხსენებული ქონება, რომლის ღირებულებაც სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მემკვიდრეთა მიმართ არსებული მოთხოვნის ეკვივალენტური იყო. როგორც ჩანს, სწორედ ამ „სხვა შესრულებამ“ დაიკავა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების ადგილი; წინააღმდეგ შემთხვევაში, ბუნდოვანია, თუ რატომ არ უნდა დაეკმაყოფილებინათ მემკვიდრეებს მამკვიდრებლის კრედიტორის ინტერესები და არ დაებრუნებინათ ვალი.⁸⁷

და თუ ეს მსჯელობა ნამდვილია,⁸⁸ მოვალის გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრეთა მიერ ვალდებულების შესრულების გაგრძელების შემთხვევაში, მათ წარმოეშობოდათ მოთხოვნის უფლება ბანკის მიმართ, ოღონდ უკვე არა ხარჯების, არამედ შესრულების კონდიციის საფუძველზე.⁸⁹

საინტერესოა, რომ სადაზღვევო კომპანიისაგან ანაზღაურების ფაქტობრივად მიუღებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის თანახმად, ბანკი თავს ვერც გამდიდრების არარსებობით ვერ დაიცავდა, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებათა თანახმად, იგი არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა ე. ი. სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა იცოდა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბანკის მიმართ შესრულების კონდიციიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებასთან ერთად, მემკვიდრეებს დარჩებოდათ ხარჯების კონდიციიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება სადაზღვევო კომპანიის მიმართ. ამ ვითარებაში, კი ძალზე საინტერესო იქნებოდა კონდიციათა კონკურენციის საკითხის გადაწყვეტა.

ზოგადად, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „ჩარევის კონდიცია სუბსიდიურია ვალდებულების შესრულების კონდიციასთან მიმართებით.“⁹⁰ ამ პოზიციის შესაბამისად, ბანკის მიმართ მემკვიდრეთა მოთხოვნას უპირატესობა უნდა ჰქონოდა სადაზღვევო კომპანიის მიმართ მოთხოვნასთან მიმართებით;

თუმცა ვფიქრობთ, რომ სინამდვილეში, მსგავს ვითარებაში უფრო სპეციალურ ნორმად სამოქალაქო კოდექსის 986-ე მუხლი უნდა მიჩნეულიყო და სამართლებრივი ურთიერ-

თობაც მის საფუძველზე უნდა მოწესრიგებულიყო,⁹¹ განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ „სხვისი ვალის გასტუმრებას“ კონდიქციის ცალკე სახედ მივიჩნევთ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მემკვიდრეს ბანკის მიმართ მოთხოვნის უფლება უნდა დაეკარგა – როგორც აღინიშნა, სუბსიდიურობა ვალდებულების შესრულების დამატებითი საშუალების გამოყენებას ნიშნავს. ამის შესაბამისად, მემკვიდრეს უნდა წარმოშობოდა მოთხოვნის უფლება ბანკის მიმართ სადაზღვევო კომპანიისაგან დაკმაყოფილების შეუძლებლობის შემთხვევაში.

ნათელია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლის გამოყენების გარეშე, ზემოხსენებული დასკვნების გამოტანა ძალიან გაჭირდებოდა, ნოვაცია მხოლოდ მხარეთა მორიგების სამართლებრივი შედეგი რომ ყოფილიყო – ბანკს მემკვიდრეთა მიმართ მოთხოვნა დარჩებოდა და სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება რეალურ შინაარსს დაკარგავდა.

სამწუხაროდ, ნოვაციის სამართალურთიერთობა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არ განვითარდა, იმის მიუხედავად, რომ როგორც ჩანს, სამოქალაქო კოდექსის ავტორები „სხვა შესრულების მიღებაში“ ამასაც გულისხმობდნენ.



ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ საქმეში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა: „მართალია, უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად დელიქტური სამართლის ნორმებია მიჩნეული, მაგრამ თუ სააპელაციო პალატა დაადგენს, რომ დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნა აღარ არსებობს მისი ხანდაზმულობის გამო და განუხორციელებადია, სასამართლომ როგორც მოთხოვნის წარმოშობა, ასევე მისი განხორციელებადობა კონდიქციური სამართლის ნორმებზე დაყრდნობით უნდა შეამოწმოს, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, სამართლებრივი შედეგი... შესაძლებელია უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებითაც. უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მიმართ კი, გამოიყენება სსკ-ის 128-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის საერთო ვადა –10 წელი...“

...თუ დელიქტური სამართლიდან გამომდინარე მოთხოვნა წარუმატებელი იქნება, სააპელაციო პალატამ უნდა დაადგინოს, ვლინდება თუ არა სსკ-ის 982-ე... და 408.1... მუხლებით განსაზღვრული წინაპირობათა ერთობლიობა, რომლის სამართლებრივი შედეგი წილზე საკუთრების უფლების აღდგენაა.“⁹²

ყურადსაღებია, რომ აქ, ისევე როგორც ერთი წლით ადრე დიდი პალატის მიერ განხილულ საქმეში⁹³ დავის საგანი საწარმოში არამართლზომიერად დაკარგული წილის დაბრუნება იყო; მაგრამ თუ დიდმა პალატამ დელიქტის შემთხვევაში კონდიქციური სამართლის გამო-

ყენება შეუძლებლად მიიჩნია, ამჯერად, საკასაციო სასამართლომ სწორედ მისი გამოყენების აუცილებლობის თაობაზე მიუთითა, ანუ სამართლებრივი ურთიერთობა განსხვავებულად მოაწესრიგა.

საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთგვარად გამოიყენა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 852-ე პარაგრაფით დადგენილი წესი, რომლის თანახმადაც: „თუ დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა დაზარალებულის ხარჯზე რაიმე მიიღო, მაშინ იგი დელიქტის მიხედვით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც ვალდებულია უკან დაბრუნებაზე, უსაფუძვლო გამდიდრების წესების თანახმად. ამ მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია მისი წარმოშობიდან ათი წლის ვადის გასვლისთანავე ან მიუხედავად მისი წარმოშობის თარიღისა, 30 წლის შემდეგ ზიანის მიმყენებელი მოქმედების ჩადენიდან ან ზიანის გამომწვევი სხვა მოვლენიდან.“⁹⁴

თუმცა, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ გერმანული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ამ შემთხვევაში ერთმანეთისგან ასხვავებს დელიქტიდან და უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის ფარგლებს.

დელიქტიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურების, ხოლო უსაფუძვლო გამდიდრება გათანაბრების ვალდებულებას იწვევს.

გათანაბრების ვალდებულებას, ანუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კონდიქციურ ზიანსა და დელიქტურ ზიანს შორის სხვაობა ის არის, რომ დელიქტური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში, მოვალემ უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 408.1), ანუ ზიანი უნდა აანაზღაუროს სრულად. ამისგან განსხვავებით, კონდიქციური ზიანი ჩვეულებრივ, გულისხმობს მხოლოდ იმ უპირატესობის დაბრუნებას, რომელსაც გამდიდრებული უსაფუძვლოდ იღებს. ეს კი ნიშნავს, რომ პირველ, არახანდაზმულ შემთხვევაში ჩვეულებრივ, მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლები უფრო ფართოა, მარტივად რომ ვთქვათ, მას მეტის გადახდა უწევს.⁹⁵

ამასთან დაკავშირებით, სულ ახლახან მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ.⁹⁶ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2012 და 2013 წლებში მოსარჩელებმა უშუალოდ მწარმოებლისა და მისი დილერისაგან შეიძინეს ახალი ავტომობილები, თუმცა, მოგვიანებით, აღმოჩნდა, რომ ისინი მნიშვნელოვანი ნაკლის მქონე იყო. აღნიშნული ნაკლი ჰაერში მავნე აირების გაფრქვევას უკავშირდებოდა. ამის თაობაზე, 2015 წლის 18 სექტემბერს მწარმოებელმა გამოაქვეყნა პრეს-რელიზი, რასაც მოჰყვა ე. წ. „დიზელის“, სხვაგვარად – „გამოფრქვევის სკანდალი.“⁹⁷ მოსარ-

ჩელეებმა აღნიშნული ნაკლის შესახებ შეიტყვეს 2016 წელს, თუმცა, ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელი სასამართლოში აღძრეს 2020 წელს. საბოლოოდ, უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე პარაგრაფიდან⁹⁸ გამომდინარე, მოსარჩელეთა მოთხოვნა ხანდაზმული იყო, თუმცა, იგი შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო ამავე კოდექსის 852-ე პარაგრაფის საფუძველზე. ამავდროულად, გამდიდრების გასათანაბრებლად სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა მოპასუხის გამდიდრების მოცულობა, რისთვისაც უნდა დაედგინა და გადაცემულისთვის გამოეკლო ავტომობილების გამოყენებით მოსარჩელეთა მიერ მიღებული სარგებელი.⁹⁹

ამ მოწესრიგების მიზანი ზიანის მიმყენებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება და დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიღებულის დაბრუნების საფუძვლის შექმნაა.¹⁰⁰ ამავდროულად, საკითხის ამგვარ გადაწყვეტას გერმანიაში ნორმატიული, კანონისმიერი საფუძველი აქვს.

ამგვარი საფუძვლის არარსებობის პირობებში კი, საკითხის ანალოგიური გადაწყვეტა საქართველოში მხოლოდ ზოგადი სუბსიდიურობის პრინციპის გამოყენებითაა შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოხსენებული განჩინება ძალზე მნიშვნელოვანია; თუმცა ასევე, მნიშვნელოვანია ის განსხვავებაც, რომელიც ორი ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებებს შორის თვალშისაცემია – გერმანიის სასამართლო კონდიქციური ზიანისა და დელიქტური ზიანის საფუძვლებსა და აქედან გამომდინარე მოთხოვნის ფარგლებს ერთმანეთისგან ასხვავებს. საქართველოს სასამართლომ კი, სამოქალაქო კოდექსის 982-ე და 408.1 მუხლების ერთობლივი გამოყენება მიიჩნია შესაძლებლად. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ძალზე საკამათოა.

უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ადგილი დიდი ბრიტანეთის სასამართლო პრაქტიკაში

ძალზე საინტერესოა უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის გამოყენების პრაქტიკა საერთო სამართლის ქვეყნებში, კერძოდ კი, დიდი ბრიტანეთის სასამართლო პრაქტიკაში.

ზოგადად, დიდ ბრიტანეთში უსაფუძვლო გამდიდრების სამართალურთიერთობის განმსაზღვრელ თანამედროვე პრეცედენტად მიჩნეულია ლორდთა პალატის 1991 წლის ნ ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Lipkin Gorman v Karpnale Ltd.¹⁰¹

მსგავსი სამართალურთიერთობების მომწესრიგებელი პრეცედენტები ცხადია, ბევრად ადრე არსებობდა და ისინი თავად ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაშია განხილული,¹⁰² თუმცა, სამართალურთიერთობა დღეს არსებული სახით, სწორედ 1991 წლიდან არსებობს.

ლორდებმა: Lord Bridge of Harwich, Lord Templeman, Lord Griffiths, Lord Ackner და Lord Goff of Chieveley¹⁰³ განსაზღვრეს უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი ურთიერთობის საფუძვლები, პრინციპები და მოთხოვნის ფარგლები, განავითარეს მდგომარეობის ცვლილების (change of position) დოქტრინა. სამართლებრივი ურთიერთობის ასე დაგვიანებით¹⁰⁴ მოწესრიგების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ სახელშეკრულებო სამართლის პრიმატი და უსაფუძვლო გამდიდრების სუბსიდიური ხასიათი იყო.¹⁰⁵ ამ თვალსაზრისით, გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმდენადაც, რამდენად ერთმანეთისგან ასხვავებს დელიქტური და კონდიქციური სამართლიდან გამომდინარე მოთხოვნების საფუძვლებს და აქედან გამომწვეულ სამართლებრივ შედეგებს.¹⁰⁶

ამ საქმეში მოსარჩელე, საადვოკატო კომპანია მოპასუხის, აზარტული თამაშების კლუბის მფლობელი საწარმოსაგან ითხოვდა იმ კუთვნილი თანხის, 222 908,98 ფუნტი სტერლინგის დაბრუნებას, რომელიც მოსარჩელის პარტნიორმა მიითვისა და აზარტულ თამაშებში დახარჯა.¹⁰⁷ იმ პერიოდში ე. ი. 1980-იან წლებში, დიდ ბრიტანეთში თამაშობასთან დაკავშირებული გარიგებები ბათილად – ოღონდ, არა უკანონოდ – ითვლებოდა¹⁰⁸ ე. ი. ისინი მოთხოვნის უფლებას არ წარმოშობდა და მათი შესრულება მხარეთა ნებაზე იყო დამოკიდებული.

გარდა ამისა, ბრიტანეთში მოქმედებდა და მოქმედებს ე. წ. თანხის მიდევნების – following of the money – პრინციპი, რომელიც დაბარალეულს უფლებას აძლევს ანაზღაურება მოითხოვოს არა მარტო ზიანის მიმყენებლისგან კონკრეტულად, ამა თუ იმ ფორმით, თანხის მიმთვისებლისგან, არამედ იმისგანაც ვინც ეს თანხა შემდგომში მიიღო. ამის მიუხედავად, რადგან მხარეები სახელშეკრულებო ურთიერთობებში არ იმყოფებოდნენ; მოპასუხეს მოსარჩელისათვის ზიანი არ მიუყენებია; მისთვის ქურდობის ფაქტი უცნობი იყო და ცნობილი ვერც იქნებოდა და რაც მთავარია, მოპასუხესა და პარტნიორს შორის ხელშეკრულება სასყიდლიანად იქნა მიჩნეული, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელემ საქმე არსებითად წააგო – მოსარჩელის მოთხოვნის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი დაკმაყოფილდა და ისიც არსებითად, სხვა საფუძვლით.

მოსარჩელემ გადაწყვეტილება საკასაციო სასამართლოში გაასაჩივრა. საბოლოოდ, ლორდთა პალატამ მისი მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 154 695 ფუნტი სტერლინგის გადახდა დაეკისრა.

ყველაზე ღრმად და საფუძვლიანად გადაწყვეტილება Lord Templeman-მა და Lord Goff of Chieveley-მ დაასაბუთეს – დანარჩენი ლორდები მათ დასაბუთებას დაეთანხმნენ.

Lord Templeman-მა გაიმეორა საქმეში Fibrosa Spolka Akcyjna v. Fairbairn Lawson Combe Barbour Ltd. (1943) Lord Wright-ის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ: „It is clear that any civilised system of law is bound to provide remedies for cases of what has been called unjust

*enrichment or unjust benefit, that is to prevent a man from retaining the money of or some benefit derived from another which it is against conscience that he should keep.*¹⁰⁹

დიდი ბრიტანეთის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ არაბრალებულობისა და მეტიც, კეთილსინდისიერების მიუხედავად, მოპასუხეს მოსარჩელის თანხა სრულად უნდა დაებრუნებინა, რადგან მან იგი უსასყიდლოდ მიიღო.¹¹⁰ მაგრამ, რადგან მოპასუხემ მოსარჩელის პარტნიორს თამაშობაში მოგებული თანხის ნაწილი გადაუხადა, ამით მისი ფაქტობრივი პოზიცია, ფაქტობრივი მდგომარეობა შეიცვალა, ე. ი. მოხდა change of position. ამის შედეგად, მოპასუხე გამდიდრებულად იქნა მიჩნეული მხოლოდ იმ თანხით, რომელიც თამაშობის შემდეგ მასთან დარჩა.¹¹¹

პატივცემულმა ლორდმა განმარტა: „*My conclusion is that the club has no right to retain stolen money received by the club from the thief. Repayment by the club to the victim, limited to the net amount of stolen money which the club retains, will not inflict a net loss on the club as a result of the transactions between the club and the thief. In the present case money stolen from the solicitors by Cass has been paid to and is now retained by the club and ought to be repaid to the solicitors. The solicitors will recover part of their stolen money and the club will only lose the winnings the club was not entitled to make out of the solicitors' money.*“¹¹²

არანაკლებ საინტერესო და სრულყოფილიყო იყო Lord Goff of Chieveley-ს განმარტება.

მან დაადასტურა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებამდე მსგავსი პრინციპის გამოყენება შეუძლებელი იყო და აღნიშნა: „*In these circumstances, it is right that we should ask ourselves: why do we feel that it would be unjust to allow restitution in cases such as these? The answer must be that, where an innocent defendant's position is so changed that he will suffer an injustice if called upon to repay or to repay in full, the injustice of requiring him so to repay outweighs the injustice of denying the plaintiff restitution.*“¹¹³

მოგვიანებით, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალურთიერთობის მოწესრიგების ეს წესი მრავალჯერ იქნა გამოყენებული.¹¹⁴

ერთ-ერთ უახლეს საქმეში დიდი ბრიტანეთის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ უსაფუძვლო გამდიდრებიდან – law of unjust enrichment – გამომდინარე მოთხოვნის დასასაბუთებლად მოსარჩელეს უნდა დაემტკიცებინა, რომ: 1. მოპასუხე გამდიდრდა; 2. გამდიდრება მოხდა მოსარჩელის ხარჯზე; 3. მას არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი. თავის მხრივ, მოპასუხეს ეკისრებოდა ვალდებულების გამომრიცხავი გარემოებების, მათ შორის, ფაქტობრივი მდგომარეობის ცვლილების (change of position) მტკიცების ტვირთი.¹¹⁵

აქედან ჩანს, რომ დიდი ბრიტანეთის სასამართლოები უსაფუძვლო გამდიდრების სამართალურთიერთობის ყველა სახის ერთგვაროვანი მოწესრიგებისკენ მიისწრაფვიან

და მათი შეხედულებები არსებითად, კვაზი ხელშეკრულებების – quasi contract – სისტემას ეფუძნება.¹¹⁶

საყურადღებოა, რომ აშკარა დოქტრინალური სხვაობის მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამ ნაწილში, არა ვითომ ხელშეკრულებების, არამედ კონდიქციების თეორიაზე აგებული – დიდი ბრიტანეთის სასამართლოების პოზიცია და საქართველოს საერთო სასამართლოების შეხედულებები ზოგიერთ, მნიშვნელოვან საკითხში ერთმანეთთან ახლოს დგას.

კერძოდ, საქართველოს სასამართლო, ბრიტანულის მსგავსად, ყველა სახის კონდიქციისათვის საერთო საფუძვლის განსაზღვრას ცდილობს – შდრ. „კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის უნდა გამოიკვეთოს ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, თუ რისი შედეგია უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების (შესრულების კონდიქცია – ს.ჩ.), გამდიდრებულის მოქმედების (ხელყოფისა და ხარჯების კონდიქცია – ს.ჩ.) თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად მათი ნების საწინააღმდეგოდ (პირთა სიმრავლე – ს.ჩ.). ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლზომიერებასა თუ მართლწინააღმდეგობას. კონდიქციური ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძვლით, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია, დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექმნას (შესრულების კონდიქცია – ს.ჩ.) დაზოგვას (ხელყოფის კონდიქცია, ხარჯების კონდიქცია – ს.ჩ.) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე, ასევე, აუცილებელია გამდიდრება სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე.“¹¹⁷

თუმცა, ამასთან ერთად, თვალშისაცემია რამდენიმე არსებითი განსხვავება, რომელსაც დოქტრინალური საფუძველი არ გააჩნია თუმცა, მნიშვნელოვან ფაქტობრივ და სამართლებრივ შედეგებს იწვევს.

პირველ ყოვლისა, როგორც ჩანს, საქართველოს სასამართლოები ბრიტანულისაგან განსხვავებით, სამართალურიერთობის ერთ-ერთ ელემენტად კონდიქციური კრედიტორის „ქონების შესაბამის შემცირებას“ მიიჩნევენ, რაც შესრულების კონდიქციას არსებითად, სრულად შეესაბამება,¹¹⁸ ხოლო ხარჯებისა და განსაკუთრებით, ხელყოფის კონდიქციას – ნაკლებად.

სარჩელის დასაკმაყოფილებლად მხოლოდ „ობიექტური შედეგის“ საკმარისობა *Lipkin Gorman v Karpnale Ltd*-ს საქმემდე არსებულ სასამართლო პრაქტიკაზე მიგვიითითებს, ხოლო

„სამართალურთიერთობაში მონაწილეს უბიექტთა ბრალეულობის, კეთილსინდისიერებისა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლზომიერებისა თუ მართლწინააღმდეგობის“ უმნიშვნელობა სამართლიანი ანაზღაურების პრინციპის გამოყენებას არსებითად ზღუდავს.¹¹⁹

სხვადასხვაგვარად ანაწილებენ ჩვენი ქვეყნისა და ბრიტანული სასამართლოები მტკიცების ტვირთსაც.

თუმცა, ამ ნაშრომის მიზნებისათვის, ყველაზე მთავარი ის არის, რომ 1991 წლიდან მაინც, დიდ ბრიტანეთში უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სუბსიდიურობის გაგება თუ მთლიანად არა ძირითადად, მაინც დაძლეულია. ყოველ შემთხვევაში, ამ დროის შემდეგ მიღებულ გადაწყვეტილებებში იგი სხვა კერძო სამართლებრივი ურთიერთობების უბრალო დანამატად აღარ მოჩანს.

როგორც ჩანს, უდიდესი და ძნელად დასაძლევ ტრადიციების მიუხედავად, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის დამოუკიდებელი მნიშვნელობა დიდი ბრიტანეთის სასამართლომაც აღიარა.

უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში

უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სუბსიდიურობის დოქტრინას თავისი ისტორიული საფუძველი და ახსნა აქვს.

იუსტინიანეს კოდექსში არც კონდიქციური სარჩელები, არც კვაზი ხელშეკრულებები და არც Action in rem verso სხვა სახის სამართალურთიერთობის დანამატად არ მიიჩნეოდა და მათთან თანაბარი მნიშვნელობა ჰქონდა;

შუა საუკუნეების არასისტემური სამართალი მისი ცალკეული დარგების ურთერთმიმართების გასაგებად ნაკლებად გამოსადეგი იყო, თუმცა ზოგადად, საზოგადოებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს – მონარქის თუ სენიორის – მეტი ჩართულობისკენ მისწრაფოდა;¹²⁰

რა გასაკვირია, რომ აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანები ამას ეწინააღმდეგებოდნენ.

მსოფლიოში პირველი, თანამედროვე სამოქალაქო კოდექსი ფრანგებმა შექმნეს და მისი ავტორები რევოლუციის იდეებით შეიარაღებული პრაქტიკოსი იურისტები იყვნენ.

თავისუფლების სულისკვეთებით გამსჭვალული რევოლუციონერები კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს ყოველგვარ ჩარევას ეჭვის თვალით უყურებდნენ და ნების სრული ავტონომიის პრინციპს აღიარებდნენ. კოდექსი 1789 წლის რევოლუციის პირშო, გამარჯვებული ბურჟუაზიის შეხედულებებსა და მისწრაფებებს გამოხატავდა.¹²¹ ამის შედეგი

კი, თავისთავად, ხელშეკრულების თავისუფლებისა და სრული უპირატესობის დოგმატი იყო, რაც Code Civil-ში პირდაპირ აისახა კიდევ – კანონიერად დადებულ ხელშეკრულებას მხარეთათვის კანონის ძალა აქვს.

მეტეც, ამან ზოგ იურისტს ისიც აფიქრებინა, რომ ხელშეკრულება კანონზე აღმატებულად კი უნდა ყოფილიყო. ამ ვითარებაში, ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა არასახელშეკრულებო, კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს სახელშეკრულებოსთან შედარებით რაიმე სახის პრივილეგია მინიჭებოდა – იგი, რასაკვირველია, ნებისმიერ შემთხვევაში, მის დანამატად დარჩებოდა.

გარდა ამისა, პოლიტიკური ხელისუფლების მიერ მიღებული კანონი ფრანგი ხალხის ნებას გამოხატავდა, ხოლო სასამართლო ხელისუფლება ამ ნების განმახორციელებელი უნდა ყოფილიყო.¹²² პოლიტიკურმა ხელისუფლებამ (ანუ ფრანგმა ხალხმა) კი, კანონით Action in rem verso ურთიერთობების მოწესრიგება არ ისურვა. აქედან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, კანონით მოწესრიგებულ ურთიერთობებთან მიმართებაში, Action in rem verso მეორეხარისხოვანი, დამხმარე როლით თუ დაკმაყოფილდებოდა.¹²³

ეს კიდევ უფრო კარგად ჩანს დიდი ბრიტანეთის მაგალითზე.

დიდმა ბრიტანეთმა ლიბერალიზმისა და პიროვნების თავისუფლების გზა საფრანგეთზე ადრე აირჩია. ნების ავტონომია და კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა ამ ქვეყნის არსებობის ძირეული საფუძველია.¹²⁴

სახელშეკრულებო სამართლის აშკარა და ურყევი პრიმატის გამო, მრავალი საუკუნის განმავლობაში ვითომ სახელშეკრულებო სამართალურთიერთობის სრულფასოვანი მოწესრიგების სურვილი და აუცილებლობა ბრიტანელებს არ გასჩენიათ;

პიროვნების უფლებები, მისი „ნების ბატონობა“ მე-19 საუკუნის გერმანიაშიც კერძო სამართლის ძირითადი პრინციპი იყო.¹²⁵

მაგრამ ეპოქა შეიცვალა.

გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ნების შეუზღუდავი თავისუფლება ზოგჯერ, ისევე საზიანო იყო კაცობრიობისათვის, როგორც მისი დაუშვებელი ხელყოფა და კონტროლი.

ბეკაცის გმირულმა ფილოსოფიამ და „მებრძოლი ადამიანის“ უკომპრომისობამ, მანამდე არნახული მსოფლიო ომები, სისხლიანი რევოლუციები და ადამიანის, როგორც ძირითადი ღირებულების მოსპობა მოგვიტანა.

აღმოჩნდა, რომ აგრერიგად ნაქები პიროვნების სრული ავტონომია, სინამდვილეში, ძლიერთა მიერ სუსტების ჩაგვრის უშრეტი წყარო იყო, უსამართლობის მსხვერპლს კი, დიდად ვერაფრად ანუგეშებდა იმის ცოდნა და გაგება, რომ მტაცებელი ცხოველის ნაცვლად მტაცებელი ადამიანის ნადავლი ხდებოდა.

სწორედ ამიტომ, ჩვენს დასაცავად შექმნილი კოლექტიური წარმონაქმი, თანდათან თავისი პირვანდელი და ძირითადი ფუნქციის შესრულებას დაუბრუნდა – ჩამოყალიბდა სოციალური სახელმწიფო.¹²⁶

როგორც აღინიშნა, სახელმწიფო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში „კანონის-მიერი ვალდებულებებით“ ერევა. ეს ჩარევა ჩვეულებრივ, არასწორი, დემოკრატიული საზოგადოებისთვის მიუღებელი შედეგების აღმოფხვრას, სოციალური სამართლიანობისა და სოციალური თანასწორობის პრინციპების უზრუნველყოფას ე. ი. სახელმწიფოს მხრიდან სოციალური ფუნქციის შესრულებას ემსახურება.

ზოგადად, იგივე დანიშნულება აქვს უსაფუძვლო გამდიდრების სამართალსაც.

გარდა ამისა, აშკარაა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უსაფუძვლო გამდიდრებით წარმოშობილ სამართალურთიერთობებს ყველაზე თანმიმდევრულად და შეძლების-დაგვარად, სრულყოფილად აწესრიგებს. ყოვლად დაუჯერებელია, ამგვარი მოწესრიგების მიზანი კონდიქციური სამართლისათვის მხოლოდ სუბსიდიური, დამატებითი მნიშვნელობის მინიჭება ყოფილიყო – ამ ფუნქციას იგი კანონში ასახვის გარეშეც შეასრულებდა.

ამას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარიც ადასტურებს „*უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები ადრე მოქმედ კანონმდებლობასთან შედარებით, ამჟამად უფრო ფართოდ და განახლებულად არის მოწესრიგებული. ეს ბუნებრივიცაა. საბაზრო მეურნეობის დამკვიდრებისა და განვითარების ამოცანებმა დღის წესრიგში დააყენა ქონებრივ ურთიერთობათა დეტალური სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობა.*“¹²⁷ აღსანიშნავია, რომ ამ სიტყვების ავტორი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი შემოქმედი, პროფ. რომან შენგელიაა. ეს ნიშნავს, რომ იგი კანონის ავტორთა მიზნებს შეესაბამება.

არავითარი წინაპირობა და არავითარი წონადი არგუმენტი არ არსებობს საქართველოში კონდიქციური სამართლისათვის მხოლოდ და მარტოდენ სუბსიდიური მნიშვნელობის მისანიჭებლად. ჩვენს ქვეყანას სამართლის ამ საინტერესო და მნიშვნელოვანი დარგისთვის თავისი, დამსახურებული ადგილის მიკუთვნებაში ხელს არც ისტორიული ტრადიცია და არც „ხალხის მეხსიერება“ არ უშლის. მეტიც, კონდიქციური სამართლის სახელშეკრულებო, სანივთო თუ დელიქტურ სამართალთან თანაბარ რიგში დაყენება საქართველოს, როგორც სოციალური სახელმწიფოს ფუნქციებს უსვამს ხაზს და შეესაბამება.

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ სინამდვილეში, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი ცალკე, თავისთავად არსებული კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობაა, რომელსაც სხვა სამართლებრივი ურთიერთობებთან მიმართებით, თანაბარი ძალა აქვს და მოძღვრება მისი სუბსიდიური ბუნების შესახებ საკამათო და გადასახედიანია.

შენიშვნები:

- 1 ინწკირველი გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, გამომც. მერიდიანი, თბ., 2011, გვ. 63; 67-68.
- 2 ხუბუა გ., სამართლის თეორია, გამომც. მერიდიანი, 2015, გვ. 85.
- 3 ასე მაგ., ვერავინ დაადგენს იმგვარ სანივთო უფლებას ან მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, რომელიც კანონით არ არის გათვალისწინებული. ასევე, ვერ დააფუძნებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებულისაგან განსხვავებულ საწარმოს, ვერ შეწყვეტს შრომის ხელშეკრულებას საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლისაგან განსხვავებული სფუძვლით და ა.შ.
- 4 ჭანტურია ლ., შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომც. სამართალი, 2000, გვ. 92.
- 5 <http://gil.mylaw.ge/ka/term/1390.html>
- 6 სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარე საზიარო უფლებებიდან, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან, უსაფუძვლო გამდიდრებიდან და დელიქტიდან.
- 7 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა რომ მოვიშველიოთ – „ამ ურთიერთობებში პირის შესვლა თავისთავად გულისხმობს, რომ მან ნებაყოფლობით მიიღო შესაბამისი სახელშეკრულებო პირობები და გაცნობიერებული აქვს ურთიერთობათა სპეციფიკა“ – საქართველოს მოქალაქეები ბაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება № 2/1/370, 382, 390, 402, 405, 18 მაისი 2007, პ. 35.
- 8 შდრ. სხვათა შორის, CASE OF SILVER AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM (Application no. 5947/72; 6205/73; 7052/75; 7061/75; 7107/75; 7113/75; 7136/75) 25 March 1983 – & 97 – „ფრაზა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ნიშნავს, რომ კონვენციით გათვალისწინებული ჩარევა, inter alia, უნდა შეესაბამებოდეს „გადაუდებელ სოციალურ აუცილებლობას“ და უნდა იყოს „დასახული მიზნის პროპორციული;“ თავად „დემოკრატიული საზოგადოება“ გულისხმობს საზოგადოებას, რომელსაც ახასიათებს „შემწყნარებლობა და ფართო თვალთხედვა,“ CASE OF DUDGEON v. THE UNITED KINGDOM (Application no. 7525/76), 22 October 1981 & 53; შდრ. ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბ., 2004, გვ. 352.
- 9 საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება № 1/1/539, 11 აპრილი 2013, სამოტივაციო ნაწილი, პ. 2.
- 10 შდრ. Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR) Outline Edition, <https://sakig.pl/wp-content/uploads/2019/01/dfcr.pdf-Definitions-Unjustified enrichment>
- 11 დიგესტები I-12.
- 12 შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, 2001, გვ. 353; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 976, <https://gccc.tsu.ge> და სხვ.
- 13 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 976, სამოქალაქო კოდექსის რეგულაციების მიმოხილვა, <https://gccc.tsu.ge>
- 14 იქვე. ამ და სხვა ნაშრომში შდრ. რუსიაშვილი გ., უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, I. შესრულების კონდიქცია, თბ., 2017, გვ. 81; სამოქალაქო კოდექსის 988-990-ე მუხლებით მოწესრიგებულ ურთიერთობას „სამი

პირის ურთიერთობა“ და „სამ პირს შორის წარმოშობილი კონდიციური ურთიერთობა“ ეწოდება, რაც რთულადაც ჟღერს და ბოლომდე ზუსტიც არ არის; საქართველოს სამართალში „პირი“ ჩვეულებრივ, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ერთი, ცალკეული სუბიექტია, ხოლო ამ და, ზოგჯერ სხვა კონდიციურ სამართალურთიერთობებში კი, შეიძლება სამზე მეტი ცალკეული სუბიექტი ე. ი. პირი მონაწილეობდეს. ამის გამო, პრაქტიკული თვალსაზრისით, ზემოხსენებული განსაზღვრება ბუნდოვანებას გამოიწვევს. უფრო კორექტული იქნებოდა ალბათ, „მესამე პირის მონაწილეობით კონდიციის“ გამოყენება თუმცა, სამართლებრივი ურთიერთობის არსს ნათლად არც ეს გამოხატავს. ხომ არ შეიძლება ამ შემთხვევაში, დამხმარედ, მაგ., კოლიზიური სამართალი მოგვევლინოს, რომელსაც „საერთაშორისო ელემენტით გართულებულ“ სამართლებრივ ურთიერთობას უწოდებენ? შდრ. გაბისონია ზ., ინტერნეტში გამოსაყენებელი საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები და სამომხმარებლო შეთანხმებებში არსებული დათქმები, შედარებითი სამართლის ჟურნალი, 7/2020.

მართლაც, სინამდვილეში, სამოქალაქო კოდექსის 988-990-ე მუხლებით მოწესრიგებული ურთიერთობები არსებითად, შესრულებისა და ხელყოფის კონდიციების ცალკეული სახეა, რომელიც მასში მესამე პირის ჩართვით არის „გართულებული.“ ამ ვითარებაში, რატომ არ იქნება მართებული, რომ მათ მარტივად, „რთული კონდიციები“ ვუწოდოთ? <https://gcc.tsu.ge>

¹⁵ გარდა იმისა, რომ დიგისტებში სარჩელის ეს სახე ცალკეა გამოყოფილი – 12.1.6; 12.6.7, შინაარსობრივადაც, იგი უფრო ახლოს სახელშეკრულებო ურთიერთობებთან დგას, ვიდრე სხვის ქონებაზე ხარჯის გაწევასთან. ცხადია, ზოგჯერ, „სხვის ვალის გასტუმრება“ სამოქალაქო კოდექსის 975-ე მუხლის გაგრძელებაცაა თუმცა, სინამდვილეში, ყოველთვის ასე არ არის. აღნიშნული თავად ნორმიდანაც გამომდინარეობს, რომელიც ვალდებულების წარმოშობას „შეგნებულად“ გადახდის შემთხვევაშიც ითვალისწინებს; შეუძლებელია, ვინმე თან აცნობიერებდეს, რომ სხვის და არა საკუთარ ვალდებულებას ასრულებს და თან ეს სამართლებრივად ნამდვილ მოვალეობად მიიჩნდეს. სწორედ ამიტომ, მაგ., საფრანგეთის დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში სხვის ვალის გასტუმრება კვაში ხელშეკრულებად და არა Action in rem verso-დ მიიჩნევა. ერთი შეხედვით, ამ განსხვავებას მხოლოდ დოქტრინალური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ბოლომდე ასე არ არის და აღნიშნულის თაობაზე ქვევით იქნება საუბარი.

¹⁶ „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია“ – საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31, პ. 1-ელი.

¹⁷ ამასთან დაკავშირებით, საინტერესო მსჯელობა აქვთ „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ კომენტატორებს – „ნაციტურ გერმანიაში მოსამართლეს შეეძლო შეერბილებინა რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ ნიურნბერგის კანონის მოქმედება ისე, რომ არ დაერღვია მოსამართლეთა ქცევის პრინციპები. იგივე შეიძლება ითქვას აპარტიდის ეპოქის სამხრეთ აფრიკელი მოსამართლის შესახებ. ზოგჯერ მოსამართლე, მოსამართლის თანამდებობის ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება აღმოჩნდეს ვითარებაში, როცა მისი, როგორც მოსამართლის მოვალეობა მოითხოვს სამართლებრივი ნორმის გამოყენებას, რომელიც ადამიანის უფლებათა ფუძემდებლურ პრინციპებსა და ადამიანურ ღირსებას ეწინააღმდეგება. ასეთ ვითარებაში მოსამართლემ ალბათ, უნდა დატოვოს თანამდებობა, რათა თავიდან აიცილოს კანონის შესრულებასთან დაკავშირებული მოსამართლის მოვალე-

- ობის კომპრომეტირება,“ (მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები, გვ. 124, თბ., 2015).
- ¹⁸ „როგორც ამბობენ, „სტენდალი „ენის შეგრძნების“ გამახვილებისთვის ყოველდღე კითხულობდა სამოქალაქო კოდექსის ტექსტს, ხოლო პოლ ვალერის სამოქალაქო კოდექსი ფრანგული ლიტერატურის უდიდეს წიგნად მიიჩნდა.“ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. I, თბ., 2000, გვ. 100.
- ¹⁹ შდრ. Palandt Bürgerliches Gesetzbuch Verlag C.H Beck, München, 2004, გვ. 1173.
- ²⁰ აღნიშნული საკითხი მეტ-ნაკლებად განხილულია სამეცნიერო ლიტერატურაში. შდრ. რუსიაშვილი გ., უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I. შესრულების კონდიქცია, თბ., 2017, გვ. 112-115.
- ²¹ შდრ. ჩაჩავა ს., მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 26.
- ²² ნინუა ე., სუბსიდიური პასუხისმგებლობა და მისი წარმოშობის საფუძვლები, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #5(48) 15.
- ²³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, თბ., 2019, გვ. 2.
- ²⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, თბ., 2019, გვ. 367; 368; 390.
- ²⁵ შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 894; ასევე, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, იან კროპჰოლერი, მე-13 გამამუშავებული გამოცემა, გვ. 571.
- ²⁶ სუბსიდიურ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ევროპის სახელმეკრულებო სამართლის პრინციპები, ცნებები და საერთო (მოდიფიკური) ნორმები. თუმცა, ამ სამართლებრივი ინსტიტუტის განმარტება არც აქ გვხვდება.
- ²⁷ ჩაჩავა ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 5.
- ²⁸ ოდნავ განსხვავებულად რეგულირდება სუბსიდიურობის საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, <https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/glossary/principle-of-subsidiarity.html>
- ²⁹ საინტერესოა, მაგ., ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 1995 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე T-29/92, <https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=CELEX%3A61992TJ0029>
- ³⁰ არსებითად, იმავე შინაარსისაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიც.
- ³¹ გერმანულ სამართალში აღნიშნული გათანაბრებულია ე. წ. პერემპტორულ ექსცეფციასთან. შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 976, მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი, <https://gcc.tsu.ge>;
- საყურადღებოა, რომ პანდექტების მიხედვით გამაბათილებელი (იმპერატიული, შდრ. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი - რედაქტორები: გიორგი ხუბუა, ლევან თოთლაძე, 2012, გვ. 570) ანუ პერემპტორული შესაგებელი ვალდებულების შესრულებას მუდმივად აფერხებდა. მაგ., კრედიტორის მიერ უფლების რეალიზაციაზე უარის თქმის გამო. ამისგან განსხვავებით, დილატორული ექსცეფციით მოთხოვნის რეალიზაცია მხოლოდ დროებით ფერხდებოდა, მაგ., ვალდებულების შესრულების ვადაზე მითითების გამო.
- ³² შდრ. უსაფუძვლო გამდიდრების წესები მხოლოდ ინსტრუმენტია არსებული შემთხვევების დამუშავებისათვის, სადაც კანონი სხვა გზას არ გვითვალისწინებს. შდრ. უსაფუძვლო გამდიდრების წესები მხოლოდ ინსტრუმენტია არსებული შემთხვევების დამუშავებისათვის, სადაც კანონი სხვა გზას არ გვითვალისწინებს. შდრ. უსაფუძვლო გამდიდრების წესები მხოლოდ ინსტრუმენტია არსებული შემთხვევების დამუშავებისათვის, სადაც კანონი სხვა გზას არ გვითვალისწინებს. შდრ. უსაფუძვლო გამდიდრების წესები მხოლოდ ინსტრუმენტია არსებული შემთხვევების დამუშავებისათვის, სადაც კანონი სხვა გზას არ გვითვალისწინებს.

სუბსიდიარული ხასიათისაა, სხვა კანონისმიერ ინსტრუმენტებთან შედარებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, – დოქტ. ჰაინ ბიოლინგი, პეტერ ლუტრინგჰაუსი, გვ. 99.

³³ სუსგ, საქმე №ას-1359-2018, 02 ნოემბერი, 2018 წელი; საქმე №ას-1367-2018, 02 ნოემბერი, 2018 წელი.

³⁴ სუსგ, საქმე №ას-774-723-2017, 11 ოქტომბერი, 2017 წელი, პ. 3.6.

³⁵ სუსგ, საქმე №ას-541-2021, 4 ივლისი, 2021 წელი.

³⁶ სუსგ, საქმე №ას-201-201-2018, 8 ოქტომბერი, 2018 წელი, პ. 27.

³⁷ სუსგ, საქმე №ას-646-2022, 30 სექტემბერი, 2022 წელი, პ. 19.

³⁸ საყურადღებოა, რომ 2021 წლის 4 ივლისის განჩინებაში საკასაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლით (შესრულების კონდიქცია), 987-ე მუხლით (ხარჯების კონდიქცია) და 989-ე მუხლით (რთული კონდიქცია) გათვალისწინებული სამართალურთიერთობები ერთობლივად შეაფასა „დანახარჯების კონდიქციად.“

ეს ცხადია, სულაც არ ნიშნავს, რომ სასამართლო კონდიქციათა სხვადასხვა ფორმას ერთმანეთისგან არ ასხვავებს ან ამ განსხვავებას მნიშვნელობას არ ანიჭებს. პირიქით, ერთ-ერთ განჩინებაში საკასაციო სასამართლომ აღნიშნა: „სააპელაციო სასამართლომ არ უნდა გამოიყენოს სამოქალაქო კოდექსის, უსაფუძვლო გამდიდრების თავის, შესრულებისა და შეუსრულებლობის კონდიქციები ერთობლივად. დასახელებული ნორმები არათავსებადია, რადგან 976-ემუხლი შესრულების კონდიქციას ეხება, ხოლო 983-ე შეუსრულებლობის – ხელყოფის კონდიქციას. 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, გარიგების ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგი უკავშირდება გარიგების დადებამდე არსებულ ვითარებაში დაბრუნებას, ანუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, რაც არარა გარიგებით მიიღეს მხარეებმა, უნდა დაუბრუნონ ერთმანეთს. სსკ-ის 983-ე მუხლით კი, რომელიც ხელყოფის კონდიქციის მომწესრიგებელ ნორმას განეკუთვნება, უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნიდან გამომდინარე მოთხოვნა წარმოიშობა სხვის სამართლებრივ სივრცეში უნებართვო ჩარევითა და ამით ქონებრივი სარგებლის მიღებით; შესრულების კონდიქცია არის დამატება სახელშეკრულებო სამართლისათვის, ხელყოფის კონდიქცია არის დამატება დელიქტური სამართლისათვის,“ სუსგ, №ას-1224-1149-2015, 20 მაისი, 2016 წელი, პ. 44.13.

³⁹ შდრ. Сергеев А.П., Толстой Ю.К., Гражданское право. Учебник. Издание второе, переработанное и дополненное, Часть 1, М., 1997, გვ. 772.

⁴⁰ თუმცა, ნათელი არ არის კონდიქციური სამართლის დამატებით მოწესრიგებად ამგვარად გამოყენება დასაშვებია მხოლოდ დელიქტურ სამართალთან მიმართებით თუ სხვა სახის სამართლებრივი ურთიერთობების დროსაც.

⁴¹ შდრ. მაგ., სუსგ, №ას-1096-1053-2016, 24 ოქტომბერი, 2017 წელი; ასევე, სუსგ №ას-433-416-2016, 3 ნოემბერი, 2017 წელი; სუსგ. №ას-397-381-2016, 1 ივლისი, 2016 წელი: „იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მყარი ხარჯთაღრიცხვა, იგი არ ექვემდებარება გადასინჯვას, მიუხედავად მისი გადასინჯვის მოთხოვნის მიზეზისა... მყარი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდეს შეუძლია, შემკვეთს მოსთხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. თუ მენარდე ამ უფლებით არ ისარგებლებს და მაინც გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება,“ პ. 1.5.

- ⁴² შდრ. სხვათა შორის, სუსგ №ას-794-794-2018, 11 სექტემბერი, 2018 წელი; №ას-1359-2018, 02 ნოემბერი, 2018 წელი. განსხვავებული განმარტება გააკეთა საკასაციო პალატამ მხოლოდ ერთ საქმეში, რომელზეც ქვემოთ იქნება საუბარი.
- ⁴³ სუსგ, საქმე №ას-664-635-2016 2 მარტი, 2017 წელი, პ. 188.
- ⁴⁴ იქვე, პ. 213 – აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასება (ნორმის განმარტება) ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოებისათვის სავალდებულოა. საყურადღებოა ისიც, რომ ამ განმარტებით ძალიან შეიზღუდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 978-ე მუხლის გამოყენების ფარგლები.
- ⁴⁵ შდრ. ასევე, რუსიაშვილი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 81.
- ⁴⁶ შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 976, სამოქალაქო კოდექსის რეგულაციების მიმოხილვა, <https://gcc.tsu.ge>
- ⁴⁷ ამასთან დაკავშირებით, შდრ. რუსიაშვილი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 90.
- ⁴⁸ სუსგ, საქმე №ას-533-509-2016, 26 ოქტომბერი, 2018 წელი, პ. 58-59.
- ⁴⁹ ყველაზე კარგად ეს ჩანს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი განჩინებიდან, რომლის თანახმადაც: „სსკ-ის 163-ე მუხლის სპეციალური ბუნება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებთან მიმართებით უდავოა, ვინაიდან იგი კეთილსინდისიერი არამართლზომიერი მფლობელის სამართლებრივ სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს ამომწურავად აწესრიგებს. სსკ-ის 163-ე მუხლის გამოყენების სფეროს ავიწროებს ამ ნორმის საგამონაკლისო წინაპირობა – არაუფლებამოსილი მფლობელის კეთილსინდისიერების ფაქტი. სწორედ ამ წინაპირობის გათვალისწინებით, უდავოდ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ სსკ-ის 163-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა უსაფუძვლო გამდიდრების გამოყენების სფეროს გამოირიცხავს. ამ შემთხვევაში იკვეთება განმდევნი თუ გამომრიცხველი კონკურენცია, რომლის შესაბამისად, სსკ-ის 163-ე მუხლით უნდა გამოირიცხოს კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ სსკ-ის 976-ე და შემდგომი მუხლების გამოყენება (შდრ. მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, გვ. 171, ს. ჩაჩავა, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2011, Olzen/Wank Zivilrechtliche Klausurenlehre mit Fallrepetitorium, 2. Aufl., 1998, S.407; Palandt/Bassenge, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, par. 993, RdNr.1.; Stadler, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion: Eine rechtsvergleichende Studie zur abstrakten und kausalen Gestaltung rechtsgeschäftlicher Zuwendungen anhand des deutschen, schweizerischen, österreichischen, französischen und US amerikanischen Rechts, 1996, S. 229, f.; BGH Urteil vom 29.09.1995 – V ZR 130/94 (Karslsruhe), NJW, 1996, S. 52.); იხ.: სუსგ № ას-1042-962-2017, 26.03.2018; სუსგ, საქმე №ას-63-63-2018, 4 მაისი, 2018 წელი, პ. 19-21.
- ⁵⁰ სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით, შდრ. მაგ., სუსგ №ას-1299-2022, 22 ნოემბერი, 2022 წელი; №ას-476-2020, 27 ოქტომბერი, 2021 წელი; №ას-582-2021, 14 ივლისი, 2021 წელი; №ას-717-670-2017, 26 აპრილი, 2018 წელი და ა.შ. ასევე, შდრ. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპტია საქართველოში, თბ., 2005.
- ⁵¹ შდრ. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1302-ე მუხლი: Tout paiement suppose une dette; ce qui a été reçu sans être dû est sujet à restitution. ეს ტექსტი ქართულად დაახლ. ამგვარად შეიძლება გადმოითარგმნოს: ყველა გადახდა (შესრულება) გულისხმობს ვალდებულებას, ვალდებულების

გარეშე გადახდილი უნდა დაბრუნდეს. Code Civil-ის ადრინდელ რედაქციაში აღნიშნული შინაარსის იყო მუხლი 1235. აღსანიშნავია, რომ ფრანგულად dette, სიტყვისიტყვით, ნიშნავს ვალს, თუმცა შინაარსობრივად გულისხმობს ნებისმიერი სახის ვალდებულებას; Гражданское, торговое и семейное право капиталистических стран – сборник нормативных актов: гражданские и торговые кодексы, М., Издательство Университета дружбы народов 1986, გვ. 55. ამის გამო, paiement არსებითად, შესრულებას შეესაბამება.

⁵² საინტერესოა, რომ ამ ძალზე მნიშვნელოვან ნორმას, იმავე მუხლის მე-2 ნაწილისაგან განსხვავებით, საქართველოს სასამართლოები შედარებით იშვიათად და განსხვავებული მნიშვნელობით იყენებენ. მაგ., ერთ-ერთ საქმეში ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობის პრეზუმფცია სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის განმსაზღვრელად მიიჩნია (სუსგ №ას-1159-2021, 1 აპრილი, 2022 წელი), „ვინაიდან ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას (სსკ-ის 361-ე მუხლი), იმ შემთხვევაში, როდესაც არ დგინდება მხარეთა შორის ვალდებულების არსებობა (სსკ-ის 317-ე მუხლი) და აღნიშნული არც სახელშეკრულებო ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის კვლევისათვის შესატყვისია უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება, რის შემდეგაც გადაწყდება საკითხი მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ“ (პ. 4.10). სხვა შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა: „მართალია, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას თუმცა, მხოლოდ შესრულებით კონკრეტული ვალდებულების არსებობა არ დასტურდება. შემსრულებელმა უნდა ამტკიცოს, თუ რა სამართალურთიერთობის ფარგლებში განახორციელა ეს შესრულება და კონკრეტულად, რომელი ვალდებულება შეასრულა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსრულებელი, მხოლოდ შესრულებით, კონკრეტული სამართალურთიერთობის მტკიცების გარეშე, საპასუხო ვალდებულების შესრულებას ვერ მოითხოვს“ (სუსგ №ას-582-2022, 16 სექტემბერი, 2022 წელი, პ. 3.18). მნიშვნელოვანია, რომ ამ შეფასებებს საკასაციო სასამართლო დაეთანხმა. ამის შესაბამისად, ნათელია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიუხედავად, სასამართლო ვალდებულების არსებობის მტკიცების ტვირთს მაინც შემსრულებლის მიმღებს აკისრებს, რაც ამ ნორმის შინაარსთან შეუსაბამოა.

⁵³ ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე №ას-975-2021, 08 ივნისი 2022 წელი, სადაც საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კასატორმა ე. ი. შემსრულებელმა: „საქმის განხილვის ვერც ერთ ეტაპზე დამაჯერებლად ვერ დაასაბუთა, თუ რომელი ვალდებულების შესრულების ანგარიშში ურიცხავდა ლ.დ-ვას... ფულად თანხებს,“ პ. 39. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლომ მტკიცების ტვირთი შემსრულებელს დააკისრა, მხოლოდ კრედიტორის მხრიდან ვალდებულების არსებობის დამტკიცების პირობებში. ამის შესაბამისად, მას სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის 1-ელი ნაწილისათვის ცალკე, განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუნიჭებია.

⁵⁴ საქართველოს სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ნორმა ნათლად არ არის განმარტებული. მაგ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (წიგნი III, 2001, გვ. 267-268) მის თაობაზე დამოუკიდებელ მსჯელობას, პრაქტიკულად, არ შეიცავს და ძირითადად, ვალდებულების ჯეროვნად შესრულების აუცილებლობაზე უთითებს, 2019 წლის სამოქალაქო კოდექსის კომენტარში (წიგნი III) კი, აღნიშნულია: „მხოლოდ შესრულება რომელიმე

კონკრეტული ვალდებულების ინდიკატორად ვერ მიიჩნევა... ამდენად, შესრულება მართალია, ვალდებულების არსებობას ნიშნავს, თუმცა მხოლოდ შესრულებით კონკრეტული ვალდებულების არსებობა არ დასტურდება. ამიტომ შემსრულებელმა უნდა ამტკიცოს, თუ რა სამართალური თეროების ფარგლებში განახორციელა მან ეს შესრულება და კონკრეტულად რომელი ვალდებულება შეასრულა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსრულებელი, მხოლოდ შესრულებით, კონკრეტული სამართალური თეროების მტკიცების გარეშე, საპასუხო ვალდებულების შესრულებას ვერ მოითხოვს, თუ შემსრულებელი ვერ დაადასტურებს კონკრეტული ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას. იგი განხორციელებული შესრულების უკან გამოთხოვის უფლებას ინარჩუნებს (976), გარდა იმ შემთხვევისა, თუ მიმღები არ დაადასტურებს, რომ მან შესრულება სხვა ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მიიღო,“ გვ. 357.

სამწუხაროდ, ამ განმარტებით ნორმის შინაარსი მაინც ბუნდოვანი რჩება. ერთი მხრივ, აქ საუბარია შემსრულებლის მტკიცების ტვირთზე, ოღონდ ვალდებულების შეწყვეტისა და ამავდროულად, საპასუხო ვალდებულების წარმოშობის თვალსაზრისით, თუმცა ამავდროულად, განსაზღვრავს შემსრულებლის მოთხოვნის უფლებას მტკიცების ტვირთის დაუძლეველობის შემთხვევაში.

აღნიშნული მსჯელობა ბუსტი არ უნდა იყოს. პირველ ყოვლისა, ნორმა ვალდებულების შეწყვეტას ან წარმოშობას რომ ეხებოდეს, შემდეგნაირად ჩამოყალიბდებოდა – „ყოველი შესრულება ნიშნავს ვალდებულების შეწყვეტას“ ან „ყოველი შესრულება წარმოშობს ვალდებულებას.“ სინამდვილეში კი, აქ ცალსახად, არსებული ვალდებულების „გულისხმობის“ შესახებაა საუბარი ე. ი. ნათელია, რომ სამართალური თეროების წარმოშობა ან შეწყვეტა ნორმით გათვალისწინებული შესრულების შედეგი კი არ არის, არამედ შესრულება უკვე, მის გარეშეც არსებულ სამართალური თეროებას ადასტურებს;

და, გარდა ამისა, პრაქტიკულად ყველა სამართლებრივ სისტემაში, სადავოობისას, ვალდებულების არსებობა კრედიტორმა, ხოლო მისი შეწყვეტის საფუძვლები მოვალემ უნდა დაამტკიცოს; თუ ნორმა ამ პრინციპს იმეორებს, გაუგებარია, საერთოდ რა საჭიროა იგი და მითუმეტეს, რას ნიშნავს ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია – პრეზუმფციის მიზანი ხომ სწორედ მტკიცებისაგან გათავისუფლებაა. სინამდვილეში, ნორმის შინაარსს Code Civil კარგად გადმოსცემს – „ვალდებულების გარეშე გადახდილი უნდა დაბრუნდეს,“ სწორედ ნორმის პირველი წინადადების გაგრძელებაა და ადგენს ქცევის წესს იმ შემთხვევისათვის, როცა კანონისმიერი პრეზუმფციის საწინააღმდეგოდ, ვალდებულების არსებობა ვერ დადგინდება.

⁵⁵ ამასთან დაკავშირებით, „იურიდიულ დოქტრინაში ფართოდ გავრცელებული შეხედულებაა, რომ დამტკიცებას არ საჭიროებენ ე. წ. პრეზუმირებული ანუ ნავარაუდები ფაქტები. პრეზუმფცია წარმოადგენს ვარაუდს ამა თუ იმ ფაქტის არსებობის შესახებ. პრეზუმფციების მეშვეობით კანონმდებელი ანაწილებს მტკიცების ტვირთს მხარეთა შორის და იგი არის მტკიცების ტვირთის გამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი და ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა... მტკიცების საგანში შემაჯავლი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დად-

გენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე... სამართალწარმოებაში პრეზუმციების არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ფაქტების გარკვეული ნაწილი მტკიცებას არ საჭიროებს. სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. შესაბამისად, ერთი ნაწილი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტებისა, ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი ნაწილი – მოპასუხის სასარგებლოდ. ის, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ ივარაუდება უნდა გააქარწყლოს მოპასუხემ, ხოლო ის, რაც მოპასუხის სასარგებლოდ ივარაუდება პირიქით, უნდა გააქარწყლოს მოსარჩელემ. ეს ნიშნავს, რომ პრეზუმციები სასამართლოში მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ წარმოადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესს... ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმციებს, წარმოადგენენ კანონის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო პროცესში,“ სუსგ №ას-362-2021, 25 ივნისი, 2021 წელი, პ. 88-90.

⁵⁶ საყურადღებოა, რომ მაგ., ბრიტანულ სამართალში მტკიცების ტვირთი სწორედ ამ ნორმის შესაბამისად არის გადანაწილებული.

⁵⁷ შდრ. ზემოხსენებული განჩინება – „პრეზუმირებული ანუ ნავარაუდები ფაქტები... პრეზუმცია წარმოადგენს ვარაუდს“ და ა.შ.

⁵⁸ შდრ. ქართული ენის განმატებითი ლექსიკონი (პროფ. არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქციით), „გულისხმობ-ს (იყენ. იგულისხმბა, უგულისხმბება) გრდუგ. სტატ. მხედველობაში აქვს (რაიმე) ან ჰყავს (ვინმე); ვარაუდობს, ფიქრობს, ითვალისწინებს;“ „ვარაუდ-ი (ვარაუდისა) – წინასწარი, მიახლოებითი ანგარიში; გათვალისწინება რისამე; წინასწარი აზრი, მოსაზრება რისამე შესახებ.“

⁵⁹ „ნიშნავს-ს“ 1. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუგ. სტატ. გამოხატავს, აზრით უდრის, ქართული ენის განმატებითი ლექსიკონი, (პროფ. არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქციით).

⁶⁰ შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლი.

⁶¹ იქნებ, სწორედ ამის გამოც უარი თქვეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ავტორებმა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლში უსაფუძვლოდ გადაცემულის დაბრუნების ვალდებულების მითითებაზე ე. ი. Code Civil-ის ნორმის სრულად ასახვაზე.

⁶² შდრ. Л. Жюллио де ла Морандьер., Гражданское право Франции, М., 1960. Т. 2, 480-481.

⁶³ აღსანიშნავია ისიც, რომ დოქტრინაში კვაზი სახელმწიკრულებო ურთიერთობებს უსაფუძვლო გამდიდრების ფორმად მიიჩნევენ, თუმცა ზოგიერთი იურისტი უფრო დელიქტებთან ან კვაზი დელიქტებთან მათი მსგავსების თაობაზე უთითებდა – შდრ. Л. Жюллио де ла Морандьер, Гражданское право Франции, М., 1960. Т. 2, 197-198; <https://codes.droit.org/PDF/Code%20civil.pdf>; ასევე, https://www.legifrance.gouv.fr/codes/section_lc/LEGITEXT000006070721/LEGISCTA000032023810/

⁶⁴ გარდა ამისა, არსებობს კვაზი დელიქტები, ოღონდ, ისინი რომის ცივილური სამართლის გავლენით, გაუფრთხილებლობით ან ბრალის გარეშე, მაგ., მომეტებული საფრთხის წყაროს მეშვეობით ზიანის მიყენებას მოიცავს და უსაფუძვლო გამდიდრების სამართალთან კავშირი არ გააჩნია.

- ⁶⁵ შდრ. 1^{er} Civ., 3 mars 2021, n° 19-19.000, (P), Bulletin des Arrêts Chambres civiles, Mars, 2021, №3. ამ შემთხვევაში, დავის საგანს სხვის ქონებაზე გაწეული ხარჯის შედეგად გამდიდრება წარმოადგენდა.
- ⁶⁶ იხ.: Ordonnance n° 2016-131 du 10 février 2016 portant réforme du droit des contrats, du régime général et de la preuve des obligations, ძალაში შევიდა 2016 წლის 1-ელ ოქტომბერს, <https://www.legifrance.gouv.fr/loda/id/JORFTEXT000032004939>
- ⁶⁷ სუსგ №ას-461-435-2014, 30 აგვისტო, 2016 წელი, პ. 34-35.
- ⁶⁸ შდრ. თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში კეთილსინდისიერება მატერიალურსამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ფართო დატვირთვა შეიძინა (სუსგ. №ას-1054-2019, 30 სექტემბერი, 2019 წელი პ. 84). ასევე, გერმანულ სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსზე საუბრისას, ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა ნდობის ასპექტი. ნდობა ეფუძნება იმ მოლოდინს, რომ ხელშეკრულების მხარეები კეთილსინდისიერად იმოქმედებენ. მაგრამ დროთა განმავლობაში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ზემოაღნიშნულის გარდა, კეთილსინდისიერების პრინციპი ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო, მოსამართლის მეშვეობით მხარეთა ურთიერთობის კორექტირების და ამით სამართლიანობის აღდგენის საშუალებად (ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, გვ. 26); ასევე, კეთილსინდისიერების პრინციპი საზოგადოებრივ ურთიერთობებში არსებული ნორმატიული ხარვეზების შევსებას ითვალისწინებს, რაზე დაფუძნებითაც, დასახელებული პრინციპი როგორც მხარეთა ზნეობრივი მოვალეობა, შეიძლება იქნეს მოაზრებული. აღნიშნული ეფუძნება მის ფუნქციას, თავიდან აიცილოს უსამართლო შედეგი (ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, გვ. 48).
- ⁶⁹ სადაზღვევო კომპანიის პასუხისმგებლობა მემკვიდრეთა მიმართ შემოიფარგლებოდა, მხოლოდ სადაზღვევო თანხის გადახდით, თუ გავრცელდებოდა ბანკის სასარგებლოდ შესრულებულ ვალდებულებაზე სრულად. რა მოცულობის იქნებოდა ეს ვალდებულება მემკვიდრეთა მიერ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისა და მაგ., პირგასამტეხლოს დაკისრების ან ქონების რეალიზაციის შემთხვევაში და ა. შ.
- ⁷⁰ სუსგ №ას-725-2019, 10 დეკემბერი, 2019, პ. 14.2.
- ⁷¹ შდრ. სუსგ №ას-1113-2018, 10 ივნისი, 2020, პ. 1.4., ასევე, სუსგ №ას-388-2019, 14 თებერვალი, 2020, პ. 30.
- ⁷² სუსგ №ას-388-2019, 14 თებერვალი, 2020, პ. 35.
- ⁷³ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, რედ: ლადო ჭანტურია, გვ. 347.
- ⁷⁴ საინტერესოა, რომ ნოვაციას რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 414-ე მუხლიც ითვალისწინებს. თუმცა, აქ იგი მხოლოდ ხელშეკრულების მხარეთა შორის, კრედიტორის ან მოვალის შეცვლის გარეშე დაიშვება, შდრ. Сергеев А.П., Толстой Ю.К., Гражданское право. Учебник. Издание второе, переработанное и дополненное, Часть 1, М., 1997, გვ. 591.
- ⁷⁵ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი (მე-2 გამოცემა), გამომც. სამართალი, თბ., 1999, გვ. 84.
- ⁷⁶ ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როდესაც კრედიტორი ამ ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად შესრულებად იღებს სხვა შესრულებას (ნოვაცია).

- ⁷⁷ მთარგმნელი, ზურაბ ჭეჭელაშვილი – იხ.: ზევით. იდენტურად არის ნათარმნი ეს ნორმა სხვა ნაშრომშიც: იან კროპჰოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა, გვ. 264.
- ⁷⁸ შდრ. Code Civil-ში, La novation ne se présume pas ; la volonté de l'opérer doit résulter clairement de l'acte, ნოვაცია არ იგულისხმება; იგი აქტიდან პირდაპირ უნდა გამომდინარეობდეს.
- ⁷⁹ შდრ. Palandt Bürgerliches Gesetzbuch Verlag C.H Beck München 2004 – 364-ე პარაგრაფის კომენტარი 5, გვ. 568, ვალდებულების შესრულების მიზნით, ხელშეკრულების მხარეთა შორის შეიძლება ნოვაციის გზით წარმოიშვას ახალი ვალდებულება, რომელიც ძველი ვალდებულების ადგილს დაიკავებს – აქვე მითითებულია უმაღლესი ფედერალური სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებაც. შდრ. ასევე, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 2000 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება IX ZR 2/98, სადაც სასამართლომ სხვა შესრულების მიღება ნოვაციად შეაფასა. გარდა ამისა, შდრ. „იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი, შეთანხმებული ვალდებულების ნაცვლად, სხვა ვალდებულებას იღებს, უნდა დადგინდეს, სახეზე გვაქვს ნაკისრი ვალდებულების ნაცვლად სხვა ვალდებულების, როგორც შესრულების მიღება, თუ სახეზეა მხოლოდ ნაკისრი ვალდებულების დაფარვის მიზნით განხორციელებული შესრულება. პირველ შემთხვევაში, მოთხოვნა წყდება (ნორმის პირველი ნაწილი). მაშასადამე, კრედიტორი მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულებისთვის სხვა შესრულების მიღებით თმობს ერთ სამართლებრივ პოზიციას მეორის სასარგებლოდ. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, თუ იგი ამის თაობაზე ნათლად აცხადებს ან მისი ეს სურვილი შემთხვევის გარემოებებიდან ცალსახად გამომდინარეობს. ნორმის მე-2 ნაწილი ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც მხოლოდ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით ხდება მოქმედების განხორციელება. თავდაპირველი მოთხოვნა განაგრძობს არსებობას თუმცა, მხარეები თანხმდებიან, რომ კრედიტორი უპირველესად, უნდა შეეცადოს, შესრულების მიზნით მიღებულიდან დაიკმაყოფილოს მოთხოვნა (მაგ., ჩეკით ან თამასუქით). თუ ეს წარუმატებელი აღმოჩნდება (ჩართული ბანკი არ ანაღლებს ჩეკს), მაშინ კრედიტორი, ჩვეულებრივ, განხორციელებს თავდაპირველ მოთხოვნას,“ იან კროპჰოლერი. დასახ. ნაშრომი, გვ. 264.
- ⁸⁰ შდრ. სუსგ 3კ/411, 26 ივლისი 2000; ასევე, 3კ/1204-01, 20 თებერვალი, 2002.
- ⁸¹ სუსგ №ას-1284-2019, 24 იანვარი, 2020, პ. 40.
- ⁸² სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, რედ: ლადო ჭანტურია, გვ. 842-843. თუმცა, საინტერესოა, რომ ამავე ნაშრომში სხვა ავტორი „სხვა შესრულების მიღებაში“ ნოვაციასაც გულისხმობს, მაგ., გვ. 178. შდრ. სსკ-ის 428-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც, მოვალე კონკრეტული ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად ახორციელებს სხვა შესრულებას. მაგ., იმავე ხარისხის, ოღონდ სხვა პროდუქციის მიწოდებას (ნოვაცია). იქვე, გვ. 845.
- ⁸³ შდრ. მაგ., სუსგ №ას-343-321-2017, 9 ივნისი, 2017; №ას-100-96-2016, 30 მარტი, 2016; №ას-1100-1036-2015, 15 იანვარი, 2016; №ას-743-704-2015, 28 სექტემბერი, 2015 და ა.შ.
- ⁸⁵ შდრ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, რედ: ლადო ჭანტურია, გვ. 347.
- ⁸⁶ თუმცა, ცხადია, იგი ასევე გულისხმობს მხოლოდ ვალდებულების ობიექტის ცვლილებასაც ნოვაციის გარეშეც. ამ შემთხვევაში, „სხვა შესრულების ობიექტის მიღება“ ნოვაციისაგან განსხვავდება მისი წარმოშობის საფუძვლითა და მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების სამართლებრივი

ბედი თავს კერძოდ, აღიარებულია, რომ „ნოვაცია არ იგულისხმება“ და იგი ხელშეკრულების შინაარსიდან პირდაპირ უნდა გამომდინარეობდეს (შდრ. Code Civil, მუხლი 1330). ეს ბუნებრივიცაა, სხვაგვარად, ვალდებულებათა შეცვლა შეუძლებელია. ამისგან განსხვავებით, „სხვა შესრულების ობიექტის მიღება“ კონკლუდენტური მოქმედებითაც შეიძლება; „სხვა შესრულების ობიექტის მიღებაზე“ შეთანხმება ჩვეულებრივ, აქცესორულ უფლებებს, მათ შორის, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს არ აუქმებს (თუმცა, მაგ., თავდებს პასუხისმგებლობაზე უარის თქმა შეუძლია), ამისგან განსხვავებით, ნოვაცია ჩვეულებრივ, აქცესორული უფლებებისა და მოთხოვნის უზრუნველყოფის შეწყვეტას იწვევს (შდრ. Code Civil – მუხლი 1334). თუმცა, საფრანგეთის სამართლით დასაშვებია თავდებობის შენარჩუნება.

⁸⁷ მემკვიდრეები ვალდებულნი არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1484.1.

⁸⁸ სამწუხაროდ, არცერთი გადაწყვეტილება მემკვიდრეთა ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლების თაობაზე მითითებას არ შეიცავს.

⁸⁹ პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება... სხვა საფუძვლის გამო ... შეწყდა შემდგომში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 976.1. „ა.“

⁹⁰ განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, რედ: გიორგი ხუბუა, ლევან თოთლაძე, 2012, გვ. 582. ასევე, იან კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, გვ. 605.

⁹¹ ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას

გამოიყენება სპეციალური ნორმები, სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 2.2.

⁹² სუსგ №ას-201-201-2018, პ. 47; 49.

⁹³ სუსგ №ას-664-635-2016.

⁹⁴ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, მთარგმნელი ზურაბ ტეტელაშვილი, თბ., 2019. გამოცემა შექმნილია GIZ-ის ფინანსური მხარდაჭერით.

⁹⁵ შდრ. Palandt Bürgerliches Gesetzbuch Verlag C.H Beck, München, 2004, გვ. 1326. თუმცა, სხვა შემთხვევაში, შესაძლებელია, კონდიქციური ზიანის ოდენობამ დელიქტურს გადააჭარბოს კიდევ. შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ზიანის ანაზღაურება და უსაფუძვლო გამდიდრება, <https://gccc.tsu.ge>

⁹⁶ შდრ. ასევე, Urteile vom 21. Februar 2022 – VIa ZR 8/21 und VIa ZR 57/21 – <https://www.bundesgerichtshof.de/SharedDocs/Pressemitteilungen/DE/2022/2022022.html>.

⁹⁷ <https://de.wikipedia.org/wiki/Abgasskandal>.

⁹⁸ პირი, რომელიც ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ განზრახ აყენებს ზიანს სხვა პირს, ვალდებულია, ამ უკანასკნელს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.

⁹⁹ საყურადღებოა ისიც, რომ ამ საქმეში სააპელაციო სასამართლო მსგავსი კატეგორიის საქმეებზე შემდგომი სასამართლოების არაერთგვაროვან პრაქტიკაზე მიუთითებდა.

¹⁰⁰ შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 894, ასევე, იან კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, გვ. 659.

- ¹⁰¹ <https://www.bailii.org/uk/cases/UKHL/1988/12.html>
- ¹⁰² *Moses v. Macferlan* (1760); *Price v. Neal* (1762); *Clarke v. Shee and Johnson* (1774) და ა.შ.
- ¹⁰³ განსაკუთრებით დიდი წვლილი Lord Goff of Chieveley-ის მიუძღვის.
- ¹⁰⁴ დიდ ბრიტანეთში მოქმედი ძალის მქონე, უძველესი პრეცედენტი, ლორდ-თა პალატის გადაწყვეტილება 1709 წლით არის დათარიღებული – *Rose Muirhead, the Widow of James Muirhead the younger, of Bradisholm, deceased v. James Muirhead of Bradisholm* – <https://www.bailii.org/uk/cases/UKHL/>.
- ¹⁰⁵ საყურადღებოა, რომ დაახლოებით იმავე პერიოდში ხორციელდებოდა გერმანიის ვალდებულებითი სამართლის რეფორმა და შემუშავდა კონდიტციური სამართლის სისტემა, რომელიც მოგვიანებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში აისახა, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსმა კი, *Action in rem verso* 2016 წლის შემდეგ მოაწესრიგა. ამის შესაბამისად, ცხადია, რომ სახელშეკრულებო სამართლის პრიმატი მხოლოდ ბრიტანული სამართლისათვის დამახასიათებელი არ ყოფილა.
- ¹⁰⁶ თუმცა, რომაულ და შემდგომში კონტინენტური ევროპის სამართალში დამკვიდრებული ეს ცნებები გადაწყვეტილებისათვის უცხოა.
- ¹⁰⁷ საყურადღებოა, რომ მოსარჩელეს სარჩელი აღძრული ჰქონდა ბანკის მიმართაც ვალდებულების დარღვევითა და უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, თუმცა საბოლოოდ, ეს მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.
- ¹⁰⁸ 1845 წლის კანონი „აზარტული თამაშების შესახებ“ – *The Gaming Act*.
- ¹⁰⁹ ეს ტექსტის შინაარსი ქართულად შეიძლება ამგვარად გადმოითარგმნოს: ნებისმიერმა ცივილიზებულმა სამართლებრივმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს უსაფუძვლო გამდიდრებისა (*unjust enrichment*) ან უსაფუძვლო (უსამართლო) უპირატესობისაგან (*unjust benefit*) დაცვა. უნდა აღკვეთოს სხვისი ფულის ან სხვაგვარი სიკეთის (*some benefit*) იმგვარი შენარჩუნება, რომელიც არამართლზომიერად (ზნეობის საწინააღმდეგოდ – *against conscience*) ჩაითვლება.
- ¹¹⁰ საინტერესოა, რომ მოპასუხე თავს იცავდა იმაზე მითითებითაც, რომ მოსარჩელის პარტნიორი, სინამდვილეში, ფსონად ფულს კი არ დებდა, არამედ პლასტმასის ჭეჭონებს – *plastic chips*, რომლებსაც ფულის სანაცვლოდ იძენდა. ამით მოპასუხე ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ „აზარტული თამაშების შესახებ“ აქტი არ დაურღვევია და არც გამდიდრებულია, თუმცა, ლორდთა პალატამ ეს პოზიცია არ გაიზიარა.
- ¹¹¹ შდრ. ახალაძე მ., „უსაფუძვლო გამდიდრება (2005-2018 წლის I ნახევარი), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი – კონდიტციურმა მოთხოვნამ არ უნდა გამოიწვიოს გამდიდრებული პირის ქონების იმაზე მეტად შემცირება, რითაც იგი გამდიდრდა, თბ., 2019, გვ. 30.
- ¹¹² ამ ტექსტის შინაარსი დაახლოებით ამგვარია: კლუბს არა აქვს უფლება დაიტოვოს ქურდობის შედეგად მიღებული (უფრო ზუსტად – ფული, რომელიც მას ქურდმა გადასცა); თუ იგი დაზარალებულს მხოლოდ იმ თანხას გადაუხდის, რომელიც დაშნაშავესთან (ქურდთან) დადებული გარიგების შედეგად დაიტოვა, ზიანი არ მიადგება. ადვოკატებისათვის მოპარული ფული, რომელიც კასმა (*Cass*) კლუბს გადაუხადა ჯერ კიდევ, კლუბის მფლობელობაშია და მან იგი ადვოკატებს უნდა დაუბრუნოს. ამის შედეგად, ადვოკატები მოპარული თანხის ნაწილს დაიბრუნებენ, ხოლო კლუბი დაკარგავს მხოლოდ იმ მოგებას, რომლის მიღების უფლებაც არ ჰქონდა.

- ¹¹³ ეს წინადადება დაახლოებით ასე შეიძლება გადმოითარგმნოს: საკითხავია, რატომ მიგვაჩნია ჩვენ უსამართლოდ რესტიტუცია ასეთ შემთხვევებში? იმით, რომ კეთილსინდისიერი მოვალის მდგომარეობა შეიცვალა იმგვარად, რომ მისთვის სრული ან თუნდაც ნაწილობრივი ანაზღაურების დაკისრება უფრო დიდი უსამართლობა იქნება, ვიდრე მოსარჩელისათვის ანაზღაურებაზე უარის თქმა.
- ¹¹⁴ შდრ. მაგ., R (on the application of Champion) v North Norfolk District Council and another (2015); Elgizouli (Appellant) v Secretary of State for the Home Department (Respondent) (2019); Barton and others v Morris and another in place of Gwyn Jones (2022) და ა.შ. <https://www.supremecourt.uk/decided-cases/>
- ¹¹⁵ შდრ. სხვათა შორის, Benedetti v Sawiris and others (2013), ასევე, Barton and others v Morris and another in place of Gwyn Jones (2022).
- ¹¹⁶ ტყუილად კი არ იყო, რომ ლორდი ტემპლემენი ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში კვამი ხელშეკრულებების მოწესრიგების სფეროს გაფართოების თაობაზე უთითებდა.
- ¹¹⁷ შდრ. ახალაძე მ., დასახ. ნაშრომი გვ. 16; 38; 49 და ა.შ. სხვა საკითხია, რამდენად მიზანშეწონილი და კანონის სულისკვეთებასთან შესაბამისია ამგვარი გაერთიანება.
- ¹¹⁸ შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 976, <https://gcc.tsu.ge>
- ¹¹⁹ ზოგადად, სადავო ამგვარი განმატების თავსებადობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-981-ე მუხლებთან.
- ¹²⁰ ამის ყველაზე ნათელი მაგალითი ფრიდრიხ II-ის კოდექსია, რომელსაც ყველა ცხოვრებისეული სიტუაციის მოწესრიგების პრეტენზია ჰქონდა. შდრ. კონრად ცვაიგერტი, შაინ კოტცი, შედარებით სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. I, თბ., 2000, გვ. 152-153.
- ¹²¹ კონრად ცვაიგერტი, შაინ კოტცი, დახას. ნაშრომი გვ. 84, 102.
- ¹²² საფრანგეთში, ისევე როგორც თანამედროვე საქართველოში, ნებისმიერი, მათ შორის, სასამართლო ხელისუფლების წყარო ხალხია. ხალხი კი, თავის ხელისუფლებას წარმომადგენლების მეშვეობით ახორციელებს.
- ¹²³ შდრ. Л. Жюллио де ла Морандьер, Гражданское право Франции, М., 1960, ტ. 2, 480. სარჩელი de in rem verso არ შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონით განსაზღვრული სხვა სარჩელებისაგან თავის არიდების მიზნით.
- ¹²⁴ სწორედ ამის გამო იყვნენ ალტაცებულნი ბრიტანეთით მე-19 საუკუნის ევროპელი მოაზროვნეები – რუდოლფ ფონ იერინგი და გუსტავ ლე ბონი. ამ ალტაცებამ პირველი მათგანი „მებრძოლი ადამიანის“ იდეალამდე, ხოლო მეორე – რასიზმამდე მიიყვანა.
- ¹²⁵ Allgemeiner Teil des BGB Ein Lehrbuch – Dr. Dieter Medicus 8. Neu bearbeitene Aufgabe – C.F. Müller Verlag Heidelberg, p. 33.
- ¹²⁶ თავისუფლების მცდარი გაგება „ვერ აცნობიერებს, რომ პიროვნული თავისუფლება ხანგრძლივი ვადით ვერ განხორციელდება გაწონასწორების გარეშე და რომ შეუზღუდავი სუბიექტური მოთხოვნისაგან მიდრეკილება საზოგადოების ხარჯზე არ შეესაბამება სოციალური სახელმწიფოს პრინციპს,“ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, იურგენ შვაბე, 2011, გვ. 211. დაკვირვებული თვალი სოციალურ და ლიბერალურ შეხედულებებს შორის საინტერესო დისკუსიასა და დაპირისპირებას შრომითსამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაშიც შეამჩნევდა. ამასთან

დაკავშირებით იხ.: ჩხაიძე ს., სხვა ობიექტური გარემოება, როგორც შრო-
მითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი, ჟურნ. მართლმსაჯულება და
კანონი, #4(56)17. საბოლოოდ, ეს დავა საქართველოს კონსტიტუციაში 2017
წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა გადაწყვიტა.

¹²⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II,
გამომც. სამართალი, 2001, გვ. 352.

ბიბლიოგრაფია:

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
3. Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR) Outline Edition;
4. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი;
5. საფრანგეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი;
6. საქართველოს კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ.“

სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება №2/1/370,382,390,402,405, 18 მაისი 2007 წელი;
2. საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება, №1/1/539, 11 აპრილი 2013 წელი;
3. CASE OF SILVER AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM – (Application no. 5947/72; 6205/73; 7052/75; 7061/75; 7107/75; 7113/75; 7136/75) 25 March 1983;
4. CASE OF DUDGEON v. THE UNITED KINGDOM – (Application no. 7525/76), 22 October 1981;
5. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 1995 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე T-29/92;
6. სუსგ №ას-1359-2018, 02 ნოემბერი, 2018 წელი;
7. სუსგ №ას-1367-2018, 02 ნოემბერი, 2018 წელი;
8. სუსგ №ას-774-723-2017, 11 ოქტომბერი, 2017 წელი;
9. სუსგ №ას-541-2021, 4 ივლისი, 2021 წელი;
10. სუსგ №ას-201-201-2018, 8 ოქტომბერი, 2018 წელი;
11. სუსგ №ას-646-2022, 30 სექტემბერი, 2022 წელი;
12. სუსგ №ას-1224-1149-2015, 20 მაისი, 2016 წელი;
13. სუსგ №ას-1096-1053-2016, 24 ოქტომბერი, 2017 წელი;
14. სუსგ №ას-433-416-2016, 3 ნოემბერი, 2017 წელი;
15. სუსგ №ას-397-381-2016, 1 ივლისი, 2016 წელი;
16. სუსგ №ას-794-794-2018, 11 სექტემბერი, 2018 წელი;
17. სუსგ №ას-1359-2018, 02 ნოემბერი, 2018 წელი;
18. სუსგ №ას-664-635-2016 2 მარტი, 2017 წელი;
19. სუსგ №ას-533-509-2016, 26 ოქტომბერი, 2018 წელი;
20. სუსგ №ას-63-63-2018, 4 მაისი, 2018 წელი;
21. სუსგ №ას-1299-2022, 22 ნოემბერი, 2022 წელი;
22. სუსგ №ას-476-2020, 27 ოქტომბერი, 2021 წელი;
23. სუსგ №ას-582-2021, 14 ივლისი, 2021 წელი;
24. სუსგ №ას-717-670-2017, 26 აპრილი, 2018 წელი;
25. სუსგ №ას-1159-2021, 1 აპრილი, 2022 წელი;

26. სუსგ №ას-582-2022, 16 სექტემბერი, 2022 წელი;
27. სუსგ №ას-975-2021, 08 ივნისი 2022 წელი;
28. სუსგ №ას-362-2021, 25 ივნისი, 2021 წელი;
29. სუსგ №ას-461-435-2014, 30 აგვისტო, 2016 წელი;
30. სუსგ №ას-1054-2019, 30 სექტემბერი, 2019 წელი;
31. სუსგ №ას-725-2019, 10 დეკემბერი, 2019 წელი;
32. სუსგ №ას-1113-2018, 10 ივნისი, 2020 წელი;
33. სუსგ №ას-388-2019, 14 თებერვალი, 2020 წელი;
34. სუსგ 3კ/411, 26 ივლისი 2000 წელი;
35. სუსგ 3კ/1204-01, 20 თებერვალი, 2002 წელი;
36. სუსგ №ას-1284-2019, 24 იანვარი, 2020 წელი;
38. სუსგ №ას-343-321-2017, 9 ივნისი, 2017 წელი;
38. სუსგ №ას-100-96-2016, 30 მარტი, 2016 წელი;
39. სუსგ №ას-1100-1036-2015, 15 იანვარი, 2016 წელი;
40. სუსგ №ას-743-704-2015, 28 სექტემბერი, 2015 წელი;
41. Moses v. Macferlan (1760);
42. Price v. Neal (1762);
43. Clarke v. Shee and Johnson (1774);
44. Rose Muirhead, the Widow of James Muirhead the younger, of Bradisholm, deceased v. James Muirhead of Bradisholm;
45. R (on the application of Champion) v North Norfolk District Council and another (2015);
46. Elgizouli (Appellant) v Secretary of State for the Home Department (Respondent) (2019);
47. Barton and others v Morris and another in place of Gwyn Jones (2022);
48. Benedetti v Sawiris and others (2013),
49. Urteile vom 21. Februar 2022 – VIa ZR 8/21 und VIa ZR 57/21;
50. 1^o Civ., 3 mars 2021, n^o 19-19.000, (P).

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. გივი ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, გამომც. მერიდიანი, თბ., 2011;
2. გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, გამომც. მერიდიანი, 2015;
3. ლადო ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომც. სამართალი, 2000;
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბ., 2004.
5. იუსტინიანეს კოდიფიკაცია;
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, 2001;
7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი;
8. გიორგი რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია, თბ., 2017;
9. კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. I, თბ., 2000;
10. ზვიად გაბისონია, ინტერნეტში გამოსაყენებელი საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები და სამომხმარებლო შეთანხმებებში არსებული დათქმები, შედარებითი სამართლის ჟურნალი, 7/2020;
11. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები, თბ., 2015;

12. სოფიო ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი;
13. ეკატერინე ნინუა, სუბსიდიური პასუხისმგებლობა და მისი წარმოშობის საფუძვლები, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #5(48) 15;
14. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2019;
15. იან კროპჭოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა;
16. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, რედ: გიორგი ხუბუა, ლევან თოთლაძე, 2012;
17. დოქტ. ჰაინ ბიოლინგი, პეტერ ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი;
18. სერგი ჯორბენაძე, ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში;
19. ნინო ხუნაშვილი, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში;
20. ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), გამომც. სამართალი, თბ., 1999;
21. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 2000 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება IX ZR 2/98;
22. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი BGB, მეორე რედაქტირებული გამოცემა, მთარგმნელი ზურაბ ჭეჭელაშვილი, თბ., 2019. გამოცემა შექმნილია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით;
23. ბესარიონ ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005.
24. მაია ახალაძე, უსაფუძვლო გამდიდრება (2005-2018 წლის I ნახევარი), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბ., 2019;
25. იურგენ შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2011;
26. სიმონ ჩხაიძე, სხვა ობიექტური გარემოება, როგორც შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #4(56) 17.
27. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, გამომც. სამართალი, 2001;
28. Palandt Bürgerliches Gesetzbuch Verlag C.H Beck München 2004;
29. Allgemeiner Teil des BGB Ein Lehrbuch – Dr. Dieter Medicus 8. Neu bearbeitete Aufgabe – C.F. Müller Verlag Heidelberg;
30. Bulletin des Arrêts Chambres civiles, Mars, 2021;
31. Ordonnance n° 2016-131 du 10 février 2016 portant réforme du droit des contrats, du régime général et de la preuve des obligations;
32. Л. Жюлли де ла Морандьер, Гражданское право Франции, М., 1960;
33. А.П. Сергеев, Ю.К. Толстой, Гражданское право. Учебник. Издание второе, переработанное и дополненное. Часть 1, М., 1997;
34. Гражданское, торговое и семейное право капиталистических стран – сборник нормативных актов: гражданские и торговые кодексы, М., Издательство Университета дружбы народов, 1986.

ინტერნეტ რესურსები:

1. <https://gcc.tsu.ge>
2. <https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/glossary/principle-of-subsidiarity.html>
3. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61992TJ0029>
4. <https://www.supremecourt.uk/decided-cases/>
5. <http://gil.mylaw.ge/ka/term/1390.html>
6. <https://sakig.pl/wp-content/uploads/2019/01/dfcr.pdf>
7. https://www.legifrance.gouv.fr/codes/section_lc/LEGITEXT000006070721/LEGISCTA000032023810/
8. <https://codes.droit.org/PDF/Code%20civil.pdf>
9. <https://www.legifrance.gouv.fr/loda/id/JORFTEXT000032004939>
10. <https://www.bundesgerichtshof.de/SharedDocs/Pressemitteilungen/DE/2022/2022022.html>
11. <https://www.bailii.org/uk/cases/UKHL/1988/12.html>
12. <https://www.bailii.org/uk/cases/UKHL/>
13. <https://de.wikipedia.org/wiki/Abgasskandal>

დამატებითი ლიტერატურა:

1. ქართული ენის განმატებითი ლექსიკონი, პროფ. არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქციით;
2. გივი ლობჯანიძე, სამართლის ფილოსოფია;
3. რუდოლფ ფონ იერინგი, ბრძოლა უფლებებისათვის;
4. გუსტავ ლე ბონი, ერების და ბრბოს ფსიქოლოგია;
5. The Gaming Act.

THE SUBSIDIZED NATURE OF UNJUSTIFIED ENRICHMENT LITIGATION IN THE PRACTICE OF GEORGIAN COURTS

SIMON CHKHAIDZE

Judge of Tbilisi Court of Appeals

From a narrow point of view, "law" is a "social phenomenon", that is, it regulates social relations.

Essentially, it is a kind of "applied" field of humanitarian science, the purpose of which is to establish social harmony, prevent conflicts and eliminate them.

Social and public harmony can only be achieved through justice. Justice is a universal, and overarching human value. If Establishing legality is not the main purpose of the law, then it loses its main function and purpose.

The rest of society expects us, lawyers, to strive for this purpose or at least try to do so.

Georgia is a country of so-called written law and its legal order is expressed in the norms of the law.

Judges provide the "content" of the norm of the law, therefore, in order to determine the essence of the legal relationship, first of all, the judges should examine the practice of its use.

This paper deals with one of the problematic issues – the place of conditional law in civil law-related judicial practice, and it is related to that general and basic value, justice.

არასრულწლოვანთა რეკროდუქციული უფლებების დაცვა

ირმა გელაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი

შესავალი

ბავშვის უფლებათა კონვენციით,¹ „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე სრულყოფილი მომსახურებით და ავადმყოფობის მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებებით.“ ამავდროულად, ბავშვის უფლებათა კოდექსიც,² სახელმწიფოს ავალდებულებს უზრუნველყოს ბავშვისათვის უვნებელი გარემო და ჯანმრთელობის დაცვა უმაღლესი სტანდარტით, რაც მოიცავს ჯანდაცვის სერვისის მიწოდებას შესაბამისი ხარისხით და კვალიფიციური პროფესიონალების მეშვეობით.³ ბავშვისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება ხორციელდება მშობლის ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე. მშობელი პრიორიტეტულად განსაზღვრავს ბავშვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რამდენადაც მშობელი ბავშვის ინტერესების საუკეთესო წარმომადგენელი და დამცველია.

არასრულწლოვან პაციენტთათვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დადგენილი საერთო წესიდან საგამონაკლისო შემთხვევად განიხილება რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. იმდენად, რამდენადაც სქესობრივი ცხოვრება და რეპროდუქცია მკაცრად პიროვნული სფეროა,⁴ მასში მშობლის ჩარევის ფარგლები შეზღუდულია, მოზარდ პაციენტს შეიძლება ჰქონდეს ავტონომიის უფლება იმ პირობით, თუ მას შეუძლია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღება.

სტატიის მიზანია საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროპული ქვეყნების გამოცდილების გაანალიზების საფუძველზე, საქართველოში მოზარდთა რეპროდუქციული უფლების რეალიზებასთან დაკავშირებული სამართლებრივი მდგომარეობის შეფასება, ხარვეზების წარმოჩენა და წინადადებების შეთავაზება.

1. არასრულწლოვნის რეპროდუქციული უფლების დაცვის საერთაშორისო სტანდარტი

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს მოზარდთათვის რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის აუცილებლობაზე და მოუწოდებს სახელმწიფოებს შექმნან და დანერგონ პროგრამები მოზარდთათვის რეპროდუქციული სერვისის მისაღებად, ოჯახის დაგეგმვის, უსაფრთხო აბორტის უზრუნველსაყოფად. ამასთან, სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ბავშვისათვის გარკვეული ტიპის სამედიცინო მკურნალობასა და ჩარევაზე მშობლის, მხარდამჭერის ან კანონიერი წარმომადგენლის ნებართვის გარეშე, თანხმობის გაცხადების საკითხი, განსაკუთრებით, როგორცაა აივ ინფექციის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურება, რომელიც მოიცავს კონტრაცეპციასა და უსაფრთხო აბორტს.⁵ კომიტეტი ხაზგასმით მიუთითებს, რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მოზარდები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ კონსულტაციით და მომსახურებით, უნდა იზრუნონ, რომ გოგონებს მესამე პირთა თანხმობისა და ნებართვის გარეშე ჰქონდეთ წვდომა უსაფრთხო აბორტზე. სახელმწიფოებმა უნდა გადასინჯონ კანონმდებლობა, რომ ორსული მოზარდების საუკეთესო ინტერესების დასაცავად მათი აზრი იყოს მოსმენილი აბორტთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში,⁶ თუ მოზარდი არის საკმარისად მოწიფული, მაშინ ინფორმირებული თანხმობა მიღებული უნდა იყოს მისგან და მშობლების ინფორმირება უნდა შედიოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესში. გოგონებმა ავტონომიური და ინფორმირებული გადაწყვეტილება უნდა მიიღონ რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.⁷

2. არასრულწოვნის ავტონომიის ფარგლები აბორტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ევროკული ქვეყნების კანონმდებლობაში

გაეროს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, სახელმწიფოები ითვალისწინებენ არასრულწლოვნის უფლებას დამოუკიდებლად განაცხადოს თანხმობა ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტაზე, თუმცა განსხვავებული წინაპირობებით. უმეტესწილად, სახელმწიფოები არ აკეთებენ დათქმას ასაკზე: შვედეთისა⁸ და ფინეთის⁹ კანონმდებლობით, ქალის ინდივიდუალური უფლებაა გადაწყვიტოს სურს თუ არა ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა და თუ სამედიცინო პერსონალი მიიჩნევს, რომ ასაკისა და განვითარების დონიდან გამომდინარე, არასრულწლოვანს შეუძლია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღება, მაშინ იგი სარგებლობს ზრდასრულის უფლებებით, თუმცა მას ყოველთვის სთავაზობენ, კონსულტაცია გაიაროს მშობელთან. ბელგიის კანონმდებლობით,¹⁰ თუ არასრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლის თანხლების გარეშე ითხოვს აბორტის გაკეთებას, სამედიცინო დაწესებულება, სხვადასხვა სახის ინტერვიუს ფარგლებში, აფასებს მის მოწიფულობას – გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარს. თუ არასრულწლოვანი მაინც უარს ამბობს მშობლისათვის შეტყობინებაზე, იგი სხვა სრულწლოვან თანმხლებ პირთან ერთად უნდა გამოცხადდეს სამედიცინო დაწესებულებაში. დაცულია აბორტთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და სამედიცინო ისტორია ხელმისაწვდომია მხოლოდ არასრულწლოვნისთვის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი რეგისტრირებულია მშობლის/მშობლების სადაზღვევო პაკეტის ფარგლებში.

ბელგიის მსგავსად, საფრანგეთის კანონმდებლობითაც,¹¹ თუ არასრულწლოვანი უარს ამბობს მშობლისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე, ორსულობის ხელოვნურად შესაწყვეტად იგი სხვა ზრდასრულ თანმხლებ პირთან ერთად უნდა გამოცხადდეს სამედიცინო დაწესებულებაში.

ასაკობრივ შეზღუდვას არ ითვალისწინებს ინგლისის 1967 წლის აბორტის შესახებ აქტი.¹² თუმცა, პრეცედენტული სამართლით, 16 წლამდე არასრულწლოვან პირს შეუძლია მოითხოვოს აბორტი, თუ დადგინდება, რომ მას აქვს „გილიკის კომპეტენცია“ (Gillick competent). ეს კრიტერიუმი მომდინარეობს საქმიდან Gillick v West Norfolk and Wisbech Area Health Authority and Department of Health and Social Security: HL 17 Oct 1985,¹³ რომლის თანახმად, ვიქტორია გილიკმა 1982 წელს წამოიწყო სასამართლო დავა ადგილობრივი ჯანდაცვის ორგანოს და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ შეჩერებულიყო ექიმების მიერ 16 წლამდე ასაკის გოგონებისათვის კონტრაცეფციის თაობაზე კონსულტაცია მშობლების თანხმობის გარეშე/მათთვის შეუტყობინებლად.

იმის დასადგენად, აქვს თუ არა არასრულწლოვან ბავშვს მკურნალობაზე თანხმობის გაცემის უნარი, სასამართლომ განსაზღვრა კრიტერიუმები – ე. წ. „გილიკის ტესტი.“ დადგინდა, რომ 16 წლამდე ბავშვებს შეუძლიათ თანხმობის გაცხადება, თუ მათ შესწევთ უნარი სრულად გაიგონ, რას მოიცავს შემოთავაზებული მკურნალობა, მათ შორის, მკურნალობის მიზნის, სავარაუდო შედეგებისა და რისკების, წარმატების შანსებისა და სხვა ვარიანტების ხელმისაწვდომობის ჩათვლით. შესაბამისად, თუ 16 წლამდე პირი გაიგლის „გილიკის ტესტს,“ იგი ითვლება სამედიცინო ჩარევაზე/მკურნალობაზე თანხმობის გაცემის მიზნებისთვის კომპეტენტურ პირად. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭიროა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. „გილიკის ტესტის“ პარალელურად, სამედიცინო პერსონალი ვალდებულია მისდიოს ე. წ. „ფრეიზერის გზამკვლევის“ (Fraser guidelines),¹⁴ როდესაც მისაღებია გადაწყვეტილება არასრულწლოვანის კონფიდენციალურობის დაცვის საკითხზე. ფრეიზერის გზამკვლევის მიხედვით, ექიმს შეუძლია 16 წლამდე არასრულწლოვანი უზრუნველყოს კონტრაცეპციასთან, აბორტთან და სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებთან (STIs) დაკავშირებული რჩევებითა და მკურნალობით მშობლებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და მათი თანხმობის გარეშე, იმ პირობით, რომ:

- ა) 16-წლამდე პირს შესწევს უნარი გააცნობიეროს რჩევის/მკურნალობის ყველა ასპექტი და შედეგები;
- ბ) ექიმი ვერ ახერხებს (ექიმს არ შეუძლია) დაარწმუნოს 16-წლამდე პირი, რომ კონსულტაციის/მკურნალობის შესახებ აცნობოს თავის მშობლებს ან ექიმს მისცეს მშობლებთან კომუნიკაციის უფლება;
- გ) კონტრაცეპციასა და სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებთან დაკავშირებით, არსებობს დიდი ალბათობა, რომ 16-წლამდე პირს ექნება სქესობრივი ურთიერთობა მკურნალობით/მკურნალობის გარეშე;
- დ) შესაძლოა 16-წლამდე პირს დაუზიანდეს ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა, თუ ის არ მიიღებს ექიმის კონსულტაციას/მკურნალობას;
- ე) 16-წლამდე პირის საუკეთესო ინტერესებშია, მიიღოს რჩევა და მკურნალობა მშობლის ცოდნისა და თანხმობის გარეშე.¹⁵

საგულისხმოა, რომ შოტლანდიაში, ნებისმიერ ქირურგიულ, სამედიცინო ან სტომატოლოგიურ პროცედურაზე ან მკურნალობაზე 16 წლამდე ასაკის პირს უფლება აქვს განაცხადოს თანხმობა, თუ კვალიფიციური ექიმის აზრით, მას შესწევს უნარი სრულად გაიგოს შეთავაზებული პროცედურის არსი, მოსალოდნელი რისკები და შედეგები. განსხვავებით ინგლისისა-

გან, ეს უფლება რეგლამენტირებულია 1991 წლის აქტში, რომელიც ეხება ქმედუნარიანობის ასაკს.¹⁶ შოტლანდიის ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის (National Health Service (NHS)) ინსტრუქციაში ნათქვამია: „თუ თქვენ ხართ 16 წლამდე პირი, შეგიძლიათ გაიკეთოთ აბორტი მშობლებისთვის შეტყობინების გარეშე, თუ 2 ექიმი მიიჩნევს, რომ ეს თქვენს ინტერესებშია და თქვენ სრულად აცნობიერებთ პროცედურის არსს. თუმცა, ექიმები მოგიწოდებენ, განიხილოთ თქვენი გადაწყვეტილება მშობლებთან ან სხვა ზრდასრულთან. მიუხედავად ამისა, თუ თქვენ გადაწყვეტთ აბორტის გაკეთებას, თქვენ გაქვთ კონფიდენციალურობის დაცვის უფლება, ასაკის მიუხედავად.“¹⁷

მიუხედავად იმისა, რომ „გილიკის კომპეტენციის“ ან „ფრეიზერის გზამკვლევის“ გამოსაყენებლად არ არსებობს ქვედა ასაკობრივი ზღვარი, მიზანშეწონილად და უსაფრთხოდ არ მიიჩნევა 13 წლამდე ასაკის ბავშვისთვის მკურნალობის ჩატარება/კონსულტაციის გაწევა მშობლის ჩარევის გარეშე.¹⁸ უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ხშირად არასრულწლოვნის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ირღვევა. მაგალითად, ბრიტანეთის ორსულობის საკონსულტაციო სამსახურის (British Pregnancy Advisory Service) გზამკვლევაში მითითებულია 2003 წლის სექსუალური დანაშაულების შესახებ აქტის¹⁹ შესაბამის ჩანაწერებზე, რომლის თანახმადაც, 13 წლამდე ასაკის პირები სექსუალურ აქტივობაზე თანხმობის მისაცემად ითვლებიან კომპეტენციის (ქმედუნარიანობის) არმქონე პირებად. ბავშვთა დაცვის სააგენტოების უმეტესობა მიიჩნევს, რომ 13 წლამდე გოგონებში ორსულობა არის იმის მტკიცებულება, რომ ისინი არიან „რისკის ქვეშ“, რაც საჭიროებს რეაგირებას. აქედან გამომდინარე, 13 წლამდე პირების კონფიდენციალურობა, აბორტის კონტექსტში, არ არის დაცული.²⁰

გერმანიის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სპეციალურ რეგულაციას არასრულწლოვანთა აბორტისათვის. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ნ30d მუხლის პირველი პარაგრაფის თანახმად, მკურნალი ექიმი ვალდებულია სამედიცინო ჩარევამდე მიიღოს პაციენტის თანხმობა, თუ პაციენტს არ შეუძლია თანხმობის გაცხადება, მაშინ მას გასცემს უფლებამოსილი პირი.²¹ გამომდინარე იქიდან, რომ სამედიცინო მანიპულაციაზე თანხმობის გაცემა მკაცრად პირადი გადაწყვეტილებაა, თანხმობის გაცემის უნარის საკითხი უკავშირდება არა იურიდიულ/სამართლებრივ ქმედუნარიანობას, არამედ ამ პირის ნამდვილ ნებას.²²

კანონმდებელი ღიად და ცალსახად აცხადებს: „პაციენტის განსჯისა და ანალიზის უნარი უნდა ქმნიდეს მიწოდებული ინფორმაციის აღქმის, მკურნალობის რისკებისა და სარგებლის შეფასების და საბოლოოდ, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. მკურნალი ექიმი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ პაციენტს აქვს უნარი გააანალიზოს სამედიცინო ჩარევის ბუნება, მნიშვნელობა, ფარგლები, რისკები და იმოქმედოს საკუთარი

ნების შესაბამისად.²³ ამდენად, თანხმობის გაცხადების უნარი არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ასაკობრივ ზღვართან. დაგეგმილი აბორტის შემთხვევაში, ექიმმა უნდა შეამოწმოს აქვს თუ არა არასრულწლოვანს უნარი გაიგოს და გააცნობიეროს აბორტი და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება. თუ არასრულწლოვანს აღნიშნულის უნარი არ შესწევს, ამ დროს მშობლები, როგორც კანონიერი წარმომადგენლები უნდა დაეთანხმონ აბორტს.

გაბატონებული შეხედულებაა, რომ თუ არასრულწლოვანს შეუძლია თანხმობის გაცემა, მხოლოდ ის არის პასუხისმგებელი გადაწყვეტილებაზე.²⁴ ეს შეხედულება ემყარება მოცემულობას, რომ ორსულობის შეწყვეტის გადაწყვეტილება კონსტიტუციით დაცული თვითგამორკვევის უფლებაა. თუ არასრულწლოვანი გამოავლენს აუცილებელ სიმწიფეს ამ ტიპის გადაწყვეტილების მისაღებად, მისი თვითგამორკვევის უფლება უპირატესია მშობლის მზრუნველობაზე.²⁵ ამასთან, განსჯისა და გაგების კომპეტენციის შეფასებისას, მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ სამედიცინო ასპექტების, არამედ სამართლებრივი ინტერესების აწონ-დაწონვისა და შეფასების უნარი. პრეზუმირებულია, რომ არასრულწლოვნებს 16 წლის ასაკიდან აქვთ საკმარისი სიმწიფე ინფორმირებული თანხმობის გასაცემად, თუმცა, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის შემთხვევაში, საჭიროა სერიოზული მიდგომა და შეფასება.²⁶

იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანს შესწევს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი და ამდენად, აბორტთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებლად, გამოიყენება სამედიცინო ინფორმაციასთან დაკავშირებული კონფიდენციალურობის წესები, რომლებიც ვრცელდება მათ შორის, არასრულწლოვნის მშობლების მიმართაც.²⁷ ამ დროს, მხოლოდ არასრულწლოვანი წყვეტს ექიმის მიერ ინფორმაციის გამჟღავნების ფარგლებს.²⁸

მიუხედავად არსებული რეგულაციისა, არასრულწლოვანთან სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების დადების თუ სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში საკანონმდებლო ორგანოს მოუწოდებენ ერთიანი კონცეფციის შემუშავებისკენ.²⁹

ავსტრიულ სამართალში³⁰ არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან აქვს უფლება დამოუკიდებლად, მშობლის თანხმობის გარეშე განაცხადოს ინფორმირებული თანხმობა აბორტზე, თუ იგი ექიმის შეფასებით, აცნობიერებს ორსულობის შეწყვეტის მნიშვნელობასა და შედეგებს. ამავდროულად, მას აქვს კონფიდენციალურობის უფლება, რაც გულისხმობს მშობლებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების დაუშვებლობას. მიუხედავად ამისა, ავსტრიის რეგიონებშიც კლინიკები ითხოვენ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას, რეგიონული ჰოსპიტლების აქტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.³¹ ექიმები ვალდებული არიან შეატყობინონ პროკურორს ან პოლიციას თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ორსულობა გაუპატიურების შედეგია.³²

იტალიის კანონმდებლობით,³³ 18 წლამდე არასრულწლოვნის ორსულობის პირველი 90 დღის განმავლობაში, აბორტისთვის საჭიროა ორივე მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, თუმცა, თუ ისინი უარს ამბობენ აბორტზე ან გამოხატავენ ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციას, მაშინ სოციალური ჯანდაცვისა და კონსულტაციის ცენტრი ან მთავარი პრაქტიკოსი იწყებს დადგენილ³⁴ პროცედურას პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზის (ბავშვის შენარჩუნება) მოსაძებნად, ბავშვის მამის ჩართულობით, თუ არასრულწლოვანი თანახმაა. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ექიმის დასკვნით, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა გადაუდებლად აუცილებელია და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები კვლავ უარს აცხადებენ, მაშინ მოსამართლეს უფლება აქვს არასრულწლოვანს დართოს აბორტზე თანხმობის გაცხადების ნება, რომელიც არ საჩივრდება.

ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, არასრულწლოვანი პირი 16 წლის ასაკის მიღწევისთანავე დამოუკიდებლად, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე იღებს ორსულობის შეწყვეტასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას, მაგალითად, პორტუგალიისა³⁵ და ხორვატიის კანონმდებლობით,³⁶ ხოლო თუ აბორტის მსურველი პირი 16 წელზე ნაკლები ასაკისაა, მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა აუცილებელია, რასაც თან უნდა დაერთოს მეურვეობის ორგანოს თანხმობა.

ზოგიერთ ქვეყანაში ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტამდე არასრულწლოვანი კონსულტაციას გადის სპეციალიზებულ კომისიასთან, მაგალითად, შვეიცარიის კანონმდებლობით,³⁷ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, მათ შორის, არასრულწლოვნებს, ასაკის მიუხედავად, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტისათვის არ მოეთხოვებათ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, თუმცა, თუ აბორტის მსურველი ქალი 16 წლამდე პირია, აუცილებელია ექიმი დარწმუნდეს, რომ არასრულწლოვანს კომუნიკაცია ჰქონდა სპეციალიზებულ საკონსულტაციო სააგენტოსთან. ინფორმაცია მკაცრად კონფიდენციალურია. აბორტის შესახებ ცნობები ეგზავნება ჯანდაცვის კომპეტენტურ უწყებას სტატისტიკური მიზნებისთვის, რა დროსაც გარანტირებულია ქალის ანონიმურობა. დანიაში კი, ჯანმრთელობის დაცვის კანონის 99-ე მუხლით,³⁸ 18 წლამდე არასრულწლოვანს აბორტისთვის ესაჭიროება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, ხოლო თუ მას არ სურს კანონიერი წარმომადგენლის/მშობლის ჩართულობა, საბჭოს შეუძლია, განცხადების საფუძველზე, გასცეს ნებართვა აბორტზე, მშობლის თანხმობის გარეშე. საბჭოსათვის მიმართვის უფლება აქვს 15 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს, 15 წლამდე არასრულწლოვანს კი, ნებისმიერ შემთხვევაში ესაჭიროება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართვა ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტისთვის.

3. არასრულწლოვნის რეპროდუქციული უფლება ქართულ სამართალში

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობაც შესაბამისობაშია მოზარდი პაციენტის რეპროდუქციული უფლებების დაცვის სტანდარტებთან. კერძოდ, „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის მე-40 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით,³⁹ მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს არ მიეწოდება ინფორმაცია არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, თუ 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პაციენტი, რომელიც სამედიცინო მომსახურების გამწევის შეხედულებით, სწორად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას და რომელმაც ექიმს მიმართა სქესობრივად გადამდები დაავადების ან ნარკომანიის მკურნალობის, კონტრაცეპციის არაქირურგიული მეთოდების შესახებ კონსულტაციის მიღების ან ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის მიზნით, ამ ინფორმაციის მიწოდების წინააღმდეგია. ამავე კანონის 41-ე მუხლით, ასეთ შემთხვევებში არასრულწლოვანი თავად აცხადებს ინფორმირებულ თანხმობას და კონფიდენციალურობაც დაცულია. მართალია, კონსულტაციის მიღების უფლება უზრუნველყოფილია თუმცა, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის თაობაზე არასრულწლოვნის ავტონომიის აღიარება, მხოლოდ შიშველი დეკლარაციაა. ქართულ რეალობაში სამედიცინო დაწესებულებები უპირობოდ, ყველა შემთხვევაში უარს ამბობენ მშობლის თანხმობის გარეშე არასრულწლოვნისათვის აბორტის გაკეთებაზე, რაც ერთი მხრივ, განპირობებულია კანონმდებლობის არასწორი ინტერპრეტაციით, მეორე მხრივ კი, პასუხისმგებლობის⁴⁰ არიდების გაუმართლებელი მოტივით, უფრო კონკრეტულად: „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის⁴¹ მე-9 მუხლით, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიკაციის და მასზე რეაგირების მიზნით, შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულებებს. ამავდროულად, საქართველოს მთავრობის დადგენილებით,⁴² დამტკიცებულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები, რომლის მიხედვითაც, ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენის, ბავშვის მდგომარეობის შეფასების, რეფერირების პროცედურების ფარგლებში ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირებისათვის საფუძვლიან ეჭვად, სხვა საფუძვლებთან ერთად, მიიჩნევა „გარემოებები, რომლებიც მაღალი ალბათობით, ქმნის საფუძველს ვარაუდისთვის, რომ ბავშვზე განხორციელდა ძალადობა.“⁴³ ამგვარ გარემოებად და შესაბამისად, საფუძვლიან ეჭვად ყოველთვის განიხილება არასრულწლოვნის ორსულობა, რომლის თაობაზე ინფორმაცია მიეწოდება ბავშვის მშობლებსაც. ამასთან, არ ექცევა ყურად-

ლება ბავშვის ასაკს – არასრულწლოვანი თექვსმეტ წლამდე პირია თუ თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული. თუ პირველ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოებისათვის შეტყობინების გამართლებად ცალკეული გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება მივიჩნიოთ დანაშაულის⁴⁴ (სექსუალური ხასიათის შეღწევა 16 წლის ასაკის მიუღწევლის სხეულში) გამორიცხვა, 16-17 წლის მობარდისათვის, თუ მას აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, მშობლის თანხმობის გარეშე აბორტზე უარი სამედიცინო დაწესებულების მხრიდან არღვევს მის უფლებას ჯანმრთელობის დაცვაზე, უბიძგებს არასრულწლოვანს არასასურველი ორსულობის შესაწყვეტად მიმართოს ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიშ საშუალებას, რაც ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს, მისი ღირსების დაცვის სულისკვეთებას. არსებულ ვითარებაში არასრულწლოვანს ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა მშობლების თანხმობის გარეშე, მათთვის შეუტყობინებლად და კონფიდენციალურობის დაცვით, მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის გზით შეუძლია.

მნიშვნელოვანი პრეცედენტი შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით: არასრულწლოვანმა, რომელსაც სურდა ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა, დახმარებისათვის მიმართა უფლებადამცველს, ამ უკანასკნელმა კი, თავის მხრივ, რამდენიმე კლინიკას, საიდანაც მიიღო ერთგვაროვანი წერილობითი პასუხები, რომ „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლზე მითითებით, არასრულწლოვანს შესაბამის სამედიცინო მომსახურებას, მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში გაუწევდნენ. ვინაიდან არასრულწლოვანი ინფორმაციის მშობლისათვის მიწოდების წინააღმდეგი იყო, უფლებადამცველმა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლზე დაყრდნობით, სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა დროებითი განჩინების მიღების მოთხოვნით, რომ სსიპ სახელმწიფო ბრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა და დახმარების სააგენტოსთვის დაევალებინა დაუყოვნებლივ შეესწავლა ბავშვის საჭიროებები, ჩართულიყო საქმეში მის წარმომადგენლად, უზრუნველყო ბავშვის ტრანსპორტირება, სამედიცინო მომსახურების მიწოდება და აბორტის შემდგომი ბრუნვა კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით. დროებითი განჩინების აღძვრის წინაპირობად მითითებული იყო სამომავლოდ განსაზღვრული სასარჩელო მოთხოვნები: საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ – ბავშვთა რეპროდუქციული უფლების დაცვის სპეციალური გაიდლაინისა და პროტოკოლის შექმნა, ხოლო სსიპ სახელმწიფო ბრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიმართ – პროფესიონალების და მასში ჩართული ბავშვების ინფორმირება.

სასამართლომ ზეპირ, დახურულ სხდომაზე მოუსმინა არასრულწლოვანს, იხელმძღვანელა „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლით, რომ სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ასევე, მიუთითა კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილ ბავშვის სიცოცხლის უფლებაზე, გადარჩენისა და ჯანმრთელ გარემოში განვითარების უფლებაზე, ბავშვის უფლებათა კოდექსით გარანტირებულ ბავშვის ღირსების, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვაზე და განმარტა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესი საჭირო სამედიცინო სერვისის დროული მიწოდება იყო. ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი არ იყო არასრულწლოვანის ორსულობის დამადასტურებელი კვალიფიციური სამედიცინო დასკვნა, სასამართლოს განმარტებით, საფუძველს მოკლებული იქნებოდა მსჯელობა აბორტის მიზანშეწონილობაზე, არამედ ჯერ უნდა ჩატარებულიყო გამოკვლევა ორსულობის დადასტურების მიზნით, რის შემდეგაც სამედიცინო მომსახურების გამწვევს უნდა მიეღო გადაწყვეტილება პაციენტის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით. ამდენად, დროებითი განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა ბავშვისათვის შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა და ხარჯების დაფარვა.

მართალია, მოზარდმა უფლებადამცველისა და სასამართლოს ჩართულობით მიიღო სათანადო სამედიცინო მომსახურება თუმცა, ამ დრომდე არ არსებობს ბავშვთა რეპროდუქციული უფლების დაცვის გაიდლაინი და პროტოკოლი, რომელიც ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული მულტიდისციპლინური მიდგომით, სპეციალიზებული პირების მიერ ბავშვის ფსიქოლოგიური და ფიზიკური კეთილდღეობის, მისი სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების შეფასებით განსაზღვრავდა ბავშვის საჭიროებას. სამედიცინო დაწესებულებებში უნდა არსებობდეს ინდივიდუალური მიდგომა საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგის ჩართულობით, რომელიც მოემსახურება არასრულწლოვანზე ძალადობის აღმოფხვრას და ამავდროულად, უზრუნველყოფს ბავშვის რეპროდუქციული უფლების ბალანსს.

დასკვნა

არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის უფლების დაცვა გულისხმობს ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას, მათ შორის, რეპროდუქციული უფლების რეალიზების კუთხით, რაც სირთულეებით ხასიათდება. განსაკუთრებით პრობლემატურია მოზარდი გოგონებისათვის

ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ხელმისაწვდომობა მშობლის თანხმობის გარეშე, კონფიდენციალურობის უზრუნველყოფით.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი ხაზგასმით მიუთითებს, რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მოზარდები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ კონსულტაციით და მომსახურებით, უნდა იზრუნონ, რომ გოგონებს მესამე პირთა თანხმობისა და ნებართვის გარეშე ჰქონდეთ წვდომა უსაფრთხო აბორტზე, სახელმწიფოებმა უნდა გადასინჯონ კანონმდებლობა, რომ ორსული მოზარდების საუკეთესო ინტერესების დასაცავად მათი აზრი იყოს მოსმენილი აბორტთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში,⁴⁵ რომ გოგონებმა ავტონომიური და ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღონ რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.⁴⁶

საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულია არასრულწლოვნის ავტონომია (გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის ქონის შემთხვევაში) რეპროდუქციული უფლებების სფეროში თუმცა, უსაფრთხო აბორტზე ხელმისაწვდომობა მშობლის თანხმობის გარეშე მოზარდი გოგონებისათვის მაინც გამოწვევად რჩება, რამდენადაც სამედიცინო დაწესებულებები ქალთა მიმართ შესაძლო ძალადობის ფაქტების გამოვლენის მიზეზით, უარს ამბობენ შესაბამის მომსახურებაზე, რაც ინდივიდუალური შესწავლის გარეშე, წინააღმდეგობაში მოდის ბავშვის უფლებებთან. არასრულწლოვნის ორსულობა უკავშირდება სირთულეებს როგორც ჯანმრთელობის დაცვის, ისე სოციალური თუ ეკონომიური თვალსაზრისით. ასევე, არასრულწლოვანის ორსულობამ შეიძლება გამოიწვიოს სტიგმატიზება, მის მიმართ მტრობა ან ოჯახში ძალადობა ან უკანონო აბორტის საშიშროება, რაც არასრულწლოვნის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეუქმნის საფრთხეს.

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საჯარო ინტერესის, მშობლის უფლებებისა და არასრულწლოვნის რეპროდუქციულ უფლების ბალანსისათვის აუცილებელია ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული მულტიდისციპლინური მიდგომით, სპეციალიზებული პირების მიერ ბავშვის ფსიქოლოგიური და ფიზიკური კეთილდღეობის, მისი სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების შეფასებით მოხდეს საკითხის ინდივიდუალური გადაწყვეტა.

შენიშვნები:

- ¹ ბავშვის უფლებათა კონვენცია, 24-ე მუხლი.
- ² ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-11 მუხლი.
- ³ ბავშვის უფლებათა კოდექსის 45-ე მუხლი.
- ⁴ იხ.: Guaranteeing in Freedom of choice in Matters of Reproduction, Sexuality and Lifestyles in Europe: Trends and Developments; Council of Europe, European Committee for Equality between Women and Men, 1999.
- ⁵ გაერო, ბავშვის უფლებათა კომიტეტი, General Comment No. 4: Adolescent health and development in the context of the Convention on the Rights of the Child, UN Doc. CRC/GC/2003/4, § 27-28.
- ⁶ გაერო, ბავშვის უფლებათა კომიტეტი (2016) General Comment No.20 on the Implementation of the Rights of the Child During Adolescence, § 24.
- ⁷ გაერო, ბავშვის უფლებათა კომენტარი (2013), General Comment No. 15 on the right of the child to the enjoyment of the highest attainable standard of health, UN Doc. CRC/C/GC/15, § 56.
- ⁸ https://www.riksdagen.se/sv/dokument-lagar/dokument/svensk-forfattnings-samling/abortlag-1974595_sfs-1974-595
- ⁹ <https://www.finlex.fi/fi/laki/ajantasa/1970/19700359>
- ¹⁰ Act on the Voluntary Termination of Pregnancy, 2018 წლის 15 ოქტომბერი, http://www.ejustice.just.fgov.be/cgi_loi/change_lg.pl?language=fr&la=F&cn=2018101503&table_name=loi
- ¹¹ <https://www.service-public.fr/particuliers/vosdroits/F1551?lang=en>
- ¹² Abortion Act 1967, <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1967/87>.
- ¹³ <https://www.service-public.fr/particuliers/vosdroits/F1551?lang=en> საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია იხ.: <https://www.healthcareethicsandlaw.co.uk/consent-healthcare-ethics-law/gillickcompetence>
- ¹⁴ Gillick competency and Fraser guidelines, 2022, <https://learning.nspcc.org.uk/child-protection-system/gillick-competence-fraser-guidelines#skip-to-content>;
- ¹⁵ იხ.: Contraception, abortion and sexually transmitted infections (STIs) <https://www.gmc-uk.org/ethical-guidance/ethical-guidance-for-doctors/0-18-years/contraception-abortion-and-sexually-transmitted-infections-stis>; GP mythbuster 8: Gillick competency and Fraser guidelines, 2022, <https://www.cqc.org.uk/guidance-providers/gps/gp-mythbusters/gp-mythbuster-8-gillick-competency-fraser-guidelines>; R (Axon) v Secretary of State for Health, [2006] EWHC 37 (Admin), <https://vlex.co.uk/vid/r-axon-v-secretary-792634549>
- ¹⁶ Age of Legal Capacity (Scotland) Act 1991, S. 2(4), <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1991/50>
- ¹⁷ Abortions in Scotland, NHS, <https://www.nhsinform.scot/tests-and-treatments/surgical-procedures/abortion#:~:text=You%20can%20have%20an%20abortion,your%20parents%20or%20another%20adult.> (EN), [30.04.2023].
- ¹⁸ GP mythbuster 8: Gillick competency and Fraser guidelines, 2022, <https://www.cqc.org.uk/guidance-providers/gps/gp-mythbusters/gp-mythbuster-8-gillick-competency-fraser-guidelines> (EN), [30.04.2023].
- ¹⁹ Sexual Offences Act 2003, ხელმისაწვდომია: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/2003/42/contents> (EN),
- ²⁰ Consent, decision-making and safeguarding: a briefing on the frameworks to protect and support women and girls seeking pregnancy advice and abortion care in the UK today, <https://www.bpas.org/media/2080/consent-and-decision-making.pdf> (EN), [30.04.2023].
- ²¹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (Bürgerliches Gesetzbuch – BGB), https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html#p3079
- ²² Spickhoff, in: Spickhoff, Medizinrecht, 4. Auflage 2022, § 630d BGB, Rn. 4.
- ²³ Draft law of the federal government, draft of a law to improve the rights of patients, of August 15, 2012, p. 23, <https://dserver.bundestag.de/btd/17/104/1710488.pdf> (DE), [08.05.2023].

- ²⁴ Wagner, in: Münchener Kommentar zum BGB, 9. Auflage 2023, § 630d Rn. 62 mit weiteren Nachweisen. Nach – zumindest früherer – anderer Ansicht wird vertreten, dass neben der Einwilligung der Minderjährigen die Einwilligung der Erziehungsberechtigten erforderlich sei, um dem elterlichen Personensorgerecht nach § 1626 Abs. 1 BGB insoweit ausreichend Rechnung zu tragen; nachzulesen bei OLG Hamm, Beschluss vom 29. November 2019, 12 UF 236/19, Rn. 17 ff., abrufbar unter: https://www.justiz.nrw.de/nrwe/olgs/hamm/j2019/12_UF_236_19_Beschluss_20191129.html
- ²⁵ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი §1626 (Bürgerliches Gesetzbuch – BGB), https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html#p6445
- ²⁶ OLG Hamm, Beschluss vom 29. November 2019, 12 UF 236/19, Rn. 26 ff.
- ²⁷ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, (Strafgesetzbuch – STGB), 203-ე მუხლი, https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html#p1974 (EN), [08.05.2023].
- ²⁸ Gutmann, in: Staudinger, BGB, 2021, § 630d, Rn. 96 ff.
- ²⁹ Klein, Joachim, Entscheidungszuständigkeit beim Schwangerschaftsabbruch Minderjähriger, in: Der Gynäkologe, 2022, 55, S. 63–68, <https://link.springer.com/article/10.1007/s00129-021-04877-3> (DE), [08.05.2023].
- ³⁰ <https://www.oesterreich.gv.at/themen/frauen/schwangerschaftsabbruch.html>;
- ³¹ იქვე.
- ³² საექიმო საქმიანობის მარეგულირებელი აქტის 54-ე მუხლი, Doctors Act 1998 (Federal Law Gazette I No. 169/1998), <https://www.ris.bka.gv.at/Dokumente/Bundesnormen/NOR40217871/NOR40217871.html>
- ³³ Rules for the social protection of maternity and on the voluntary termination of pregnancy, Law 22 May 1978, n. 194. <https://www.normattiva.it/uri-res/N2Ls?urn:nir:stato:legge:1978;194> (IT/EN),]
- ³⁴ იმავე კანონის მე-5 მუხლი
- ³⁵ <https://dre.pt/dre/detalhe/lei/16-2007-519464>
- ³⁶ <https://www.zakon.hr/z/2475/Zakon-o-zdravstvenim-mjerama-za-ostvarivanje-prava-na-slobodno-odlu%C4%8Divanje-0-ra%C4%91anju-djece>
- ³⁷ ნახევ შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე, 120-მუხლები, აგრეთვე, სამოქალაქო კოდექსის მე-17 და მე-19 მუხლები, https://www.fedlex.admin.ch/eli/cc/24/233_245_233/en#art
- ³⁸ The Health Act, <https://www.retsinformation.dk/eli/ta/2023/248#id33d8461b-5b36-494e-a3c8-34f4382f7920>
- ³⁹ „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს პაციენტის შესახებ ინფორმაცია არ მიეწოდება, თუ ამის წინააღმდეგია არასრულწლოვანი პაციენტი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქმედუნარიანად ითვლება. სრული ემანსიპაცია ქორწინების გზით გაუქმებულია, ვინაიდან ქორწინება 2015 წლიდან, სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მიხედვით, დაიშვება 18 წლის ასაკიდან. შესაბამისად, მითითებული დანაწესი ამრს კარგავს.
- ⁴⁰ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172^ე მუხლი.
- ⁴¹ მიღებული 25.05.2006.
- ⁴² „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესახებ, საქართველოს მთავრობის #437-ე დადგენილება, 12.09.2016.
- ⁴³ იქვე.
- ⁴⁴ სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლი.
- ⁴⁵ გაერო, ბავშვის უფლებათა კომიტეტი (2016) General Comment No.20 on the Implementation of the Rights of the Child During Adolescence, § 24.
- ⁴⁶ გაერო, ბავშვის უფლებათა კომენტარი (2013), General Comment No. 15 on the right of the child to the enjoyment of the highest attainable standard of health, UN Doc. CRC/C/GC/15, § 56.

PROTECTION OF REPRODUCTIVE RIGHTS OF MINORS

IRMA GELASHVILI

Professor of Law, University of Georgia

Protection of the right to health implies access to health services, receiving these services with appropriate quality and through qualified professionals. Protection of the right to health includes the right to reproduction, characterized by difficulties with minors. Access to artificial termination of pregnancy for teenage girls without parental consent, ensuring privacy, is particularly problematic.

Underage pregnancy is associated with health, social and economic complexities and may lead to stigmatization, hostility, or domestic violence. That is why the UN Committee on the Rights of the Child emphasizes that states must provide teenage girls with counseling and services on sexual and reproductive health and rights, must ensure that girls have access to safe abortion without the consent or permission of third parties, states must revise legislation to ensure that pregnant teenagers have the best to protect their interests, their opinion should be heard in the decision-making process related to abortion¹ so that girls can make autonomous and informed decisions about their reproductive health.²

Even though Georgian legislation recognizes the autonomy of minors (in case of having the capacity to make informed decisions) in the field of reproductive rights, access to safe abortion without parental consent remains a challenge for teenage girls, as medical institutions refuse to provide appropriate services due to the detection of possible violence against women, which contradicts the rights of the child, without individual consideration. For the balance of the stated public interest, parental autonomy, and the reproductive right of the minor, it is essential to make an individual solution of the issue by evaluating the child's psychological and physical well-being, her legal, social and economic interests by specialized persons with a multidisciplinary approach provided by the Code of Children's Rights.

¹ United Nations Committee on the Rights of the Child, (2016) General Comment No.20 on the Implementation of the Rights of the Child during Adolescence, § 24.

² United Nations, Commentary on the Rights of the Child, (2013), General Comment No. 15 on the right of the child to the enjoyment of the highest attainable standard of health, UN Doc. CRC/C/GC/15, § 56.

კანონის ცოდნის პრეზუმფცია

ადმინისტრაციულ

სამართალურთიერთობებში

მონაწილე კერძო პირებთან მიმართებით

მარიამ ოგიაშვილი

სამართლის მაგისტრი,

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატის მოსამართლის თანაშემწე, მთავარი კონსულტანტი

შესავალი

კანონის არცოდნის გამო, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების აკრძალვა რომის სამართლის პრინციპებს განეკუთვნება – *Ignorantia legis non excusat* – კანონის არცოდნა არ ამართლებს. სხვა სიტყვებით, სამართლის უცოდინარობა ან შეცდომა არ არის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.¹ კანონის ცოდნის პრეზუმფცია, გულისხმობს, რომ პირმა იცის მოქმედი კანონმდებლობა. სამოქალაქო კოდექსის 3.2 მუხლის მიხედვით, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ან/და ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. ამდენად, ერთი შეხედვით ცხადია, დებულება კანონის ფაქტობრივი უცოდინარობის მიუხედავად, პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობის შესახებ, თუმცა, ნორმის (სკ-ის 3.2 მუხ.) ტექსტის არაკომპლექსურობა კონკრეტულ ურთერთობასთან მიმართებით, მისი გამოყენების სიმარტივის მცდარ

მოლოდინს ქმნის. აღნიშნული ნორმატიული დებულების გამოყენება რიგი საკითხების გარკვევას საჭიროებს. კერძოდ, ნორმის მიზნების გათვალისწინებით განსამარტია ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „კანონი,“ „პასუხისმგებლობა,“ „გათავისუფლება.“ დადგენას საჭიროებს აგრეთვე ნორმის მოქმედების ფარგლები, მატერიალურ და პროცესუალურ ადმინისტრაციულ სამართალში მისი გამოყენების შესაძლებლობა, კანონის ცოდნის ვარაუდის სამართლებრივი ბუნება და სხვ.

წინამდებარე სტატიის მიზანია არა იმდენად საკითხის სიღრმისეული კვლევა, რაც არსებული ფორმატიდან და საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ძნელად მისაღწევია, არამედ იმ პრობლემურ და არაერთგვაროვნად შეფასებულ საკითხთა იდენტიფიცირება, რომლებიც ადმინისტრაციულ სამართალში კანონის ცოდნის პრეზუმფციის პრაქტიკულ რეალიზაციას მიემართება. აღნიშნული საკითხის ირგვლივ ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით, მეტნაკლებად სრულმასშტაბიანი ქართულენოვანი კვლევის არარსებობის პირობებში, ვფიქრობთ, საკითხის გარშემო არსებული პრობლემატური თემისების გამოკვეთას საკითხში შემდგომი ჩაღრმავების უზრუნველსაყოფად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ზოგადად, პრეზუმფციებთან და კონკრეტულად, კანონის ცოდნის პრეზუმფციასთან დაკავშირებით არსებული შრომები, როგორც წესი, შესრულებულია კერძო სამართლის მიმართულებით და შესაბამისად, არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტის რიგ თავისებურებებს. გამოსაყენებელი ნორმის იგივეობის მიუხედავად, მისი შეფარდება სამოქალაქო და ადმინისტრაციულსამართლებრივ ურთიერთობებზე შესაძლოა სრულიად განსხვავებულად მოხდეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, შეფასებას საჭიროებს ადმინისტრაციულ სამართალში კანონის ცოდნის პრეზუმფციის გამოყენების საფუძვლები, ფუნქციური დანიშნულება, ნორმატიული წინაპირობები და სხვ. წინამდებარე სტატია სწორედ დასახელებული მიზნების მხედველობაში მიღებით კანონის ცოდნის პრეზუმფციის გარკვეული მახასიათებლების გამოკვეთას ისახავს მიზნად. ამასთან, მართალია, ადმინისტრაციულ სამართალურთერთობაში მონაწილე ერთ-ერთი სუბიექტი მაინც ადმინისტრაციული ორგანოა თუმცა, მისი საქმიანობის თავისებურებები და სპეციფიკური პრინციპები შესაძლოა მასთან მიმართებით, კანონის ცოდნის პრეზუმფციის მკვეთრად განსხვავებულ ინტერპრეტაციას იწვევდეს, რაც თავდაპირველად კანონის ცოდნის პრეზუმფციის ზოგადი პრობლემატიკის იდენტიფიცირებას საჭიროებს, ამიტომ ამ ეტაპზე სტატიის მიზანია მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალურთერთობებში მონაწილე არასაჯაროსამართლებრივი ფუნქციების განმახორციელებელ სუბიექტებებთან – კერძო პირებთან მიმართებით, კანონის ცოდნის პრეზუმფციის მახასიათებლებზე მსჯელობა.

1. პრეზუმფციები

1.1. ცნება

პრეზუმფცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ვარაუდს ნიშნავს, სამართალში მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მისი მეშვეობით დაუდასტურებელი მოვლენა ან ფაქტი მიიჩნევა არსებულად და მას შესაბამისი სამართლებრივი შედეგები უკავშირდება.² იურიდიული მნიშვნელობით, პრეზუმფცია კანონით დაშვებულ ვარაუდს წარმოადგენს. ვარაუდი ობიექტურად დაუდგენელი გარემოებაა, რომელიც ამა თუ იმ ფაქტის არსებობის ან არარსებობის სატყვეობისას გამოიყენება.³ პრეზუმფციის არსს ვარაუდის საფუძველზე ფაქტის არსებულად აღიარება შეადგენს.⁴ პრეზუმფციები ყალიბდება წარსულში არაერთგზის მომხდარი ფაქტების, მოვლენებისა და დამდგარი შედეგების საფუძველზე, რაც მომავალში იგივე ფაქტებისა თუ მოვლენების არსებობისას, იმავე შედეგის დადგომის ვარაუდს იძლევა. სასამართლოს მიერ ყველა შემთხვევაში, ყველა ფაქტის არსებობა/არარსებობის დადგენის შეუძლებლობამ წარმოშვა პრეზუმფციების დანერგვის საჭიროება, რომელთა მეშვეობით გარკვეულ შემთხვევებში, ცხოვრებისეული გამოცდილებით გამყარებული მოსალოდნელობის გათვალისწინებით, რიგი გარემოებების არსებობა თუ არარსებობა ივარაუდება.⁵ პრეზუმფცია, ანუ კანონისმიერი ვარაუდი მხედველობაში იღებს ვითარების დადგენის სირთულეებს და განსაზღვრავს, რომ გარკვეული წინაპირობების არსებობისას (პრეზუმფციის საფუძველი), გარკვეული ვითარება ივარაუდება.⁶ პრეზუმფციების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ამარტივებენ მტკიცების პროცესს, საპროცესო შეღავათს ანიჭებენ კონკრეტულ სუბიექტებს და ზნეობრივი საწყისი შეაქვთ სასამართლო შემეცნებაში.⁷ პრეზუმფციის დაშვებით კანონმდებელი მხარეს იცავს მტკიცების გადაულახავი ტვირთის დაკისრებისგან და ამიტომაც თავად აწესებს მტკიცების სტანდარტს.⁸

1.2. სახეები

პრეზუმფცია მრავალრიცხოვანი და სხვადასხვაგვარია, არსებობს, მაგ.: ფაქტობრივი და იურიდიული, გაქარწყლებადი და გაუქარწყლებელი, უარყოფადი და დამაჯერებელი, პირდაპირი და ირიბი, მატერიალური და პროცესუალურსამართლებრივი პრეზუმფციები და სხვ.⁹

1.2.1. ფაქტობრივი და სამართლებრივი პრეზუმფციები

პრეზუმფციების პირველადი კლასიფიკაციაა მათი დაყოფა ფაქტობრივ და სამართლებრივ (იურიდიულ) პრეზუმფციებად. ფაქტობრივი პრეზუმფციები არის ისეთი სახის ვარაუდები,

რომლებიც სამართლის ნორმებში არ არიან ასახულნი, ხოლო სამართლებრივი პრეზუმფციები ნორმაში პირდაპირ ან ირიბად არიან განმტკიცებულნი.¹⁰ ლიტერატურაში სამართლებრივი პრეზუმფციების კლასიფიკაციის მრავალი მცდელობა არსებობს, არაერთგან შევხვდებით სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით, პრეზუმფციების დიფერენცირების მკვეთრად განსხვავებულ შემთხვევებს. თუმცა, სტატიის მიზნიდან გამომდინარე, ყურადღების გამახვილებას საჭიროებს სამართლებრივი პრეზუმფციების დაყოფა გაქარწყლებად და გაუქარწყლებელ პრეზუმფციებად.

1.2.2. გაქარწყლებადი და გაუქარწყლებელი პრეზუმფციები, ფიქცია

პრეზუმფციების გაქარწყლებად და გაუქარწყლებელ პრეზუმფციებად კლასიფიკაციასთან მიმართებით, მიდგომები არაერთგვაროვანია. ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ გაუქარწყლებელი პრეზუმფციები არ არსებობს და ასეთი პრეზუმფციები, ფაქტობრივად, ფიქციებია თუმცა, ნაწილი თვლის, რომ კანონმდებლის მოტივაცია გაუქარწყლებელი პრეზუმფციებისა და ფიქციების დადგენის შემთხვევაში, განსხვავებულია. ფიქციისას ნავარაუდები ფაქტი არ არსებობს, ხოლო გაუქარწყლებელი პრეზუმფციის შემთხვევაში, ნავარაუდები ფაქტი სახეზეა, მაგრამ მისი უარყოფაა შეუძლებელი.¹¹ ზოგადი მნიშვნელობით ფიქცია მოიაზრებს ვარაუდს, წარმოსახვას, გამოგონებას ანუ იმას, რაც მხოლოდ წარმოსახვითად არსებობს; ფიქცია გონების გამონაგონია, რითაც ობიექტური რეალობისგან განსხვავდება, იგი შეიძლება სინამდვილის წინააღმდეგობრიობადაც განიმარტოს, ფიქცია განიხილება მეთოდოლოგიურ დამხმარე საშუალებად, რომლის მეშვეობით, გააზრებულად მცდარი წარმოდგენები სწორი შედეგობრიობის შეცნობასა და დადგენაში გვეხმარება.¹²

თავის მხრივ, ფიქციისგან განსხვავებით გაუქარწყლებელი პრეზუმფცია ფაქტის არსებობას ვარაუდობს, რომელიც შესაძლოა ნამდვილიც აღმოჩნდეს. გაუქარწყლებელი პრეზუმფცია იმთავითვე არ გულისხმობს გამონაგონი, რეალობასთან შეუსაბამო გარემოებებისა თუ მოვლენების არსებულად მიჩნევას, ის არ უარყოფს არსებულ სინამდვილეს. ფიქცია კი, არსებული სინამდვილის ფარგლებში წარმოშობილი სამართალურთიერთობების რეგულირების გამარტივების მიზნით, ცდება მის ფარგლებს და ხელოვნურად ქმნის გარკვეულ წარმონაქმნს, შეიმუშავებს ბუნებრივი მოცემულობისთვის შეუსაბამო კონსტრუქციას, ნერგავს მას საკითხის მომწესრიგებელ ნორმებში, რითაც ამარტივებს ნორმათმეფარდებას. ამასთან, ფიქცია გარკვეული მოცემულობაა, რომელიც ჭეშმარიტებისა და სიმცდარის კრიტერიუმებით შეფასებას არ ექვემდებარება.

ფიქციისაგან განსხვავებით, გაუქარწყლებელი პრეზუმფცია მოქმედი სინამდვილის ფარგლებში გარკვეული ფაქტისა თუ მოვლენის არსებობას ვარაუდობს. მაგალითად, სა-

სამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით, დადგენილი ფაქტების სისწორე პრეზუმირდება თუმცა, ობიექტურ რეალობაში არსებულ გარემოებებთან მიმართებით, სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები შესაძლოა ჭეშმარიტი ან მცდარი აღმოჩნდეს. ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტისას, სასამართლოს ფართო უფლებამოსილებების მიუხედავად, ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას, იგი შეზღუდულია საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით, საქმის მასალებში დაცული ინფორმაციითა და მონაცემებით, რის გამო მტკიცებულებების სათანადო მოძიებისა და შესწავლის მიუხედავად, სასამართლოს მიერ საქმის მასალებთან შესაბამისობაში მყოფი ფაქტობრივი გარემოებები შესაძლოა ობიექტურად არსებულ გარემოებებთან შეუსაბამო აღმოჩნდეს. თუმცა, არ გამოირიცხება და ადმინისტრაციული დავის ფარგლებში ხშირ შემთხვევაში, მიიღწევა კიდევ, სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების რეალურად არსებულ გარემოებებთან შესაბამისობა. ამასთან, სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ობიექტურ რეალობასთან შესაბამისობის მიუხედავად, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სამოქალაქო დავებში სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს, არ შეუძლიათ სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები (სასკ 1.2 მუხ., სსკ 26ნ მუხ.). ამდენად, მოქმედებს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სისწორის პრეზუმფცია, რომლის გაქარწყლება ნორმატიულად იკრძალება. თუმცა, ეს არ გულისხმობს აღნიშნული პრეზუმფციის ფიქციად მიჩნევის შესაძლებლობას, რადგან ფიქციის არსობრივი მახასიათებელი სინამდვილესთან წინააღმდეგობრიობაა, იურიდიულ ფიქციებში რაიმე „არარსებული“ განიმარტება როგორც „არსებული“ და პირიქით. პრეზუმფცია არსებითად არის ვარაუდი, მიხვედრა და შესაძლებელი ამროვნებითი კონსტრუქცია, ხოლო ფიქცია არის წინასწარ განსაზღვრული, გააზრებული და ცნობიერად გამოგონებული კონსტრუქცია.¹³ მარტივად რომ ვთქვათ, ფიქცია ნამდვილად აცხადებს არარეალურს, ობიექტურ სინამდვილესთან შეუსაბამოს, ხოლო პრეზუმფცია არსებული სინამდვილის ფარგლებში ვარაუდობს გარკვეული ფაქტის არსებობას, რომელიც შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. ამდენად, მოსაზრება, რომ ფიქცია პრეზუმფციისგან შეიძლება განვასხვაოთ უარყოფის შესაძლებლობის ნიშნით,¹⁴ გარკვეულ დაზუსტებასა და სრულყოფას საჭიროებს. მართალია, ფიქცია ყოველთვის არაუკუგდება-
 დია¹⁵ თუმცა, ეს იმთავითვე არ ნიშნავს, გაუქარწყლებელი პრეზუმფციის ფიქციად მიჩნევის შესაძლებლობას. ფიქციის შემთხვევაში მისი უარყოფა ლოგიკურად შეუძლებელია, ფიქციის ბუნება გამოირიცხავს მისი ჭეშმარიტებისა თუ მცდარობის შეფასების შესაძლებლობასაც კი, მაშინ, როდესაც გაუქარწყლებელი პრეზუმფციის შემთხვევაში, ასეთი მსჯელობის შესაძლებლობა ლოგიკურად დაშვებული და ობიექტურად შესაძლებელია, თუმცა, აღნიშნულს

სათანადო ნორმატიული დანაწესი კრძალავს. ამდენად, ფიქციად შეიძლება მივიჩნიოთ არა თავად გაუქარწყლებელი პრეზუმფცია, არამედ ნორმატიულად კონკრეტული პრეზუმფციის გაუქარწყლებლად მიჩნევა.

2. კანონის ცოდნის პრეზუმფცია

2.1. თავისუფლება – კანონის ცოდნის პრეზუმფციის საფუძველი

სამართლის ნორმა ადგენს, რომ ფაქტების გარკვეული კავშირის შემთხვევაში, მას შესაბამისი სამართლებრივი შედეგი „უნდა“ მოჰყვეს. გარკვეული ფაქტების კავშირის შემთხვევაში, პირმა უნდა იმოქმედოს გარკვეული წესით, ნორმა იმ ქცევის მასშტაბია, რომელიც „უნდა“ იყოს.¹⁶ ამასთან, ნორმის სუბიექტს უნდა შეეძლოს იმ სიტუაციაში გარკვევა, რომელშიც ის იმყოფება, რათა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და განსაზღვროს თავისი გადაწყვეტილების მოსალოდნელი შედეგები. თავის მხრივ, ნორმატიული მოვალეობის მხედველობაში მიღება თუ უგულებელყოფა პასუხისმგებლობის საფუძველია. პასუხისმგებლობა თავისუფლებისა და აუცილებლობის კავშირის ფორმაა თუმცა, პასუხისმგებლობა შემეცნების გარეშე არ არსებობს.¹⁷ პირმა უნდა იცოდეს მის მიმართ მოქმედი ნორმატიული მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არ ექნება თავისი ქმედებისა თუ უმოქმედობის თანამდევი სამართლებრივი შედეგების შეცნობის და ამდენად, არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, ხოლო პირი, რომელიც არჩევანის არარსებობის და ამ გაგებით, არათავისუფალ გარემო პირობებში მოქმედებს, დამდგარ შედეგზე პასუხისმგებელი ვერ იქნება. პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი ქმედების არჩევაში თავისუფალია, როდესაც დამდგარი შედეგი პირის არჩევანის პირდაპირი თუ არაპირდაპირი შედეგია. არჩევანი კი, არა მხოლოდ კონკრეტული ქმედებისა თუ უმოქმედობის, არამედ მათი მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების არჩევასა თუ დათანხმებას გულისხმობს. ამდენად, თუ დავუშვებთ, რომ პირმა არ იცის არსებული ნორმატიული მოწესრიგება, გამოირიცხება მისი პასუხისმგებლობის შესაძლებლობაც. მართალია, ნორმის სუბიექტების მიერ კანონის რეალურ და ფორმალურ ცოდნას შორის არსებული ფაქტობრივი სხვაობის უარყოფა აზრს მოკლებულია თუმცა, სამართლებრივი სტაბილურობის, ნორმათშეფარდების პროცესის გამარტივების მიზნით, მოქმედებს კანონის ცოდნის პრეზუმფცია – პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნებისათვის იგულისხმება, რომ პირმა იცის კანონი.

აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც ძალაუფლებას ახორციელებს თავისი

წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო საქართველოს პარლამენტი (კონსტიტუციის 36.1 მუხ.), რომელიც შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული წევრებისაგან (კონსტიტუციის 37.2 მუხ.). არჩეული (სახალხო წარმომადგენლობითი) ორგანოსთვის საკანონმდებლო უფლების გადაცემა დემოკრატიის ძირეული თვისებაა, რადგან ამ გზით მოქალაქეები თუმცა, არაპირდაპირ, მაგრამ მაინც თავად ქმნიან თავიანთ კანონებს.¹⁸ ამდენად, პირი, როგორც საქართველოს მოქალაქე, ირჩევს პარლამენტს, რომელიც მისი წარმომადგენელია და მისი სახელით, მის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში იღებს შესასრულებლად სავალდებულო ქვეყის წესს. შესაბამისად, იგულისხმება, რომ მოქალაქეებმა იციან მათ მიერვე მიღებული კანონი და კისრულობენ პასუხისმგებლობას მათი ნებითა თუ დაშვებით დადგენილი ნორმატიული წესების დარღვევისთვის, რადგან ადამიანის თავისუფლება არა მხოლოდ მის მიერ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას, არამედ თავის ქმედებათა შედეგებზე პასუხისმგებლობის აღებასაც გულისხმობს. თავისუფლება პასუხისმგებლობას ნიშნავს, წესრიგი არ არის საზოგადოებაზე გარედან განხორციელებული ზეწოლა, როდესაც კანონებს ვემორჩილებით არ ვექვემდებარებით სხვა ადამიანის ნებას და, მაშასადამე, თავისუფლები ვართ.¹⁹ ამდენად, სამართალში მოქმედი კანონის ცოდნის პრეზუმფციის საწყისები ადამიანის თავისუფლებაში ძევს. პირს არ ეკისრება კანონის ცოდნის ვალდებულება, მაგრამ კანონის არცოდნა მას არ ათავისუფლებს თავისი ვალდებულებების შესრულებისაგან.²⁰ ამდენად, პირი თავად წყვეტს რეალურად ეცოდინება თუ არა კანონი, რის გამოც კანონის არცოდნით გამოწვეული ფაქტობრივად დამდგარი ნეგატიური შედეგები, სწორედ მისი პასუხისმგებლობის სფეროში ექცევა.

2.2. სამართლებრივი ბუნება, პრაქტიკული რეალიზაციის საკითხები, უარყოფის შესაძლებლობა

იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში კანონის ცოდნის პრეზუმფციის სამართლებრივ ბუნებაზე მსჯელობის სხვადასხვა მიდგომებს ვხვდებით. ზოგან კანონის ცოდნის პრეზუმფცია განიხილება: როგორც პრეზუმფცია, ფიქცია და აქსიომა, მისი მიჩნევა ხდება უდავოდ არსებულ ჭეშმარიტებად.²¹ სხვა შემთხვევაში მიჩნეულია, რომ უარყოფის შეუძლებლობის გათვალისწინებით სახეზე გვაქვს ფიქცია და არა პრეზუმფცია,²² ხოლო არსებულ სასამართლო პრაქტიკაში უმეტეს შემთხვევებში მიჩნეულია, რომ სახეზეა უარყოფას დაქვემდებარებული პრეზუმფცია.²³ პირველ ყოვლისა, ერთმნიშვნელოვნად უნდა

უარვყოთ ის მოსაზრება, რომ კანონის ცოდნის პრეზუმფციის განხილვა შეიძლება როგორც პრეზუმფციად, ასევე ფიქციად და აქსიომად ერთდროულად, რადგან „პრეზუმფცია“, „ფიქცია“ და „აქსიომა“ სხვადასხვა მახასიათებლების მქონე ზოგადი ცნებებია. ზოგადი ცნების ფარგლებში კერძო კატეგორიის მოქცევა კი, როგორც წესი, იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც სახეზე ზოგადი ცნების ყველა მახასიათებელია. შესაბამისად, გემოაღნიშნულ ზოგად ცნებათა არსობრივი სხვადასხვაობა, კანონის ცოდნის პრეზუმფციის ერთობლივად ყველა მათგანად მოაზრების შესაძლებლობას სრულად გამოირიცხავს.

აქსიომისა და ფიქციის ცნებების სხვადასხვაობის მიუხედავად, მათი საერთო მახასიათებელი მათი არსებულ მოცემულობად ჩათვლა, მათი სიმცდარის დადასტურების შეუძლებლობაა, ხოლო პრეზუმფცია, როგორც აღინიშნა, შესაძლოა იყოს გაუქარწყლებელი ან გაქარწყლებადი. ამდენად, მოცემული რომელიმე კატეგორიისადმი კანონის ცოდნის პრეზუმფციის მიკუთვნება თავდაპირველად, მისი უარყოფის შესაძლებლობის გამორკვევას საჭიროებს, რადგან თუ კანონის ცოდნის ნორმატიული ვარაუდის საწინააღმდეგო გარემოების დადასტურება გარკვეულ პირობებში მაინც შესაძლებელია, გამოირიცხება მისი ფიქციად ან აქსიომად მიჩნევის შესაძლებლობა.

ზოგადი წესის მიხედვით, ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნების შემდეგ, დაუმჯებელია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდველი, ასევე, იურიდიული პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების გამოუქვეყნებლობა („ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის (22.10.2009) 22-ე, 23-ე, 26.3 მუხ.). საქართველოს კონსტიტუცია შეიცავს ერთმნიშვნელოვან დათქმას კანონის ძალაში შესასვლელად მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნების საჭიროების შესახებ (46.7 მუხ.). ამდენად, ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნების შემდგომ, კანონითვე დადგენილი კონკრეტული მომენტიდან, კანონი ფორმალურად ამოქმედებულია და იწვევს სათანადო სამართლებრივ შედეგებს. თუმცა, კანონის მიღების, გამოქვეყნებისა და ამოქმედების ფორმალური პროცედურის დაცვა იმთავითვე არ გამოირიცხავს მის მიმართ ცოდნის ვარაუდის საწინააღმდეგო გარემოების დადასტურებას, რადგან შესაძლოა გამოიკვეთოს კანონის ტექსტის ბუნდოვანების ისეთი ხარისხი, რაც პირის მიერ მის აღქმას ობიექტურად ართულებს, რის გამო პირი რეალურად მოკლებულია კანონშესაბამისი ქცევის არჩევის შესაძლებლობას იმ საფუძვლით, რომ განსაზღვრულობის სათანადო ხარისხით არ დგინდება ნორმით დაწესებული ქცევის წესის შინაარსი.

ნორმა კონკრეტული, გასაგები და წინასწარგანჭვრეტადი უნდა იყოს. კანონი უნდა პასუხობდეს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და შესაბამისად, განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნებს. აუცილებელია ნორმის შინაარსობრივი სიზუსტე, არაორაზროვნება. ნორმა უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული არა მხოლოდ შინაარსის, არამედ რეგულირების

საგნის, მიზნისა და მასშტაბების მიხედვით, რათა ადრესატმა სწორად აღიქვას კანონი და განჭვრიტოს თავისი ქცევის შედეგები. განსაზღვრულობის მასშტაბი ზოგად დადგენას არ ექვემდებარება, არამედ დამოკიდებულია კონკრეტული შემთხვევის თავისებურებაზე. საკანონმდებლო რეგულირებისას, რა თქმა უნდა, იმთავითვე ვერ იქნება აცილებული ყველა გაურკვევლობა და ეჭვი, მაგრამ აუცილებელია, რომ კანონმდებელმა, სულ ცოტა, ძირითადი იდეა, თავისი საკანონმდებლო ნება და მიზანი, სრულიად გარკვევით ჩამოაყალიბოს.²⁴ წინასწარ განჭვრეტის მოთხოვნა განსაკუთრებით აქტუალურია პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებთან მიმართებით.²⁵ ამდენად, თუ ნორმა მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგის იდენტიფიცირების ობიექტურად არასაკმარის შესაძლებლობას იძლევა, იგი ვეღარ აღიქმება ქცევის წესის დამდგენ მოწესრიგებად, რის გამოც კანონის ცოდნის პრეზუმფცია მის მიმართ არ უნდა გავრცელდეს. მსგავსების დანახვა შეგვიძლია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არსებულ მიდგომებთან, რომელიც უფლებაში ჩარევის შესაძლებლობის კანონით გათვალისწინების შეფასებისას, არა მხოლოდ ფორმალური ნორმატიული საფუძვლის არსებობას, არამედ მის ხარისხსაც ამოწმებს და ხარისხის არადამაკმაყოფილებლად მიჩნევის შემთხვევაში თვლის, რომ ჩარევას ლეგიტიმური საფუძველი არც ჰქონია.²⁶ ვფიქრობთ, ასეთივე სტანდარტი უნდა იყოს გამოყენებული აგრეთვე, კანონის ცოდნის პრეზუმფციასთან მიმართებით. პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის ობიექტურად არსებითი ბუნდოვანების გამო, თუ მისი სუბიექტისათვის შეუძლებელი ან მნიშვნელოვნად გართულებული იყო ნორმის შინაარსის აღქმა, ვფიქრობთ, მის მიმართ კანონის ცოდნის პრეზუმფცია აღარ უნდა გავრცელდეს. სამართლის ნორმის მოქმედება ნიშნავს, რომ რასაც სამართლის ნორმა ითვალისწინებს, საყოველთაოდ სავალდებულო საზომი და ქცევის ორიენტირია,²⁷ თუმცა, თუ ნორმის არსებითი ბუნდოვანების გამო, ქცევის ორიენტირი ვერ დგინდება, გაურკვეველია ნორმის სუბიექტთან მიმართებით, რისი ცოდნის ვარაუდი უნდა მოხდეს. აქ არ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც მაგალითად, პირს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადოდ განემარტა დარღვევის შინაარსი ან განმეორებით ეკისრება პასუხისმგებლობა კონკრეტული დარღვევისთვის და ამდენად, მისთვის ცნობილია თავისი ქმედების მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები და სხვ. ნორმის ბუნდოვანება კანონის ცოდნის პრეზუმფციის გამომრიცხავ გარემოებად დასახელდა აგრეთვე, საკასაციო პალატის არაერთ გადაწყვეტილებაში (განჩინებაში), სადაც განიმარტა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პროცედურების დაცვით შემუშავებული, სახელმწიფო ენაზე არაბუნდოვნად შედგენილი, ოფიციალურად გამოქვეყნებული, გაცნობისათვის ხელმისაწვდომი შესასრულებლად სავალდებულო ქცევის ზოგადი წესის შესახებ ინფორმაციის მოქალაქეთა მიერ ცოდნა იგულისხმება და დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს. თუმცა, ობიექტური

გარემოებები, მათ შორის, ნორმის ტექსტის არსებითი ბუნდოვანება, რასაც შეეძლო ხელი შეეშალა კანონის გაცნობაში ან იმ ფაქტის დადასტურება, რომ დაინტერესებულმა მხარემ არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა კანონის დანაწესი, კანონის ცოდნის პრეზუმფციის უარყოფის საფუძვლად იქნა მიჩნეული.²⁸

ამდენად, დგინდება ისეთი გარემოებების არსებობა, რომელთა დადასტურების შემთხვევაში, კანონის ცოდნის პრეზუმფცია წყვეტს მოქმედებას. მართლაც, პირი ვერ ჩაითვლება იმ ნორმის მცოდნედ, რომლის ტექსტის არსებითი ბუნდოვანების გამო, მისი შინაარსის დადგენა უმეტესწილად, შეუძლებელია. აღნიშნულის გარდა, პირმა შესაძლოა დაადასტუროს ისეთი გარემოებების არსებობა, რომელიც სათანადო წესით გამოქვეყნებული არაბუნდოვანი ნორმის მის მიერ გაცნობას ალბათობის მაღალი ხარისხით გამორიცხავდა. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ გარემოებად შეიძლება განვიხილოთ პირის უცხო ქვეყნის სასჯელალსრულების დაწესებულებაში ყოფნა ან სხვა რაიმე დაუძლეველი ძალის ეფექტის მქონე მოვლენა, რაც პირს მაგალითად, ახლადმიღებული ნორმის ტექსტის გაცნობის შესაძლებლობას უსპობდა.

აგრეთვე საინტერესოა, კანონის ცოდნის პრეზუმფციის გავრცელების შესაძლებლობა მხედველობის პრობლემების მქონე პირებთან მიმართებით, იმ ნორმატიულ აქტებზე, რომელთა გამოქვეყნება სპეციალური საჭიროებების მქონე პირისათვის მისაღები ფორმით არ მომხდარა. საქართველოს საკანონმდებლო მაცნის ოფიციალური ვებგვერდი ამ ეტაპზე იძლევა ნორმატიული აქტის ტექსტის მოსმენის, ასევე კანონის ტექსტის აუდიო ფაილის სახით გადმოწერის შესაძლებლობას, რაც ერთმნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია. თუმცა, იმისათვის, რომ კონკრეტულ ნორმასთან მიმართებით, საიტის აღნიშნული ფუნქცია გააქტიურდეს, უნდა მოხდეს კონკრეტული ნორმის მოძიება და პირისთვის საინტერესო ტექსტის მონიშვნა, რაც სპეციალური საჭიროების მქონე პირისათვის ნორმის ტექსტის ხელმისაწვდომობას ართულებს. დაუშვებელია პირს მოეთხოვოს იმ კანონის ცოდნა, რომლის ტექსტი მისთვის აღქმადი ფორმით არ გამოქვეყნებულა. ამდენად, თუ მსგავსი საჭიროების მქონე პირი მიუთითებს მისთვის აღქმადი ფორმით კანონის ტექსტის გამოუქვეყნებლობაზე, ვფიქრობთ, კანონის ცოდნის პრეზუმფციამ უნდა შეწყვიტოს მოქმედება და ასეთი პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებამდე, საერთო წესით უნდა დადასტურდეს მის მიერ კანონის ტექსტის ცოდნა ან ცოდნის ობიექტური მოსალოდნელობა. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ მსგავს შემთხვევებს არ უნდა გავუთანაბროთ კანონის ტექსტის იმ ენაზე გამოუქვეყნებლობა, რომელიც პასუხისმგებლობადაკისრებულმა პირმა არ იცის, რადგან ნორმათშემოქმედება და ნორმათშეფარდება სახელმწიფო ენაზე ხორციელდება, თავის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზური (საქართველოს კონსტიტუციის 2.3 მუხ.). სახელმწიფო ნორმათშემოქმედებასა

და ნორმათშეფარდებას სწორედ ამ ენაზე ახორციელებს, შესაბამისად, სახელმწიფო ენის არცოდნის ნეგატიური შედეგები ენის არმცოდნე პირის და არა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სფეროში ექცევა, რაც არ გამოირიცხავს სათანადო წინაპირობების არსებობისას, პირის თარჯიმნის მომსახურებით უზრუნველყოფის საჭიროებასა და სახელმწიფოს სათანადო ვალდებულების არსებობას. თუმცა, გადაჭარბებული ტვირთი იქნებოდა სახელმწიფოსთვის ნორმების ტექსტის ყველა იმ ენაზე თარგმნისა და გამოქვეყნების დავალება, რომლის მცოდნე პირიც შესაძლოა ამ ნორმის მოქმედების ფარგლებში მოექცეს. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკანონმდებლო მაცნის ვებგვერდზე ნორმატიული მასალის გარკვეული ნაწილი ინგლისურ და რუსულ ენებზეა გამოქვეყნებული, რაც ამ ნორმატიული ტექსტების გაცნობის შესაძლებლობას იძლევა და ფართო მასებისთვის მათ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ კანონის ცოდნის პრეზუმფციის უკუგდება შესაძლებელია, სახეზე არ გვაქვს გაუქარწყლებელი ვარაუდი, რის გამო თუნდაც ამ საფუძვლით გამოირიცხება კანონის ცოდნის პრეზუმფციის ფიქციად თუ აქსიომად მიჩნევა. გარდა ამისა, კანონის ცოდნის ვარაუდი არ არის განზრახ მცდარი დაშვება, რეალობასთან შეუსაბამო, გააზრებულად ხელოვნური წარმოდგენა, პირიქით – უმეტეს შემთხვევებში, იგი შესაძლოა ფაქტობრივად არსებულ ვითარებას ემთხვეოდეს. კანონის ცოდნის პრეზუმფცია ფიქციის მახასიათებლებს ვერ იძენს მათ შორის, სპეციალური საჭიროებების მქონე პირებთან თუ სახელმწიფო ენის არმცოდნე სუბიექტებთან მიმართებითაც, რადგან არ გამოირიცხება მათ მიერ კანონის რეალურად ცოდნა, ნორმის ტექსტის შინაარსის სათანადო წესით გაცნობა. ფიქციის ნამდვილობისა თუ მცდარობის შეფასება კი, შეუძლებელია, მისი ფაქტობრივი მოცემულობის მიღმა არსებობის გამო. ის, რომ კონკრეტულ პირებთან მიმართებით, კანონის ცოდნის ფორმალური დაშვების რეალობასთან შესაბამისობის მოსალოდნელობა შედარებით მცირეა, პრეზუმფციას ფიქციად ვერ აქცევს, მათთვის მახასიათებლებს შორის არსებითი სხვაობის გათვალისწინებით, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. შესაბამისად, ვადგენთ, რომ კანონის ცოდნის ვარაუდი გაქარწყლებადი სამართლებრივი პრეზუმფციაა, რომლის უარყოფის მტკიცების ტვირთი შესაბამის დაინტერესებულ პირს ეკისრება.

3. მოქმედების ფარგლები, „კანონი“ – კანონის ცოდნის პრეზუმფციის მიზნებისთვის

კანონის ცოდნის პრეზუმფცია უწყინარი ვარაუდი არ არის, მასზე დაყრდნობით შესაძლოა ნორმის სუბიექტების მიმართ მნიშვნელოვანად ნეგატიური სამართლებრივი შედეგები დად-

გეს, ამიტომ გადაწყვეტია მისი მოქმედების ფარგლების განსაზღვრა. ამასთან, შესაძლოა საზღვრების ზუსტი გავლება ვერ მოხერხდეს, თუმცა სულ მცირე, უნდა შემუშავდეს ის ძირითადი საფუძვლები, რომელთა გათვალისწინებითაც კონკრეტულ სამართალურთიერთობაში კანონის ცოდნის პრეზუმფციის გამოყენების შესაძლებლობა იქნება დაშვებული.

კანონის ცოდნის პრეზუმფციის მოქმედების ფარგლების დასადგენად, პირველ ყოვლისა, გარკვევას საჭიროებს ტერმინ „კანონის“ შინაარსი. „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს საკანონმდებლო აქტებია: საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, კანონი და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი (7.2 მუხ.). იერარქიულად მათ შორის ყველაზე ნაკლები ძალა აქვს ე. წ. „ჩვეულებრივ“ კანონს (7.3 მუხ.). ამდენად, ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ვინაიდან ყველაზე ნაკლები იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტით დადგენილი მოწესრიგების, მისი სუბიექტების მიერ ცოდნა ივარაუდება, მით უფრო უნდა არსებობდეს აღნიშნული ვარაუდი იურიდიულად უფრო მაღალი ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან მიმართებით. თუმცა, გარკვეული კითხვის ნიშნები შეიძლება წარმოიშვას კანონის ცოდნის პრეზუმფციის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან მიმართებით გამოყენების შემთხვევაში. სასამართლო პრაქტიკაში როგორც ჩანს, ეს საკითხი პრობლემური არ არის, რადგან როგორც ადმინისტრაციული, ასევე სამოქალაქო პალატის განმარტებების მიხედვით, კანონის ცოდნის პრეზუმფცია გავრცელებულია მათ შორის, კანონქვემდებარე აქტებზეც.²⁹ განიშარტა, რომ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, თავისთავად წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს და მის მიმართ სავსებით ვრცელდება კანონის ცოდნის პრეზუმფცია.³⁰

სახალხო სუვერენიტეტის განმახორციელებელი წარმომადგენლობითი დემოკრატიული მმართველობის მიზნებისთვის, კანონი აბრთა ჭიდილში გამარჯვებულ, უმრავლესობის ნორმატიულად დადგენილ ნებად განიშარტება და მიიჩნევა, რომ აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები აღნიშნული ნების განხორციელებას ემსახურებიან. ამასთან, კანონი არ არის სახელმწიფო სამართლის ერთადერთი წერილობითი გამოვლინება, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ასევე, შეიცავენ გენერალურ-აბსტრაქტულ მოწესრიგებებს, ისინი მატერიალური თვალსაზრისით, იმავე სახით ბოჭავენ ნორმის ადრესატებს, როგორც კანონი თუმცა, მიღებულნი არიან განსხვავებული წესით.³¹ თანამედროვე მმართველობის პირობებში გაზრდილია სახელმწიფოს როლი სამართლებრივი სფეროს რეგულირების, ასევე, დროული და ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების საჭიროების კუთხით. შესაბამისად, ხელისუფლების დანაწილების კლასიკური მოდელი, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა მკაცრად გამიჯნული კომპეტენციებით, გარკვეულ

მოდინიცირებას განიცდის და რიგ შემთხვევებში, აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირების აუცილებლობას განაპირობებს. მათ შორის, დაიშვება ძირითად უფლებებთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირება.³² მართლაც, ხშირია შემთხვევები, როდესაც პირს თავისი ქცევის შესაბამისობის უზრუნველყოფა უწევს არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ მატერიალურ კანონთანაც – კანონქვემდებარე ნორმატიულ დანაწესებთან. აქედან გამომდინარე, ნორმაში ტერმინი „კანონის“ მიუხედავად, კანონის ცოდნის პრეზუმფციის მხოლოდ საკანონმდებლო აქტებზე გავრცელება ვერ იქნება ნორმის მიზნის შესაბამისი და ვერ უზრუნველყოფს მისი ფუნქციების რეალიზებას, მით უფრო, ადმინისტრაციულ სამართალში, რომელიც ისეთ ფართო სფეროებს აერთიანებს როგორცაა: საგადასახადო სამართალი, სამშენებლო სამართალი, სააღსრულებო სამართალი, განათლების სამართალი, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა, ხოლო ადმინისტრაციულსამართლებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმების უმეტესობა სწორედ კანონქვემდებარე აქტებშია თავმოყრილი. ამდენად, გასაზიარებელია მოსაზრება სკ-ის 3.2 მუხლის კანონქვემდებარე აქტებთან მიმართებით გავრცელების შესახებ. თუმცა, პრობლემურია ის ფაქტი, რომ ნორმატიული აქტების ოფიციალურად გამოქვეყნების ორგანოში – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე კანონქვემდებარე აქტების პირველადი ვერსიებია ხელმისაწვდომი, ამ ნორმატიული აქტების კონსოლიდირებულ ვერსიასთან დაშვება ხდება მხოლოდ სათანადო საფასურის გადახდის შემდეგ (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 06.01.2022წ. №802 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში ნორმატიული აქტების გამოქვეყნებისა და მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის“ 5.1 მუხ. „ა“ ქვ.პ., 6.1 მუხ., 1.2 ცხრილის 1-ელი პ.). ამასთან, №802 ბრძანებით დამტკიცებული „წესი“ არ ადგენს რაიმე გამონაკლისსა და შეღავათს, თუნდაც სოციალურად დაუცველ პირებთან მიმართებით, რომელთაც იგულისხმება, რომ არსებობისთვის საკმარისი ფინანსური რესურსიც კი არა აქვთ, ამ პირების შემოსავალს სახელმწიფოსაგან გადაცემული სახსრები შეადგენს. უგულებელყოფილია ის გარემოება, რომ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მომსახურების საფასურის გადახდის შემთხვევაში, მათ სახელმწიფოს მიერ მიღებული სოციალური შემწეობის განკარგვა მოუწევთ. გასათვალისწინებელია, რომ დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, კანონის ცოდნის პრეზუმფცია გულისხმობს კანონის გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის შემდეგ, საზოგადოების ნებისმიერი ფენის მიერ მისი ცოდნის ვარაუდს,³³ მხარის ქონებრივი მდგომარეობა თუ ადვოკატის არყოლის შესაძლებლობა კანონის ცოდნის პრეზუმფციას არ აქარწყლებს,³⁴ კანონის ცოდნის პრეზუმფცია ყველასა და თითოეულზე ვრცელდება.³⁵ ამდენად, ერთი მხრივ, სოციალურად დაუცველ

პირებზე სხვა პირების მსგავსად ვრცელდება მათ შორის, კანონქვემდებარე აქტების ცოდნის პრეზუმფცია, ხოლო მეორე მხრივ, ფინანსური მდგომარეობის გამო, ალბათობის მაღალი ხარისხით მათ ექმნებათ მნიშვნელოვანი წინაღობა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მათთვის საჭირო რედაქციასთან დაშვებისას. ამდენად, ვფიქრობთ, რომ მართალია, კანონქვემდებარე აქტებზე ძირითადად უნდა გავრცელდეს კანონის ცოდნის პრეზუმფციის მოქმედება თუმცა, სათანადოდ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა პირის დაშვება ნორმის მისთვის საინტერესო რედაქციასთან.

4. კანონის ცოდნის პრეზუმფციის მოქმედება ადმინისტრაციული დაჯგუფების სასამართლო წესით განხილვისას

ინტერესს მოკლებული არ არის კანონის ცოდნის პრეზუმფციის საპროცესო ნორმებზე გავრცელების შესაძლებლობა. არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლოა საუბარი არა მატერიალურ და პროცესუალურ პრეზუმფციებზე, არამედ პრეზუმფციათა მატერიალურ და პროცესუალურ მნიშვნელობაზე.³⁶ თუმცა, ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პროცესუალური პრეზუმფციები დამოუკიდებლად არსებობს და მათ მიეკუთვნება საპროცესო კანონმდებლობაში ასახული ნორმებით დადგენილი, სასამართლო წარმოებისას მოქმედი პრეზუმფციები.³⁷ ვფიქრობთ, აღნიშნული მიდგომები ერთმანეთს არ გამოირიცხავს, ორივე მათგანი რეალობას ასახავს, რადგან ერთი მხრივ, შესაძლებელია ვისაუბროთ მატერიალურსამართლებრივი ნორმით დადგენილი პრეზუმფციის პროცესუალურ მნიშვნელობაზე. მაგალითად, მტკიცების ტვირთის განაწილების კონტექსტში, ხოლო მეორე მხრივ, აგრეთვე არსებობს პრეზუმფციის დამდგენი პროცესუალურსამართლებრივი ნორმები და ამ გაგებით პროცესუალურსამართლებრივი პრეზუმფციები.

ადმინისტრაციული პროცესი მატერიალური ნორმებით დადგენილი უფლებების რეალიზაციის, ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის კონტროლის საშუალებაა.³⁸ შესაბამისად, საპროცესო წარმოების ინსტრუმენტული ხასიათის გამო, სასამართლო პროცესის მართებულად წარმართვას, მხარეთა მიერ მათი საპროცესო უფლებების რეალიზებას თუ მათზე დაკისრებული საპროცესო ვალდებულებების სათანადოდ შესრულებას, შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ამასთან, ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპი, არ მოიაზრებს პროცესის მხარეთა აქტივობის გამოირიცხვას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი კანონის ცოდნის პრეზუმფციაზე რაიმე სახით მითითებას არ შეიცავს. ამასთან, მართალია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სპეციალური მოწესრიგების არარსებობისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით

დადგენილი დებულებები გამოიყენება (სასკ-ის 1.2 მუხ.), თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ვერც სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ვხვდებით ასეთ დანაწესს. მართალია, ადმინისტრაციული პროცესის ნორმები თავად მართლმსაჯულების განმახორციელებელთა ქმედებების განმსაზღვრელია,³⁹ მაგრამ არა მხოლოდ, – საპროცესო კანონმდებლობა მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განმსაზღვრელ რიგ ნორმებს შეიცავს, რომელთა არასათანადო განხორციელება სასამართლო დავის კონკრეტული მხარისათვის ნეგატიური შედეგით დასრულების საფუძველი შეიძლება გახდეს. ამდენად, გარკვევას საჭიროებს, იგარაუდება თუ არა მხარის მიერ თავისი უფლებებისა თუ მოვალეობების დამდგენი საპროცესო ნორმების ცოდნა. მართალია, ადმინისტრაციულ პროცესში მხარეებად სსსკ-ის 79-ე მუხლით დადგენილი სუბიექტების გარდა, დამატებით ადმინისტრაციული ორგანო მონაწილეობს (სასკ-ის მე-14 მუხ.), თუმცა, სტატიის მიზნებისათვის „მხარეში“ მოვიაზრებთ კერძო სუბიექტებს და არა ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის სპეციფიკური მახასიათებლები შესაძლოა მასზე კანონის ცოდნის პრეზუმფციის განსხვავებულად გავრცელებას განაპირობებდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კერძო პირებთან მიმართებით, საპროცესო ნორმებზე ვრცელდება კანონის ცოდნის პრეზუმფცია და საპროცესო ნორმით მინიჭებული უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში, შესაბამისი პირისათვის დგება სათანადო ნეგატიური შედეგები.⁴⁰ აღნიშნული განმარტების ზოგადი ხასიათი ერთგვარად იზღუდება სხვა დავებზე შემოთავაზებული განმარტებებით. მაგალითად, აღინიშნა, რომ საპროცესო კოდექსით საჩივრის შეტანის ვადის ზუსტად განსაზღვრის მიუხედავად, სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში გასაჩივრების ვადისა და წესის მიუთითებლობის პირობებში, დაუშვებელია გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დარღვევის კრიტერიუმების განსაზღვრა, სამოქალაქო საქმეთა საკასაციო პალატამ თავისი მიდგომა სსსკ-ის 249.5 მუხლის გარდა, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებაზე მითითებით დაასაბუთა.⁴¹ ამ კუთხით, ერთგვარად განსხვავებული ვითარება გვხვდება ადმინისტრაციულ დავებში. მართალია, სასკ-ის 1.2 მუხლის დანაწესის მხედველობაში მიღებით, ანალოგიური განმარტების გავრცელების შესაძლებლობა ადმინისტრაციულ დავებშიც დასაშვები იქნებოდა თუმცა, ამის საჭიროება არ არსებობს, რადგან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ერთმნიშვნელოვანად აწესრიგებს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადისა და წესის განმარტების არარსებობის ან არასათანადოდ განმარტების სამართლებრივ შედეგებს. სასკ-ის მე-12 მუხლის მიხედვით, გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა – სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი (1-ელი ნაწ.), თუ მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ

ან ეცნობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული რომელიმე მოთხოვნის დარღვევით, მაშინ გასაჩივრება შეიძლება სასამართლოს აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში (მე-2 მუხ.). ასეთ დროს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 12.2 მუხლით დადგენილი გასაჩივრების 1-წლიანი ვადა ანაცვლებს.⁴² აგრეთვე, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სასკ-ის მე-12 მუხლის მოქმედება იწყება მხოლოდ გასაჩივრებას დაქვემდებარებულ აქტში გასაჩივრების ვადასა და წესზე კანონშესაბამისი განმარტების არარსებობის პირობებში, ხოლო თუ სასამართლოს აქტი საერთოდ არ ექვემდებარება გასაჩივრებას, მაშინ გასაჩივრების წესზე სასამართლოს უსწორო განმარტება სასკ-ის მე-12 მუხლის გამოყენების საფუძველს არ შექმნის, გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ სასამართლოს მიერ არასწორი განმარტება გასაჩივრების უფლებას ლეგიტიმურ ხასიათს ვერ შესძენს.⁴³ ამასთან, სასკ-ის მე-12 მუხლში მართალია, საუბარია სასამართლო აქტში გასაჩივრების ვადისა და წესის განმარტების ხარვეზების სამართლებრივ შედეგებზე თუმცა, აღნიშნული საპროცესოსამართლებრივი დანაწესი, თავისი შინაარსით ვრცელდება არა მხოლოდ სასამართლო წარმოების, არამედ ადმინისტრაციული წარმოების პროცესშიც.⁴⁴ ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით ირკვევა, რომ კანონის – სასამართლო გადაწყვეტილების/განჩინების (ასევე, ადმინისტრაციული აქტის) გასაჩივრების ვადის დამდგენი ნორმის, ცოდნის პრეზუმფცია მოცემულ შემთხვევაში წყვეტს არსებობას. ადმინისტრაციული აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრების ვადაზე შესაბამის საპროცესო ნორმებში კონკრეტული მითითების მიუხედავად, სასამართლო აქტში გასაჩივრების ვადისა და წესის მიუთითებლობის პირობებში, სასკ-ის მე-12 მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი ფაქტობრივად მხარის მიერ არა კანონის ცოდნას, არამედ არცოდნას ვარაუდობს.

პროცესის მონაწილის მიერ კანონის არცოდნის ვარაუდი შეგვიძლია დავინახოთ იმ ნორმებშიც, რომლებიც სასამართლოს ავალეებს მათთვის უფლება-მოვალეობების განმარტებას. მაგალითად, სასამართლო განუმარტავს მხარეებს აცილების უფლებას, აფრთხილებს თარჯიმანს, მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს შეგნებულად არასწორი განმარტებების შედეგებზე და სხვ. ამდენად, თუ კანონმდებელი მიიჩნევს, რომ პროცესის მონაწილემ იცის საპროცესო კანონი, მაშინ გურკვეველია სასამართლოსათვის მსგავსი მოვალეობების დაკისრების საფუძველი. თუმცა ვფიქრობთ, მსგავსი ნორმატიული დანაწესების მიუხედავად, არ უნდა მოხდეს პროცესის მონაწილეთა მიერ საპროცესო კანონმდებლობის ცოდნის ვარაუდის გამორიცხვა, რადგან მსგავსი ნორმატიული დანაწესების არსებობა განპირობებულია არა საპროცესო ნორმათა ცოდნის ვარაუდის სრული გამორიცხვით ან საპროცესო კანონმ-

დებლობის არცოდნის ვარაუდის დაშვებით, არამედ კანონმდებლის მიერ იმ გარემოების გააზრებით, რომ კანონის ცოდნის პრეზუმფცია ისეთი ვარაუდია, რომელიც ყოველთვის არ შეესაბამება რეალობას. შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია პროცესის მონაწილე პირმა არ იცოდეს თავისი უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი ნორმა, რის გამო ამ პირთა საკუთარი არცოდნის ნეგატიური შედეგებისგან დაცვის მიზნით, სასამართლოს ეკისრება მათთვის ამ უფლება-მოვალეობათა შეხსენების ვალდებულება. კანონმდებელმა იცის, რომ არსებობს სხვაობა კანონის ფორმალურ და რეალურ ცოდნას შორის, რის გამოც სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, გამონაკლის შემთხვევებში, სასამართლოსათვის ზემოაღნიშნული განმარტებების გაკეთების დავალებით ახდენს ერთგვარი დუბლირებული მექანიზმის შემოღებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ სამართალწარმოებაში მოქმედებს კანონის არცოდნის ვარაუდი, პროცესის წარმოება შესაძლოა მნიშვნელოვნად გართულდეს, რადგან სასამართლოს ყოველ დავაში მოუწევს მხარეთა მიერ კანონის ცოდნის რეალური ხარისხის გამორკვევა.⁴⁵

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული მატერიალური სამართალურიერთობისგან განსხვავებით, რომლის მონაწილეც მხარე შესაძლოა თავისი სურვილისაგან დამოუკიდებლად, მოულოდნელად და დაუგეგმავად გახდეს და რომლის მომწესრიგებელი ნორმები შესაძლოა სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტში იყოს მიმოხილული, ადმინისტრაციულ საპროცესო ურთიერთობაში კერძო პირი, რომელიც როგორც წესი, მოსარჩელეა, წინასწარ დაგეგმილად და გააზრებულად ერთვება. მაშინაც კი, თუ იგი არა მოსარჩელეა, არამედ პროცესის სხვა მონაწილეა, მას ეძლევა გონივრული ვადა საქმის მოსამზადებლად თუ სასამართლოში გამოსაცხადებლად (სსსკ-ის 70.2 მუხ.). გასათვალისწინებელია საპროცესო კანონმდებლობის კოდიფიცირებული ხასიათი, რაც პროცესის მონაწილისათვის მისთვის საინტერესო ნორმის მოძიებასა და გაცნობას აადვილებს. ამდენად, პროცესის მონაწილეს, რომელიც კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების ფარგლებში მოქმედებს, სასამართლო წარმოებაში ჩართვამდე აქვს სათანადო დრო თავის უფლება-მოვალეობათა შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ამდენად, ვფიქრობთ, რომ კანონის ცოდნის ვარაუდის რეალობასთან შესაბამისობის შესაძლებლობა ადმინისტრაციულ პროცესში უფრო მაღალია, ვიდრე მატერიალურსამართლებრივ ურთიერთობებში, რაც დამატებით ასაბუთებს სასამართლო წარმოების ფარგლებში პროცესუალური ნორმის ცოდნის პრეზუმფციის გავრცელებას.

მხედველობაშია მისაღები, რომ ზემოაღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით, ვფიქრობთ საპროცესო ნორმის ცოდნის ვარაუდის უარყოფა მატერიალური ნორმის ცოდნის უარყოფასთან მიმართებით ბევრად რთული უნდა იყოს, მაგრამ არა შეუძლებელი. მაგალი-

თად, ნორმის არსებითი ბუნდოვანება საპროცესო ნორმასთან მიმართებითაც შესაძლოა გახდეს მისი ცოდნის ვარაუდის უარყოფის საფუძველი, რადგან დაუშვებელია მხარეს დავაკისროთ იმ ნორმით გათვალისწინებული ნეგატიური სამართლებრივი შედეგი, რომლის დისპოზიციის არსებითი ბუნდოვანების გამო, მისი აღქმა ობიექტურად არსებითად გართულებულია. მართალია, აღნიშნულ ბუნდოვან ნორმას შესაძლოა სასამართლო პრაქტიკით გამოკვეთილი ჰქონდეს გარკვეული შინაარსი და ამ კუთხით ნორმის ბუნდოვანების ხარვეზი აღმოფხვრილი იყოს, თუმცა ვფიქრობთ, კანონის ცოდნის პრეზუმფცია კერძო პირებთან მიმართებით, ნამდვილად არ არის იმდენად ფართო, რომ იგი უშუალოდ ნორმის ტექსტის ცოდნის გარდა, პირს დამატებით ნორმის სასამართლოსეული განმარტების ცოდნასაც ავალდებდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი თავად იყო იმ დავის მონაწილე, რომლის ფარგლებშიც კონკრეტული, არსებითად ბუნდოვანი ნორმის შინაარსის განმარტება მოხდა.

5. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების დაუშვებლობის განმარტებისთვის

როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სამოქალაქო სამართალში პასუხისმგებლობის განმარტების არაერთ ვერსიას შევხვდებით. თუმცა, კანონის ცოდნის პრეზუმფციის მიზნებისთვის ვფიქრობთ, გასაზიარებელია განმარტება, რომლის მიხედვით, პოზიტიური პასუხისმგებლობის (ე. ი. როდესაც სუბიექტი თავის ნორმატიულ ვალდებულებებს პასუხისმგებლობით ეკიდება) მიმართ პირის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მის ნეგატიურ პასუხისმგებლობას იწვევს. კერძოდ, როდესაც პირი თავის ნორმატიულ ვალდებულებებს პასუხისმგებლობით ეკიდება, იგი ასრულებს ამ ვალდებულებებს, ხოლო როცა პირი თავისი ნორმატიული ვალდებულებების შესრულებას უპასუხისმგებლოდ ეკიდება, იგი ხდება ნეგატიურად პასუხისმგებელი თავისი უპასუხისმგებლო ქმედებისთვის.⁴⁶ კანონის ცოდნა ივარაუდება პასუხისმგებლობის როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ასპექტების მიმართ. თუმცა, მისი აქტუალიზაცია ხდება ნეგატიური პასუხისმგებლობის დადგომისას, როცა საჭირო ხდება პირის უპასუხისმგებლო ქცევის იდენტიფიცირება. ვფიქრობთ, სსკ-ის 3.2 მუხლის დანაწესი, რომლის მიხედვით, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი, თავის თავში პასუხისმგებლობის სწორედ ზემოაღნიშნულ შინაარსს მოიაზრებს და არ დაიყვანება პასუხისმგებლობის კონკრეტულ სახეებსა თუ ზომებზე, სამართალდარღვევის ჩადენის თანამდევ შედეგებზე. კანონის ცოდნის პრეზუმფციის მიზნებისთვის პასუხისმგებლობა უფრო ნორმატიულად განსაზღვრულ ნეგატიურ შედეგად შეგვიძლია განვმარტოთ, რომელიც სა-

მართლის დარგის სპეციფიკის და კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების გათვალისწინებით შესაძლოა სრულიად სხვადასხვა ფორმაში გამოვლინდეს. მაგალითად, ერთ-ერთ ადმინისტრაციულ საქმეში პირის კანონიერი ნდობა გამოირიცხა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ კანონის ცოდნის პრეზუმფციიდან გამომდინარე, პირს უნდა სცოდნოდა კანონის დანაწესი დაგეგმილი მშენებლობისათვის ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობის საჭიროების შესახებ,⁴⁷ ანუ ამ შემთხვევაში „პასუხისმგებლობა“ გამოიხატა პირზე კანონიერი ნდობის გავრცელების გამოირიცხვით, რაც ტრადიციული გაგებით პასუხისმგებლობის ცნებაში არ მოიაზრება. თუმცა, კანონის ცოდნის პრეზუმფციის შემოღების მიზნების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, პასუხისმგებლობის ნორმატიულად განსაზღვრულ ნეგატიურ შედეგთან გატოლება მართებულია. შესაბამისად, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება სწორედ ამ ნეგატიური შედეგებისაგან მხარის გათავისუფლებას გულისხმობს.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების აკრძალვა მხარეს და არა ნორმის შემოქმედს მიემართება, კანონის ცოდნის პრეზუმფციის სუბიექტი ნორმის ადრესატია. კანონმდებელი არ არის შეზღუდული, დააწესოს პირისთვის დამდგარი ნეგატიური სამართლებრივი შედეგის შემამსუბუქებელი ნორმატიული მოწესიკება მის მიერ კანონის არცოდნისა თუ არასათანადო გაგების მხედველობაში მიღებით, თავისუფლების გარკვეული ფარგლები ნორმის შემფარდებელსაც ენიჭება. მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ჩამოთვლის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს და იქვე ადგენს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის გადამწყვეტ ორგანოს/თანამდებობის პირს, შეუძლია შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებანიც, რომლებიც არ არის აღნიშნული კანონმდებლობაში (34-ე მუხ.). ამასთან, საგადასახადო კოდექსი შეიცავს ნორმას (269.7 მუხ.), რომლის თანახმად, საგადასახადო ორგანოს ან სასამართლოს უფლება აქვს, გაათავისუფლოს კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელი ამ კოდექსით გათვალისწინებული სანქციისაგან, თუ სამართალდარღვევა გამოწვეულია გადასახადის გადამხდელის შეცდომით/არცოდნით.⁴⁸ ზემოაღნიშნული ნორმების ფორმულირების გათვალისწინებით, მათი შემფარდებლის თავისუფალი შეფასების სივრცე საკმაოდ ფართოა და არ გამოირიცხავს ნორმატიული მოწესრიგების არცოდნე ან არასწორად გამგები პირის დაკისრებული/დასაკისრებელი სანქციისაგან გათავისუფლებას, მით უფრო მაშინ, როდესაც პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმა მნიშვნელოვნად ბუნდოვანი ან განუსაზღვრელია ან სახეზეა ურთიერთგამომრიცხავი ნორმატიული დანაწესები და სხვ. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში ნორმატიულად დაშვებულია შემთხვევები, როდესაც პირს აქვს შესაძლებლობა მიუთითოს კანონის არცოდნისა და არასათანადოდ გაგებაზე პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თუ შემსუბუქების მიზნით.

ამასთან, საინტერესოა პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნებისთვის რას ვარაუდობს კანონმდებელი კანონის ცოდნის პრეზუმფციის შემოღებით. ნორმის სუბიექტის მიერ ნორმის ცოდნის პრეზუმფცირება გულისხმობს, რომ დამატებითი მტკიცების საჭიროების გარეშე, ივარაუდება პირის მიერ თავისი კანონშესაბამისი ქცევის მოდელისა და თანამდევნი სამართლებრივი შედეგების ცოდნა, რის გამო, როდესაც პირი ამ დანაწესის უგულებელყოფით მოქმედებს მას ეკისრება პასუხისმგებლობა – საკუთარი ქმედებების თანამდევნი ნეგატიური სამართლებრივი შედეგი. თუ სუბიექტს თავისი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება არ გამოუხატავს, მაშინ მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებაც უსაფუძვლოა. ნორმატიულად დადგენილი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გარეშე არ დგება ნეგატიური პასუხისმგებლობა, უპასუხისმგებლობა, როგორც პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირის ფორმა კი, გამოხატავს ბრალის კატეგორიას.⁴⁹ ამდენად, კანონის ცოდნის პრეზუმფცია ნორმის სუბიექტის – ქმედების განმახორციელებელი კერძო პირის ბრალის ვარაუდის საფუძველია.


6. კანონის ცოდნის პრეზუმფციის გამოყენების ნორმატიული საფუძველი ადმინისტრაციულ სამართალში

კანონის ცოდნის პრეზუმფცია ზოგადსამართლებრივი პრეზუმფციაა და როგორც ზემოთ აღინიშნა, პირის თავისუფლებიდან და დემოკრატიის პრინციპიდან იღებს სათავეს, ამიტომ კერძო პირებთან მიმართებით მისი გამოყენება ადმინისტრაციულ სამართალში პრობლემური არ არის. ადმინისტრაციულ დავებზე არსებულ სასამართლო პრაქტიკაში კანონის ცოდნის პრეზუმფციის გამოყენების ნორმატიულ საფუძველად სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლი ეთითება⁵⁰ ან ნორმატიულ საფუძველზე მითითება საერთოდ არ ხდება.⁵¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელსაც მთელი დარგისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს, არ შეიცავს რაიმე დათქმას კანონის ცოდნის პრეზუმფციასთან დაკავშირებით, თუმცა ვფიქრობთ, აღნიშნული განპირობებული უნდა იყოს სზაკ-ის მოწესრიგების სფეროს თავისებურებით. სზაკ ადმინისტრაციულ ორგანოებზე და არა კერძო პირებზე ორიენტირებული ნორმატიული აქტია იმ გაგებით, რომ მართალია კოდექსის მიზანია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა, თუმცა, იგი ამ მიზნის მისაღწევად განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს (სზაკ-ის 1-ელი მუხ.)

და ამ აზრით არ არის კერძო პირებზე ორიენტირებული. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის მიმართ მოქმედებს კანონიერების პრინციპი (სზაკ-ის მე-5 მუხ.), რაც ორგანოსთან მიმართებით კანონის ცოდნის ვარაუდის გამოყენების საჭიროებას შესაძლოა საერთოდაც გამორიცხავდეს და ასევე, სზაკ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის რეგულირებაზე ორიენტირებული აქტია, დიდი ალბათობით სკ-ის 3.2 მუხლის მსგავსი ჩანაწერის სზაკ-ში არარსებობა არა საკანონმდებლო ხარვეზი, არამედ მოწესრიგების გააზრებული არქონაა. თუმცა ფაქტია, რომ ადმინისტრაციულ სამართალურ-თიერთობებში მონაწილე კერძო პირებთან მიმართებით, კანონის ცოდნის პრეზუმფციის მოქმედების საჭიროებას ვერ გამოვრიცხავთ. ამდენად, ამჟამად გვაქვს ვითარება, როდესაც ადმინისტრაციულ ურთიერთობებში კანონის ცოდნის პრეზუმფციის გამოყენება შესაძლებელია თუნდაც ზოგადსამართლებრივი, კონსტიტუციური პრინციპებიდან გამომდინარე, თუმცა, არ გვაქვს კონკრეტული ნორმატიული საფუძველი. ასევე არ გვაქვს ნორმა, რომლიც სკ-ის 3.2 მუხლზე გადასვლის შესაძლებლობას მოგვცემს ისე, როგორც ამას ვხვდებით მაგალითად, ზიანის ანაზღაურების საკითხებთან მიმართებით, როდესაც სზაკ-ის 207-ე მუხლი პირდაპირ უთითებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის გამოყენების შესაძლებლობაზე ან როდესაც სასკ-ის 1.2 მუხლი ადმინისტრაციული სასამართლო წარმოებისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გამოყენებას უშვებს და სხვ. ვფიქრობთ, ნორმათშეფარდების პროცესის გამართულობის უზრუნველსაყოფად, უკეთესი იქნებოდა ადმინისტრაციულ ურთიერთობებში კერძო პირებთან მიმართებით, კანონის ცოდნის პრეზუმფციის გამოყენების კონკრეტული ნორმატიული საფუძვლის შემოღება.

დასკვნა

კანონის ცოდნის პრეზუმფციის გამოყენებას დიდი ხნის ტრადიცია აქვს, მისი საფუძვლები ადამიანის თავისუფლებასა და მმართველობის დემოკრატიული ფორმის რეალიზაციაში უნდა ვეძიოთ. კანონის არცოდნაზე მითითებით პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების აკრძალვა (კანონითვე დადგენილი გამონაკლისების გარდა) ერთი მხრივ, უბიძგებს პირს კანონის რეალური ცოდნისკენ, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად ამარტივებს ნორმათშეფარდების პროცესს. კანონის ცოდნის ვარაუდი არა ფიქცია, არამედ უარყოფას დაქვემდებარებული პრეზუმფციაა, რომელიც კერძო პირებთან მიმართებით თანაბრად ვრცელდება მატერიალურ და საპროცესოსამართლებრივ ურთიერთობებში, როგორც საკანონმდებლო, ასევე კანონქვემდებარე აქტების დანაწესებზე, პირის სპეციალური განათლების, სოციალურ-



რი მდგომარეობის თუ სხვა მახასიათებლების მიუხედავად. ამასთან, არსებობს კანონის ხელმისაწვდომობის გარკვეული პრობლემები სპეციალური საჭიროებების მქონე და სოციალურად დაუცველ პირებთან მიმართებით. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კანონის ცოდნის პრეზუმფციის მომეტებული სამართლებრივი მნიშვნელობის მიუხედავად, მისი გამოყენების ცხად ნორმატიულ შესაძლებლობას მხოლოდ სამოქალაქო კოდექსი იცნობს, ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში და სხვა, მსგავს დანაწესს ვერ ვხდებით, ამ ურთერთობებში კანონის ცოდნის პრეზუმფციის აქტიურად გამოყენების მიუხედავად, რაც ადმინისტრაციულ სამართალურიერთობებში ჩართულ კერძო პირებთან მიმართებით, ვფიქრობთ, საკანონმდებლო ხარვეზად უნდა ჩაითვალოს. აგრეთვე, საინტერესოა კანონის ცოდნის პრეზუმფციის გამოყენების საკითხები ადმინისტრაციულ ორგანოებთან მიმართებით, თუმცა, აღნიშნულს შემდგომ კვლევაში დავუბრუნდებით.

შენიშვნები:

- ¹ ბურდული ი., გაწერელია ა. და სხვ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017, გვ. 21.
- ² ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომც. სამართალი, თბ., 2000, გვ.160.
- ³ ფუტკარაძე რ., სამოქალაქო სამართლებრივი პრეზუმფციები, ჟურნ. სამართალი, 2000, №8-9, გვ.48
- ⁴ ქონაშვილი ქ., მფლობელობა და საკუთრება – ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, გამომც. ბონა კაუზა, თბ., 2013, გვ. 229.
- ⁵ Сериков Ю.А., Презумпции в гражданском судопроизводстве, Волтерс Клувер, 2008, გვ. 2, 12.
- ⁶ მუთაშორსტი ო., სამართალმცოდნეობის საფუძვლები, თარგმანი: დ. მაისურაძე, GIZ, თბ.2019, გვ. 301.
- ⁷ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომც. მერიდიანი, თბ., 2015, გვ. 283.
- ⁸ გაგუა ი., მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე, გამომც. ბონა კაუზა, თბ., 2020, გვ. 234.
- ⁹ სულხანიშვილი მ., პრეზუმფციების სახეები და პრეზუმფციების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში, ჟურნ. ცხოვრება და კანონი, 2014, №3(27), გვ. 47-51.
- ¹⁰ Сериков Ю. А., Презумпции в гражданском судопроизводстве, Волтерс Клувер, 2008, გვ. 27, 30.
- ¹¹ Wieczorek, Schütze, Zivilprozessordnung und Nebengesetze, Grosskommentar, 4. Neu bearbeitete Auflage, vierter Band, Verlag: De Gruyter, S. 1029-1030.
- ¹² Jachmann M., Die Fiktion im öffentlichen Recht, Dunker & Humboldt, Berlin,1998, გვ. 42.
- ¹³ ბურჯალიანი ა., სამართლის ფილოსოფია, გამომც. Carpe Diem, 2012, გვ.121, 127.
- ¹⁴ ხუბუა გ., სამართლის თეორია, გამომც. მერიდიანი, თბ., 2004, გვ.197.
- ¹⁵ მუთაშორსტი ო., სამართალმცოდნეობის საფუძვლები, თარგმანი: დ. მაისურაძე, GIZ, თბ.2019, გვ. 301.
- ¹⁶ სავანელი ბ., სახელმწიფო სამართლის ადამიანური განზომილება, ჟურნ. სამართალი, 2003, №4, გვ. 31-32.
- ¹⁷ ნაჭყებია გ., ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ., 2001, გვ.,137, 42, 145, 147.
- ¹⁸ შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თარგმანი: მ. მაისურაძე, აირის – საქართველო, 2003, გვ. 192.
- ¹⁹ ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი, თავისუფლების კონსტიტუცია, თარგმანი: მ. ერემაშვილი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2021, გვ. 123, 124 (Shaw G.B. Maxims for Revolutionaries), 227 (Ortega y Gasset J. Mirabeau o el politico), 235.
- ²⁰ ბურდული ი., გაწერელია ა. და სხვა, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017, გვ. 22.
- ²¹ დარბაიძე ნ., ივანოვი ა., სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, სამართლიანი საქართველო, თბ., 2009, გვ. 85.
- ²² სუსგ 19.02.2018წ. №ას-1062-1022-2016, 39 პ.; ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომც. მერიდიანი, თბ., 2015, გვ. 282.
- ²³ სუსგ 22.06.2020წ. №ბს-858(3კ-19), 20.12.2019წ. №ბს-638-634(კ-18), 28.03.2022წ. №ას-1064-2021; 10.02.2014წ. №ას-1221-1166-2013, 12.03.2021წ. №ას-1460-2020 და სხვ.

- ²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.10.2008წ. №2/3/406,408 გადაწყვეტილება, II, 35-37 პ.
- ²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 29.12.2017წ. №3/7/679 გადაწყვეტილება, II, 38 პ.
- ²⁶ „საკმარისად ხელმისაწვდომი, ზუსტი და განჭვრეტადი,“ იხ.: მაგ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 25.11.2021წ. გადაწყვეტილება საქმეზე „ეკა მიქელაძე და სხვ. საქართველოს წინააღმდეგ“, 47პ., 28.03.2019წ. გადაწყვეტილება საქმეზე „კერესელიძე საქართველოს წინააღმდეგ“, 46 პ. და სხვ.
- ²⁷ მუთოზრსტი ო., სამართალმცოდნეობის საფუძვლები, თარგმანი: დ. მისურაძე, GIZ, თბ., 2019, გვ. 93.
- ²⁸ სუსგ 20.07.2022წ. №ბს-628(2კ-20), 22.06.2020წ. №ბს-858(3კ-19), 20.12.2019წ. №ბს-638-634(2კ-17) და სხვ.
- ²⁹ სუსგ 20.12.2019წ. №ბს-638-634(2კ-17)
- ³⁰ სუსგ 05.06.2015წ. №ას-421-398-2014
- ³¹ B. Rüthers, Ch. Fischer, A.Birk, Rechtstheorie und juristische Methodenlehre, 12., überarbeitete Auflage, 2022, S.149.
- ³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის, გ. კვერენი-ხილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.02.2021წ. №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, მე-7, მე-8 პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 02.08.2019წ. №1/7/1275 გადაწყვეტილება, II, 30.
- ³³ სუსგ 19.07.2012წ. №ას-868-814-2012
- ³⁴ სუსგ 10.02.2014წ. №ას-1242-1187-2013, 14.05.2015წ. №ას-385-366-2015
- ³⁵ სუსგ 10.03.2011წ. №ას-26-21-2011
- ³⁶ სულხანიშვილი მ., პრეზუმფციების სახეები და პრეზუმფციების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში, ჟურნ. ცხოვრება და კანონი, 2014წ. №3(27), გვ. 50-51.
- ³⁷ Сериков Ю.А., Презумпции в гражданском судопроизводстве, Волтерс Клувер, 2008, стр. 39.
- ³⁸ კოპალეიშვილი მ., ტურავა პ. და სხვ. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომც. იურისტების სამყარო, თბ., 2018, გვ. 11, 13.
- ³⁹ იქვე, გვ. 18.
- ⁴⁰ სუსგ 14.05.2015წ. №ას-385-366-2015, 10.05.2005წ. №ას-240-568-05
- ⁴¹ სუსგ 22.10.2012წ. №ას-1319-1245-2012, 09.11.2006წ. №ას-264-676-06
- ⁴² სუსგ 12.07.2016წ. №ბს-412-407(კს-16)
- ⁴³ სუსგ 18.02.2016წ., №ბს-783-775(კ-კს-15)
- ⁴⁴ სუსგ 25.05.2017წ., №ბს-815-807(კ-16), 28.04.2009წ. №ბს-168-162(კს-09)
- ⁴⁵ Сериков Ю.А., Презумпции в гражданском судопроизводстве, Волтерс Клувер, 2008, стр. 129.
- ⁴⁶ ნაჭყებია გ., ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ლოგიკური შეუძლებლობის საკითხისთვის, რომან შენგელია 70 – საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, გამომც. სამართალი, თბ., 2012, გვ. 502-504.
- ⁴⁷ სუსგ 01.11.2018წ. №ბს-99-99(2კ-18)
- ⁴⁸ საპატიებელი სამართლებრივი შეცდომის განმარტებისათვის იხ. სუსგ 07.10.2014წ. №ბს-222-219 (კ-14)
- ⁴⁹ ნაჭყებია გ., ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ლოგიკური შეუძლებლობის საკითხისთვის, რომან შენგელია 70 – საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, გამომც. სამართალი, თბ., 2012, გვ. 504-506.
- ⁵⁰ სუსგ 13.05.2022წ. №ბს-1014(კ-20), 20.12.2019წ. №ბს-638-634(2კ-17), 30.06.2018წ. №ბს-407-407(კ-18) და სხვ.
- ⁵¹ სუსგ 28.10.2004წ. №ბს-933-791-კ-04, 28.09.2017წ. №ბს-337-335(კ-17), 05.02.2019წ. ბს-837(კ-18) და სხვ.

PRESUMPTION OF KNOWLEDGE OF THE LAW

IN RELATION TO PRIVATE PERSONS PARTICIPATING
IN ADMINISTRATIVE PROCEEDINGS

MARIAM OZIASHVILI

*Master of Law, Supreme Court of Georgia,
Assistant to the Judge at the Administrative Affairs Chamber,
Chief Consultant*

The utilization of the presumption of knowledge of law has a long tradition and its foundations lie in human freedom and the realization of a democratic form of governance.

Prohibition of exemption from responsibility based on the law ignorance (except exceptions established by the law) on the one hand, pushes a person to actual knowledge of the law, and on the other hand, significantly simplifies the process of norm-reference.

The present article discusses the characteristics of the presumption of knowledge of the law in relation to private individuals participating in administrative proceedings, its legal nature, functions, content, prerequisites for practical implementation and etc.

The purpose of the article is not so much an in-depth study of the challenging issue at this phase due to the existing format and its complexity, but to identify the problematic and unevenly assessed issues that lead to the practical realization of the presumption of knowledge of the law in administrative law.

In the absence of more or less full-scale Georgian-language research on administrative law, I think that highlighting the problematic theses that existed around the issue is essential to ensure further in-depth study.

უფლებების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი სამოქალაქო პროცესში

ქეთევან მეფარიშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ინსტიტუტის არსებობა ნაკარნახევია სასამართლო აქტის აღსრულების უზრუნველყოფით. უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო წესით დაცვის კონსტიტუციის 31-ე მუხლით გარანტირებული უფლება არარეალური და არაქმედითი იქნება, თუ დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით გამოტანილი სასამართლო აქტი ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს აქტი დროულად არ აღსრულდება. სასამართლო აქტის აღსრულებლობას შედეგად მოსდევს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, მძიმე შედეგი – მართლმსაჯულების აღსრულებლობა. ჯეროვანი და ეფექტიანი მართლმსაჯულება მიიღწევა სასამართლოს მიერ არა მხოლოდ კონკრეტული კონფლიქტის გადაწყვეტით, არამედ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის დროული აღსრულების უზრუნველყოფით.¹

უფლების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი სამოქალაქო პროცესში

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საბოლოო მიზანი მოსარჩელისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების თავიდან აცილებაა. მოსარჩელეს ამგვარი ზიანი შესაძლოა მიადგეს სასამართლო აქტის აღსრულებლობის შედეგად, სასამართლო აქტის აღსრულება მართოდენ მის კანონიერ ძალაში შესვლაზე როდია დამოკიდებული. აღსრულება მოვალის ნებაზეც არის დამოკიდებული. სარჩელის უზრუნველყოფის შემთხვევაში, კრედიტორი აღარ არის დამოკიდებული მოვალის კეთილსინდისიერ მოქმედებაზე. მოსარჩელის საბოლოო მიზანია მიაღწიოს მოპასუხის მიმართ თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას და აღსრულებას. თუ აღსრულების თვალსაზრისით, საფრთხე არსებობს ან თუნდაც აღსრულების გართულების ან მოსარჩელისათვის აუნაზღაურებელი ზიანის მიყენების საფრთხე არსებობს, აღსრულების უზრუნველყოფი ღონისძიებების გამოყენების საჭიროებაც წარმოიშობა.

სსსკ-ის 191-ე მუხლის შინაარსის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარების მიზანია დაიცვას დავის საგანი, კერძოდ, არ დაუშვას მოვალის მიერ დავის საგნის განკარგვის შესაძლებლობა.²

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი გულისხმობს სასამართლოს მიერ იმ ღონისძიებათა მიღებას, რომელიც გარანტირებულს ხდის სასარჩელო მოთხოვნათა განხორციელებას, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტიას სწორედ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს. ამ ღონისძიების მიზანია ზემოხსენებული სუბიექტების დარღვეული ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების აღდგენა.

მთავარი მიზანი განხილული ღონისძიებისა არის მისი საშუალებით მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა მაშინ, როდესაც არსებობს ვარაუდი, რომ მოპასუხე არაკეთილსინდისიერად იმოქმედებს ან როდესაც ამ ღონისძიებების გამოუყენებლობა გაართულებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას და შედეგად ზიანი მიადგება მოსარჩელეს.

აღსანიშნავია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი ღონისძიების მეორეთი შეცვლის საკითხი. სსსკ-ის 196-ე მუხლის თანახმად, ამ ღონისძიების შეცვლა შესაძლებელია საქმის ნებისმიერი სტადიაზე თუმცა, თავისთავად პირველ ყოვლისა, უნდა არსებობდეს ამ ღონისძიების გამოყენების პირობა.³ კერძოდ: თუ ამ ღონისძიებათა განუხორციელებლობამ შეიძლება გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს გადაწყვეტილების აღსრულება, ვთქვათ, იმის გამო,

რომ განადგურდება ან აღარ იარსებებს მომავალში დავის საგანი ან ზიანის ასანაზღაურებლად განკუთვნილი თანხა და ა. შ.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოები სამწუხაროდ, ხშირად არ იცავენ კანონის მოთხოვნას, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით თავიდან უნდა იქნას აცილებული აღსრულების გართულება. ეს განსაკუთრებით აშკარაა ყადაღის ინსტიტუტის გამოყენებისას, სასამართლოების მიერ დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკის მაგალითზე.

ყადაღის გამოყენებით სასამართლო უკრძალავს მოპასუხეს და აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს, რომლებთანაც იმყოფება მოპასუხის კუთვნილი ქონება ნებისმიერი საფუძვლით (ანუ მნიშვნელობა არა აქვს, თუ რის საფუძველზე იმყოფება ეს ქონება მათთან), სარჩელის განხილვის პერიოდში, ფულის ან სხვა ქონების განკარგვას. ამ ქონების გაყიდვა, გაცვლა, ჩუქება, ქირავნობით ან იჯარით გადაცემა, დაგირავება, სხვა პირთა სარგებლობაში ან მართვაში გადაცემა აღნიშნულ პირებს არ შეუძლიათ. ამასთან, როგორც წესი, ყადაღის დადება არ წარმოადგენს ყადაღადადებული ქონებით სარგებლობის დამაბრკოლებელ ფაქტორს თავად მესაკუთრისთვის, თუ ეს არ გამოიწვევს ქონების განადგურებას ან არ შეამცირებს მის ღირებულებას. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გამოვთქვათ კრიტიკა ყადაღის ინსტიტუტის მიმართ სასამართლო პრაქტიკაში არსებულ არასწორ მიდგომასთან დაკავშირებით. კერძოდ, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც სასამართლოები ყადაღის მოთხოვნით შეტანილ განცხადებას ნაწილობრივ აკმაყოფილებენ და მოპასუხეს ეკრძალება ნივთის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.⁴ ამგვარი მიდგომა ყადაღის არსის არასწორი გაგების შედეგია. ყადაღა ნივთის განკარგვის აკრძალვას ნიშნავს. განკარგვა განსხვავდება გასხვისებისაგან. განკარგვა უფრო ფართო ცნებაა და მასში მოიაზრება გასხვისების ყველა სახე, პლუს უფლებრივი დატვირთვა.⁵

აღსანიშნავია, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებებს სასამართლო იყენებს ჯერ კიდევ, საქმის არსებითად განხილვამდე. ამიტომ ყოველთვის არსებობს მოპასუხისათვის ზარალის მიყენების რისკი იმის გამო, რომ თავად სარჩელი (განცხადება) და უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება დაუსაბუთებელი აღმოჩნდეს. ეს გარემოება უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ და იგი ვალდებულია მოსარჩელის მოთხოვნების თანაზომადი უზრუნველყოფის ღონისძიებები გამოიყენოს, მით უმეტეს, რომ სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიებათა შერჩევისას არ არის შებოჭილი განმცხადებლის მოთხოვნის ფარგლებით. სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიება უნდა შეარჩიოს, რომლითაც ზიანი არ მიადგება მოპასუხეს⁶ (სსსკ 199-ე მუხლი). მაგალითად, სასამართლოს უფლება აქვს ყადაღა დაადოს არა მთელ ქონებას, როგორც ამას განმცხადებელი მოითხოვს, არამედ ამ

ქონების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც თავისი ღირებულებით სარჩელის ფასის თანაზომადია, რაშიც არ იგულისხმება უზრუნველყოფის საგნისა და სარჩელის საგნის თანაბრობა.

ამა თუ იმ სახის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შერჩევა დამოკიდებულია მოსარჩელის მოთხოვნის ხასიათზე. რა ხასიათისაცაა მოთხოვნა, იმის შესაბამისი ღონისძიება გამოიყენება.

როდესაც საუბარია პროპორციულობაზე, ამ მხრივ საყურადღებოა, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონიც, რომლის 45-ე მუხლი სააღსრულებო იმუნიტეტით იცავს იმ ქონებას, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევინება. ამავე მუხლის თანახმად, დავა გადახდევინებისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ განიხილება სასამართლო წესით.⁷ შესაბამისად, მოვალეს უფლება აქვს აღძრას სარჩელი სასამართლოში და სადავო გახადოს სააღსრულებლო ფურცელი, როცა იგი არ ეთანხმება გადახდევინებას, რათა სასამართლომ აღიაროს, რომ სააღსრულებო საბუთი (რომლის მიხედვითაც წარმოებს გადახდევინება), არ ექვემდებარება აღსრულებას. სასამართლოს, განსახილველი ნორმის შესაბამისად, შეუძლია შეაჩეროს გადახდევინება, რომელიც კანონით დადგენილ ვადებში უკვე დაიწყო სადავო დოკუმენტის საფუძველზე. თუ სასამართლო მოსარჩელის შუამდგომლობით გამოიყენებს უზრუნველყოფის მოცემულ ღონისძიებას, მაშინ სასამართლო აქტის გამოტანამდე (რომელიც მიღებულ უნდა იქნეს სარჩელზე სააღსრულებო დოკუმენტის სადავოდ ქცევის შესახებ) შეჩერდება უფლებამოსილი პირის მიერ აღსრულების მიზნით განხორციელებული მოქმედებები (შეჩერდება სააღსრულებო საბუთის აღსრულება).

როდესაც სასამართლო იღებს მოპასუხის კუთვნილ ფულად თანხებზე ან სხვა ქონებაზე ყადაღის დადების გადაწყვეტილებას, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებები მოსარჩელის მოთხოვნის თანაზომადი (არა თანაბარი, არამედ თანაზომადი, მასთან გონივრულ თანაფარდობაში მყოფი) უნდა იყოს. ამიტომ საბანკო ანგარიშზე არსებულ ფულად თანხებზე ან მოპასუხის ანაბარზე ყადაღის დადება ხდება სარჩელის ფასის ოდენობის გათვალისწინებით: საბანკო ოპერაციები იმ თანხებზე, რომლებიც აღემატება სარჩელის თანხას (ფასს), წარმოებს ჩვეულებრივი წესით. ანალოგიური წესითვე, თუ მოპასუხეს არ გააჩნია ფულადი სახსრები, ყადაღა ედება მის იმ ქონებას, რომლის ღირებულებაც სარჩელის ფასის თანაზომადია. მოსარჩელემ ყადაღის დადების მოთხოვნის აღძვრისას, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები დასაყადალეული ქონების მოპასუხისადმი კუთვნილების შესახებ და მიუთითოს გადაწყვეტილების აღსრულების შემაფერხებელი გარემოებების არსებობის შესახებ.

გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სასამართლომ დავისა და მისი მონაწილე სუბიექტების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეძლოს თავის ხელთ არსებული ყველა საპროცესოსამართლებრივი საშუალების გამოყენება.⁸

ერთ-ერთ საქმეზე განმცხადებელი ითხოვდა მოპასუხისათვის სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხის მიერ წარმოებული მზა პროდუქციის რეალიზაციის აკრძალვას. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოთხოვნილმა უზრუნველყოფის ღონისძიებამ შესაძლოა მოპასუხეს მიაყენოს აუნაზღაურებელი ზიანი. საქმის განხილვა შეიძლება გაგრძელდეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის აკრძალვით მოპასუხე ვერ გადაიხდის გადასახადებს, რის გამოც შეიძლება წარმოებამ შეწყვიტოს მუშაობა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხეს დადებული აქვს ხელშეკრულებები სხვა საწარმოებთან და ვალდებულებების შეუსრულებლობით გაიზრდება მისი დავალიანებები.

სსსკ-ის 198-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო. მოცემული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიება უნდა შეარჩიოს, რომლითაც ზიანი არ მიადგება მოპასუხეს.⁹

მოსარჩელე მხარის მიერ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარეშე, შეუძლებელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ან სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოპასუხისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

იმ შემთხვევაში თუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არ არის მიზანშეწონილი და დაუსაბუთებელი, მაინც უნდა იყოს შესაძლებელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.¹⁰ სარჩელის უზრუნველყოფის შემთხვევაში, კანონი იცავს მოპასუხის ინტერესებსაც. კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით, მოპასუხეს არ უნდა მიადგეს ზიანი და თუ მიადგება, სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში, იგი უნდა ანაზღაურდეს.

სასამართლომ არა მარტო მოსარჩელის ინტერესები, არამედ მოპასუხის ინტერესებიც უნდა გაითვალისწინოს და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, არცერთ მხარეს მინიჭოს უპირატესობა, რათა თავიდან აიცილოს დამდგარი ზიანი (უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფით). კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებაზე საუბარია სსსკ-ის 199-ე მუხლში, სადაც მითითებულია, რომ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.¹¹ ეს იმიტომ, რომ ამ დროს ჯერ არ არის გარკვეული საქმის პერსპექტივა და არ არის ცნობილი, ნამდვილად დასაბუთებულია თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა.

სასამართლო არ არის ვალდებული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა მოსთხოვოს პირს თუმცა, მას კანონმდებლობით აქვს ეს უფლება მინიჭებული.

თავისთავად უნდა არსებობდეს ვარაუდი, რომ ამ უზრუნველყოფის გამოუყენებლობით მოპასუხეს მიადგება ზარალი.¹²

თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად დაშვებული ღონისძიებები გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ სასამართლომ გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რადგან ასეთი ღონისძიება მიღებული იყო სარჩელის აღძვრამდე და პირმა დადგენილ ვადაში არ აღძრა სარჩელი (192-ე მუხლი), მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს სარჩელის უზრუნველსაყოფად გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მიყენებული ზარალი.¹³

ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ განხილული ღონისძიება თანაბრად იცავს როგორც მოპასუხის, ასევე მოსარჩელის ინტერესებს, ამიტომ სასამართლოს იმ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ასევე თუ სასამართლომ 192-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად გააუქმა სარჩელის აღძვრამდე მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, მოპასუხეს უფლება აქვს მოითხოვოს მოსარჩელისაგან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება (199-ე მუხლის მე-3 ნაწილი). სასამართლოს უფლება აქვს თავადაც მოსთხოვოს მოსარჩელეს მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. აღნიშნული უფლება სასამართლოს მიერ გამოიყენება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან ერთად (199-ე მუხლის 1-ელი ნაწილი). თუ სასამართლო არ გამოიყენებს ამ დისკრეციულ უფლებამოსილებას, მაშინ მოპასუხეს შეუძლია ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნა. საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისას, რომ მოსარჩელე ვერ აანაზღაურებს მიყენებულ ზიანს იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი არ დაკმაყოფილდება, უნდა მოხდეს ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. ამრიგად, ზარალის ანაზღაურება (ანაზღაურების უზრუნველყოფა) შეიძლება განხორციელდეს, როგორც სარჩელის უზრუნველყოფასთან ერთად, ისე მის შემდეგაც.

სსსკ 199-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კანონი იმპერატიულად არ მოითხოვს სასამართლოსაგან მოსთხოვოს მოსარჩელეს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

მოცემული ნორმის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნა დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე, ეს სასამართლოს უფლებაა და არა მოვალეობა.¹⁴ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დროს არ არის სავალდებულო სსსკ-ის 57-ე

მუხლის შესაბამისად, მეორე მხარის მიერ თავისი მოთხოვნის ფულადი თანხით ან ფასიანი ქაღალდით უზრუნველყოფა. ნორმაში მითითებული უზრუნველყოფის ამ სახით განხორციელება მხოლოდ მაშინ იქნება აუცილებელი, თუ სასამართლო, სსსკ-ის 199-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, საჭიროდ მიიჩნევს მეორე მხარისაგან უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელებას.

მოსარჩელე მხარის მიერ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარეშე, შეუძლებელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ან სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოპასუხისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

სარჩელის შემხვედრი/შეგებებული უზრუნველყოფის შესახებ დანაწესი უდავოდ პროგრესული ინსტიტუტია უზრუნველყოფის ღონისძიებათა მთელი სისტემისათვის, რომელთაც კი, სასამართლო იყენებს. სარჩელის შემხვედრი უზრუნველყოფა აფართოებს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის შესაძლებლობებს თავიანთი უფლებების დაცვის თვალსაზრისით. შემხვედრი უზრუნველყოფის წარდგენით, მოსარჩელე ფაქტობრივად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შენარჩუნების გარანტიას იღებს. თავის მხრივ, მოპასუხეს უფლება აქვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა სანაცვლოდ, თავადაც წარადგინოს შემხვედრი/შეგებებული უზრუნველყოფა. საუბარია სასამართლოს მიერ უზრუნველყოფილი ისეთი სარჩელის შემხვედრ უზრუნველყოფაზე, რომლითაც მოთხოვნილია მოპასუხისათვის თანხის დაკისრება, რა დროსაც მოპასუხეს შემხვედრი უზრუნველყოფის განხორციელების გზით, როგორც არის საერთო სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე მოსარჩელის მიერ სარჩელით მოთხოვნილის შესაბამისი ოდენობით თანხის შეტანა, თავიდან აიცილოს უზრუნველყოფის ღონისძიება.

მოცემულ შემთხვევაში, თანხის სასამართლოს დეპოზიტზე განთავსება მხოლოდ და მხოლოდ მოპასუხის უფლებაა და სსსკ-ის 199-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისაგან განსხვავებით, მოპასუხეს აღნიშნულს ვერ მოსთხოვს სასამართლო, მით უმეტეს, ამას მოპასუხისაგან ვერ მოითხოვს მოსარჩელე.

მაშასადამე, როდესაც საუბარია შემხვედრ უზრუნველყოფაზე, აღნიშნული ინსტიტუტი ფართო მნიშვნელობით უნდა წარმოვიდგინოთ მოპასუხის შემოაღნიშნული უფლების გათვალისწინებით.

შეგებებული უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებისას, გასათვალისწინებელია ზოგიერთი საკითხი.

უწინარეს ყოვლისა, საინტერესოა მოსარჩელის კეთილსინდისიერების პრობლემა. კერძოდ კი, ზოგიერთ შემთხვევაში, შემხვედრი უზრუნველყოფის თანხა ერთი სუბიექტისათვის

(მოსარჩელისათვის) შესაძლოა უმნიშვნელო იყოს ამ სუბიექტის აქტივების თვალსაზრისით, ხოლო მაგალითად, ფულად სახსრებზე ყადაღის ფორმით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებები შესაძლოა უაღრესად არსებითი იყოს მეორე სუბიექტის აქტივებისათვის (მოპასუხისათვის), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს სუბიექტი მეწარმეა, სამეურნეო სუბიექტია. უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებამ შესაძლოა მოპასუხის სამეურნეო საქმიანობის ფაქტობრივი პარალიზება გამოიწვიოს. ზოგჯერ, მოსარჩელის მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, მაგალითად, ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვების მიზნით, ისეთი მოპასუხის საბრუნავი საშუალებების დაყადაღების გზით, რომელსაც მცირე წილი აქვს ბაზარზე (მასზე მოდის ბაზრის მცირე წილი). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, შემდეგი საკითხის გარკვევა: ვალდებულია თუ არა სასამართლო უპირობოდ გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, თუ მოსარჩელე წარმოადგენს შეგებებულ უზრუნველყოფას?

ეს კითხვა რელევანტურია იმდენად, რამდენადაც 199-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმის დანაწესი შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის დადგენა შეიძლებოდეს მხოლოდ სასამართლოს ინიციატივით ან მოპასუხის შუამდგომლობით. სინამდვილეში კი, არ გამოირიცხება მოსარჩელის მიერ წინასწარი უზრუნველყოფის წარდგენა, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში მოსარჩელები ამას არ ახდენენ, ვინაიდან არ გააჩნიათ წინასწარი უზრუნველყოფის წარდგენის ინტერესი, რამეთუ სასამართლოები ამის გარეშეც უზრუნველყოფენ სარჩელს. ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს კანონი არ იძლევა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესებისა და სასამართლო პრაქტიკის¹⁵ ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გამოტანილ იქნეს დასკვნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე უარის თქმა დასაშვებია, თუნდაც სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობის აღმძვრელმა შეგებებული უზრუნველყოფა წარადგინოს. ე. ი. მოსარჩელეს შეუძლია არ დაელოდოს სასამართლოს, რომელსაც ყოველთვის შეუძლია მოსარჩელეს თავისი ინიციატივით მოსთხოვოს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა (შეგებებული უზრუნველყოფა). მაშასადამე, შეგებებული უზრუნველყოფის გამოყენება დასაშვებია როგორც სასამართლოს ინიციატივით, ისე მოპასუხის შუამდგომლობითა და მოსარჩელის მიერ შეგებებული უზრუნველყოფის წინასწარ წარდგენით.

შედარებისათვის, რუსეთის საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე უარის თქმა დაუშვებელია, თუ სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობის აღმძვრელი შეგებებულ უზრუნველყოფას წარადგენს.¹⁶ ქართული კანონმდებლობით შეგებებული უზრუნველყოფა-

ფის წარდგენის შემთხვევაშიც კი, სასამართლოს არ ევალუება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება, რაც უფრო პროგრესული მიდგომაა, ვიდრე აქვს რუსულ კანონმდებლობას. საქმე ის არის, რომ გემოალნიშნულ შემთხვევებში, როდესაც მოსარჩელე მიზნად ისახავს ბაზარზე მონოპოლური მდგომარეობის არაკეთილსინდისიერ გამოყენებას, მის სამეურნეო საქმიანობას (თუნდაც უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების შუამდგომლობასთან ერთად, წარადგინოს შემხვედრი უზრუნველყოფა), პრაქტიკულად, არავითარი ზიანი არ ადგება, ხოლო სასამართლო ფაქტობრივად იძულებულია სიტყვასიტყვით გამოიყენოს კანონი (მოცემულ შემთხვევაში მხედველობაშია რუსეთის საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნის შესრულება), რითაც კეთილსინდისიერი მოპასუხე ფაქტობრივად, შესაძლოა გაკოტრების ზღვარზე დააყენოს. გემოალნიშნულის მსგავსი ვალდებულების არარსებობის პირობებში, ქართული კანონმდებლობა სასამართლოს მეტ თავისუფლებას ანიჭებს და მაშინაც კი, როდესაც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია შემხვედრი უზრუნველყოფა, არ ზღუდავს უზრუნველყოფის გამოყენების საკითხი გადაწყვეტოს კეთილსინდისიერებისა და მხარეთა ინტერესების დაბალანსების პრინციპის საფუძველზე.

როგორც გერმანულ დოქტრინაშია აღნიშნული, პროცესში არაკეთილსინდისიერებას, ანუ სარჩელისა და ნებისმიერი სხვა საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენებას ადგილი აქვს უფლებით აღჭურვილი პირის მიერ დასახული მიზნების კანონით მინიჭებული უფლების მიზნებთან (რომლებიც სამოქალაქო პროცესის მიზნებს შეესაბამება) შეუსაბამობის შემთხვევაში.¹⁷ იგივე აზრია გატარებული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც.¹⁸ შედარებისათვის უნდა ითქვას, რომ ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლის მსგავსად, გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალშიც არ მოიპოვება საპროცესო უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულების დამდგენი ზოგადი ნორმა, რის გამოც გერმანულ დოქტრინაში გვხვდება აზრი, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე პარაგრაფი გერმანიის საპროცესო სამართალში ანალოგიით უნდა იქნეს გამოყენებული.¹⁹ ეს დებულება არ არის მართებული, ვინაიდან კეთილსინდისიერად მოქმედების პრინციპი ზოგადსამართლებრივი პრინციპია. მართალია, იგი კონსტიტუციაში პირდაპირ ნახსენები არ არის, მაგრამ კონსტიტუციის 34-ე მუხლი ფაქტობრივად მას განამტკიცებს.²⁰ აღნიშნული პრინციპი თავისი განსაკუთრებულობის, განსაკუთრებული ხასიათის გამო, საფუძვლად უდევს მთელ მართლწესრიგს, მათ შორის, სამოქალაქო საპროცესო სამართალს. შესაბამისად, ის სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპია და მაშასადამე, დაუშვებელია დარგთაშორისი ანალოგიის წესებით მისი გამოყენება, რამეთუ მისთვის ეს პრინციპი იმთავითვე დამახასიათებელი.²¹ გერმანიის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, უფლების ბოროტად

გამოყენების ცხადი ნიშანია ზიანის მიყენების განზრახვა (საპროცესო შიკანისთვის დამახასიათებელი ნიშანი), აგრეთვე უფლების უმიზნოდ, ფუჭად ან უღირსი მიზნების მისაღწევად განხორციელება.²² სხვისთვის ზიანის მიყენების მიზნით აღძრული სარჩელები საპროცესო შიკანის აშკარა გამოვლინებად მიიჩნევა გერმანულ დოქტრინაშიც.²³

მეორე ის, რომ საინტერესოა სარჩელის შემხვედრი უზრუნველყოფის გამოყენების საკითხი, აღიარებითი სარჩელების განხილვისას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნებისმიერი სახის სარჩელის შემხვედრი უზრუნველყოფის შესაძლებლობას ითვალისწინებს, რამეთუ უზრუნველყოფის შესაძლებლობას არ უკავშირებს სარჩელის სახეს.²⁴ თუ მიკუთვნებით სარჩელზე სარჩელის შემხვედრი უზრუნველყოფა გამართლებული და გონივრულია, სრული სიცხადე არ არის იმ საკითხში, აღიარებითი სარჩელიც საჭიროებს თუ არა შემხვედრ უზრუნველყოფას. მართალია, აღიარებით სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილება იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება (არ არის აღსრულების ქვემდებარე აქტი),²⁵ მაგრამ ეს ცალკე საკითხია. საპროცესო ლიტერატურაში არსებული სწორი დებულების თანახმად, დასაშვებია აღიარებითი სარჩელის უზრუნველყოფა.

მაშასადამე, დასაშვებია როგორც მიკუთვნებითი, ისე აღიარებითი სარჩელის უზრუნველყოფა. ხოლო შესაძლებელია თუ არა შემხვედრი უზრუნველყოფის გამოყენება აღიარებით სარჩელზე, ამ საკითხზე სწორი პასუხის მისაღებად აუცილებელია, თითოეული კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური თავისებურებისა და სამართლებრივი ბუნების გათვალისწინება. მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება შესაძლოა აუცილებელი გახდეს საავტორო უფლების აღიარების მიზნით აღძრულ სარჩელზე.

მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიების გამოყენება, როგორც არის მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა, სახელდობრ, ლიტერატურული ნაწარმოების გამოქვეყნების აკრძალვა იქამდე, ვიდრე სადავო ლიტერატურულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების კუთვნილების საკითხი არ გადაწყდება. შესაბამისად, შესაძლებელია ამგვარი კატეგორიის საქმეზე დაშვებულ იქნას აღიარებითი სარჩელის შემხვედრი უზრუნველყოფა.

მესამე ის, რომ წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიების მექანიზმის ამოქმედებისას, წარმოიშობა შემხვედრი უზრუნველყოფის გამოყენების პრობლემა. აღნიშნული პრობლემა განხილულია იმ ქვეთავში, რომელიც ჯერ არააღძრული სარჩელის უზრუნველყოფას უკავშირდება, რის გამოც ნაშრომის მოცემულ მონაკვეთში ამ პრობლემის განხილვის დუბლირებას აღარ მოვახდენთ.

საინტერესოა შემდეგი საკითხიც: შესაძლებელია თუ არა არაქონებრივი ხასიათის მოთხოვნის შემცველი სარჩელის უზრუნველყოფა? დასაშვებია თუ არა მოცემულ შემთხვევაში,

შემხვედრი უზრუნველყოფის გამოყენება? რა თქმა უნდა, შეგებებული უზრუნველყოფა შესაძლებელია გამოყენებული იქნას არაქონებრივი ხასიათის სარჩელზე უზრუნველყოფის ღონისძიებების ამოქმედების საპირწონედ, მაგრამ ამასთან, სასამართლომ ყოველი კონკრეტული საქმის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს შემხვედრი უზრუნველყოფის გამოყენების შესაძლებლობა და მოსარჩელის შესაძლო, პოტენციურ იმ ზიანთან შემხვედრი უზრუნველყოფის თანხის თანაზომადობა, რომელიც მას შესაძლოა მიადგეს სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში. თუ შემხვედრ უზრუნველყოფას მოითხოვს მოპასუხე, მაშინ გასათვალისწინებელია ამ უკანასკნელის პოზიციაც. სასამართლომ უნდა გააანალიზოს როგორც მოპასუხისათვის, ისე მესამე პირთათვის ზიანის მიყენების შესაძლო საფრთხე, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობის დაუკმაყოფილების შემთხვევაში.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ შემხვედრი უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენების მომწესრიგებელი ნორმა (სსსკ-ის 199-ე მუხლი) ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს აღნიშნული მექანიზმის გამოყენება მხოლოდ სასამართლოს ინიციატივით ან მოპასუხის შუამდგომლობით ხდება. სინამდვილეში კი, დასაშვებია შემხვედრი უზრუნველყოფის ანუ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების მოსარჩელის მიერ შეთავაზება.

დასკვნა

სარჩელის უზრუნველყოფის სახელწოდებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავის დასათაურება ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს კანონმდებელი მხოლოდ მოსარჩელის უფლებათა უზრუნველყოფას ითვალისწინებდეს. სარჩელის უზრუნველყოფა მხოლოდ ერთ-ერთ საპროცესო მოქმედებას წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიებათა სისტემაში, რის გამოც აუცილებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დასახელებული თავის ჩანაცვლება ახალი ინსტიტუტით, რომელსაც შეიძლება ეწოდოს უზრუნველყოფის ღონისძიებების გამაერთიანებელი სახელწოდება.

მართებულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის განვითარების ტენდენცია იმ ასპექტით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებების მიზანია მოსარჩელის ინტერესების დაცვის მექანიზმების გაძლიერება, სასამართლო აქტების აღსრულების გარანტიების გაზრდა. უზრუნველყოფის ღონისძიებების ინსტიტუტის განვითარება სამოქალაქო პროცესში, აუცილებელია სამოქალაქო ბრუნვის თანამედროვე ასპექტების გათვალისწინებით. თუმცა, მათი გაუაზრებელი გამოყენებით შესაძლოა აღარ გაამართლოს იმ მიზნებმა, რომელთაც ისახავდა კანონმდებელი ამა თუ იმ დანაწესის შემოღებით.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არ შეიძლება იყოს ამომწურავი. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გამოყენება დასაშვებია უფლებრივი დავის გამო აღძრული ნებისმიერი კატეგორიის საქმეში. აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენება გავლენას არ ახდენს საქმის საბოლოო შედეგზე, თუმცა, დავის მოსარჩელის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში, სასამართლოს მიერ დადასტურებული უფლების აღსრულებას რეალურს ხდის, მაშასადამე, ხელს უწყობს საქმეზე აღსრულებადი გადაწყვეტილების გამოტანას.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძვლების მომწესრიგებელი ნორმები, თავიანთი იურიდიული ბუნებით, განუსაზღვრელი ხასიათის დებულებებია და მაშასადამე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულებისას, საჭიროა შეფასებითი კატეგორიებისა და მსჯელობის გამოყენება. აქედან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება დასაშვებია ისეთი ფაქტების საფუძველზეც, რომელთაც მხოლოდ ვარაუდის ხასიათი აქვთ და მაშასადამე, ამგვარი ფაქტების დასასაბუთებლად/დასამტკიცებლად საჭირო არ არის მტკიცებულებების წარდგენა. ამიტომაც არის, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საფუძვლები არ იძლევიან პასუხს კითხვაზე, რომელი მტკიცებულება და რომელ სტადიაზე უნდა წარუდგინოს სასამართლოს მხარემ. ამასთან, თავად სავარაუდო ფაქტები ანუ გარემოებები, რომლებიც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობის/თხოვნის მიზეზებია, საქმის/სადავო სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათზე დამოკიდებული, მათ შორის, ასეთი მიზეზი და გარემოება შეიძლება მოპასუხის პიროვნებასთანაც იყოს დაკავშირებული.

სარჩელის უზრუნველყოფის გამო შესრულებული საპროცესო მოქმედების მიზანია, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადობის უზრუნველყოფა, მოპასუხის მიერ ქონების რეალიზაციისაგან თავის დაზღვევა ან მოპასუხის სხვა არასასურველი, არაკეთილსინდისიერი მოქმედებისაგან თავის დაზღვევა, დავის საგნის (დავის მატერიალური ობიექტის) შენარჩუნების გზით.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირია როგორც მოსარჩელე, ისე მოპასუხე, თუ ეს უკანასკნელი შეგებებული სარჩელის აღმძვრელია. ორივე მხარე უფლებამოსილია წარადგინოს შემხვედრი უზრუნველყოფა. ორივე მხარე – მოსარჩელეც და მოპასუხეც სარგებლობს ეფექტიანი და პრევენციული დაცვის უფლებით. სარჩელის ფარგლებში მოთხოვნილი უფლების მოპოვებას გულისხმობს ეფექტიანი დაცვა, ხოლო პრევენციული დაცვისას, უნდა არსებობდეს სამართლებრივი გარანტია, რომ სანამ უფლება აღდგება, იარსებებს ამ უფლების გაუქმების პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებები.

დასაშვებია საქმეზე ერთდროულად სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე ღონისძიების გამოყენება. მთავარია, დაცულ იქნას პროპორციულობის, ანუ თანაზომადობის პრინციპი – უზრუნველყოფის შერჩეული ღონისძიება გონივრული და სარჩელის ფასის პროპორციული, მასთან გონივრულ შესაბამისობაში მყოფი იყოს.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დროული და სწორი გამოყენება განაპირობებს სამოქალაქო სამართალწარმოების ეფექტიანობას, პროცესის მიზნების რეალურ განხორციელებას. საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება კი, რეალური, აღსრულებადი ხდება. უზრუნველყოფილი უნდა იქნას მოპასუხის უფლებებიც. ამასთან, მოპასუხეს არ შეიძლება დაეკისროს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ვალდებულება ისეთ შემთხვევაში, როდესაც სარჩელის საგანი ქონების ნატურით მიკუთვნებაა და მაშასადამე, როდესაც დაცული უნდა იქნას მოსარჩელის საკუთრების უფლება უზრუნველყოფის საგანზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არ არის მითითებული, რომელი ღონისძიება უნდა გამოიყენოს სასამართლომ კონკრეტულ სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებაში, რომ ამა თუ იმ ღონისძიებას პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს სასარჩელო მოთხოვნათა უზრუნველყოფის საკითხში, სარჩელის უზრუნველყოფის დანარჩენ ღონისძიებათა შორის და რომ სწორედ ეს ღონისძიება უპირატესად უნდა იქნას გამოყენებული განსაზღვრული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე. როდესაც სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხი, არსებობს თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი და იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი საფუძველი სახეზეა, კონკრეტულად, რა ღონისძიება უნდა იყოს შერჩეული, ყოველთვის ითვალისწინებს საქმის კონკრეტულ გარემოებებს.

შენიშვნები:

- ¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, № ბს-721-771 (კ-12) (2013 წლის 07 03).
- ² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1997), (2023 წლის 3 თებერვლის მდგომარეობით).
- ³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1997), (2023 წლის 3 თებერვლის მდგომარეობით).
- ⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, №2/36434-22 (2022 წლის 30 11). თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, №2/34416-22. თელავის რაიონული სასამართლოს განჩინება, №2/183-20 (2022 წლის 14 06).
- ⁵ შოთაძე თ., სანივთო სამართალი, გამომც. მერიდიანი, 2014. გვ. 121
- ⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1997), (2023 წლის 3 თებერვლის მდგომარეობით).
- ⁷ საქართველოს კანონი „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“, (1999), (2022 წლის 29 ნოემბრის მდგომარეობით)
- ⁸ ძლიერიშვილი ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, სამართლის ჟურნალი, №1, 2018, გვ. 12.
- ⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1997), (2023 წლის 3 თებერვლის მდგომარეობით).
- ¹⁰ შნიტგერი ჰ., გაუმართლებელი უზრუნველყოფის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, 2020, გვ. 13.
- ¹¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1997), (2023 წლის 3 თებერვლის მდგომარეობით).
- ¹² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1997), (2023 წლის 3 თებერვლის მდგომარეობით).
- ¹³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1997), (2023 წლის 3 თებერვლის მდგომარეობით).
- ¹⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1997), (2023 წლის 3 თებერვლის მდგომარეობით).
- ¹⁵ სასამართლო პრაქტიკაში ყოველთვის ესმება ხაზი იმას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება ზღუდავს მოპასუხის უფლებებს, რის გამოც საჭიროა თავიდან იქნას აცილებული მოპასუხისათვის ზარალის მიყენება
- ¹⁶ რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსი, 2022.
- ¹⁷ Glauben B. G., (1956). gute Sitten und Schikaneverbot im Erkenntnisverfahren, page 101. H, K. (თ. გ.). Rechtsverhältnisse zwischen Prozeßparteien, p. 270.
- ¹⁸ საყვარელიძე, კ., მხარეთა უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენება სამოქალაქო პროცესში, 2021.
- ¹⁹ Stichelbrock B., (2002). Inhalt und Grenzen richterlichen Ermessens im Zivilprozess. P. 280
- ²⁰ ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, 2016, გვ. 43.
- ²¹ Baumgärtel G., Treu und Glauben, gute Sitten und Schikaneverbot im Erkenntnisverfahren, ZZP, 1956; Konzen H., Rechtsverhältnisse zwischen Prozeßparteien, Duncker&Humblot, Berlin, 1976, გვ. 181.
- ²² BGH Beschluss, II 95/06 (2007 წლის 09. 07.). <https://openjur.de/u/77182.html>
- ²³ W, Z. (1967). Schadensersatzpflichten aus prozessualen Verhalten. P. 708.

- ²⁴ როგორც ცნობილია, ლიტერატურაში ძირითადად, გამოიყოფა ორი სახის სარჩელი – ალიარებითი და მიკუთვნებითი სარჩელი (იხ.: შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომც. მერიდიანი 2015, გვ. 354), თუმცა ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში მიეთითება მესამე სახის სარჩელზეც – გარდაქმნით სარჩელზე იხ.: თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, გამომც. ჯისიაი, თბ., 2005, გვ. 285; თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მე-2 გამოცემა, გამომც. სამართალი, თბ., 2007, გვ. 310; უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-121-117-2016.
- ²⁵ ქურდაძე შ., „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი ნაწილი I, გამომც. დანი, თბ., 2018, გვ. 15.

ბიბლიოგრაფია:

1. BGH Beschluss, II 95/06 (2007 წლის 09 07);
2. Glauben, B. G. (1956). gute Sitten und Schikaneverbot im Erkenntnisverfahren;
3. H. K. Rechtsverhältnisse zwischen Prozeßparteien;
4. Stichelbrock B., (2002). Inhalt und Grenzen richterlichen Ermessens im Zivilprozess;
5. W, Z. (1967), Schadensersatzpflichten aus prozessualen Verhalten;
6. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, №2/36434-22 (2022 წლის 30.11);
7. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, №2/34416-22;
8. თელავის რაიონული სასამართლოს განჩინება, №2/183-20 (2022 წლის 14.06);
9. რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსი (2022);
10. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1997), (2023 წლის 3 თებერვლის მდგომარეობით);
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, № ბს-721-771 (კ-12) (2013 წლის 07 03);
12. საყვარელიძე კ., მხარეთა უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენება სამოქალაქო პროცესში;
13. ქურდაძე შ., საალსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი ნაწილი I, გამომც. დანი, თბ., (2018);
14. შნიტგერი ჰ., გაუმართლებელი უზრუნველყოფის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (2020);
15. შოთაძე თ., სანივთო სამართალი, გამომც. მერიდიანი (2014);
16. ძლიერიშვილი ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, სამართლის ჟურნალი, №1, 2018;
17. ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიკრულებო სამართალში, 2016.

THE BASIS FOR THE USE OF PROVISIONAL AND PROTECTIVE MEASURES IN THE CIVIL PROCESS

KETEVAN MEPARISHVILI

Ph.D. student at Caucasus International University

The article discusses the goals, grounds, and types of provisional and protective measures of claim in the civil process as well as the measures to protect the defendant. Court decisions and the basis and purpose of the use of selected measures are given. Several measures, which are most often used in Georgian judicial practice, such as seizure, are also discussed. The basis for the use of these measures has been emphasized several times, in particular, the existence of a reasonable assumption that the execution of the court's decision may subsequently become difficult or impossible, causing irreparable damage to the plaintiff. The importance of using the claim security measure in terms of protecting the plaintiff's rights is also highlighted. The court also takes into account the condition of the defendant and the possibility of harming him in case of granting the application for the measure of securing the claim for the plaintiff. It should be taken into account that the court has the right, but not the obligation, to take into account, on its own initiative, the expected damage that will be caused to the defendant. The article also discusses the court's refusal of the claimant's claim security application and its grounds. The use of collateral does not depend on the nature of the claim, meaning that it may even be used in attribution and recognition claims. The purpose of the article is to discuss the use, goals, and foundations of this measure.

სემსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოკითხვის პროცედურა

პრაქტიკული პრობლემები

ია ჩხეიძე

*სამართლის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი*

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი ურთულესი პროცესია. როგორც სამართლებრივი, ასევე ემოციური კუთხითაა რთული მუშაობა საქმეზე, როდესაც დანაშაული არასრულწლოვნის მიმართ ძალადობას, განსაკუთრებით სექსუალური ძალადობის ფაქტს ეხება. ასეთ საქმეზე მუშაობა პროფესიონალებს არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი ჭრილიდან, არამედ ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებითაც უწევთ.

მართლმსაჯულების პროცესი მკაფიოდ ადგენს არასრულწლოვნის მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის ვალდებულებას. ამ სამართლებრივი ჩანაწერის მიღმა, რომელიც გვხვდება საერთაშორისოსამართლებრივ ნორმებსა თუ შიდაეროვნულ კანონმდებლობაში, დგას ბავშვის საჭიროებები, ემოციები, სტრესი, განცდილი ტრავმა, ბავშვის მომავალი. მეორეული ვიქტიმიზაციისგან ბავშვის დაცვის შესახებ იურიდიული ნორმა, რომელიც ძალიან მოკლე და ლაკონურია, მთელი სიმძაფრით გვაჩვენებს იმ საჭიროებებს, რომელსაც მსხვერპლ ბავშვებთან მუშაობისას ვაწყდებით.

არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის საქმეზე მართლმსაჯულების განხორციე-

ელების პროცესში ერთმანეთს ეჯახება საქმეზე მტკიცებულებითი ინფორმაციის სწრაფად მოპოვებისა და მართლმსაჯულების პროცესის ბავშვის საჭიროებებზე ორიენტირებული ფორმით წარმართვის ინტერესი. საქმეზე მომუშავე სამართალდამცავებმა კი, აუცილებელია თანაბრად უზრუნველყონ, როგორც მტკიცებულებათა სწრაფი მოპოვება, ასევე ბავშვის დაცვა მეორეული ვიქტიმიზაციისგან და მართლმსაჯულების პროცესის ბავშვის საჭიროებების შესაბამისად განხორციელება.

ბავშვის ემოციური მდგომარეობასა და ბავშვზე ტრავმის გავლენების შესახებ უამრავი დაწერილია და თქმულა. ამ სტატიის მიზანია გვაჩვენოს პრაქტიკაში არსებული სირთულები და დავგანახოს მათი გადაჭრის გზები, სტატიაში მოცემულია ინფორმაცია იმ სირთულებთან დაკავშირებით, რომელთა გააზრებისა და სწორი გადაჭრის გარეშე, შეუძლებელია ვისაუბროთ ბავშვზე მორგებულ და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებულ მართლმსაჯულების პროცესზე, სადაც უმთავრესი ინტერესი ბავშვის ფსიქო-ემოციური რეაბილიტაცია, არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე ეფექტიანი რეაგირება და დამნაშავის დასჯაა.

არც ის არის ახალი, რომ სექსუალური ძალადობის საქმეებზე მტკიცებულებათა მოპოვება სპეციფიკურია. როგორც წესი, მსხვერპლი დანაშაულის შესახებ შეტყობინებას დაგვიანებით აკეთებს, მსგავსი ტიპის დანაშაულს არ ჰყავს სხვა მოწმე და საქმისთვის უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის მოპოვება, საგამოძიებო მოქმედებების შემდგომი დაგეგმვა და განხორციელება დაზარალებულის ჩვენებაზეა დამოკიდებული, ხოლო დაზარალებულს განცდილი ტრავმის გამო, უჭირს მომხდარზე საუბარი და საქმისთვის მნიშვნელოვანი დეტალების გახსენება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დაზარალებული ბავშვისგან ინფორმაციის მიღებას დამატებითი სირთულებიც აქვს. ეს სირთულები როგორც წესი, შემდეგია: ბავშვის ემოციური მდგომარეობა, რაც ბავშვისგან მიღებული მარტივად სწორი ინფორმაციის დროულად მიღებას ართულებს; ბავშვის ასაკი, რომელიც განსაკუთრებული მიდგომების აუცილებლობას წარმოშობს ასაკობრივი განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით; ბავშვის ფსიქიკური და მენტალური ჯანმრთელობის საკითხი, რაც ცხადია, დამატებით სირთულებს წარმოშობს ჩვენების მიღების პროცესში.

სწორედ ამ სირთულების გამო, პრაქტიკაში ჩნდება კითხვები – რამდენად სანდოა ბავშვის ჩვენება, რამდენად უნდა გავიზიაროთ ბავშვის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რამდენად შეეძლო მას სწორად აღექვა გარკვეული ფაქტები. ზემოაღნიშნულის საფუძველზე კი, იწყება სამართლებრივი დისკუსიები ბავშვის ჩვენების მტკიცებულებით მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც პრაქტიკაში დადგა, ეხება მცირეწლოვანი არასრულწლოვნის ჩვენების სანდოობას. კერძოდ, არაერთ სისხლის სამართლის საქმეზე

დაცვის მხარე აპელირებდა ბავშვის ჩვენების სანდოობაზე და ითხოვდა საქმეში ხშირად, ერთდერთი პირდაპირი მოწმის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 75-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. ერთ-ერთ საქმეზე დაცვის მხარე სისხლის სამართლის საქმეში არსებულ ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიულ დასკვნებზე დაყრდნობით ითხოვდა სასამართლოს არასრულწლოვანი დაზარალებულის ჩვენება არ გაეზიარებინა. ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, „დაზარალებულებს მცირეწლოვანების გამო, არ შეეძლო სწორად აღექვა მოვლენები, მონაწილეობა მიეღო საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში და მიეცა სწორი ჩვენება.“⁴¹

ექსპერტიზის დასკვნებში მკაფიოდ ეწერა, რომ არასრულწლოვნებს „მცირეწლოვნობისა და ასაკობრივი ინფანტილიზმის გამო, არ შეუძლიათ სწორად აღიქვან, დაიმახსოვრონ და აღიდგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცენ (ჩამოაყალიბონ) სრულფასოვანი ჩვენებები.“⁴² თითქოს ლოგიკურია დაცვის მხარის მსჯელობა და სტრატეგია, მაგრამ რამდენად სწორია, რომ ასაკობრივი განვითარების თავისებურებები შევაფასოთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე და 75-ე მუხლებთან მიმართებაში და განვიხილოთ არასრულწლოვანი მოწმის ჩვენების დაუშვებლად ცნობის საფუძველად? ცხადია არა, საბედნიეროდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სწორი შეფასება მისცა სამართლებრივ ნორმებს. მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, უზენაესი სასამართლოს მსჯელობა შემდეგია: „კასატორების აღნიშნულ მოსაზრებებთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, როგორც წესი, არ არის საჯარო ხასიათის, რის გამოც, მითითებული კატეგორიის საქმეებზე უმეტეს შემთხვევაში, დანაშაულის შემსწრე უშუალო თვითმხილველი მოწმეები არ არსებობენ. შესაბამისად, მსგავსი კატეგორიის საქმეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაზარალებულის ჩვენებას და მის თანხვედრას საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან. დაზარალებული მ. ბ-ს ჩვენება საკასაციო პალატას მიაჩნია სარწმუნო და უტყუარ მტკიცებულებად, შემდეგ გარემოებათა გამო: საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით და მიუთითებს, შემდეგს: ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ მ.ბ. ფსიქიკურად დაავადებული არ არის. იგი არის სრულიად ჯანმრთელი. დასკვნის სისწორე დაადასტურეს მისმა გამცემმა ექსპერტებმა – თ. ჭ-მ და ე. ა-მ. საქმის სასამართლოში განხილვის დროს თ. ჭ-მ განმარტა, რომ დაზარალებულ მ. ბ-ს თავისი ასაკის შესაბამისად შეუძლია მომხდარი ფაქტების გადმოცემა. მას არ შეუძლია პოლემიკა გამართოს სხვებთან სადავო საკითხების გადასაწყვეტად და გარკვეულ საკითხებზე იმს-

ჯელოს როგორც ბრდასრულმა პირმა, არა ფსიქიკური ნაკლის გამო, არამედ მისი ასაკიდან გამომდინარე. აღნიშნული ასევე, დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ე. ა.-მ, რომელმაც ცალსახად მიუთითა, რომ მ. ბ. არის ასაკის შესაბამისად განვითარებული. მას შეუძლია მომხდარი ფაქტებისა და მოვლენების გადმოცემა და აღწერა. რაც შეეხება დაცვის მხარის მოსაზრებას, რომ არასრულწლოვანმა დაზარალებულმა სასამართლოში მოწმის სახით ჩვენების მიცემის დროს ვერ გაიხსენა ზემომითითებული დეტალები, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს დაზარალებულის ასაკზე. იგი არის მცირეწლოვანი. მის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება საეჭვო და არადადამაჯერებელი სწორედ მაშინ იქნებოდა, თუ მცირეწლოვანი დაზარალებული ყველა დეტალს ამომწურავად და ზედმიწევნით სწორად გაიხსენებდა.⁴³

ამდენად, ვთანხმდებით, რომ მოწმის ჩვენება უნდა შეფასდეს სწორედ იმასთან მიმართებით, რა შესაძლებლობები აქვს ბავშვს და ამ შესაძლებლობების ფარგლებში რა გვიამბო, რა ფაქტების შესახებ მოგვაწოდა ინფორმაცია და ეს ინფორმაცია სხვა მტკიცებულებებთან მიმართებაში რა დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს. კატეგორიულად დაუშვებელია მარტივი და ზედაპირული გაგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე და 75-ე მუხლების დანაწესების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფუნდამენტურ პრინციპებთან შესაბამისობის გარეშე. ერთ-ერთ ასეთ პრინციპს კი, არასრულწლოვნის მოსმენის უფლება წარმოადგენს. ბავშვის მოსმენის უფლებასთან დაკავშირებით ბევრს საუბრობს და კონკრეტულ ვალდებულებებს ადგენს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მე-10 ზოგადი კომენტარი. მოსმენის უფლების მნიშვნელობა არასრულწლოვნის ასაკისა და განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით, მით უფრო ხდება აქტუალური, როცა საკითხი არასრულწლოვნის მიმართ კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას ეხება. ზოგადი მე-10 კომენტარი მკაფიოდ მიუთითებს, რომ „წერილობითი სახელმწიფოები უნდა იყვნენ გათვითცნობიერებულები ამ უფლების წინდაუხედავი პრაქტიკის პოტენციური უარყოფითი შედეგების შესახებ, განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევებში, რომელიც მოიცავს ძალიან პატარა ბავშვებს ან როდესაც ბავშვი არის სისხლის სამართლის დანაშაულის, სექსუალური ძალადობის, ძალადობის ან სხვა მსგავსი მოპყრობის მსხვერპლი. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსმენის უფლების გამოყენება ხდება ბავშვის სრული დაცვის უზრუნველყოფით.“⁴⁴

ბავშვის ჩვენების სანდოობის შეფასება კიდევ უფრო აქტუალური ხდება, როდესაც არასრულწლოვანი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა – აქვს აუტისტური სპექტრი, დაუნის სინდრომი ან განვითარების შეფერხება. აქ თითქოს კიდევ უფრო მყარდება არგუმენტები, არასრულწლოვნის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობასთან დაკავშირებით. თუმცა,

ამ შემთხვევაშიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე და 75-ე მუხლის ჩანაწერები პრაქტიკაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში უნდა იქნას გაანალიზებული და გამოყენებული. რამდენიმე საერთაშორისოსამართლებრივ ნორმას თუ გავიხსენებთ, ვნახავთ რამდენად მარტივი, მკაფიო და ცალსახად აღნიშნულ საკითხზე პასუხიც. შშმ ბავშვის ჩვენების არგამბარება ცალსახად ეწინააღმდეგება შშმ პირთა უფლებების შესახებ კონვენციას. კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლები ადგენენ კონკრეტულ ვალდებულებებს, რომელთა თანახმადაც: „მონაწილე სახელმწიფოები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ სამართლის სუბიექტად აღიარებაზე, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი; მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებაუნარიანობას სხვებთან თანასწორად, ცხოვრების ყველა სფეროში; უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მართლმსაჯულებაზე ეფექტიანი მისაწვდომობის უზრუნველყოფა სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, მათ შორის, პროცედურული და ასაკთან შესაბამისი მოდიფიცირების გზით, იმისათვის, რომ მხარი დაუჭირონ შშმ პირთა, როგორც მოწმეთა და სხვა როლში მყოფთა, პირდაპირ და ირიბ მონაწილეობას ყველა სამართლებრივ პროცესში, მათ შორის, გამოძიების თუ სხვა სამართლებრივი მოკვლევის ეტაპზე.“⁴⁵ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მოსმენის უფლებას ასევე, ეხება ჩვენს მიერ უკვე განხილული ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი მე-10 კომენტარი, რომლის თანახმადაც: „წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ბავშვის ამ უფლების რეალიზება, როდესაც ბავშვები აწყდებიან სირთულეებს მათი აზრის გამოხატვისას. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები უნდა იყვნენ აღჭურვილნი ან უნდა შეეძლოთ გამოიყენონ კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს მათი აზრების გამოხატვას.“⁴⁶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებასთან დაკავშირებით შემუშავებულია საერთაშორისო პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები, რომლის პირველივე პრინციპი აღიარებს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირი ქმედუნარიანია. შესაბამისად, არავის შეიძლება ეთქვას უარი მართლმსაჯულების მისაწვდომობაზე შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველით.“⁴⁷ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ქმედუნარიანობის აღიარება ცალსახად მიუთითებს, რომ არავითარი კითხვის ნიშნები არ უნდა არსებობდეს შშმ ბავშვის ჩვენების სანდოობასთან დაკავშირებით. ისევე და ისევე ხაზს ვუსვამთ, რომ ბავშვისგან ინფორმაცია უნდა იქნას მიღებული იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რა ფარგლებით და რა მოცულობითაც მას ამ ინფორმაციის მოწოდება შეუძლია. მიღებული ინფორმაცია კი, უნდა შეფასდეს საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან

ერთობლიობაში. როგორც დავინახეთ საერთაშორისო სტანდარტები ძალიან მარტივად სცემს კითხვას პასუხს, უნდა იყოს თუ არა შშმ არასრულწლოვნის ჩვენება გაზიარებული. ცხადია, ამ შემთხვევაში აუცილებელია, კვლავ და კვლავ გავარკვიოთ – სად გადის შეზღუდული შესაძლებლობების ზღვარი, როგორია არასრულწლოვნის აღქმისა და გადმოცემის უნარები და სწორედ აღნიშნულთან შესაბამისობაში მოხდეს იმ ინფორმაციის შეფასება, რომელსაც ბავშვი გააუღერებს გამოკითხვის დროს. თავად გამოკითხვის პროცესიც ბავშვის შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს.

მართლმსაჯულების პროცესში ჩართული პირები არასდროს არ უნდა აყენებდნენ ბავშვის ჩვენებას ეჭვქვეშ. მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და მართლმსაჯულების პროცესში ჩართული პირები ყველა ძალისხმევას უნდა მიმართავდნენ, რომ ბავშვის გამოკითხვისას უზრუნველყონ შესაბამისი პირობები, რომელიც არასრულწლოვნისგან ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას შექმნის, სადაც ბავშვი თავს დაცულად იგრძნობს, გაუჩნდება ნდობა მართლმსაჯულების სისტემისადმი და ბავშვს საშუალებას მისცემს გულწრფელად გაგვიზიაროს – რა გადახდა. ყველაფერი ეს ერთობლიობაში ქმნის ბავშვზე მორგებულ მართლმსაჯულებას, სწორედ ბავშვზე მორგებულმა მართლმსაჯულებამ უნდა შექმნას შესაბამისი გარემო, რომელშიც ბავშვი თავს დაცულად იგრძნობს და შეძლებს სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელს მიაწოდოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ბავშვებს აქვთ ამის უფლება და აღნიშნულიც საყოველთაოდ აღიარებულია – „სახელმწიფოებმა ბავშვებს საშუალება უნდა მისცენ, რომ შიდა სამართლის საპროცესო ნორმების შესაბამისად, მოუსმინონ მათ, წარმოდგინონ მტკიცებულებები და აირჩიონ, რა გზით სურთ თავიანთი შეხედულებების, საჭიროებათა და პრობლემების წარმოდგენა უშუალოდ თუ შუამავლის მეშვეობით და მათი განხილვა.“⁸

არასრულწლოვნის გამოკითხვა ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებით, ბავშვზე მორგებული მიდგომებითა და მეორეული ვიქტიმიზაციის რისკების გათვალისწინებით, გულისხმობს გამოკითხვის პროცესში სწორად შერჩეულ ტექტიკას, ბავშვთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მეთოდს, ბავშვზე მორგებულ ინფრასტრუქტურას.

ბავშვთან ურთიერთობის ფორმა და მეთოდი, კომუნიკაციის სწორი ფორმის შერჩევა არის უმთავრესი წინაპირობა, რომ არასრულწლოვანი ენდოს სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელს და მიაწოდოს სწორი ინფორმაცია საკუთარი აღქმისა და გადმოცემის შესაძლებლობების ფარგლებში.

უამრავი შრომა, კვლევა, საერთაშორისო ექსპერტთა მოსაზრებები არსებობს, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს არასრულწლოვნის გამოკითხვის პროცესი. არსებობს რამდენიმე პროტოკოლი, რომელიც გვთავაზობს არასრულწლოვნის გამოკითხვის სტრუქტურირებულ

მოდელს. აღნიშნული პროტოკოლები ეფუძნება საუკეთესო პრაქტიკებს, ითვალისწინებს არასრულწლოვნის ასაკობრივი განვითარების თავისებურებებს, არასრულწლოვნის ემოციურ მდგომარეობაზე ტრავმის გავლენას.⁹ ჩვენი ქვეყანა იყენებს NICHD პროტოკოლს. ეს გახლავთ აშშ-ის ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ნაციონალური ინსტიტუტის (NICHD) დაკითხვის/გამოკითხვის სტრუქტურირებული ინსტრუმენტი. სწორედ NICHD პროტოკოლის სწავლება ხდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის მინიჭების პროცესში. აღნიშნულს პირდაპირ ადგენს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №166 დადგენილება „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ.“¹⁰ ყველა მიდგომა, მათ შორის, NICHD პროტოკოლიც, ბავშვთან მაქსიმალური ნდობის დამყარებას ეფუძნება, ბავშვთან კომუნიკაცია მარტივი და უშუალო უნდა იყოს. საგამოძიებო მოქმედების განხორციელება თავისუფალი უნდა იყოს ყველა ხელისშემშლელი გარემოებისგან, რომელმაც შესაძლოა ბავშვთან საუბარი შეაფერხოს.¹¹

არასრულწლოვნის გამოკითხვის ბემოაღნიშნული სტრუქტურირებული მოდელები, გარდა შინაარსობრივი ნაწილისა, გულისხმობენ გამოკითხვის ტექნიკური თვალსაზრისით იმგვარად წარმართვას, რომ კომუნიკაცია რაც შეიძლება მარტივად, ხელოვნური ბარიერებისა და ხელშემშლელი ფაქტორების გარეშე წარიმართოს, რისთვისაც ერთ-ერთ კარგ საშუალებას არასრულწლოვნის გამოკითხვის პროცესის აუდიო-ვიდეო გადაღება წარმოადგენს, რომელიც ჩაანაცვლებს წერილობით ოქმს, რადგან წერილობითი ოქმის შედგენისას, კომუნიკაცია ხშირად შეიძლება გაწყდეს არასრულწლოვანთან. გამოკითხვის მწარმოებელ პირს ოქმში გამოკითხვის შინაარსის ასახვის მიზნით, უწევს შეაჩეროს არასრულწლოვანი, რაც ცალსახად უარყოფითად აისახება არასრულწლოვანთან ეფექტიან კომუნიკაციაზე. აუდიო-ვიდეოჩანაწერმა უნდა ჩაანაცვლოს წერილობითი ოქმი, მაგრამ რამდენად აქვს დღეს საგამოძიებო პრაქტიკას აღნიშნულის შესაძლებლობა, მაშინ როდესაც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, სავალდებულოდ ითვალისწინებს საგამოძიებო მოქმედების წერილობითი ოქმის შედგენას, სადაც გამოკითხვის შინაარსის ასახვა სავალდებულოა. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „გამოკითხვის ოქმში უნდა აღინიშნოს გამოსაკითხი პირის სახელი, გვარი, ასაკი, მოქალაქეობა, განათლება, სამუშაო ადგილი, საქმიანობა ან/და თანამდებობა, საცხოვრებელი ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, მისი ურთიერთობა ბრალდებულთან თუ დაზარალებულთან, მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი, მისი დამოკიდებულება სასამართლოში გამოცხადებისა და ჩვენების მიცემისადმი, აგრეთვე ამ კოდექსის 113-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია.“ ამასთან, სისხლის სა-

მართლის საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ „საგამოძიებო მოქმედების ოქმი დგება უშუალოდ საგამოძიებო მოქმედების მსვლელობისას ან მისი დამთავრებისთანავე.“ როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამ ნორმით, სავალდებულოა საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობის ფიქსაცია საგამოძიებო მოქმედების პარალელურად განხორციელდეს, რა დროსაც ბავშვთან ეფექტიანი კომუნიკაცია შეუძლებელია. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოთ მითითებული ნორმა საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენის შესაძლებლობას საგამოძიებო მოქმედების დასრულებისთანავე ითვალისწინებს, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში გამოძიებელს მოუწევს გამოკითხვის დასრულების შემდეგ, ბავშვი საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდით ალოდინოს, რათა ოქმში გადაიტანოს გამოკითხვის შინაარსი სრულყოფილად და შემდეგ, ოქმი გამოკითხვაში მონაწილე ყველა პირს ხელმოწერით დაადასტურებინოს.

ზემოაღნიშნული თითქოსდა, ტექნიკური ხასიათის საკითხები ფაქტობრივად არღვევს ბავშვზე მორგებული მიდგომების არსს. იმისთვის, რომ NICHD პროტოკოლის გამოყენებამ ქართულ საგამოძიებო პრაქტიკაში რეალურად შეძლოს არასრულწლოვანთა დაცვა მეორეული ვიქტიმიზაციისგან და მიღწეულ იქნას არასრულწლოვნისგან საიმედო ინფორმაციის მიღება, აუცილებელია, კანონმდებელმა შესაბამისი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაზე იფიქროს და გამოკითხვის აუდიო-ვიდეო ჩაწერის განხორციელებისას, შეცვალოს გამოკითხვის ოქმის შინაარსი.

არახალია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ბუნდოვანია ფსიქოლოგის როლი. კანონმდებლობით არ არის დადგენილი რაიმე კონკრეტული შემთხვევები, როდესაც ფსიქოლოგის ჩართვას მართლმსაჯულების პროცესი სავალდებულოდ გაითვალისწინებდა. ეროვნული მონიტორინგის ფარგლებში ხშირად, აღნიშნული ფასდება უარყოფითად.¹² ფსიქოლოგის როლის განსაზღვრა ნამდვილად უნდა იყოს მკაფიო, ფსიქოლოგის ჩართულობა რიგ დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებზე სავალდებულო უნდა ხდებოდეს, ფსიქოლოგის უფლებამოსილებაც ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული მართლმსაჯულების პროცესში. კერძოდ, ფსიქოლოგი საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე უნდა ხვდებოდეს ბავშვს, აფასებდეს მის ემოციურ მდგომარეობას, განცდილ ტრავმას და ტრავმის გავლენას, ბავშვის განვითარების დონეს, განსაზღვრავდეს ბავშვის საჭიროებებს და აღნიშნულის შემდეგ, გამოძიებელთან ერთად ახდენდეს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების დაგეგმვას. ფსიქოლოგის როლი საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას შეგვიძლია ორადავ გავყოთ: პირველი – ფსიქოლოგის როლი არასრულწლოვნის დახმარების მიმართულებით და მეორე – ფსიქოლოგის როლი საგამოძიებო მოქმედების დაგეგმვის პროცესში გამოძიებლის დახმარების მიმართულებით.

საინტერესოა, რას შეიძლება მოიცავდეს აღნიშნული მიმართულებებით ფსიქოლოგის როლი. არასრულწლოვნის მხარდაჭერა და მისი საჭიროებების გამოვლენა უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს: პირველ ყოვლისა, ფსიქოლოგმა უნდა მოახდინოს არასრულწლოვნის საჭიროებების იდენტიფიცირება და მოამზადოს არასრულწლოვანი გამოკითხვის პროცესისთვის. ფსიქოლოგმა უნდა მოახდინოს არასრულწლოვნის ემოციური მდგომარეობის განსაზღვრა და დაეხმაროს არასრულწლოვანს სტრესის მოხსნაში, შფოთვის შემცირებასა და უცხო გარემოსთან ადაპტაციაში. ფსიქოლოგმა ბავშვს უნდა აუხსნას გამოძიებლისთვის ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობა და მოახდინოს ბავშვის ინფორმირება პროცესის მიზნებისა და საჭიროებების შესახებ. გამოკითხვამდე, ფსიქოლოგის ეს როლი უდიდეს მნიშვნელობას ასრულებს გამოკითხვის პროცესის სწორად დაგეგმვაში, რომელიც გამოკითხვის პროცესის უმნიშვნელოვანესი ასპექტია.¹³ საგამოძიებო მოქმედების დაგეგმვის ეტაპზე მნიშვნელოვანია, ფსიქოლოგმა გამოკითხვამდე, ბავშვთან გასაუბრების შემდეგ, გამოძიებელს გაუჩინოს კონკრეტული მოლოდინები. ფსიქოლოგმა უნდა აუხსნას და მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიებელს არასრულწლოვნის შესაძლებლობების შესახებ, დეტალურად აუხსნას გამოძიებელს – რა ინფორმაციის მიღება არის შესაძლებელი არასრულწლოვნისგან, მისი ასაკობრივი განვითარებისა თუ ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით. NICHD პროტოკოლის შესაბამისად, გამოკითხვის წარმართვის მიზნით, ფსიქოლოგმა გამოძიებელთან ერთად უნდა განსაზღვროს – რა ტიპის ნეიტრალური თემა შეიძლება იქნას გამოყენებული არასრულწლოვანთან ეფექტიანი კომუნიკაციის განსაზღვრისთვის, რა ფაქტებით შეიძლება გამოძიების ეტაპზე გადამოწმდეს არასრულწლოვნის აღქმისა და მეხსიერების უნარები. ფსიქოლოგის დახმარებით, გამოძიებელმა უნდა ჩამოაყალიბოს კითხვები – სწორი ფორმულირებით. წინასწარ უნდა განისაზღვროს გამოკითხვის ხანგრძლივობა. უშუალოდ გამოკითხვის პროცესში კი, ფსიქოლოგის როლი შემდეგი უნდა იყოს: საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს არასრულწლოვანს კითხვის შინაარსის გაგებაში, განუმარტოს მას კითხვაზე პასუხის მნიშვნელობა და მოახდინოს კითხვის ბავშვისთვის გასაგები ენით ფორმულირება, ფსიქოლოგმა უნდა გასაზღვროს, ხომ არ არის შესვენების საჭიროება.

სწორედ ზემოაღნიშნულის შესაბამისად უნდა იქნას გაგებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში არსებული ძალიან ბოგადი ჩანაწერი ფსიქოლოგის როლის შესახებ, რომლის თანახმადაც, „ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და საპროცესო მოქმედების დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას.“¹⁴ ფსიქოლოგის აღწერილი როლი ნამდვილად გაამართლებს იმ მიზანს, რომელიც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას უნდა ემსახურებოდეს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

მოცემული სტატიის ფარგლებში, კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს შევეხებით – ეს არის ბავშვზე მორგებული გარემო. ბავშვზე მორგებულ მართლმსაჯულებაში რამდენიმე ასპექტი იგულისხმება და ერთ-ერთი მათგანი სწორედ ინფრასტრუქტურული გარემოა. ფიზიკურმა გარემომ, სივრცემ, სადაც ბავშვთან საგამოძიებო საპროცესო მოქმედებები უნდა ჩატარდეს, აუცილებლად უნდა შეუქმნას არასრულწლოვანს დაცულობის განცდა. არასრულწლოვნის გამოკითხვის პროცესში გარემოს მნიშვნელობაზე საუბარია ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ ევროსაბჭოს გაიდლაინებშიც.¹⁵

საერთაშორისო ექსპერტების მიერ ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი, ყოველთვის ფასდება იმ ინფრასტრუქტურულ გარემოსთან ერთად, სადაც ბავშვის მიმართ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების განხორციელება ხდება. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განცხადებით, „ბავშვს ეფექტიანად ვერ მოუსმენენ შემაშინებელ, მტრულ, არასენსიტიურ ან მისი ასაკისათვის შეუფერებელ გარემოში.“¹⁶ აღნიშნულის შესახებ ასევე, ცალსახად იქნა აღნიშნული გაეროს ბავშვთა ფონდის კონსულტანტის, ურსინა ვაიდკუნის მიერ 2016 წელს, საქართველოსთვის მომზადებულ ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფციაში.¹⁷ ბავშვის მორგებული გარემოს მნიშვნელობაზე საუბრობს „ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია“ და 35-ე მუხლში ადგენს სახელმწიფოთა ვალდებულებას, რომ ბავშვის გამოკითხვა უნდა ჩატარდეს ამ მიზნისთვის გამოყოფილ და მომზადებულ გარემოში.¹⁸

ბავშვზე მორგებული გარემოს მნიშვნელობაზე საინტერესოა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც. „ბავშვს ეფექტიანად ვერ მოუსმენენ შემაშინებელ, მტრულ, არასენსიტიურ ან მისი ასაკისათვის შეუფერებელ გარემოში,“ აღნიშნავს ადამიანის უფლებათა სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე, V და T გაერთიანებული სამეფოს წინაღმდეგ.¹⁹ აღნიშნულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ „სამეფო სასამართლოს ოფიციალური, რიტუალური გარემო ბუნდოვანი და შემაშინებელი იყო თერთმეტი წლის ბავშვებისთვის, რის შედეგადაც ბავშვებმა ვერ ისარგებლეს სამართლიანი სასამართლოს უფლებით.“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოთ მითითებული გადაწყვეტილების შემდეგ, ვფიქრობთ, სხვა არგუმენტი საჭირო აღარ არის, თუ რატომ უნდა აიღოს ვალდებულება სახელმწიფომ და უზრუნველყოს ბავშვზე მორგებული გარემოს დანერგვა მართლმსაჯულების სისტემაში.

საინტერესოა, რომ ამ მიმართულებით, ქართულ მართლმსაჯულების სისტემას აქვს დადებითი ტენდენციები. განსაკუთრებით საინტერესოა პროკურატურის ძალისხმევა. პროკურატურამ ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების კონცეფციაზე მუშაობა გაეროს ბავშვთა ფონდის

მხარდაჭერით, 2017 წელს დაიწყო, ხოლო მისი დანერგვა 2018 წელს მოხდა ჯერ რუსთავის, ხოლო 2019 წელს, ხელვაჩაურის რაიონულ პროკურატურაში. როგორც უწყების შესაბამის ანგარიშებშია მითითებული გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ შემუშავდა სპეციალური ინსტრუქციაც, რომელიც პროკურორებსა და გამომძიებლებს შესაძლებლობას აძლევს სწორად და ეფექტიანად ისარგებლონ არსებული ინფრასტრუქტურით. ანგარიშში ასევე, მითითებულია, რომ 2021 წელს, კიდევ ორ სტრუქტურულ ერთეულში – სენაკისა და საჩხერის რაიონულ პროკურატურებში გაიხსნა ბავშვზე მორგებული გარემო. პროკურატურა ასევე, აცხადებს, რომ ის ყოველწლიურად, ერთ სტრუქტურულ ერთეულში უზრუნველყოფს ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნას.²⁰

ბავშვზე მორგებულ გარემოზე საუბრისას, მნიშვნელოვანია განვიხილოთ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნებისთვის არსებული ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრების არსებობის შესახებ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებაც.

ერთ-ერთი პირველი ცენტრი, რომელიც ბავშვზე მორგებულ გარემოში, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის მიმართ, მულტიდისციპლინური მიდგომების საფუძველზე, საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას და გამოძიების პარალელურად, არასრულწლოვნის რეაბილიტაციის პროცესს მოიაზრებდა. 1985 წელს, აშშ-ში, ალაბამას შტატში შეიქმნა ბავშვთა ადვოკატირების ცენტრი, რომელიც ორიენტირებული იყო არასრულწლოვნისთვის სანდო და საიმედო გარემოს შექმნაზე, სადაც ბავშვი თავს დაცულად იგრძნობდა.²¹ დღეს ამერიკაში უკვე შექმნილია ბავშვთა ადვოკატირების ცენტრების გაერთიანება, რომელიც 1000-ზე მეტ ადვოკატირების ცენტრს აერთიანებს.²²

ევროპაში ასეთი ტიპის ცენტრები „ბარნაჰუსის“ სახელწოდებით არის ცნობილი. 1998 წელს, ე. წ. „ბარნაჰუსი“ შეიქმნა ისლანდიაში, რომელიც მდებარეობს ჩვეულებრივ, საცხოვრებელ რაიონში და მასში შექმნილია ისეთი ატმოსფერო, სადაც ბავშვები უსაფრთხოდ და კომფორტულად გრძნობენ თავს. აღნიშნულ ცენტრში ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის გამოკითხვა მიმდინარეობს სპეციალურად მოწყობილ გასაუბრების ოთახში და მის მსვლელობას ვიდეოკამერების საშუალებით შეიძლება აკვირდებოდნენ პოლიციისა და პროკურატურის წარმომადგენლები, ბრალდებულის ადვოკატი, ბავშვის ადვოკატი და ბავშვთა დაცვის სამსახურის სოციალური მუშაკი. ბარნაჰუსის მოდელის ბავშვთა ცენტრები შექმნილია შვედეთში, ნორვეგიაში, დანიაში, ფინეთში, ესტონეთში.²³

აღსანიშნავია, რომ დღეს ბარნაჰუსის მოდელის ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრი საქართველოშიც არსებობს. 2020 წელს, საქართველოს მთავრობის 17 სექტემბრის №1825 განკარგულებით, მოწონებული

იქნა „ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფცია.“ კონცეფციის თანახმად, ცენტრის მომსახურების მიზანია: „სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვს შესთავაზოს ფსიქოლოგიურ-სოციალური მოკლე და გრძელვადიანი რეაბილიტაცია. ასევე, მომსახურებამ უნდა უზრუნველყოს კოორდინირებული რეაგირება, რომ გამოძიების პროცესში მოხდეს ბავშვის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და ეფექტიანი გამოძიების ჩატარება; შექმნას ბავშვზე მორგებული, მულტიდისციპლინური და მულტისექტორული მიდგომა, რომელიც „ერთი ფანჯრის პრინციპით“ უზრუნველყოფს ბავშვის ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პროცესის უზრუნველყოფას.“ კონცეფციის თანახმად, ბავშვზე მორგებული გარემოს მახასიათებლები ასეთია: ბავშვის მონაწილეობის უზრუნველყოფა; ბავშვის გადაწყვეტილების პატივისცემა; ბავშვზე მორგებული ინფრასტრუქტურისა და გარემოს მოწყობა; ბავშვის ასაკის, სქესისა და შესაძლებლობის შესაბამისი მიდგომების გამოყენება; პროფესიონალები, რომლებსაც შეუძლიათ ბავშვის ასაკის, სქესის და შესაძლებლობების გათვალისწინებით, მიაწოდონ ხარისხიანი მომსახურება; ბავშვზე მორგებული პროცედურები; კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა.²⁴ ცენტრმა თბილისის მასშტაბით, ფუნქციონირება 2022 წლის მარტიდან დაიწყო და ის ნამდვილად ქმნის გარემოს, სადაც ბავშვს შეუძლია თავი დაცულად იგრძნოს. სწორედ დაცულ, საიმედო, ბავშვზე მორგებულ გარემოში ხორციელდება ბავშვის მიმართ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები და მართლმსაჯულების პარალელურად იგვემება მისი რეაბილიტაციის პროცესიც.²⁵

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული დადებითი ტენდენციებისა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად მაინც რჩება ბავშვზე მორგებული გარემოს სიმწირე, რაც აუცილებლად უნდა იქნას დაძლეული, რადგან წარმოადგენს სამართლებრივი სისტემისთვის სერიოზულ გამოწვევას, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ნათლად დავინახეთ გარემოს მნიშვნელობა არასრულწლოვნის გამოკითხვის პროცესის ეფექტიანი წარმართვის, მეორეული ვიქტიმიზაციის რისკების თავიდან აცილების მიზნების მიღწევისთვის.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან მართლმსაჯულების პროცესში არსებული გამოწვევები არ არის მარტივად ამოწურვადი თემა. თუმცა, მოცემული სტატიის ფარგლებში მკითხველი რამდენიმე საკვანძო საკითხის აქტუალობაზე აუცილებლად დაფიქრდება და ეს საკითხებია: ბავშვის ჩვენების სანდოობა, გამოკითხვის მეთოდოლოგია, ფსიქოლოგის როლი გამოკითხვის პროცესში და ბავშვზე მორგებული გარემოს მნიშვნელობა.

შენიშვნები:

- ¹ უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე № 50აპ-17, აპრილი, 2017 წელი.
- ² უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე № 655აპ-18, 22 აპრილი, 2019 წელი.
- ³ უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე № 50აპ-17, 5 აპრილი, 2017 წელი.
- ⁴ ბავშვის უფლებათა კონვენციის ზოგადი კომენტარი 10, უენევა, 25 მაისი – 12 ივნისი, 2009, პ. 39-55.
- ⁵ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, 18 დეკემბერი, 2006.
- ⁶ ბავშვის უფლებათა კონვენციის ზოგადი კომენტარი 10. უენევა, 25 მაისი – 12 ივნისი, 2009.
- ⁷ გაეროს საერთაშორისო პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლების შესახებ, 2020.
- ⁸ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია, ლანზაროტი, 2007, მუხლი 31.
- ⁹ Protocols for investigative interviews by Poole and Lamb, 1999; Milne and Bull, 1998; Faller, 1998. NICHD protocol, MOGP protocol, ABE protocol//file:///INVESTIGATIVE INTERVIEWS WITH CHILDREN. EUROPEAN POLICE SCIENCE AND RESEARCH BULLETIN, 2015.
- ¹⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილება „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, 2015, 30 დეკემბერი, მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი.
- ¹¹ Gunn Astrid Baugerud, Miriam Sinkerud Johnson. The NICHD Protocol: Guide to Follow Recommended Investigative Interview Practices at the Barnahus? Collaborating Against Child Abuse, 2017, pp 121-143.
- ¹² იხ.: ფსიქოლოგთა როლი გამოძიების ეტაპზე დაზარალებული და მოწმე ბავშვების გამოკითხვისას/დაკითხვისას, კვლევის ანგარიში, ღია საზოგადოების ფონდი, ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის, 2020; ასევე იხ.: სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „ბავშვებზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის დანაშაულებებზე მართლმსაჯულების განხორციელება“, 2021.
- ¹³ Smith, K., and Milne, R. 2011. Planning the interview. In Children’s Testimony: A Handbook of Psychological Research and Forensic Practice, 2d ed., edited by M.E. Lamb, D.J. La Rooy, L.C. Malloy, and C. Katz. Chichester, England: John Wiley & Sons, Ltd., pp. 87–107; https://bedfordscb.proceduresonline.com/files/invest_interview_ch_yp.pdf
- ¹⁴ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 23, ნაწილი პირველი; მუხლი 29, ნაწილი 2^ე; მუხლი 52, ნაწილი მე-3, მე-8, მე-9.
- ¹⁵ Committee of Ministers of the Council of Europe, Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice. P.22, 82 // <https://rm.coe.int/16804b2cf3>
- ¹⁶ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი 12, პ. 34.
- ¹⁷ ურსინა ვაიდკუნი, ბავშვებზე მორგებული მართლმსაჯულება, კონცეფცია, 2016, <https://pfp.ge/wp-content/uploads/2022/05/4811c6652cd87c83c6ac059fca3697b5.pdf>
- ¹⁸ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია, ლანზაროტი, 2007.
- ¹⁹ T and V v. United Kingdom. application no 24724/94. 16 December 1999.
- ²⁰ <https://pog.gov.ge/uploads/cc0023c6-2021-wlis-angarishi-arasrulwlovanTa-marTlmsajuleba.pdf>. p. 38.
- ²¹ <https://www.alabamacacs.org/about-us/mission.html>
- ²² <https://www.nationalcac.org/find-a-cac/#>
- ²³ <https://www.barnahus.eu/en/about-barnahus/>
- ²⁴ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 სექტემბრის №1825 განკარგულება „ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფციის მოწონების შესახებ.“
- ²⁵ <https://www.interpressnews.ge/ka/article/753864-tbilisizaladobis-msxverplta-momsaxurebis-dacesebulebis-seksualuri-zaladobis-msxverpl-bavshvta-integrirbul-centrs-irakli-shotazis-piradi-sachukrebi-gadaeca>


THE PROCEDURE OF INTERVIEWING A CHILD VICTIM OF SEXUAL VIOLENCE – PRACTICAL PROBLEMS

IA CHKHEIDZE

PhD in Law, Akaki Tsereteli Kutaisi State University, Faculty of Business, Law and Social Sciences, Associate Professor at the Department of Law

The purpose of the article – "Procedure of Interviewing a Child Victim of Sexual Violence – practical problems" is to show us the difficulties in practice and to show us ways to solve them. The article provides information about the difficulties, without understanding and solving them correctly, it is impossible to talk about a justice process adapted to the child and based on the best interests of the child, in which the main interest is the psycho-emotional rehabilitation of the child, effective response to the fact of the crime committed against the minor and punishment of the offender.

In practice, the most important issue that arose during the investigation process of minor victims of sexual violence concerns the reliability of the testimony of a minor child, in relation to Articles 50 and 75 of the Criminal Procedure Code of Georgia. The article cites international standards, as well as the practice of the Supreme Court of Georgia, which states that considering the credibility of a child's testimony and discussing its admissibility with the argument that the child may not be able to correctly



perceive, remember and convey the facts due to his/her age is a violation of the child's fundamental rights. Under the conditions of such an interpretation of the norm, it is impossible to talk about taking into account the child's best interests in the implementation of justice. Based on international legal norms, the paper concludes that for the reliability of a child's testimony, it is important to determine the capabilities of a child, including a disabled child, taking into account age development and experienced trauma, psycho-emotional state. It is within this possibility that the right tactics of the interview should be planned and the information received should be taken into account by the person making the decision, taking into account the capabilities of the minor, and evaluating the other circumstances of the case.

The article discusses how to interview a minor so that the investigator can get reliable information from the child. What should be the role of the psychologist in the interview process, how should the interview be planned and what methods and tactics should be used to conduct the interview process.

The paper emphasized the practical difficulties that prevent the interview of a minor to be conducted according to the NICHD protocol, and even during the interview in accordance with the protocol, it is not possible to avoid the risks of secondary victimization of the child and achieve the goals that the NICHD protocol intends. In particular, this difficulty concerns the mandatory rule of drawing up a written protocol of investigative action established by the Code of Criminal Procedure, during which the effective communication of minors is threatened.

In the paper, emphasis was also placed on such an important element of child-friendly justice as a child-friendly environment. The importance of the environment in the proper conduct of the interview process was emphasized, examples of several countries were cited, and trends in Georgia were noted in this regard.

საქართველოს გზა გლობალურ სავაჭრო სივრცეში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად

საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის
სამართლებრივი ასპექტები

ია ხარაზი

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისა და დიპლომატიის
ფაკულტეტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის მიმართულების პროფესორი*

შესავალი

სტატიის მიზანია სამართლებრივი ასპექტების საფუძველზე საერთაშორისო ვაჭრობის შეფასება და მისი პრინციპების გავლენის დადგენა ქვეყნის განვითარების პროცესებში; რა გავლენა იქონია საქართველოსთვის საგარეო ვაჭრობის განვითარებაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ და რა უპირატესობა აქვს ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულებას ქვეყნის გლობალიზაციის პროცესში.

საერთაშორისო ვაჭრობის გარეშე, თანამედროვე მსოფლიო წარმოუდგენელია. საგარეო ვაჭრობა გლობალური ეკონომიკის ზრდის გასაღებს წარმოადგენს. თანამედროვე ეტაპზე, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია არის ყველაზე

წარმატებული საერთაშორისო ორგანიზაციათა შორის, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების მოწესრიგებისა და წარმართვის საკითხში. იგი უდავოდ არის არა მარტო ერთ-ერთი საკვანძო ორგანიზაცია, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს არეგულირებს მსოფლიოს მასშტაბით, არამედ ასევე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან სამართალშემოქმედებით ორგანოს. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (შემდეგში – ვმო) არსებითად, ალტერნატიული დავის ან მედიაციის სუბიექტია, რომელიც იცავს ვაჭრობის საერთაშორისო წესებს მსოფლიო ერებს შორის. მისი შეთანხმებები განვითარებადი ქვეყნებსთვის შეიცავენ სპეციალურ დებულებებს – ვალდებულებების განსახორციელებლად, სავაჭრო შესაძლებლობების ზომების გასაზრდელად და მხარდასაჭერად, დავების მოსაგვარებლად და ტექნიკური სტანდარტების დასანერგად.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი აღიარებს და უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ თავისუფლებას და სახელმწიფო ბრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე. მართლაც, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები საქართველომ უკანასკნელ წლებში საკმაოდ განავითარა. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ საქართველოსთვის განაპირობა ლიბერალურ სავაჭრო პოლიტიკაზე ორიენტაციის აღება და საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკისათვის მთავარ პრიორიტეტად იქცა წარმატებით ინტეგრაცია მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულების (DCFTA) საფუძველზე, კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებებისა და მისი პრაქტიკაში დანერგვის შედეგად, საქართველომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სრულფასოვანი წევრის შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება მოახდინა. ასოცირების ხელშეკრულება (DCFTA) ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს მოიცავს და ხელს უწყობს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას. ასოცირების ხელშეკრულება დაფუძნებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრინციპებზე და საქონლის იმპორტის გადასახადის გაუქმებასა და სავაჭრო სერვისებზე მეწარმეთა შეუზღუდავ დაშვებას გულისხმობს. საქართველომ ევროკავშირთან დადებული ასოცირების შეთანხმებით აიღო ვალდებულება, რომ ქვეყანაში დანერგოს ახალი პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური სტანდარტები.¹ საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის მნიშვნელობა დიდია საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაშიც. საბაჟო სატარიფო პოლიტიკის განვითარება მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში.

დროთა განმავლობაში, საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციამ საბაჟო გადასახადების საერთო დონე მკვეთრად შეამცირა, რასაც ეროვნულ ტარიფებში უბაჟო პოზიციების გაზრდა მოჰყვა. გარდა ამისა, რეგიონული შეთანხმებების დადების პრაქტიკამ ფართო გავრცელება ჰპოვა, რაც მათ მონაწილე მხარეებს სთავაზობს პრეფერენციულ საბაჟო-სატარიფო რეჟიმს.

1. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტის შესახებ

1.1. საქონლით ვაჭრობის საბაჟო-სატარიფო საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება

დღეისათვის, საერთაშორისო ვაჭრობის კონტროლისა და ხელშეწყობის მრავალი გზა არსებობს. სავაჭრო ხელშეკრულებაში მხარეები აკეთებენ ორმხრივ დათმობებს, რათა თავიანთი სავაჭრო ურთიერთობები დაამყარონ თითოეული მათგანის მიერ სამართლიანად მიჩნეულ საფუძველზე. შესაბამისად, საერთაშორისო ვაჭრობა სამართლებრივი გარიგებებით და წესებით რეგულირდება.

საქონლის გარე და შიდა საზღვრების გადაადგილებისას, სახელმწიფოს მიერ ბაჟების ამოღება უძველესი ფინანსური ოპერაციაა, რომელიც არსებითად დღემდე ყველგან არის შემორჩენილი. თავდაპირველი მოტივაცია კი, წმინდა ფისკალური იყო. ნაწილობრივ, ეს ფაქტორი დღემდე რჩება სუსტად განვითარებული, არაპრეფერენცირებული საგარეო ვაჭრობის მქონე სახელმწიფოებში. იმ ქვეყნებში, სადაც საგარეო ვაჭრობა საკმაოდ განვითარებულია ჩვეულებრივ, მხოლოდ საიმპორტო ბაჟებს, გადასახადებს იყენებენ არა როგორც ფისკალურის, არამედ როგორც სავაჭრო პოლიტიკის არსებით ინსტრუმენტს.²

ყველა სახელმწიფოს საკუთარი ეროვნული კანონმდებლობით დარეგულირებული გადასახადები აქვს, საქონლის საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას. გამონაკლისია საბაჟო კავშირში გაერთიანებული სახელმწიფოები. ასეთ შემთხვევაში, კავშირის ფარგლებში ერთიანი საბაჟო ტარიფი მოქმედებს ყველა წევრი სახელმწიფოსთვის. მასიური საქონლისთვის გამოიყენება სპეციფიკური ბაჟები, რომლებიც ერთიანი ფიზიკური საზომით გაიანგარიშება.³

ეროვნულ ტარიფებს სამი სვეტი აქვს და თითოეული მათგანი სხვადასხვა განაკვეთებით გამოირჩევა. მაგალითად, საერთო სვეტი ყველა ქვეყნისთვისაა. სვეტი უფრო შეღავათიანი განაკვეთით კი, იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმებით სარგებლობენ. სვეტი კიდევ უფრო ხელსაყრელი განაკვეთებით ქვეყნებისთვისაა, რომლებიც

პრეფერენციული რეჟიმით სარგებლობენ. შეიძლება მოქმედებდეს საზოგადოდ ყველა ან ცალკეული საქონლის უბაჟო შეტანის პირობებით.⁴

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თავდაპირველად, საბაჟო ტარიფები სახელმწიფოების მიერ საქონლის შეტანის და გატანის რეგულირების საშუალებად მოიაზრებოდა, როგორც პირველი საერთაშორისო საქონლით ვაჭრობის სფეროში, დაწესებულებები, რომელთა მიზანია სხვა ქვეყნების საბაჟო ტარიფების შესახებ ინფორმაციაზე საქონლით ვაჭრობის მონაწილეების მხოლოდ დაშვების გადაადგილებაში თანამშრომლობა, – იძლეოდა ფასების გადასახადზე შესაბამისი ხარჯების უფრო ეფექტიანი შეფასების საშუალებას.⁵

საქონლის სწორი შეფასება ადვალური გადასახადების განაკვეთების განსაზღვრის ბაზაა, გარდა ამისა, შეცდომების და საბაჟო საქმეში ბოროტმოქმედებათა თავიდან აცილებისთვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ძირითადად, საქონლის შეფასების ხერხები და მეთოდები თითოეული სახელმწიფოს დამოუკიდებელი კომპეტენციაა. ერთგვაროვანი სამართლიანი მიდგომის მიზნით, ასეთი შეფასებისადმი ცალკეული სახელმწიფოების საბაჟო დაწესებულებების მიერ, 1994 წელს, შეთანხმებების მარაკეშის პაკეტის⁶ შემადგენლობაში დაიდო მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთათვის, სპეციალური სავალდებულო საბაჟო შეფასების შესახებ შეთანხმება. გარდა ამისა, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის ფარგლებში შეიქმნა საბაჟო შეფასების საერთო კომიტეტი.⁷

2.1. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის არასატარიფო ზომები

ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების (GATT)⁸ სისტემის ფუძემდებლური პრინციპია ეროვნული წარმოების დაცვის პრინციპი, რომლის ძირითად ფორმად აღიარებულია საბაჟო ტარიფების აღიარება, არასატარიფო ბარიერების დაწესება. პრაქტიკულად, როგორც GATT⁹-ის წარმოშობამდე არასატარიფო შეზღუდვების მეშვეობით გრძელდება იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილის რეგულირება. შეზღუდვები ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დაგვით. პირველი სამთავრობო, ადმინისტრაციული ზომები, რომლებიც ბაზარზე შემოქმედების ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებასთანაა პირდაპირ დაკავშირებული. ვაჭრობის პირდაპირი აკრძალვა გულისხმობს: ემბარგოს, სავაჭრო ბლოკადას, ბოიკოტს, ხოლო ყველაზე ხშირად, რაოდენობრივი შეზღუდვების ექსპორტისა და იმპორტის განბაჟების ლიცენზიების ნებადართველ სისტემებს.¹⁰

არასატარიფო შეზღუდვების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ვაჭრობაზე სერიოზულად შემოქმედების მომხდენი ზომები: ანტიდემპინგური და საკომპენსაციო და სპეციალური არასატარიფო ბაჟები, რომლითაც იბეგრება იმპორტირებული საქონელი.

რაოდენობრივი შეზღუდვები ექსპორტისა და იმპორტის რეგულირების ყველაზე უფრო მკაფიო ხერხია და საბაზრო ეკონომიკისგან უფრო შეუთავსებელი. მიუხედავად ამისა, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები მაინც ფართოდ იყენებენ რაოდენობრივ შეზღუდვებს, როგორც სავაჭრო პოლიტიკისა და პროტექციონიზმის მოქმედ საშუალებას. გეგმური ეკონომიკის ქვეყნებში ექსპორტისა და იმპორტის კვოტების სისტემა მათი საგარეო ვაჭრობის ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს.¹¹

GATT-ის პირობებით დამცავი ზომები ძირითადად, ნებადართული იყო და მისი ბევრი წევრი სახელმწიფოს მიერ არაერთხელ გამოიყენებოდა. დამცავი ზომების მოწესრიგებისა და მისი რეგლამენტაციის მიზნით, მარაკეშის პაკეტის შემადგენლობაში 1994 წელს მიღებულ იქნა სპეციალური დამცავი ზომების შესახებ შეთანხმება.¹²

ექსპორტზე მომუშავე საკუთარი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების კონკურენტული უპირატესობების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოები სუბსიდიებს იყენებენ, რომლებიც შეიძლება იყოს: საექსპორტო ბაჟებისა და საშინაო გადასახადებისგან გათავისუფლება, ეკონომიკის საექსპორტო დარგებისთვის შეღავათიანი კრედიტები.¹³

კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, სამთავრობო სუბსიდიები მიიჩნევა, როგორც კომერციული პრაქტიკის არაკეთილსინდისიერი ნაირსახეობა. 1994 წელს, ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების ფარგლებში, ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებების ერთ-ერთ შედეგად მიღებულ იქნა „განსაკუთრებული სუბსიდირებისა და საკომპენსაციო ზომების შეთანხმება.“ შეთანხმება დაწვრილებით არეგლამენტირებდა მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისთვის სუბსიდირების გამოყენებას.¹⁴ ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შეთანხმებაში¹⁵ შედის სავალდებულო დოკუმენტების მარაკეშის პაკეტები, რომელიც ყველა სამრეწველო საქონელზე ვრცელდება და ის ეხება სახელმწიფოთა უფლებებს, დაადგინონ სავალდებულო სტანდარტები, სპეციფიკური წესები, ტექნიკური რეგლამენტი. შეთანხმება იმ შემთხვევაშიც გამოიყენებოდა, როდესაც იმპორტული საქონელი თავის მახასიათებლებს იცვლიდა წარმოების პროცესში და იმ შემთხვევაშიც, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების ან არასამთავრობო დაწესებულებების მიერ შემოღებული იყო სავალდებულო სტანდარტები.¹⁶ შესაბამისად, ასეთი ზომები თვითნებურად არ უნდა აჭარბებდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული დაცვის მხარდაჭერის საჭიროებებს და საქონლის ხარისხის სტანდარტების დაცვას. გარდა ამისა, ეს კეთილსინდისიერი ზომები არ უნდა იყოს დისკრიმინაციული მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის მონაწილე წევრი სახელმწიფოებისათვის და გამოყენებული ზომები გამჭვირვალე ხარისხით უნდა იწარმოებოდეს. მონაწილე ქვეყნებმა უნდა მიაწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს ინფორმაცია გამოყენებული სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების შესა-

ხებ, ასევე, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების შესახებ და უნდა გააჩნდეთ განსაკუთრებული დაწესებულებები, რომლებიც პასუხისმგებელია ასეთი ინფორმაციის მიწოდებაზე.¹⁷

საქონლის დათვალიერება და საქონლის ინსპექცია მის გადატვირთვამდე ხორციელდება და განსაკუთრებით, განვითარებად სახელმწიფოებში ექსპორტირების მხრიდან, ბოროტ-მოქმედების გამოსავლენად ჩატარებულ ზომებს მიეკუთვნება. განვითარებადი ქვეყნები ხშირად, თაღლითურად ცდილობენ საქონლის ფასების დაწევასა და აწევას, რომელიც მითითებულია საქონლის თანმხლებ დოკუმენტებში და მიმართულია საბაჟო გადასახადების თავის არიდების მიზნით. საქონლის წარმოშობის¹⁸ ადგილის შესახებ სანდო ინფორმაციის მიღებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც მომხმარებლისთვის, ასევე პროდუქციის გასაღებისთვისაც. საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით, 1973 წელს დამუშავებული საბაჟო პროდუქტირების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის კონვენცია შეიცავს მხოლოდ ზოგად დებულებებს საქონლის წარმოშობის წესების რეგლამენტაციის შესახებ. დებულებები საქონლის წარმოშობის წესებზე ითვალისწინებს, რომ შეთანხმებაში მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან მოახდინონ საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის ეროვნული კანონებისა და ადმინისტრაციული აქტებისა და წესების კონკრეტიზება და ჰარმონიზება. ყოველივე ამის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა N256 დადგენილება (2006 წლის 27 დეკემბერი) „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წესის, წარმოშობის სერთიფიკატების ფორმის, მისი გადაცემისა და შევსების წესების შესახებ“ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის N993 ბრძანება (2010 წლის 31 დეკემბერი) „საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.“¹⁹

საყურადღებოა, რომ ასეთი წესები უნდა მოქმედებდეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც გამოყენებულია უდიდესი ხელშეწყობის რეჟიმი, ანტიდუპინგური და საკომპენსაციო ბაჟები, დამცავი ზომები, წარმოების ქვეყნის მარკირებისადმი მოთხოვნები. ეს წესები არ ვრცელდება, როდესაც პრეფერენციული ბაჟები გამოიყენება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს როგორც სხვა შემთხვევებში, ახლაც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში წესების მოქმედებიდან კეთდება გამონაკლისები, განვითარებადი, მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნების სასარგებლოდ.²⁰

1.3. განსაკუთრებული ჯგუფის საქონლით ვაჭრობის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება

მე-20 საუკუნის 50-იან წლებში, სასაქონლო შეთანხმებები და სპეციალური სასაქონლო ჯგუფები ინტენსიურად იქმნებოდა, გრძელდებოდა და იღებოდა მრავალი შეთანხმება,

ხელშეკრულება სხვადასხვა სახის ნედლეულ საქონელზე. თითოეულ შესაბამის საქონელზე, მის წარმოებასა და ვაჭრობაზე ვრცელდებოდა სხვადასხვანაირი საერთაშორისო მიზნობრივი რეგულირება. ასეთი რეგულირების მიზანი შეიძლება გამოიხატოს ნედლეულის დაბალანსებული წარმოების, მოხმარებისა და საერთაშორისო ვაჭრობის ნორმალიზაციის თვალსაზრისით.²¹

განხილული მრავალმხრივი შეთანხმებები და მათ საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციები თავიანთ შემადგენლობაში მოიცავს ნედლეულის მწარმოებელ ქვეყნებს, რომლებიც წარმოდგენენ განვითარებულ ქვეყნებს და ასევე, მოხმარებელ ქვეყნებს, რომლებიც არიან მრეწველობით განვითარებული ქვეყნები. მწარმოებელი ქვეყნები წარმოების განვითარებით არიან დაინტერესებულნი, ასევე, ნედლეულის გადამუშავებითა და ექსპორტით სტაბილური ეკონომიკის უზრუნველყოფის ფასებით. იმპორტიორი ქვეყნების ინტერესები კი, განსხვავდება ზემოთ აღნიშნულისგან და მათ ინტერესებს წარმოადგენს ნედლეულზე სტაბილური ფასების შენარჩუნება.²²

1.4. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის – გამოწვევები და საქართველო

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ფორმდება ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ ქვეყანას შორის და მიზნად ისახავს მხარეთა შორის თანამშრომლობის ჩარჩოს შექმნას. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ამბიციური და ინოვაციური ე. წ. „ახალი თაობის“ შეთანხმებაა, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.²³

ხელშეკრულებამ განსაზღვრა მხარეთა თანამშრომლობის პრიორიტეტული სფეროები, მათ შორის: პოლიტიკური დიალოგი; ვაჭრობა, ბიზნესი და ინვესტიციები; დემოკრატია და ადამიანის უფლებები; სამართლებრივი, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობა; არალეგალური ემიგრაციის პრევენცია, კრიმინალთან ბრძოლა და კონტროლი და სხვა ინსტიტუციური საკითხები.²⁴

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ ოფიციალურად ეწოდება „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს

შორის. „შეთანხმებას 2014 წლის 27 ივნისს მოეწერა ხელი, რის შემდეგაც საქართველოს, ევროპარლამენტის და ევროკავშირის 28 წევრი სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული.²⁵ შეთანხმების პოლიტიკური მიზანი საქართველოს „ევროპული არჩევანის“ განხორციელების და მისი ევროკავშირთან დაახლოების ხელშეწყობაა. ეს კი, გულისხმობს დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფას და უსაფრთხოებას. შეთანხმება არ ეხება საკითხს – საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში, თუმცა მომავალში, ის არ გამორიცხავს ასეთი პერსპექტივის არსებობას.²⁶

ასოცირების ხელშეკრულება პარტნიორი ქვეყნების ევროპის კავშირის სტანდარტებსა და ნორმებთან დაახლოების მთავარი ინსტრუმენტია. საქართველოსთან დადებული ასოცირების ხელშეკრულება ოთხი დიდი თავისგან შედგება: საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა; სამართალი და საშინაო საქმეები; ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) და მეოთხე თავი, რომელიც აერთიანებს რამდენიმე საკითხს, მათ შორის, გარემო, მეცნიერება, განათლება, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა და რეგიონული განვითარება.²⁷ საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებთან გაფორმებულ დოკუმენტს სხვა ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებებისგან გამოარჩევს – DCFTA ანუ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება, რომლითაც ისინი ევროკავშირის სტანდარტების მიღების ვალდებულებას იღებენ ვაჭრობის, მომხმარებლის დაცვისა და გარემოს რეგულირების სფეროებში.²⁸

ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს სწორედ ის მოიცავს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. საქართველო ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის, ვისთანაც თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გააჩნია ევროკავშირს. საქართველოს და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება წარმოადგენს ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას, რომლითაც საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობები რეგულირდება. ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტები კი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) განისაზღვრება, რომელიც განუყოფელი ნაწილია ასოცირების ხელშეკრულების.²⁹

თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნისთვის ძირითადი ამოსავალი წერტილი ტარიფების ლიბერალიზაციაა. საქართველო უნიკალური ქვეყანაა იმ თვალსაზრისით, რომ 2006 წლიდან, მან რადიკალურად და ცალმხრივად განახორციელა საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ლიბერალიზაცია.³⁰

DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ, ევროკავშირმაც განახორციელა საქართველოდან იმპორტზე ტარიფების სრული ლიბერალიზაცია და ამით დასრულდა თავისუფალი სავაჭრო სივრცის ძალაში შესვლა სატარიფო ნაწილში. ამგვარად, ორივე მხარემ – საქართველომ და ევროკავშირმა გააუქმა იმპორტის გადასახადი თითქმის ყველა პროდუქტზე, DCFTA ხელშეკრულება მხოლოდ მცირე გამონაკლისს ითვალისწინებს საქონლით ვაჭრობის ლიბერალიზაციის სფეროში და ეს გამონაკლისები ევროკავშირში სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტს ეხება. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საქსპორტო პოტენციალის ზრდას და საქართველო გახდება ინვესტორებისთვის მიმზიდველი ქვეყანა, რაც ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას გამოიწვევს.³¹

DCFTA საქართველოს საშუალებას აძლევს ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი მათგანი, ესენია: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებისგან განსხვავებით, ასოცირების ხელშეკრულება გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს და ითვალისწინებს საქართველოს ვაჭრობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას. საკანონმდებლო დაახლოების შედეგად, შესაძლებელი გახდება არასატარიფო ბარიერების გადალახვა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, უფრო მეტად ზღუდავს ვაჭრობას, ვიდრე ტარიფები.³²

DCFTA მოიცავს ვაჭრობის დაცვით ზომებს, რომელთა გატარების უფლება აქვთ ევროკავშირს და საქართველოს მეორე მხარის იმპორტის მიმართ, თუ იმპორტი აზიანებს ან საფრთხეს უქმნის ადგილობრივ წარმოებას. კერძოდ, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ ანტიდუპინგურ სუბსიდიების საწინააღმდეგო და დაცვით ზომებს. DCFTA-ს დებულებები ვაჭრობის დაცვით ზომებთან დაკავშირებით, ძირითადად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შესაბამის წესებს მოიცავს.³³ ანტიდუპინგური ღონისძიებები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ამისათვის. მაგალითად, თუ კომპანია პროდუქციის ექსპორტს იმაზე დაბალ ფასად ახორციელებს, ვიდრე თავის ქვეყნის შიდა ბაზარზე ყიდის, მაშინ ითვლება რომ დუპინგს ახორციელებს, ამის შესაბამისად, მთავრობები უფლებამოსილნი არიან მიმართონ ზომებს დუპინგის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივ წარმოებას არსებითი ზიანი ადგება. ასეთ დროს იმპორტიორ ქვეყანას უფლება აქვს შემოიღოს ანტიდუპინგური გადასახადი ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც ადგილობრივ წარმოებას მიადგა. ევროკავშირი-საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობებში დაცვითი ზომები პრაქტიკულად, არასდროს ყოფილა

გამოყენებული, უფრო მეტიც, საქართველოს არ გააჩნია ანტიდეპინგური საკომპენსაციო ან/და დაცვით ზომებთან დაკავშირებული კანონმდებლობა, ვინაიდან ქვეყნის ლიბერალური სავაჭრო და ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში მიჩნეულია, რომ მომხმარებლის ინტერესების გასათვალისწინებლად, დაბალი ფასები უპირატესია და ქვეყანა მიზნად არ ისახავს თავის სავაჭრო პარტნიორების „დასჯას“ იაფი იმპორტის გამო.³⁴

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობა წლების განმავლობაში ვითარდებოდა, დღეს ევროკავშირი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია. DCFTA აღრმავებს საქართველოს ეკონომიკურ კავშირებს ევროკავშირთან და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა სახელმწიფო შესყიდვები, საერთო საბაჟო წესები, სურსათის ტექნიკური და სანიტარიული სტანდარტები, ინტელექტუალური საკუთრების საკითხები და კონკურენციის წესები. ევროკავშირი ხელს უწყობს საქართველოს მთავრობას ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდასა და კონკურენციის მხარდაჭერაში, ხარისხის მართვის სისტემების და ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემების ჩამოყალიბების გზით, რითაც უზრუნველყოფს სტანდარტებთან შესაბამისობას.³⁵

დასკვნა

მიგვაჩნია, რომ DCFTA-მ ეფექტიანად რომ იმუშაოს, საჭიროა მაღალი ხარისხის საბაჟო მომსახურების უზრუნველყოფა საზღვარზე და ასეთი სახით ვაჭრობის ეფექტიანი და სწრაფი ხელშეწყობა, რათა თავიდან იქნას აცილებული პროცედურული შეფერხებები და კორუფცია. ევროკავშირი და საქართველო შეთანხმდნენ, რომ საბაჟო კანონმდებლობა და პროცედურები იქნება სტაბილური, გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და თაღლითობის თავიდან აცილებაზე ორიენტირებული. გარდა ამისა, მხარეები ასევე, მიზნად ისახავენ საბაჟო ადმინისტრაციების მიერ მოთხოვნილ სავალდებულო მონაცემთა და დოკუმენტაციის გამარტივებას და შემცირებას.³⁶

2004 წლიდან, საქართველომ საბაჟო მომსახურების სფეროში შთამბეჭდავი რეფორმები გაატარა და ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული და რთული საბაჟო სისტემა კონკურენტულ სისტემად აქცია, რომლის ფარგლებში ვაჭრობაში მონაწილეებს საბაჟო ადმინისტრაცია ისე ეპყრობა, როგორც კლიენტებს. საქართველო უკვე აკმაყოფილებს საბაჟო პროცედურებთან და კანონმდებლობასთან დაკავშირებით DCFTA-ში წარმოდგენილ ძირითად პრინციპებს. „ასოცირების შესახებ შეთანხმებით ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის,“ მონაწილე მხარეები აღიარებენ საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობის მნიშვნელობას ორმხ-

რივ განვითარებად სავაჭრო გარემოში. ისინი თანხმდებიან გააძლიერონ თანამშრომლობა აღნიშნულ სფეროში, რადგან კანონიერი ვაჭრობის განვითარების და ეფექტიანი კონტროლის განხორციელების მიზნების აღსრულება უზრუნველყონ, როგორც შესაბამისი კანონმდებლობისა და პროცედურების, ასევე შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციული შესაძლებლობების, როგორც მნიშვნელოვანი პრინციპის, გამოყენების გზით. მხარეები აღიარებენ, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საჯარო პოლიტიკის ამოცანებს, რომლებიც მოიცავს ვაჭრობის ხელშეწყობას, უსაფრთხოებას, თაღლითობის თავიდან აცილებას.³⁷

DCFTA ითვალისწინებს ევროკავშირში მოქმედი სისტემის მსგავსი საბაჟო პროცედურების დანერგვას საქართველოს საბაჟო სისტემაში. მიზანი ევროკავშირსა და საქართველოს შორის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ერთნაირი საბაჟო რეგულირების გარემოს შექმნაა, რომელიც საქონლის ექსპორტისას, საქართველოს მეწარმეებს საშუალებას მისცემს მინიმუმამდე შეამცირონ დანახარჯები. მხარეებს შორის ვაჭრობაში საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა მოხდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების პირველ დანართში აღნიშნული დებულებების მიხედვით.³⁸

რამეთუ საქართველოსა და ევროკავშირს შორის საბაჟო ტარიფები თითქმის სრულიად არის გაუქმებული, – ტექნიკური ბარიერები, როგორცაა ტექნიკური სტანდარტები და ტექნიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოთხოვნები საჭიროებს ევროკავშირის პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანას. სწორედ ამიტომ საქართველო თავის კანონმდებლობას დაუახლოვებს ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას, სტანდარტებსა და პროცედურებს. ეს იქნება ხანგრძლივი და რთული პროცესი თუმცა, საფუძველს ჩაუყრის ქვეყნის მრეწველობის მოდერნიზაციას და გაუმჯობესდება საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა. ევროკავშირის სამრეწველო საქონლის ტექნიკური სტანდარტების სისტემის დაახლოება საქართველოსთვის მნიშვნელოვან პროგრესს წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობაში.³⁹

კონკურენტული და დინამიკური მომსახურების სექტორის განვითარება უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაციისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, DCFTA დაფუძნების და მომსახურებით ვაჭრობის სფეროში დეტალურ და ყოვლისმომცველ ლიბერალიზაციას ითვალისწინებს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სფერო მრავალფეროვანია და მოიცავს საფინანსო, საფოსტო და სატელეკომუნიკაციო მომსახურებას, ბიზნესმომსახურებას, დისტრიბუციასა და საცალო ვაჭრობას, ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებას, ტრანსპორტს, ტურიზმს, რეკრეაციას და სპორტს. აქედან გამომდინარე, მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობაც მეტად კომპლექსურია.⁴⁰

ევროკავშირსა და საქართველოსთვის სახელმწიფო შესყიდვებს დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. სახელმწიფო შესყიდვები ევროკავშირის მშპ-ს დაახლოებით, 18%-ს

შეადგენს, რაც ქართული კომპანიებისთვის უმნიშვნელოვანეს პოტენციურ ბაზარს წარმოადგენს გრძელვადიან პერსპექტივაში. DCFTA-ში განსაზღვრულია ძირითადი სტანდარტები, რომლებიც არეგულირებს შესყიდვების პროცესში გამარჯვებულის გამოვლენას, უშუალოდ გამომდინარეობს ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობიდან და ეყრდნობა თანასწორი მოპყრობის, არადისკრიმინაციულობის, პროპორციულობის და გამჭვირვალობის პრინციპებს.⁴¹ DCFTA-ის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების (IPR) სისტემის მოდერნიზაცია. ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა მეტად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კრეატიულობისა და ინოვაციების ხელშეწყობისთვის, არამედ ასევე, კონკურენტუნარიანობისა და დასაქმების ზრდისთვისაც. ამ რეფორმების გატარებამ საქართველოში ხელი შეუწყო სტაბილური სამართლებრივი გარემოს შექმნას.

DCFTA-ის კონკურენციის საკითხებისადმი მიძღვნილი თავი მცირე მოცულობისაა. მოცემული თავი მხოლოდ რამდენიმე ზოგად დებულებას მოიცავს და არ ავალდებულებს საქართველოს, თავისი კონკურენციის რეგულირების სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს ევროკავშირის კონკურენციის წესებსა და სისტემასთან. საქართველოს კონკურენციის პოლიტიკა ევროკავშირის კანონმდებლობისა და პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავდა. კერძოდ, 2012 წლის ახალი კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ შვედეთის კონკურენციის სააგენტოს ექსპერტებთან თანამშრომლობით და ევროკავშირის პრაქტიკის გათვალისწინებით იქნა მომზადებული. კანონის შემდგომი ცვლილებები მოიცავდა ანტიკონკურენციულ დებულებებს, რომლებიც ეხებოდა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.⁴²

DCFTA-ის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების (IPR) სისტემის მოდერნიზაცია. ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა მეტად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კრეატიულობისა და ინოვაციების ხელშეწყობისთვის, არამედ ასევე, კონკურენტუნარიანობისა და დასაქმების ზრდისთვისაც. ამ რეფორმების გატარებამ საქართველოში ხელი შეუწყო სტაბილური სამართლებრივი გარემოს შექმნას.

ახალი საბაჟო კანონმდებლობით, ფუნდამენტურადაა ასახული ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობის, ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე ფუნდამენტური მოთხოვნები. შესაძლებელი გახდა საბაჟო პროცედურების გამარტივება, კერძოდ: იმპორტის გადასახადის დაბრუნება ან/და ჩათვლა; საქართველოში გადახდილი იმპორტის გადასახადი არ აისახება სატრანსპორტო საშუალების სარეალიზაციო ფასში, რაც უთუოდ სასიკეთო ხელშეწყობა იქნება იმპორტიორებისათვის, გაიაღვილონ საზღვარგარეთ მისი რეალიზაცია; იმპორტის

გადასახადი გაანგარიშდება საბაჟო დეკლარაციაში შემავალი საქონლის იმპორტის გადასახადის უმაღლესი განაკვეთის მიხედვით, რაც ბუნებრივია, ადმინისტრირების ხარჯებს შეუმცირებს იმპორტიორებს სახელმწიფოს მხრიდან; ასევე, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას მოემსახურება შეთანხმების ისეთი დეტალები, როგორცაა: დეკლარანტმა საბაჟო დეკლარირება მოახდინოს საკუთარ ჩანაწერებში მონაცემების შეტანით, რითაც მოხდება დეკლარირების ავტომატური სისტემის დანერგვა საბაჟო სფეროში; საქართველოში დაინერგება ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან, ბიზნესის ნდობის უფრო მაღალი ხარისხის არსებობას, რაც ასევე, გულისხმობს ქართული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის აღიარებას ევროკავშირის ქვეყნებში და რომელიც ჩაანაცვლებს „ოქროს სიას;“ საბაჟო კანონმდებლობაში გაჩნდა საბაჟო პროცედურის მფლობელის დეფინიცია და პროცედურის მფლობელს მიეცა შესაძლებლობა, საბაჟო პროცედურასთან დაკავშირებული უფლებები გადაეცეს სხვა პირს; საბაჟო ორგანოს მიერ მისაღები გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს გადამხდელზე, წინასწარ ეცნობება აღნიშნულ პირს, გადამხდელის მხრიდან, არგუმენტების გათვალისწინების მიზნებიდან გამომდინარე და ა. შ.

დაბოლოს, განსახილველი თემის მხოლოდ ერთი სტატიით დეტალური შემოფარგვლა პრობლემის გლობალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, რთულია, ამიტომ გლობალიზაციის ხელშემწყობი – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გავლენის შესახებ საქართველოში და მასთან დაკავშირებულ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნასა და მის როლზე სავაჭრო სამართლის განვითარებაში, თანამედროვე მსოფლიო ვაჭრობის ძირითად პრინციპებზე, დისკრიმინაციის აკრძალვაზე – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მაგალითზე, საქართველო მსოფლიო სავაჭრო სისტემაში პრეფერენციული (შელავათიანი) სავაჭრო მოპყრობის შესახებ და სხვა აქტუალურ პრობლემებზე მომავალში გვექნება საუბარი.

შენიშვნები:

- ¹ ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, თბ., 2021; ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, მეორე ნაწილი, თბ., 2022; ხარაზი ი., საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბ., 2020.
- ² ხარაზი ი., გეფერიძე დ., საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი რეგულირების შესახებ, შურ. მართლმსაჯულება და კანონი, #1(40), 2014, გვ. 68-91.
- ³ ხარაზი ი., საქართველოს საგადასახო სამართალი, თბ., 2013, 106; ხარაზი ი., საბაჟო სამართალი თბ., 2019, 253; ურიდია გ., საბაჟო საქმის თეორია, თბ., 2009, 217; ჯგერენაია ე., საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბ., 2002, 57; საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები, დაბეგვრის საერთაშორისო საფუძვლები, გვ. 349-367.
- ⁴ ჯგერენაია ე., საბაჟო საქმის ტექნოლოგიური საფუძვლები, თბ., 2002, გვ. 226.
- ⁵ ველამინოვი გ. მ., საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი და პროცესი, 2004; კარო დ. შიუარი პ. საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი, 2002, გვ. 37; ევროპის გაერთიანების საბაჟო კოდექსი, საბაჟო რეგლამენტი 92.
- ⁶ Marrakesh Declaration of 15 April 1994; https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/marrakesh_decl_e.htm
- ⁷ ხარაზი ი., საბაჟო სამართალი თბ., 2019, გვ. 148, http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/266113/1/Martlmsajuleba_Da_Kanoni_2014_N1.pdf?fbclid=IwAR2_bp4YYuZ3T1hp6K1fEcpzXrrUYCg5cZiy-X_stiZU05FMs9JQmhl2jsc; ხარაზი ი., კუბატაძე კ., საგადასახადო სამართლის დისკრეციის გამოყენების ძირითადი მახასიათებლები (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები), შურნ. მართლმსაჯულება და კანონი, 2022, #2(74).
- ⁸ General Agreement on Tariffs and Trade 1994, https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/agrmtseries2_gatt_e.pdf
- ⁹ გენერალური შთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ.
- ¹⁰ Agreement on Agriculture; Agreement on Technical Barriers to Trade 1994, ხელმისაწვდომია: https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/17-tbt.pdf
- ¹¹ ხარაზი ი., საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბ., 2013, გვ. 67; თავართქილაძე მ., ქართული ექსპორტის არასატარიფო ბარიერები, შურნ. საქართველოს ეკონომიკა, 2016, <http://geoeconomics.ge/en/>
- ¹² Agreement on Safeguards in WTO, https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/25-safeg_e.htm
- ¹³ თავართქილაძე მ., ქართული ექსპორტის არასატარიფო ბარიერები, შურნ. საქართველოს ეკონომიკა, 2016, <http://geoeconomics.ge/en/>; ხარაზი ი., კუბატაძე კ., საგადასახადო სამართლის დისკრეციის გამოყენების ძირითადი მახასიათებლები (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები), შურნ. მართლმსაჯულება და კანონი, 2022, #2(74).
- ¹⁴ Agreement on Trade Related Investment Measures 1994, https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/18-trims.pdf
- ¹⁵ Agreement on Agriculture; Agreement on Technical Barriers to Trade 1994, https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/17-tbt.pdf
- ¹⁶ Technical Barriers to Trade – WTO, https://www.wto.org/english/tratop_e/tbt_e/tbt_e.htm .
- ¹⁷ ხარაზი ი., საბაჟო სამართალი თბ., 2019; ხარაზი ი., გეფერიძე დ., საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი რეგულირების შესახებ, შურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #1(40), 2014, 68-91, http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/266113/1/Martlmsajuleba_Da_Kanoni_2014_N1.pdf?fbclid=IwAR2_bp4YYuZ3T1hp6K1fEcpzXrrUYCg5cZiy-X_stiZU05FMs9JQmhl2jsc http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/266113/1/Martlmsajuleba_Da_Kanoni_2014_N1.pdf?fbclid=IwAR2_bp4YYuZ3T1hp6K1fEcpzXrrUYCg5cZiy-X_stiZU05FMs9JQmhl2jsc

- ¹⁸ ხარაზი ი., საქართველოს საგადასახადო სამართალი თბ., 2013; ხარაზი ი., საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, თბ., 2020, პირველი ნაწილი; ხარაზი ი., საქონლის გადაშეღების საბაჟო რეჟიმები, სამართლებრივი რეგულირება, 2006.
- ¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება (#257) „საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე,“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1167805>.
- ²⁰ ხარაზი ი., გეგერიძე დ., საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი რეგულირების შესახებ, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #1(40), 2014, 76, http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/266113/1/Martlmsajuleba_Da_Kanoni_2014_N1.pdf?fbclid=IwAR0vN-ebiR9MenuciKPUbNwmRjKIBHJnG9Ancf eaAJSAyVAuGax8l-Fqkml.
- ²¹ ხარაზი ი., საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბ., 2013, გვ. 80; ხარაზი ი., საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, თბ., 2020.
- ²² ხარაზი ი., გეგერიძე დ., საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი რეგულირების შესახებ, ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, #1(40), 2014, 75. ხარაზი ი., საბაჟო სამართალი თბ., 2019, გვ. 126.
- ²³ დევიძე ა., მირიანაშვილი გ., ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2019; საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების გზამკვლევი, 2014 .
- ²⁴ ასოცირების ხელშეკრულება და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში (მომზადებულია ნორვეგიის ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების ასოციაციისა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში), თბ., 2017, <https://nala.ge/uploaded/nala/2019-02/20190213192002281235248.pdf>.
- ²⁵ საინფორმაციო ცენტრი, საქართველო და ევროკავშირი, <https://old.infocenter.gov.ge/euinfo-the-association-agreement/>;
- ²⁶ პეპანაშვილი ნ., ბიზნესსამართალი, წიგნი I , მეორე განახლებული გამოცემა, თბ., 2017, გვ. 48.
მაიკლ ემერსონი და თამარ კოვზირიძე-საქართველო და ევროკავშირი მოკლედ გზამკვლევი, 2016.
- ²⁷ დევიძე ა., მირიანაშვილი გ., ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2019, გვ. 117.
- ²⁸ ასოცირების ხელშეკრულება და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში (მომზადებულია ნორვეგიის ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების ასოციაციისა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში), თბ., 2017, <https://nala.ge/uploaded/nala/2019-02/20190213192002281235248.pdf>.
- ²⁹ პეპანაშვილი ნ., ბიზნესსამართალი, წიგნი I, მეორე განახლებული გამოცემა, თბ., 2017, გვ. 52.
- ³⁰ იქვე, გვ. 3.
- ³¹ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), <http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7>
- ³² ხარაზი ი., ევროპული მოდელის საქართველოს საბაჟო კოდექსის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო რეფერირებული ჟურნ. სპექტრი, 2021, #5; დევიძე ა., მირიანაშვილი გ., ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2019, გვ. 118
- ³³ Agreement on Safeguards - World Trade Organization, https://www.wto.org/english/tratop_e/safeg_e/safeint.htm.
- ³⁴ დევიძე ა., მირიანაშვილი გ., ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2019; ემერსონი მ., კოვზირიძე თ., საქართველო და ევრო-

- კავშირი მოკლე გზამკვლევი, ევროპული წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ტრილოგიის ნაწილს, გვ. 9.
- ³⁵ დელეგაციის პრესისა და ინფორმაციის გუნდი GEORGIA-საქართველო და ევროკავშირი, 2018.
https://eeas.europa.eu/delegations/georgia/49071/node/49071_ka
- ³⁶ პეპანაშვილი ნ., ბიზნესსამართალი, თბ., 2017, გვ. 50; გზამკვლევი – შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA): შესაძლებლობები და გამოწვევები ქართული ბიზნესისათვის (ბროშურის ტექსტი შემუშავებულია ექსპორტის განვითარების ასოციაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად.)
- ³⁷ ასოცირების ხელშეკრულება და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, (მოშხადებულია ნორვეგიის ადილობრივი და რეგიონული მთავრობების ასოციაციისა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში), თბ., 2017; ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014, მუხლი 66, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>; ხარაზი ი., ევროპული მოდელის საქართველოს საბაჟო კოდექსის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო რეფერირებული ჟურნ. სპექტრი, 2021, #5.
- ³⁸ Technical Information on Customs Valuation in WTO, https://www.wto.org/english/tratop_e/cusval_e/cusval_info_e.htm.
- ³⁹ ემერსონი მ., კოვზირიძე თ., საქართველო და ევროკავშირი მოკლე გზამკვლევი, ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრი (CEPS), ბრიუსელი რეფორმატიკა (Reformatics), თბ., გვ. 11.
- ⁴⁰ ემერსონი მ., კოვზირიძე თ., საქართველო და ევროკავშირი მოკლე გზამკვლევი, ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრი (CEPS), ბრიუსელი რეფორმატიკა (Reformatics), 2016, გვ. 13.
- ⁴¹ იქვე.
- ⁴² იქვე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, თბ., 2021;
2. ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, მეორე ნაწილი, თბ., 2022;
3. ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, თბ., 2010, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/266113/1/Martimsajuleba_Da_Kanoni_2014_N1.pdf?fbclid=IwAR2_bp4YYuZ3T1hp6K1fEcpzXrrUYCg5cZiy-X_stiZU05FMs9JQmhl2jsc;
4. ხარაზი ი., საქართველოს სავადასახადო სამართალი, თბ., 2013;
5. ხარაზი ი., საბაჟო სამართალი, თბ., 2019;
6. ხარაზი ი., საქართველოს სავადასახადო სამართალი, თბ., 2013;
7. ხარაზი ი., სავადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო; პირველი ნაწილი, თბ., 2020;
8. ხარაზი ი., სავადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, თბ., 2020;
9. ურიდია გ., საბაჟო საქმის თეორია, თბ., 2009;
10. ჯგერენაია ე., საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბ., 2002;
11. პეპანაშვილი ნ., ბიზნესსამართალი, წიგნი I, მეორე განახლებული გამოცემა, თბ., 2017;
12. დევიძე ა., მირიანაშვილი გ., ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2019;

13. ემერსონი მ., კოვზირიძე თ., საქართველო და ევროკავშირი მოკლე გზამკვლევი, 2016;
14. ველიამინოვი გ. მ., საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი და პროცესი, მოსკოვი, 2004;
15. კარო დ., ჟიუარი პ., საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი, 2002.

სამეცნიერო სტატიები:

1. ია ხარაზი, დავით გეგვირიძე, საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი რეგულირების შესახებ, ჟურნ., მართლმსაჯულება და კანონი, #1(40), 2014;
2. ია ხარაზი, ევროპული მოდელის საქართველოს საბაჟო კოდექსის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო რეფერირებული ჟურნ. სპექტრი, 2021, #5;
3. მ. თავართქილაძე, ქართული ექსპორტის არასატარიფო ბარიერები, ჟურნ. საქართველოს ეკონომიკა, 2016, <http://geoeconomics.ge/en/>;
4. ია ხარაზი, კახა კუპატაძე, საგადასახადო სამართლის დისკრეციის გამოყენების ძირითადი მახასიათებლები (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები), ჟურნ. მართლმსაჯულება და კანონი, 2022, #2(74);
5. Agreement on Safeguards in WTO, https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/25-safeg_e.htm;
6. ევროპის გაერთიანების საბაჟო კოდექსი, საბაჟო რეგლამენტი 92;
7. Marrakesh Declaration of 15 April 1994, https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/marrakesh_decl_e.htm;
8. General Agreement on Tariffs and Trade 1994, https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/agrmtseries2_gatt_e.pdf;
9. Agreement on Agriculture; Agreement on Technical Barriers to Trade 1994, https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/17-tbt.pdf;
10. Agreement on Trade Related Investment Measures 1994, https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/18-trims.pdf;
11. Agreement on Agriculture; Agreement on Technical Barriers to Trade 1994, https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/17-tbt.pdf;
12. Technical Barriers to Trade – WTO, https://www.wto.org/english/tratop_e/tbt_e/tbt_e.htm;
13. ასოცირების ხელშეკრულება და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში (მომზადებულია ნორვეგიის ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების ასოციაციისა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში), თბ., 2017, <https://nala.ge/uploaded/nala/2019-02/20190213192002281235248.pdf>;
14. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>;
15. Agreement on Safeguards - World Trade Organization, https://www.wto.org/english/tratop_e/safeg_e/safeint.htm;
16. Technical Information on Customs Valuation in WTO, https://www.wto.org/english/tratop_e/cusval_e/cusval_info_e.htm.



GEORGIA'S PATH TO EARN A VALUABLE PLACE IN THE GLOBAL TRADE MARKET

LEGAL ASPECTS OF INTERNATIONAL TRADE IN GOODS

IA KHARAZI

*Professor of Law and Diplomacy Faculty of Sokhumi State University,
Professor of Law at Kutaisi State University*

The article talks about the assessment of international trade and determining the influence of its principles in the economic development processes of the country; The impact of joining the World Trade Organization on the development of foreign trade for Georgia; On the basic principles of the General Agreement on Trade and Tariffs (GATT) system, the main form of which is the recognition of customs tariffs. The article suggests that in order for the DCFTA to work effectively, it is necessary to provide high-quality customs services at the border and as such facilitate trade efficiently and quickly to avoid procedural delays and corruption; In accordance with the requirements of the DCFTA, Georgia should ensure the modernization of the intellectual property rights (IPR) system. Protecting intellectual property rights is crucial not only for fostering creativity and innovation but also for increasing competitiveness and employment. Carrying out these reforms in Georgia should contribute to the creation of a stable legal environment.

იურიდიული პირის სისხლისსამართ- ლებრივი პასუხისმგებლობის შედარებითსამართ- ლებრივი ანალიზი

ეკატერინე ლალიძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

შესავალი

იურიდიულ პირი, როგორც ტერმინი გერმანული წარმოშობისაა და პირველად, გამოყენებული იქნა 1798 წელს გამოცემულ „ბუნებითი სამართლის, როგორც პოზიტიური სამართლის ფილოსოფიის“ სახელმძღვანელოში და აღნიშნული ტერმინის გამოყენება ეკუთვნის გუსტავ შუგოს.¹ მაგრამ იურიდიული პირის ჩანასახი, როგორც კომერციული გაერთიანება ჯერ კიდევ, რომის სამართალში უნდა ვეძებოთ. მაგალითად, რომში იურიდიული პირის განსაკუთრებულ სახეობას საიმპერატორო ხაზინა წარმოადგენდა (fiscus), ხოლო მოგვიანებით, მთელი სახელმწიფო ქონება.² ასევე, კერძო პირთა უფლებებით აღჭურვილი, სოციალური ერთეულის სახით, რომის სამართლის სუბიექტებად გამოდიოდნენ: პროფესიული და რელიგიური კავშირები, თვითმართველობის მქონე ადგილობრივი სამოქალაქო თემები და სახელმწიფო ხაზინა.³

იურიდიული პირი იყო მხოლოდ სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, ხოლო მოგვიანებით, ის სისხლის სამართლის სუბიექტიც გახდა. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება საქართველოსთვის დღის წესრიგში დადგა მას შემდეგ, რაც ის შეუერთდა საერთაშორისოსამართლებრივ აქტებს, მათ შორის: ევროსაბჭოს კონვენციას „ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ“,“⁴ ასევე, „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“⁵ ევროპის საბჭოს კონვენციას, პალერმოს კონვენციას, რომელიც ითხოვს იურიდიული პირების პასუხისმგებლობას ორგანიზებული დანაშაულების ჩადენისთვის. ამ მხრივ კი, მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესულიყო ცვლილებები და კონკრეტულ დანაშაულებს შენიშვნის სახით დამატებოდა იურიდიული პირების პასუხისმგებლობის შესახებ ჩანაწერი.

რაც შეეხება საკითხის აქტუალობას, მსოფლიოსთვის გამოწვევაა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო ამგვარი დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად და ასევე, პრევენციისთვის აუცილებელია, იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დღესდღეობით, საქართველოში იურიდიული პირის დაფუძნება არ არის დაკავშირებული სირთულეებთან და არც დიდი კაპიტალის ქონაა აუცილებელი, არსებობს რისკი, რომ დანაშაულის ჩადენის გამარტივების მიზნით, პირებმა შესაძლოა დააფუძნონ იურიდიული პირები და მისი სახელით ჩაიდინონ დანაშაულები. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიანიშნებს იურიდიული პირების პასუხისმგებლობის აუცილებლობაზე.

იურიდიული პირის ცნება და დახასიათება

იურიდიული პირის ცნება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლში, რომლის მიხედვით, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.⁶ იურიდიული პირები სამოქალაქო სამართალში გვევლინებიან როგორც კერძო სამართლის სუბიექტები და მათი საქმიანობის წესი რეგულირდება კანონით. რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსს, მისი მიზნებისთვის იურიდიული პირი ნიშნავს სამეწარმეო (კომერციულ) ან არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს (მის უფლებამონაცვლეს).⁷ 2006 წლიდან, იურიდიული პირებიც გახდნენ სისხლის სამართლის სუბიექტები და კონკრეტული ქმედებების

ჩადენის შემთხვევაში, ექვემდებარებიან პასუხისმგებლობას. არსებობს არაერთი თეორია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ასეთია ფიქციის თეორია, რომლის მიხედვითაც, იურიდიული პირი არის რეალობას მოკლებული ფიქციური სუბიექტი და მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა არ შეიძლება.⁸ არა აქვს მნიშვნელობა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მტკიცებისას, რომელ თეორიას გავიზიარებთ, მთავარია მისი პრაქტიკაში გამოყენების აუცილებლობის გააზრება. ასევე, პასუხისმგებლობის გარდუვალობის პრინციპის დაცვაც, ვინაიდან პასუხი უნდა აგოს იურიდიულმა პირმა, მისი მეშვეობით ან მის სასარგებლოდ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისთვის. ასევე, მას აქვს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციული ფუნქციაც, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის პრაქტიკულ მნიშვნელობას.

იურიდიული პირების პასუხისმგებლობა პალერმოს კონვენციასა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში

2000 წლის 15 ნოემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის 55/25 რეზოლუციის საფუძველზე დამტკიცებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ.“ მისი მიზანია ხელი შეუწყოს თანამშრომლობას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის უფრო ეფექტიანად თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.⁹ საქართველოში კონვენცია ძალაშია 2006 წლიდან და კონვენციასთან შეერთების შემდეგ, საქართველომ არაერთი ვალდებულება აიღო, შეეცვალა კანონმდებლობა და შესაბამისობაში მოეყვანა პალერმოს კონვენციასთან. სწორედ ასეთ ვალდებულებას წარმოადგენდა მაშინ იურიდიული პირისთვის პასუხისმგებლობის დაწესებაც.

პალერმოს კონვენციის მე-10 მუხლი, მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც დააწესებს იურიდიული პირების პასუხისმგებლობას, მათ მიერ ისეთ მძიმე კატეგორიის დანაშაულების ჩადენაში მონაწილეობისთვის, რომლებშიც ჩართული იყო დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი, აგრეთვე, ამ კონვენციის მე-5 (დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობა), მე-6 (დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია), მე-8 (კორუფცია) და 23-ე (მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებში მონაწილეობისათვის.¹⁰

კონვენციის მიხედვით, იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს სისხლის-სამართლებრივი, სამოქალაქო სამართლებრივი ან ადმინისტრაციულ სამართლებრივი.¹¹ რაც შეეხება ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, იგი შეიძლება გულისხმობდეს იურიდიული

პირის რეგისტრაციის ან ლიცენზიის გაუქმებას.¹² აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ იურიდიული პირის ამგვარი პასუხისმგებლობა ხელს არ უნდა უშლიდეს ფიზიკურ პირთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.¹³

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საფუძვლად უდევს გავროს და ევროსაბჭოს კონვენციები, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვს იურიდიული პირებისთვის პასუხისმგებლობის დაწესებას. მათ შორისაა, „ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“,¹⁴ რომლის 22-ე მუხლი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს გაატაროს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რაც გამოიწვევს იურიდიული პირის პასუხისმგებლობას, ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის.¹⁵

იურიდიული პირისთვის პასუხისმგებლობის დაწესებას ითხოვს „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“,¹⁶ რომლის მე-10 მუხლის მიხედვით, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რათა იურიდიულ პირებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა.¹⁷ ევროსაბჭოს აღნიშნული კონვენციის შესაბამისად, იურიდიულ პირებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ფულის გათეთრებისთვის, რომლებიც ჩადენილია იურიდიული პირის სასარგებლოდ ფიზიკური პირის მიერ, რომელსაც უკავია იურიდიული პირის ხელმძღვანელი თანამდებობა.¹⁸

იურიდიული პირისთვის პასუხისმგებლობის დაწესებას ითხოვს გავროს კონვენცია „კორუფციის წინააღმდეგ“,¹⁹ რომლის 27-ე მუხლის მიხედვით, თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, თავისი შიდასამართლებრივი პრინციპების დაცვით, უნდა დააწესოს იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულისთვის.²⁰

როგორც დავინახეთ, არა მხოლოდ პალერმოს კონვენცია, არამედ სხვა არაერთი საერთაშორისოსამართლებრივი აქტი ითხოვს იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას ისეთი მძიმე დანაშაულებისთვის როგორცაა: კორუფცია, ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულები, ფულის გათეთრება და სხვა სერიოზული დანაშაულები.

იურიდიული პირის პასუხისმგებლობა ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 2006 წლიდან განისაზღვრა. არაერთი

ცვლილება, რომელიც ქართულ კანონმდებლობაში განხორციელდა, ზემოაღნიშნული საერთაშორისოსამართლებრივი ინსტრუმენტებითა და ასევე, პალერმოს კონვენციის მე-10 მუხლის იმპლემენტაციის შედეგია. ქართულ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, რომელიც იურიდიული პირის პასუხისმგებლობას ეხება, დროში ემთხვევა ზემოაღნიშნული გაეროსა და ევროსაბჭოს კონვენციებთან საქართველოს მიერთებას, ცვლილებების მიზანი კი, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება იყო.

სსკ-ის 107¹ მუხლში გადმოცემულია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები. იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ, პასუხისმგებელი პირის მიერ.²¹ იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დანაშაული ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, დადგენილია თუ არა დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირი.²²

საინტერესოა, ვინ იგულისხმება პასუხისმგებელ პირში და შეიძლება თუ არა პასუხისმგებელი პირის მიერ განხორციელებული ქმედების გამო, დადგეს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. პასუხისმგებელი პირის განმარტება მოცემულია სსკ-ის 107¹ მუხლის მესამე ნაწილში, სადაც იგულისხმება იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე, მისი სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ან/და იურიდიული პირის სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ორგანოს წევრი.²³ აღსანიშნავია, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ფიზიკური პირის პასუხისმგებლობას, მაგრამ დაუშვებელია ფიზიკური და იურიდიული პირების თანამონაწილეობა კონკრეტულ დანაშაულში.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიუხედავად, იურიდიული პირი ვალდებულია აანაზღაუროს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი, ასევე, შესაძლოა მის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის სხვა ზომების გამოყენებაც.²⁴

ეს არის ის ძირითადი საფუძვლები, რასაც ემყარება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. იურიდიულ პირს პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ითხოვს სსკ-ის შესაბამისი მუხლი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით იურიდიული პირების პასუხისმგებლობა დადგენილია შემდეგი დანაშაულებრივი ქმედებებისთვის: ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა (142-ე მუხლი), რასობრივი დისკრიმინაცია (142¹ მუხლი), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შეზღუდვა (142² მუხლი), ტრეფიკინგი (143¹ მუხლი), პირადი ცხოვრების ამსახველი

ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა (157-ე მუხლი), ასევე, ისეთი დანაშაულებისთვის, რომლებიც მიმართულია სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ.²⁵ იურიდიული პირებისთვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ისეთი დანაშაულებრივი ქმედებებისთვის, რომლებიც მიმართულია საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (223-ე, 223², 224¹, 227³, 231¹, 231², 235¹ და 239¹ მუხლები). ასევე, სსკ-ის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ნარკოტიკული ხასიათის სხვადასხვა დანაშაულებრივი ქმედებებისთვის (248¹, 253-ე, 254-ე, 255-ე, 255¹, 261–271-ე და 331¹ მუხლები). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია კიბერდანაშაულებისთვისაც. გემოაღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ კანონმდებელს სისხლის სამართლის კოდექსში არ გამორჩენია თითქმის არც ერთი მუხლი, რომელსაც შენიშვნად არ ექნებოდა დამატებული იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ზომები, რაც მიუთითებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდაუვალობაზე. ვინაიდან, იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება არა ზოგადად, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულისთვის, არამედ კოდექსით გათვალისწინებული ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისთვის.

სისხლის სამართლის კოდექსში, იურიდიული პირისთვის დამახასიათებელი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩამოთვლილია იურიდიული პირის სასჯელის სახეები, მათ შორისაა: ლიკვიდაცია, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა და ქონების ჩამორთმევა. ლიკვიდაცია და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად, ჯარიმა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად, ხოლო ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.²⁶

სასჯელის სახით ლიკვიდაციის დანიშვნისას, სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს (ლიკვიდატორებს), რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული პირის ლიკვიდაციას, იურიდიული პირის ლიკვიდაციისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. რაც შეეხება საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, იგი ნიშნავს იურიდიული პირისათვის უვადოდ ან ერთიდან 10 წლამდე ვადით საქმიანობის ერთი ან რამდენიმე სახის აკრძალვას.²⁷

საქმიანობის უფლება შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ ისეთ საქმიანობაზე, რომლის განხორციელებისას ან რომლის განხორციელებასთან დაკავშირებით იქნა ჩადენილი დანაშაული. ჯარიმის ოდენობის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 100 000 ლარზე ნაკლები.

საინტერესოა იურიდიული პირების სასჯელის სახეები და ის პრინციპები, რითაც იხელმძღვანელა კანონმდებელმა მათი შერჩევისას. ვფიქრობთ, თუ ამოვალთ სასჯელის პრევენციული მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლოა იურიდიული პირის სასჯელთა სახეების არეალის

გაფართოება, მაგალითად, შესაძლოა იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა განისაზღვროს გამოსასწორებელი ვადის მიცემით. ამგვარი სასჯელის სახე ხელს არ შეუშლის მათ საქმიანობას (თუ იურიდიული პირი არაა შექმნილი კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად და რეალურად სხვა საქმიანობას ეწევა) და უფრო მეტად იქნება პრევენციული ფუნქციის მატარებელი, ვიდრე ჯარიმა ან ლიკვიდაცია. მაგალითად, სერბეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. სერბეთის კანონში „იურიდიული პირის პასუხისმგებლობა სისხლისსამართლებრივი ქმედებებისთვის“ ჩამოთვლილია იურიდიული პირის სასჯელის სახეები, მათ შორისაა: ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, პირობითი სასჯელი და უსაფრთხოების ისეთი ზომები, რაც გულისხმობს გარკვეული რეგისტრირებული საქმიანობის ან ოპერაციების განხორციელების აკრძალვას, ინსტრუმენტების ჩამორთმევას და გადაწყვეტილების გასაჯაროებას.²⁸ რაც შეეხება პირობითი მსჯავრის გამოყენებას, ის შეუძლია მოსამართლემ გამოიყენოს 1-დან სამ წლამდე ვადით.²⁹

იურიდიული პირის სამოქალაქო და ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობა

მნიშვნელოვანია მოკლედ შევხებით, იურიდიული პირის ადმინისტრაციულსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს ქართულ კანონმდებლობაში. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს ყველა იმ მოქმედებას/უმოქმედობას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, ასევე ადმინისტრაციული სახდელის სახეებს.³⁰ აღნიშნული კანონის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა წარმოადგენს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძველს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონში ჩამოთვლილია ადმინისტრაციული სახდელის სახეები, მაგრამ მასში არაფერია ნათქვამი, თუ რომელი შეიძლება შეეფარდოს იურიდიულ პირს, მაგალითად, როგორც ეს მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსში. განსახილველი კანონის მხოლოდ განსაკუთრებულ ნაწილში, კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მუხლს თან ახლავს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესახებ ჩანაწერი, რაც ძირითად შემთხვევაში გამოიხატება იურიდიული პირისთვის ჯარიმის ოდენობის განსაზღვრით.

რაც შეეხება იურიდიული პირის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს, უნდა ამოვიდეთ იმ ზოგადი დებულებებიდან, რასაც სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს. პირველი – კოდექსის მე-8 მუხლის მიხედვით, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი.³¹ მე-

ორე – კოდექსის 992-ე მუხლი, რომელიც დელიქტურ ვალდებულებას ეხება, კერძოდ, „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.“³² გამოდის, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, შესაძლოა დადგეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი, დელიქტური ვალდებულებებიდან გამომდინარე.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია სისხლის სამართალწარმოებაში. ამაზე მეტყველებს საერთაშორისოსამართლებრივი აქტებით და მათ შორის, პალერმოს კონვენციით ნაკისრი ვალდებულება, რომელიც ითხოვს კონკრეტულად ოთხი სახის დანაშაულებრივი ქმედებისთვის იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა აღიარებულია, როგორც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება. ამაზე მეტყველებს არაერთი საერთაშორისოსამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც დასახელებულია სტატიაში და ითხოვს სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულისთვის იურიდიული პირის პასუხისმგებლობას. საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაშია პალერმოს კონვენციასთან და იზიარებს მითითებებს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესახებ. რეკომენდაციის სახით შესაძლოა ითქვას, რომ აღნიშნული საკითხის მხოლოდ საკანონმდებლო რეგულირება რეალურ შედეგს ვერ გამოიღებს, აუცილებელია მისი პრაქტიკაში გამოყენების ეფექტიანობის გაზრდა და შესაბამისი უწყების თანამშრომლების გადამზადება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. ასევე შესაძლებელია, იურიდიული პირის სასჯელის სახეების გაფართოება, რაც შესაძლებლობას მისცემს იურიდიულ პირს „გამოასწოროს შეცდომა.“

შენიშვნები:

- ¹ თუმანიშვილი გ., შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, თბ., 2012, გვ. 71, <http://eprints.iliauni.edu.ge/415/1/Introduction%20to%20Private%20Law%20of%20Georgia.pdf> (22/02/2023).
- ² გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართლის საფუძვლები, თბ., 2010, გვ. 119-120, <http://www.library.court.ge/upload/xoferia-garishvili-romi.pdf> (22/02/2023).
- ³ იქვე.
- ⁴ ევროსაბჭოს კონვენცია ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ, <https://rm.coe.int/16806eebf2> (22/02/2023).
- ⁵ დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2345907?publication=0> (22/02/2023).
- ⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=121> (22/02/2023).
- ⁷ სისხლის სამართლის კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=246> (22.02.2023).
- ⁸ ტურავა მ., სისხლის სამართალი დანაშაულის მოძღვრება, გამომც. მერიდიონი, თბ., 2011, გვ.624. 2011.
- ⁹ პალერმოს კონვენცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0> (22/02/2023).
- ¹⁰ იქვე.
- ¹¹ იქვე.
- ¹² McMclean D., Transnational Organized Crime a Commentary on the UN Convention and its Protocols, 2007, 127.
- ¹³ პალერმოს კონვენცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0> (22/02/2023).
- ¹⁴ საქართველო კონვენციის მონაწილე გახდა 2008 წელს.
- ¹⁵ ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1203547?publication=0> (22.02.2023).
- ¹⁶ საქართველო კონვენციის მონაწილე გახდა 2014 წელს.
- ¹⁷ დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2345907?publication=0> (22.02.2023).
- ¹⁸ იქვე.
- ¹⁹ United Nations Convention against corruption <https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/lb/United-Nations-Convention-Against-Corruption.pdf> (29/12/2022).
- ²⁰ United Nations Convention against corruption <https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/lb/United-Nations-Convention-Against-Corruption.pdf> (29/12/2022).
- ²¹ სისხლის სამართლის კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=246> (22.02.2023).
- ²² სისხლის სამართლის კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=246> (22.02.2023).
- ²³ იქვე.

²⁴ ტყემელიძე გ., ლეკვიშვილი მ., ნაჭყებია გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მეოთხე გამოცემა, თბ., გამომც. მერიდიანი, 2019, გვ. 767.

²⁵ სისხლის სამართლის კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=246> (22.02.2023).

²⁶ იქვე.

²⁷ სისხლის სამართლის კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=246> (22.02.2023).

²⁸ LAW ON THE LIABILITY OF LEGAL ENTITIES FOR CRIMINAL OFFENCES <https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/Issues/Mercenaries/WG/Law/Serbia/LawOnLiability.pdf> (22/02/2023).

²⁹ იქვე.

³⁰ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=511> (22/02/2023).

³¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=121> (22/02/2023).

³² იქვე.

ბიბლიოგრაფია:

1. გარიშვილი მარინა, ხოფერია მარიამ, რომის სამართლის საფუძვლები, თბ., 2010;
2. თუმანიშვილი გიორგი, შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, თბ., 2012;
3. ნაჭყებია გურამ, გორაშვილი გოჩა, მამულაშვილი გიორგი, თოდუა ნონა, გოგშელიძე რევაზ, სულაქველიძე დავით, დვალიძე ირაკლი, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, შოთა რუსთაველის ფონდი, თბ., 2012;
4. ტყემელიძე გ., ლეკვიშვილი მ., ნაჭყებია გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მეოთხე გამოცემა, გამომც. მერიდიანი, თბ., 2019;
5. ტურავა მერაბ, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი დანაშაულის მოძღვრება, გამომც. მერიდიანი თბ., 2011;
6. McMcClean. David, Transnational Organized Crime a Commentary on the UN Convention and its Protocols, (Oxford University Press, 1 st 2007);
7. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999;
8. გაეროს კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, 2000;
9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
10. ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ; დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია;
11. United Nations Convention against corruption;
12. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
13. LAW ON THE LIABILITY OF LEGAL ENTITIES FOR CRIMINAL OFFENCES.

COMPARATIVE LEGAL ANALYSIS OF CRIMINAL RESPONSIBILITY OF A LEGAL ENTITY

EKATERINE LAGHIDZE

Ph.D. student at Caucasus International University

The area of legal entity responsibility has long gone beyond the subject of civil law regulation. In 2006, a note on the criminal liability of a legal person appeared in the Georgian Criminal Code. Since then, the mentioned issue has been interesting and relevant at the same time. There are many opinions on whether or not to impose criminal liability on a legal entity, but in the article, we will only deal with the issue of the necessity of criminal liability of a legal person as one of the means of fighting against organized crime and also as a preventive measure against such crimes.

The Palermo Convention is one of the unique legal instruments for combating transnational organized crime, it requires the participating states to impose criminal liability on legal persons for actions criminalized by the Convention (participation in an organized group of criminals, legalization of proceeds of crime, corruption, and obstruction of justice). Accordingly, the article of the Palermo Convention, which imposes the responsibility of a legal entity, is discussed in the paper and compared with the Georgian Criminal Code. The importance of the responsibility of the legal entity in the fight against transnational organized crime.

არასრულწლოვანთა ვიქტიმიზაციის კრიმინოლოგიური თავისებურებანი

მიხეილ გაბუნია

სამართლის დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

შესავალი

არასრულწლოვანთა დანაშაულობის ვიქტიმოლოგიური ანალიზი ერთი მხრივ, ძლიერი საშაულებათა საზოგადოებაში ვიქტიმოგენური ფაქტორების გამოვლენის, ხოლო მეორე მხრივ, ვიქტიმოლოგიური სურათის შედგენისა და დანაშაულობის პროგნოზირებისათვის. არასრულწლოვანთა და ბავშვთა ვიქტიმიზაცია უმთავრესი გამოწვევაა ყველა სახელმწიფოსათვის, გამომდინარე იქიდან, რომ მათი ვიქტიმიზაცია სახელმწიფოს მოსახლეობის ვიქტიმიზაციის ტოლფასია.¹ არასრულწლოვანთა გარემოში მიმდინარე ვიქტიმოლოგიური პროცესებით შეიძლება ვიმსჯელოთ თუ როგორი იქნება მომავალში მთლიანად საზოგადოების ვიქტიმურობა. არასრულწლოვანთა და ბავშვთა ვიქტიმურობა თავის მხრივ, ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია სახელმწიფოში ვიქტიმოლოგიური ვითარებისა, რომელიც მკვეთრად რეაგირებს საზოგადოების ვიქტიმურ მდგომარეობაზე.² როგორც წესი, არასრულწლოვანთა და ბავშვთა ვიქტიმურობის ზრდა მიუთითებს საზოგადოებაში მიმდინარე უარყოფით ვიქტიმოგენურ სოციალურ პროცესებზე.

არასრულწლოვნები მიეკუთვნებიან უფრო მეტად დაცულ სოციალურ ჯგუფთა კატეგორიას, არასრულწლოვანთა დანაშაულობის ვიქტიმოლოგიური პრევენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებთან და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს – 14 წელს მიუღწეველი ახალგაზრდობასთან მიმართებით. სამწუხაროა, რომ ვიქტიმურობა დღევანდელი მონაცემებით ამ ასაკში არსებობს. ფაქტია, რომ საქართველოში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი ახალგაზრდების მხრიდან ფიქსირდება დანაშაულის ჩადენა მათ შორის, მძიმე კატეგორიას მიეკუთვნებული დანაშაულობისა. არსებული სისხლის სამართლის კანონმდებლობა კი, უძღურია მათ მიმართ რაიმე კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების გატარებისა. ამიტომ ამ მხრივ, მიზანშეწონილი იქნებოდა კანონმდებლობის გამკაცრება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის დაწევა 12 წლამდე. მართალია, სისხლის სამართლის რეპრესია, როგორც არასრულწლოვანთა დანაშაულობის ეფექტიანი პრევენცია მცირე შედეგს გვაძლევს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სხვა ალტერნატიული გზა და რეკომენდაცია, ვიქტიმოლოგიას, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, არ გააჩნია. მხედველობაში ის გარემოებაც არის მისაღები, რომ სამყაროს განვითარებასთან ერთად, ვითარდება ბავშვის გონებაც. ათწლეულების წინათ, როგორც იყო 14 წლის ბავშვის ამროვნება, ისეთი დღეს 12 წლის მოზარდისა, ხოლო იმ ვითარებაში, როდესაც სამართლებრივი კულტურა მოსახლეობისა დაბალია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის დაწევა, ამ მხრივაც, გამართლებული იქნებოდა. მით უმეტეს, ახალი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა მედიაცია-განრიდება, მოვალეობის დაკისრება, გაფრთხილება და სხვა არასაპატიმრო, საკმაოდ ეფექტიან ღონისძიებებს.

ვიქტიმურობის მატარებელთა მუდმივი გაახალგაზრდავება, ისევე როგორც კრიმინალები – სა, ცივილიზაციის საგანგაშო სიგნალია. ფაქტია, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ძალადობითი დანაშაულები არასრულწლოვნებთან მიმართებით ძალიან დაბალი იყო, ზოგიერთ სახელმწიფოში საერთოდ არ არსებობდა, მათ შორის, ძალიან დაბალი მაჩვენებელი იყო საქართველოშიც. 21-ე საუკუნეში კი, ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. არასრულწლოვანთა ვიქტიმურ მოტივაციაზე დიდ გავლენას ახდენს მათი ფსიქიკის თავისებურებანი, როგორცაა: შთაგონება კრიმინალური ავტორიტეტების მხრიდან და პატიოსანი ცხოვრების წესის მატარებელ ადამიანთა რჩევების იგნორირება, კრიმინალების მიბაძვა. არასრულწლოვანთა მხრიდან არჩევანის გაკეთება მიბაძვის ასპექტში დამოკიდებულია იმ სამართლებრივი კულტურის დონეზე, რომელიც კონკრეტულ საზოგადოებაში არსებობს. დაბალი სამართლებრივი კულტურის საზოგადოებაში არასრულწლოვნები კრიმინალურ ავტორიტეტებს ბაძავენ.³ არასრულწლოვნებს შორის გვხვდება განსაკუთრებული ვიქტიმური ტიპები, კერძოდ, ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური სისტემატური თრობის ქვეშ მყოფი პირები,

გაბოროტებული, მშობლებისაგან გამოქცეული არასრულწლოვნები, ობლები, შეძლებული მშობლების შვილები, რომელთაც სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ოჯახის წევრები.⁴

არასრულწლოვანთა ნაწილი განიცდის ფსიქიკურ გადახრებს, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია ძალადობით დანაშაულთან მიმართებით. ძირითადად, ფსიქიკურ გადახრებს შორის გვხვდება ფსიქოპათია და ნევრასთენია, ინტელექტუალური განვითარების დაბალი დონე. არასრულწლოვანთა ფსიქიკური დარღვევები განპირობებულია აღზრდის დროს დაშვებული შეცდომებით. ვიქტიმური ქცევის გენეზისში არსებით როლს ასრულებს მშობელთა არაადეკვატური რეაქციები ვიქტიმურობის წინა გადახრებისადმი. არასრულწლოვანთა ვიქტიმიზაციის სიმპტომებს განეკუთვნება: თამბაქოს წევა, სპირტიანი სასმელების მოხმარება, სკოლის გაკვეთილების გაცდენა, ნარკოტიკების გასინჯვა, მეგობრული ურთიერთობანი უფროსი თაობის კანონდამრღვევებთან, ადრეული სექსუალური ურთიერთობანი, სახლიდან წასვლა და ხეტიალი.

ბავშვთა და არასრულწლოვანთა ვიქტიმიზაციის შესახებ საერთაშორისოსამართლებრივი აქტების მიმოხილვა

მტკიცება იმის შესახებ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ბავშვებს მიაკუთვნებს განსაკუთრებულ რისკ-ჯგუფს, შეიძლება ვნახოთ სხვადასხვა საერთაშორისოსამართლებრივ აქტებში. ბავშვთა უფლებების კონვენციაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ყოველი საზოგადოება განსაკუთრებულად დიდ მნიშვნელობას უნდა ანიჭებდეს ოჯახისა და მისი ყველა წევრის მოთხოვნილებებსა და კეთილდღეობას იმდენად, რამდენადაც ოჯახი ბავშვთა პირველად სოციალიზაციაზე პასუხისმგებელი ძირითადი ერთეულია. ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან აუცილებელია ძალისხმევა ოჯახის ერთიანობის შესანარჩუნებლად, ორზე მეტი თაობის წარმომადგენლისაგან შემდგარი (გაფართოებული) ოჯახის ჩათვლით.⁵ საზოგადოება ვალდებულია, დახმარება აღმოუჩინოს ოჯახს ბავშვზე მზრუნველობის, მათი დაცვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უზრუნველყოფის საქმეში. საჭიროა ადეკვატური პირობებით უზრუნველყოფა, ბავშვთა აღზრდის დაწესებულებების ჩათვლით. სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება სტაბილურ და მშვიდ ოჯახურ გარემოში ბავშვების აღზრდისაკენ.⁶ აქედან ჩვენ უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ კონვენცია პირდაპირ ავალდებულებს ხელშემკვრელ მხარეებს, რომლის ერთ-ერთი მხარე საქართველოც არის, რომ მაქსიმალურად უზრუნველყონ ბავშვის ფიზიკური და გონებრივი განვითარება. დანაშაულობის საერთო სურათის ანალიზი იმის საფუძველს იძლევა, აღვნიშნოთ, რომ ბავშვები და ზოგადად, არასრულწლოვნები ხვდებიან რა, ვიქტიმოგენურ

ვითარებაში, უფრო მეტად დაუცველები არიან ისეთი თავდასხმებისაგან, როგორცაა გატაცება და ე. წ. ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმები, ვიდრე სრულწლოვნები.⁷

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ასევე, აღვნიშნოთ ხორვატიის პრეზიდენტის, კოლინდა გრაბარკიტაროვიჩის დამოკიდებულება. კერძოდ, მისი აზრით, ხორვატულ საზოგადოებაში კორუფცია განპირობებულია იმით, რომ სკოლაში ბავშვები, რომლებიც კარგი შედეგების მისაღებად თაღლითობას მიმართავენ, „გმირებად“ არიან მიჩნეული.⁸ მისი თქმით, „კორუფცია სკოლაში გადაწერიდან იწყება და დასძენს, რომ საკმაოდ ხშირად არც კი ვიცით, რა არის კორუფცია. როცა ექიმთან მიდიხარ და ყველა ელოდება, რომ ყვავილებს, შოკოლადს ან რაიმე მსგავსს მიიტანთ – ეს აუცილებელია. დედაჩემი ახლახან საავადმყოფოში იყო და მეგობრები მეკითხებოდნენ, რატომ არ მიიტანე არაფერი, ექთნები მაგას ელოდებიანო.... ვუთხარი, რომ არ ვაპირებ ასეთ კორუფციაში მონაწილეობას. მივიტან საჩუქარს, პატარა საჩუქარს საშობაოდ, მაგრამ ამით ყველაფერი მორჩება.“⁹

იმ ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ არასრულწლოვანთა მაღალ ვიქტიმურობას, დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვთა უფლებათა კონვენციაში, რომელთა შორის აღსანიშნავია არასრულწლოვანთათვის ინტერნეტში ხელმისაწვდომი პორნოგრაფიული მასალები, რასაც მიეძღვნა 1999 წლის ვენის საერთაშორისო კონფერენცია „ინტერნეტ სივრცეში ბავშვთა პორნოგრაფიის პრევენციის შესახებ.“¹⁰ ასევე, არასაკმარისი განვითარება, სიღარიბე, ეკონომიკური დისპროპორცია, არათანაბარი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, დაბალი მატერიალური შეძლების ოჯახები, განათლების დაბალი დონე, მიგრაცია ქალაქებსა და სოფლებს შორის, სქესის მიხედვით დისკრიმინაცია, ასევე, უფროსების მხრიდან უპასუხისმგებლო გარყვნილი ქმედებანი.¹¹

ერთ-ერთი სახე დანაშაულებრივი საქმიანობისა, არის ბავშვის შვილად აყვანა სხვა სახელმწიფოში. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტანდარტები შვილად აყვანის წესთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელ მიდგომას მხოლოდ გამონაკლის ალტერნატიულ საშუალებად მიიჩნევენ და მხოლოდ იმ ვითარებაში, როდესაც ბავშვი აღსაზრდელად და გასაზრდელად არ შეიძლება გადაეცეს ადგილსამყოფელ ქვეყანაში ოჯახს. ასეთ დროს, შვილად აყვანის წესებთან დაკავშირებით, მთავარი ვიქტიმოლოგიური ფაქტორი არის სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების არასაკმარისი კონტროლი.

არასრულწლოვანთა ვიქტიმოლოგიური დახასიათება

ვიქტიმოლოგიური დახასიათება არასრულწლოვნებისა, რომლებიც დაზარალდნენ დანაშაულისაგან, მოიცავს შემდეგ ნიშნებს:

1. დაზარალებული არასრულწლოვნის სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნები (სქესი, ასაკი, სოციალური როლები და სტატუსები, განათლება, საცხოვრებელი ადგილი, ნაციონალურ/ეთნიკური კუთვნილება);

2. არასრულწლოვნის დანაშაულებრივი ხელყოფის სისხლისსამართლებრივი ნიშნები (დანაშაულის შემადგენლობა, მოტივი, მიზანი, საშუალება, ხერხი, ვითარება, ადგილი, დრო, დანაშაულის ჯგუფური და ორგანიზებული ხასიათი);

3. არასრულწლოვანი მსხვერპლის მორალურ-ფსიქოლოგიური ნიშნები (ინტელექტუალური განვითარების დონე, ნებელობითი და ემოციური თვისებები, მორალური და ზნეობრივი პრინციპები, ღირებულებითი ორიენტაციები, მიდრეკილება მავნე ჩვევებისადმი, ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა).

განსაკუთრებით ხშირად, სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდება არასრულწლოვანი გოგონები 13-16 წლის ასაკში, ხოლო შვილად აყვანის წესის დარღვევისა და ბიოტექნოლოგიების გამოყენების მსხვერპლნი 0-5 წლამდე ასაკის ბავშვები.¹²

ამდენად, იმ არასრულწლოვანთა ტიპოლოგია, რომლებიც აღმოჩნდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი, შესაძლოა შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

- კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლნი;
- შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლნი;
- ბიოტექნოლოგიების გამოყენების მსხვერპლნი;
- უკანონო შვილად აყვანის მსხვერპლნი;
- მათხოვრობის მსხვერპლნი.

სამართლებრივი მექანიზმები დანაშაულის შედეგად დაზარალებულ ბავშვთა უფლებების დაცვის რეალიზაციის თვალსაზრისით, შეიძლება იყოს როგორც სისხლის სამართლის პროცესუალური, ისე ადმინისტრაციულსამართლებრივი (მმართველობითი) და სამოქალაქოსამართლებრივი (მატერიალური კომპენსაცია). ძირითადი საერთაშორისოსამართლებრივი პრინციპები ნაციონალურსამართლებრივი მექანიზმების შექმნის და არასრულწლოვან დაზარალებულთა უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით, მდგომარეობს შემდეგში:

1. ბავშვმა პირველმა უნდა მიიღოს დაცვა და დახმარება, თანაბრად მნიშვნელოვანი ვითარების არსებობის შემთხვევაში;

2. ბავშვთა ინტერესების უზრუნველყოფა პრიორიტეტული ამოცანა უნდა იყოს სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებისა, რომლებიც დაკავებულნი არიან სოციალური უზრუნველყოფის, სასამართლო, ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ორგანიზაციის საკითხებით.

რა თქმა უნდა, ქართული კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაში მოდის აღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტებთან. ბავშვი-მსხვერპლის დაცვის სამართლებრივი რეგულირება (მაგ., ადამიანით ვაჭრობა) ხორციელდება ეროვნულ დონეზე. ასევე, საერთაშორისო დონეზე მიღებულია არაერთი დოკუმენტი, რომელიც მიმართულია ბავშვთა უფლებების დაცვისაკენ. ყოველ დაზარალებულ ბავშვს აქვს უფლება სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება.

რების მიღებისა. სახელმწიფო და საზოგადოება ვალდებულია როგორც კონსტიტუციისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, ასევე უპირველეს ყოვლისა, მორალური პრინციპებიდან გამომდინარე, მიიღოს ყველა სათანადო ზომა, რათა აღმოუჩინოს არასრულწლოვან მსხვერპლს მაქსიმალური ფიზიკური და ფსიქოლოგიური დახმარება მისი რესოციალიზაციისათვის. ერთ-ერთი ფორმა არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვისა, არის სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფა, რაც უზრუნველყოფს ბავშვისა და ოჯახის ინტერესების სრულფასოვან გათვალისწინებას. ამ მხრივ, საქართველოში ვითარება საკმაოდ ეფექტიანია, მხედველობაში არასრულწლოვანთა ახალი კანონმდებლობა გვაქვს.

დასკვნა

ვიქტიმოლოგიური აღზრდა ბავშვი-მსხვერპლისა, დანაშაულობის ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკის საფუძველთა საფუძველია. ქართული საზოგადოება, ისევე როგორც საერთაშორისო საზოგადოება მთლიანად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სხვა ერების ტრადიციებსა და კულტურულ ღირებულებებს ბავშვთა ჰარმონიული განვითარებისა და ბავშვთა დაცვის მიზნით, იმდენად, რამდენადაც თითოეულ ბავშვისთვის აუცილებელია აღიზარდოს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების ატმოსფეროში. უდავოა, რომ ბავშვი მომზადებული უნდა იყოს საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აღიზარდოს მოთმინებისა და მშვიდობის, თავისუფლებისა და თანასწორობის და სოლიდარობის სულისკვეთებით.

შენიშვნები:

- ¹ Аванесов Г.А., Иншаков С.М., Лебедев С.Я., Эриашвили Н.Д., Криминология: учеб. Для студентов вузов, обучающихся по специальности, Юриспруденция, под ред. Г.А. Аванесова, 4-е изд., перераб. и доп. М., 2007, С. 384–385.
- ² Шестаков Д.А., Семейная криминология: Криминофамилистика, 2-е изд. СПб, 2003, С. 221.
- ³ www. Zakon.ru. Fileviktimologicheskaya-harakteristika-nesovershennoletnih.
- ⁴ იქვე.
- ⁵ ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული. პირველი ნაწილი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2006, გვ. 253.
- ⁶ იქვე.
- ⁷ იქვე.
- ⁸ www. Netgazeti.ge/news/419506
- ⁹ იქვე.
- ¹⁰ www. Zakon.ru. Fileviktimologicheskaya-harakteristika-nesovershennoletnih.
- ¹¹ იქვე.



CRIMINOLOGICAL FEATURES OF VICTIMIZATION OF MINORS

MIKHEIL GABUNIA

Ph.D. in Law, Technical University of Georgia

Faculty of Law and International Relations, Associate Professor

The article discusses the criminological features of the victimization of minors. International legal acts on the victimization of children and minors are reviewed, as well as current matters of prevention of victimization of children and minors.

Crime against minors provokes social divisions, as large profits, for example from human trafficking, attract criminals with greedy motivations, who as a result commit more and more crimes against minors. Thus, removing minors from education and forcing them into slave labor create conditions for illiteracy and poverty, which inevitably lead to stagnation in the development of society. The victimological analysis reveals that the majority of minor victims did not know how to behave toward strangers. They were not taught this by the older members of the family. Therefore, parents, family members, older sisters, brothers, and family members of the older generation should pay special attention to the victimological upbringing of minors. Along with raising and paying attention to one's own children, the irresponsible attitude and indifference of adults toward other people's children remain a problem, and criminals rely on this. Here we must note that there are no other people's children and paraphrase the well-known biblical wisdom: "Treat other people's children as you would want strangers to treat yours." This is a great principle and, at the same time, the main guarantee of the victimological safety of minors.

ამხანაგობის ხელშეკრულების შენყვების სპეციალური საფუძვლები

ეკატერინე ნინუა

სამართლის დოქტორი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

ხელშეკრულების „შეწყვეტის შემდეგ ვალდებულება აღარ არსებობს. მის მონაწილეებს ერთმანეთთან არ აკავშირებთ უფლებები და ვალდებულებები. კრედიტორს უფლება არ აქვს წაუყენოს მეორე მხარეს რაიმე მოთხოვნები, დაუთმოს ეს მოთხოვნები სხვა პირს, მოვალე კი, პასუხს არ აგებს მოცემული ვალდებულებებით.“⁴¹

„საგულისხმოა, რომ ვალდებულება შეიძლება შეწყდეს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მიზანი მიღწეულია, არამედ მაშინაც, როდესაც იგი ჯერ არ დამდგარა, აგრეთვე მიზნის მიუღწევლობის შემთხვევაშიც.“⁴²

სამოქალაქო კოდექსის ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლების, კერძოდ, 939-ე მუხლის შინაარსის დაყოფა ზოგადი და სპეციალური საფუძვლების მიხედვით, განპირობებულია აღნიშნული ხელშეკრულების თავისებურებებით. კერძოდ, მონაწილეთა პირადი ნდობის, ამხანაგობისა და მის

წევრთა ფინანსური მდგომარეობის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის, ხელშეკრულების მიზნისა და ამოცანების შესრულების ფაქტორებით.

ადამიანის უფლებათუნარიანობის შეწყვეტა შეუძლია ერთადერთ იურიდიულ ფაქტს – გარდაცვალებას. გარდაცვალების დამადასტურებელ საბუთს, როგორც წესი, წარმოადგენს გარდაცვალების მოწმობა და სათანადო ჩანაწერი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში.³

„მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალება საერთო წესის მიხედვით, არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, რამდენადაც გარდაცვლილის უფლებები და ვალდებულებები გადადის მემკვიდრეებზე. მოვალის გარდაცვალება მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ ვალდებულების შესრულება მისი პირადი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია (მაგალითად, ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის ვალდებულება). კრედიტორის გარდაცვალება კი, მაშინ შეწყვეტს ვალდებულებას, თუ შესრულება გათვალისწინებული იყო პირადად კრედიტორისათვის (მაგალითად, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა).“⁴

იურიდიულ ლიტერატურაში სწორად არის აღნიშნული, რომ ფიზიკური პირის გარდაცვალებისაგან განსხვავებით, იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, არ არსებობს „სათადარიგო მოვალე“ მემკვიდრეების სახით.⁵ ამიტომ, ვალდებულების შესაწყვეტად აუცილებელია, დამთავრებული იყოს ლიკვიდაციის პროცესი, იურიდიული პირის მთელი ქონება განაწილებული იყოს უფლებამოსილ პირებს შორის, ე. ი. ამხანაგობის მონაწილეთა შორის ერთობლივი საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების და შესაბამისად, მისი შესრულების მიხედვით მოხდება ხელშეკრულების შეწყვეტა, რასაც განსაზღვრავს სალიკვიდაციო პროცესი.

სკ-ის 939-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულია ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტის რამდენიმე სპეციალური საფუძველი, კერძოდ:

- „ა) ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალება;
- ბ) ერთ-ერთი მონაწილის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის წარმოების გახსნა;
- გ) ხელშეკრულების მოშლა.“

კვლევის მიზანია მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის განხილვა – ამხანაგობის შეწყვეტა ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალებით.

ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალება ან თუ იგი იურიდიული პირია მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია. ამხანაგობის მონაწილეთა ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის აღნიშნული საფუძვლის არსებობა განპირობებულია იმით, რომ ამხანაგობის შექმნა ანუ ამხანაგობის ხელშეკრულების დადება ძირითადად, ეფუძნება მონაწილეთა პიროვნულ მონაცემებს, პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას.

„ამხანაგობის ხელშეკრულების ხასიათიდან გამომდინარე, რომლითაც მონაწილეები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს რომელიმე მათგანის გარდაცვალებით ან შეზღუდულქმედუნარიანად გამოცხადების შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დანარჩენი მონაწილეები არ შეთანხმდებიან ხელშეკრულების გაგრძელებაზე.“⁶⁶ თუმცა, ფიზიკური პირის შეზღუდულქმედუნარიანად გამოცხადება თავისთავად არ იწვევს ამხანაგობის ხელშეკრულებაში მისი უფლება-მოვალეობების შეწყვეტას, ვინაიდან ზოგადი წესებიდან გამომდინარე, შეზღუდულქმედუნარიანის უფლება-მოვალეობების რეალიზაცია ხდება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ. ამიტომ, ამხანაგობის ხელშეკრულების მონაწილის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება არ უნდა იწვევდეს ხელშეკრულების შეწყვეტას. „გარდაცვალება, მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებელი ვალდებულების შეწყვეტის საფუძველია იმ შემთხვევაში, როდესაც იგი დაკავშირებულია ამხანაგობის წევრის პიროვნულ თვისებებთან.“⁶⁷

იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერებს შორის არ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე – გარდაცვალების საფუძველით. კერძოდ, სერგეევი და ტოლსტოი სხვა მეცნიერების მსგავსად თვლიან, რომ ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტა ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალებით სრულიად მართებულია, ვინაიდან მონაწილეთა ურთიერთობები დამყარებულია ნდობაზე, მათ პროფესიულ გამოცდილებაზე. ამიტომ, გარდაცვალება, იურიდიული პირის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია, ერთ-ერთი მონაწილის ქმედუნაროდ, შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ აღიარება ზოგადი წესების შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია. თუმცა, ხელშეკრულებით ან მონაწილეების შემდგომი შეთანხმებით, შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ამხანაგობის ხელშეკრულების ძალაში დატოვება დარჩენილ მონაწილეთა შორის, აგრეთვე, შესაძლებელია გარდაცვლილი მონაწილის ან იურიდიული პირის, რომელმაც შეწყვიტა თავისი საქმიანობა, შეცვლა მათი უფლებამონაცვლეებით. თუ ამხანაგობის მონაწილეები გარდაცვლილი პირის მემკვიდრეებზე უარს იტყვიან, მაშინ უფლებამონაცვლეები ვერ გახდებიან ხელშეკრულების მონაწილეები და მიიღებენ შესაბამისი წილის კომპენსაციას ხელშეკრულებითა და კანონით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.⁶⁸ ამდენად, ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნას გარდაცვლილი მონაწილის შეცვლა მისი მემკვიდრეებით, ხოლო რეორგანიზებული იურიდიული პირის – მისი უფლებამონაცვლეებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დაკავშირებულია სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან, მაშინ მემკვიდრე უნდა იყოს ინდივიდუალური მეწარმე, ხოლო უფლებამონაცვლე – კომერციული ორგანიზაცია.⁶⁹ ზოგადი წესებიდან გამომდინარე, მემკვიდრეებს მიეცემათ საკუთრების უფლება წილზე და არა ამხანაგობაში მონაწილეობის უფლება. იურიდიული პირის უფლე-

ბამონაცვლე ანუ უფლებების და მოვალეობების მატარებელი ერთმანეთის მიმართ, მესამე პირებთან გარიგების დადების შემთხვევაში კი, შეიძლება გამოვიდეს მსგავსი მიზნების მატარებელი ორგანიზაცია.

ამხანაგობა დამოკიდებულია მის შემადგენლობაში შემავალ მონაწილეებზე, შემადგენლობიდან ერთი მონაწილის გასვლა იწვევს ამხანაგობის არსებობის შეწყვეტას, დახურვას და გაუქმებას. მაგრამ ხელშეკრულების დადების თავისუფლება უშვებს ახალი მონაწილის მიღებას გარკვეულ შემთხვევებში. გსკ-ში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ახალი წევრის მიღებით ხდება ძველი ამხანაგობის გაუქმება-შეწყვეტა და ახლის დაარსება. ახალ წევრებსა და ხელშეკრულების მონაწილეებს შორის ფორმდება ახალი ამხანაგობის ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში, მოქმედებს დათმობის პრინციპი, რომელიც ემყარება ურთიერთდამოკიდებულების პრინციპს, ყველას ერთსულოვნებას და არ მოითხოვს ამხანაგობის შეწყვეტას.¹⁰

ამხანაგობის წევრობა გულისხმობს ქონებრივი და ადმინისტრაციული უფლებების ერთობლიობას. პრინციპში, ამხანაგობის წევრობის გადაცემა სხვა პირზე არ შეიძლება (გსკ-ის §717). წევრობის გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ ყველა წევრის თანხმობის შემთხვევაში (ამხანაგობიდან გამსვლელი პირის და შემოსული პირის ჩათვლით) ან ამხანაგობის ხელშეკრულებით დადგენილი ხმების უმრავლესობით. წევრობის გადაცემა გულისხმობს საერთო უფლებებისა და მოვალეობების გადაცემას ამხანაგობასთან მიმართებაში. მხოლოდ წევრობის ცალკე გადაცემა დაუშვებელია.¹¹

ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტის ისეთი სპეციალური საფუძვლების განხილვისას, როგორცაა გარდაცვალება და ლიკვიდაცია ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, გამოიწვევს თუ არა ამხანაგობის შეწყვეტას მესამე პირის გარდაცვალება ან იურიდიული პირის ლიკვიდაცია.

როგორც წესი, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მხარეები უთითებენ ყველა იმ საკითხზე, რომელიც მნიშვნელოვანია მესამე პირის მიერ თავისი უფლების განსახორციელებლად. მაგრამ არის შემთხვევები, როცა მხარეები ასეთ პირდაპირ დათქმას არ აკეთებენ. ამ დროს დგება ხელშეკრულების განმარტების აუცილებლობა. განმარტების გზით უნდა დადგინდეს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია 350-ე მუხლში. კერძოდ: უფლება მესამე პირმა უნდა შეიძინოს თუ არა; ეს უფლება მას მაშინათვე წარმოეშობა თუ განსაზღვრული წინა პირობების არსებობისას; ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან თუ არა მესამე პირის უფლება გააუქმონ ან შეცვალონ მისი თანხმობის გარეშე. ყველა ამ საკითხის დასადგენად მნიშვნელოვანია ხელშეკრულების მიზანი.¹² ე. ი. ამხანაგობის ხელშეკრულების მიზანზეა დამოკიდებული ხელშეკრულების შეწყვეტა მესამე პირის გარდაცვალების შემთხვევაში.

მაგალითად, თუ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ამხანაგობის ხელშეკრულება მიზნად ისახავდა ქველმოქმედებას, მაშინ ამ პირის გარდაცვალება გამოიწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას, ხოლო სხვა შემთხვევაში მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა ამ პირის გარდაცვალებით შეიძლება იყოს დამოკიდებული ხელშეკრულების დამდები პირების ნებაზე, ვინაიდან მესამე პირის უფლება მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში გამომდინარეობს ამხანაგობის მონაწილეების შეთანხმებიდან, აგრეთვე, მათ უფლება აქვთ მესამე პირს ჩამოართვან სარგებლის მიღების უფლება, თუ იგი გათვალისწინებულია ხელშეკრულებით. სსკ-ის 350-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების მხარეს, რომელმაც გააკეთა დათქმა მესამე პირის სასარგებლოდ, ინარჩუნებს უფლებას შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი.

ვინაიდან, ამხანაგობა წარმოადგენს პირად ხელშეკრულებას, ამიტომ გარდაცვალება, როგორც წესი, უნდა იწვევდეს ხელშეკრულების შეწყვეტას. თუმცა, ხელშეკრულებით ამ ფაქტის გათვალისწინება შეიძლება ყოველთვის, ამასთან უნდა იქნას შემუშავებული ისეთი პირობები, რითაც არ დაირღვევა ამხანაგობის საქმიანობის განხორციელება ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალებით. დაშვებულია ამხანაგობის გაგრძელება ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალებისას, თუ ამხანაგობის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება ისეთი პირობა, რომელიც განზალავს გარდაცვლილის წილის გამოყოფას ან შეცვლას მისი კანონით ან ანდერძით მემკვიდრეების მიერ ან იმ დაწესებულებით, რომელსაც კანონის თანახმად, გადაეცემა გარდაცვლილის ქონება. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით არ იქნება გათვალისწინებული ზემოთ აღნიშნული პირობა, მაშინ ამხანაგობა წყდება მონაწილის გარდაცვალების მომენტიდან. სიკვდილს უთანაბრდება აგრეთვე, პირის კანონით დადგენილი წესით აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად.¹³

მემკვიდრის უარის შემთხვევაში, ხელშეკრულებაში გაწვევრიანებაზე ან სხვა მონაწილეთა მიერ მათ ხელშეკრულებაში მიღებაზე უარის გაცხადებისას, ისინი უნდა დაეთანხმონ წილის გასხვისებას ან მემკვიდრეს უნდა გადასცენ მისი ღირებულების ფულადი თანხა – კომპენსაცია.¹⁴

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §727-ის თანახმად:

„1. ამხანაგობის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალებით, თუ ხელშეკრულებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

2. ამხანაგობის შეწყვეტის შემთხვევაში, გარდაცვლილის მემკვიდრე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს დანარჩენ მონაწილეებს მის გარდაცვალებაზე და თავად შეუდგეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანუ დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას, თუ მისი გადადება დაკავშირებულია რისკთან, სანამ დანარჩენი მონაწილეები მასთან ერთობლივად არ მიიღებენ სათანადო ზომებს. ამხანაგობის დანარჩენი მონაწილეები ვალდე-

ბულნი არიან იგივე წესით დროებით გააგრძელონ მათზე დაკისრებული საქმეები. ამდენად, ამხანაგობა ითვლება გაგრძელებულად.¹⁵

საფრანგეთის სკ-ის 1868-ე მუხლით კი, ნაშრომში განხილული ქვეყნების მსგავსად, კერძოდ, საქართველოს, რუსეთისა და გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობების თანახმად, ამხანაგობის მონაწილის გარდაცვალებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში იკვეთება ორი მომენტი:

1. შესაძლებელია ამხანაგობის ხელშეკრულების გაგრძელება მისი მემკვიდრის მონაწილეობით ან მხოლოდ დანარჩენ მონაწილეთა შორის;
2. გარდაცვლილის მემკვიდრეს უფლება ეძლევა ამხანაგობის ქონებიდან საკუთრების უფლებით მიიღოს ის წილი, რაც ეკუთვნოდა მას ამ დროისთვის.¹⁶

ამდენად, ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალებით ამხანაგობის ხელშეკრულება არ შეწყდება თუ:

ა. ამხანაგობის ხელშეკრულების გაგრძელება შესაძლებელი იქნება გარდაცვლილი მონაწილის მისი მემკვიდრით შეცვლით ან თუ მონაწილე იურიდიული პირია – მისი უფლება-მონაცვლე პირით, მაშინ, როდესაც ამხანაგობაში მონაწილეობა განპირობებული არ არის მისი პიროვნული, პროფესიული ან სხვა თავისებურებებიდან გამომდინარე და მის გარეშე კვლავ შესაძლებელი იქნება ერთობლივი საქმიანობის სრულყოფილად წარმართვა და შესაბამისად, დასახული მიზნის მიღწევაც.

ბ. ერთობლივი საქმიანობის დანარჩენი მონაწილეების შეთანხმებით მოხდება გარდაცვლილი, ლიკვიდირებული ან რეორგანიზებული პირის შეცვლა მათი მემკვიდრეებით ან უფლებამონაცვლეებით, თუ ეს უკანასკნელნი არ იტყვიან უარს ამხანაგობის ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ ამხანაგობის მონაწილეები არ დათანხმდებიან, მაშინ ისინი მიიღებენ შესაბამისი წილის კომპენსაციას ხელშეკრულებითა და კანონით გათვალისწინებული წესის მიხედვით. ამდენად, ზოგადი წესებიდან გამომდინარე, მემკვიდრეებს მიეცემათ საკუთრების უფლება წილზე და არა ამხანაგობაში მონაწილეობაზე, ხოლო დარჩენილი წილი განაწილდება ამხანაგობის დანარჩენ მონაწილეთა შორის მათივე წილების პროპორციულად ან სხვა წესით და ამხანაგობის ხელშეკრულების საქმიანობა მათ მიერ კვლავ გაგრძელდება იმავე პირობებით.

მართალია, სამოქალაქო კოდექსში ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის) მომწესრიგებელ ნორმებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ამხანაგობის შეწყვეტის ნორმებს თუმცა, განსაკუთრებული შემთხვევების მოსაწესრიგებლად შეიძლება გამოვიყენოთ ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნორმები. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ სასამართლო პრეცედენტს, რადგან ამხანაგობის მიზნების მიღწევას შეიძლება ხელი შეუშალოს ამხანა-

გობის თავმჯდომარის მიერ ვალდებულების არაჯეროვანმა შესრულებამ და დადგეს მისი თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენებისა და ამხანაგობიდან გარიცხვის საკითხი.¹⁷ აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა, რომ ამხანაგობიდან გარიცხვა უთანაბრდება ხელშეკრულების შეწყვეტას, რაც წარმოშობს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის (l) ნაწილით განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგს. თუმცა, 352-ე მუხლის თანახმად, აუცილებელია დაცული იქნეს 405-ე მუხლის მოთხოვნები და ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორმა მხარემ – კრედიტორმა დაუწესოს გონივრული ვადა, რომელიც საკმარისი იქნება ხელშეკრულების შესრულებისათვის.¹⁸ აქ საუბარია ვალდებულების შესასრულებლად დამატებითი ვადის განსაზღვრაზე, რასაც ხშირ შემთხვევაში, არავითარი შედეგი არ მოჰყვება. შესაბამისად, ამხანაგობიდან მისი წევრის გარიცხვა უკავშირდება ამხანაგობის მიზნიდან გამომდინარე, თითოეულ მონაწილეზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობას და გარდაცვალება, როგორც ადამიანის ნებისგან დამოუკიდებელი იურიდიული ფაქტი შეიძლება გახდეს ამხანაგობის შეწყვეტის საფუძველი, თუ ხელშეკრულებით სხვა რამე არ იქნება გათვალისწინებული. იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობიდან წევრის გასვლა მოხდება, მაშინ სკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უკან უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება).

სკ-ის 352-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გამსვლელი პირისათვის დასაშვებია ფულადი კომპენსაციის მიცემა, თუ შეუძლებელია ნატურით დაბრუნება სხვადასხვა მიზეზების გამო. თუმცა, შეიძლება თუ არა ამხანაგობიდან ვალდებულების დამრღვევი წევრის გარიცხვისას, ამხანაგობაში განხორციელებული შესატანის დაბრუნება? როგორც ამას საკასაციო სასამართლო განმარტავს, რესტიტუცია უნდა დაიშვებოდეს წევრის მიერ ნაწილობრივ განხორციელებული შესრულების – შენატანის ეკვივალენტური ღირებულების შესაბამისად.¹⁹ მიგვაჩნია, რომ ამხანაგობის მონაწილის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობა, რაც შეიძლება გახდეს ამხანაგობიდან წევრის გარიცხვის საფუძველი, არ უნდა იწვევდეს ორმხრივ რესტიტუციას, რადგან ვალდებულების შეუსრულებლობა თავისი სამართლებრივი შედეგით გამოიწვევს ამხანაგობის მიზნის მიუღწევლობას, რაც თავისთავად გახდება ამხანაგობის შეწყვეტის საფუძველი. ამასთან, დამრღვევ მხარეს უნდა დაეკისროს ამხანაგობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, თუ მის უმოქმედობაში ანუ ვალდებულების შეუსრულებლობას აშკარად მოჰყვა ზიანი.

შეიძლება ითქვას, რომ ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის) ხელშეკრულების სპეციფიკური, სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ზემოთ განხილულ ქვეყნებს შორის არ არსებობს ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტის განსხვავებული მიდგომები, ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალებით. მისი ფიდუციური ხასიათი იწვევს სპეციალურ – ნდობაზე დამყარებულ მიდგომას ყველა მონაწილისაგან, რაც ვლინდება ამ გაერთიანების ფუნქციონირების საკითხის განსაზღვრაშიც.

შენიშვნები:

- ¹ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომც. სამართალი, თბ., 1999, გვ. 81.
- ² Гражданское право, под ред., Ю. К. Толстого, А. П.Сергеева. т. I, изд, Проспект, М., 2006, С. 744.
- ³ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომც., სამართალი, თბ., 2000, გვ. 161.
- ⁴ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომც.სამართალი, თბ., 1999, გვ. 90.
- ⁵ MünchKomm-Heinrichs Vor §362 Rn. 5; იხ.: ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, III წიგნი, გამომც. სამართალი, თბ., 2001, გვ. 566.
- ⁶ Иоффе О. С., Избранные труды, Т. III, изд., Юридический Центр Пресс, С-П 2004, С. 738.
- ⁷ Гражданское право, Под ред.А. Г. Калпина, А. И. Масляева, изд. ЮРИСТЪ, М., 2002, С. 532.
- ⁸ Гражданское право, Под ред. А. П. Сергеева, Ю. К. Толстого, Т. II, изд. Проспект, М., 2006, С.777.
- ⁹ Гув А. Н., Гражданское право, Т. II, изд. ИНФРА, М., 2003, С. 398.
- ¹⁰ Wolfgang Fikentscher, Schuldrecht, Walter de Gruyter, Berlin, New York, 1992, S. 614.
- ¹¹ Wolfgang Fikentscher, Schuldrecht, Walter de Gruyter, Berli, New York, 1992, S. 615.
- ¹² ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარო, III წიგნი, გამომც. სამართალი, თბ., 2001, გვ. 223.
- ¹³ Данилова Е. Н, Простое товарищество, Советское хозяйственное право, 1926, С. 95-96.
- ¹⁴ Советское гражданское право, ч 2, Отв.ред. В. П. Смирнов, Ю. К. Толстой, А. К. Юрченко. изд. Ленинградского Университета, Ленинград, 1982, С. 289.
- ¹⁵ Гражданское уложение Германии, §727, изд. Волтерс Клувер, М., 2006, С. 220.
- ¹⁶ Французский Гражданский Кодекс, 1804, Перевод И. С. Перетерского, Юридическое изд-во. НКЮ СССР, М., 1941, С. 391-392.
- ¹⁷ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი საქმე №ას-29-2023, 13 მარტი, 2023.
- ¹⁸ ნაჭყებია ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2015-2019), გამომც. გიკ. გვ. 134.
- ¹⁹ იქვე, გვ. 135.

SPECIAL GROUNDS FOR TERMINATION OF PARTNERSHIP AGREEMENT

EKATERINE NINUA

Ph.D. in Law,

Akaki Tsereteli State University, Associate Professor

The scientific paper is devoted to the discussion of the special grounds for the termination of the partnership agreement using the comparative legal method. Based on the content of the obligation-legal relations, it is known that the death of the debtor or creditor does not cause the termination of the obligation, since the rights and duties of the deceased are transferred to their heirs by succession. Based on the fiduciary nature of the partnership (joint activity), it can be said that the partnership is terminated upon the death of its member, if the deceased member's participation in the partnership was due to professional and personal qualities and the agreement of the remaining partnership participants does not provide for anything else.

During the research of the problematic issues raised in the paper, the similarities and differences that are characteristic of the legal consequences of the death of a participant of a partnership (joint activity) determined by the civil legislation of both Georgian and foreign countries have been revealed. During the research of the mentioned institution, the author expressed his own opinions regarding the special grounds for the termination of the partnership.

პოლიციის როლი არასრულწლოვანთა დანაშაულის აღკვეთაში

ნატალია ვაშაკიძე

*სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი*

შესავალი

დღეს, არასრულწლოვანთა დანაშაული ტრანსნაციონალური პრობლემაა და საშინაო დონეზე მისი მაჩვენებლები – კრიმინალური სიტუაციის ერთ-ერთი კრიტერიუმია, ვინაიდან არასრულწლოვანთა დანაშაულის დონესა და დანაშაულის საერთო მაჩვენებელს შორის პირდაპირი ურთიერთდამოკიდებულებაა. ასევე, ეს მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ სამართალდამცავთა ეფექტიანობა. სწორედ პოლიციელები არიან დღეს, მთავარი სუბიექტი მოზარდთა დანაშაულის აღკვეთასა და წინააღმდეგობის გაწევაში. თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში და რთულ კრიმინალურ ვითარებაში აუცილებელია მაღალკვალიფიციური პერსონალი, რომელთაც აქვთ არასრულწლოვნებთან კომუნიკაციის ცოდნა, უნარები, რათა გაუმკლავდეს მოზარდთა დანაშაულთან ბრძოლის პრობლემებს. ამავდროულად, მათ უნდა შეეძლოთ ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა არასრულწლოვან დამნაშავეებთან.

ჩვენ ვისაუბრებთ თანამედროვე პირობებში, პოლიციელის უნარზე, დაამყაროს ტემპარიტად სანდო ურთიერთობა არასრულწლოვან დამნაშავეებთან, რამაც საბოლოოდ, უნდა გაზარდოს არასრულწლოვანთა დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობა.

პოლიციელის ურთიერთობების თავისებურებები არასრულწლოვან დამნაშავეებთან

სწორედ პოლიცია იძულებული პირდაპირ შეეწინააღმდეგოს მოზარდების დევიანტური და დელიკვენტური ქცევის გამოვლენას. დევიანტური ქცევა ნორმიდან გადახრილი ქცევაა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში მიღებულ წესებსა და მორალურ ღირებულებებს. პოლიციის თანამშრომლები მუდმივად ურთიერთობენ არასრულწლოვანებთან, როგორც უკანონო ქმედების ჩადენის შემდეგ, ასევე არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამუშაოების შესრულებისას. როგორც წესი, არასრულწლოვანი დამნაშავეები ერიდებიან პოლიციელთან კონტაქტს, უკვე ჩამოყალიბებული ცრურწმენის გამო, რომ პოლიციელი ცდილობს არა მის დახმარებას, არამედ დანაშაულის ჩამდენი მოზარდის დასჯას. პოლიციელი, რომელსაც აქვს ნდობის ურთიერთობის დამყარების უნარები, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს დაარწმუნოს არასრულწლოვანი დამნაშავე, რომ მისი მიზანია არა მოზარდის დასჯა ჩადენილი ქმედებისთვის, არამედ მომავალში, შესაძლო დანაშაულებრივი ქცევის თავიდან აცილება. პოლიციელმა უნდა გამოიჩინოს ინტერესი თავისი მთავარი მიზნის – დანაშაულის პრევენციის მიმართ, და ამისათვის არასრულწლოვან დამნაშავესთან დაამყაროს სანდო ურთიერთობა; მოზარდს მოტივაცია უნდა მისცეს, რომ მან უარი თქვას ანტისოციალურ ქცევაზე კანონიერების სასარგებლოდ.¹

რა თქმა უნდა, არასრულწლოვანთა დანაშაულთან ბრძოლის პროცესში ჩნდება მთელი რიგი პრობლემები, რომელთაგან ერთ-ერთი პოლიციელსა და თავად მოზარდსა და მის მშობელს შორის კონტაქტის დამყარებაა. სირთულეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ მშობლების/მშობლის დანაშაულის ფარული განცდა იმის გამო, რომ მათმა შვილმა ჩაიდინა დანაშაული, განაპირობებს სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის გაუარესებას, რაც გამოიხატება იმ ფაქტის უარყოფაში, რომ მათი ბავშვი – დამნაშავეა. ხშირად, ასეთ შემთხვევებში მშობლების მხრიდან ემოციური და აგრესიული გამოხატობებია პოლიციელთა მიმართ, რომელიც მოზარდების მიერ ჩადენილ დანაშაულს ეხება. ეს არის ერთგვარი თავდაცვა მშობლებისთვის, უსიამოვნო და ტრავმული გარემოებებისგან. ასეთ სიტუაციებში პოლიციელი ფსიქოლოგიურად მომზადებული უნდა იყოს ოპონენტებთან, რომლებიც უარყოფით დამოკიდებულებას იჩენენ. ასევე, მნიშვნელოვანია კომ-

პეტენტური ქცევის უნარი როგორც მშობლების, ისე არასრულწლოვანი დამნაშავეების აგრესიის შემთხვევაში.

ამ შემთხვევაში, მთავარი წესი მოზარდისთვის არის – ეცნობოს მას, რომ პოლიციელის მიზანია ეფექტიანი გუნდური მუშაობის ორგანიზება მოზარდის უკანონო ქცევის შემდგომი არასასურველი შედეგების აღმოსაფხვრელად.

პოლიციელმა უნდა გაითვალისწინოს მოზარდის პიროვნული მახასიათებლები, ვისთანაც ატარებს პრევენციულ ზომებს ან ადგენს მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტს და შედეგებს. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გავითვალისწინოთ ტემპერამენტის თავისებურებები, კომუნიკაციის უნარის ნაკლებობა, თანამოსაუბრის მოსმენის უნარი და მიიღოს მისი უფლება – სიტუაციისა და საკუთარი წარმოდგენის შესახებ.²

როგორც წესი, უკანონო ქმედებებისკენ მიდრეკილი მოზარდი უარს ამბობს პოლიციელთან კონფიდენციალურ კონტაქტზე, პრობლემურ მოზარდებთან მომუშავე პოლიციელის ფუნქციების დამახინჯებული აღქმის გამო; მთლიანად სამართალდამცავი სისტემის მიმართ ნდობის ნაკლებობის გამო და სხვა.

ყველა პოლიციელმა და, უპირველეს ყოვლისა, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის თანამდებობის პირებმა არასრულწლოვანთა დანაშაულთან საბრძოლველად თავიანთი პროფესიული საქმიანობისას უნდა იცოდნენ, რომ შედეგის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთქმედების სურათის სრული გაგებით – არასრულწლოვანი თავისი გარემოთი, მისი ჩვევებით, ცხოვრების წესით და ქცევის ინდივიდუალური ნორმებით. ასეთი იდეა შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ პოლიციელსა და თავად „რთულ“ მოზარდს, მის ახლო წრეს და რა თქმა უნდა, მშობლებთან ურთიერთნდობის დამყარების საფუძველზე. ამისათვის საჭიროა უარი თქვან კრიტიკულ შეფასებაზე ურთიერთქმედების სასარგებლოდ, რათა მივიღოთ დადებითი შედეგი არასრულწლოვანთა დანაშაულთა აღკვეთაში. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პოლიციელის საკმარისი პროფესიული დონე, რომელიც ეხება არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას.³

მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ხშირად, პოლიციელსა და არასრულწლოვან დამნაშავეს შორის კონტაქტი იძულებითი ხდება, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ურთიერთნდობის დამყარების პროცესს, პოლიციელმა სიტუაცია დადებითი მიმართულებით უნდა წაიყვანოს და შექმნას კომფორტული პირობები კომუნიკაციისთვის. მართლაც, ამის გარეშე შეუძლებელია ურთიერთქმედების პროცესი როგორც პოლიციელის, ისე პრევენციული საქმიანობის სუბიექტების მხრიდან.

განსახილველი ურთიერთქმედების საფუძველზე (დანაშაულის ჩადენა/დანაშაულებრივი ქცევის აღბათობა), ორივე მხარემ იცის კონტაქტის დამყარების აუცილებლობა, ხოლო უმე-

ტეს შემთხვევაში, არასრულწლოვან დამნაშავეებს არ სურთ შევიდნენ ნდობის კონტაქტში, რაც დიდად ართულებს ურთიერთნდობის დამყარების პროცესს, რაც აიხსნება მთელი რიგი ფსიქოლოგიური ბარიერების გაჩენით, რომელთა გადალახვაც პოლიციელმა უნდა შეძლოს.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და კრიმინოგენური ვითარების თანამედროვე პირობებში, პოლიციელი არის ძალოვანი სტრუქტურების მთელი სისტემის ერთგვარი „იმიჯი“, რომელიც განსაზღვრავს მაღალკვალიფიციური პერსონალის საჭიროებას, რომელსაც აქვს კომუნიკაციის ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები არასრულწლოვანთა ასეთ წრეებთან.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კომუნიკაცია არის არა მხოლოდ ინფორმაციის გაცვლა, არამედ ადამიანთა შორის მიზანმიმართული, პირდაპირი თუ არაპირდაპირი კონტაქტის დამყარებისა და შენარჩუნების პროცესი, ამა თუ იმ გზით, ერთმანეთთან ფსიქოლოგიურად დაკავშირებული, რომელიც უნდა იყოს დაფუძნებული ნდობაზე. ამისათვის პოლიციელმა მხოლოდ კანონი კი არ უნდა იცოდეს, არამედ უნდა ცდილობდეს მოზარდის ნდობის მოპოვებას. ამასთან დაკავშირებით, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს გამოცდილი პოლიციელების მიერ, რომლებსაც აქვთ მოზარდებთან მუშაობის დიდი გამოცდილება; ასევე მნიშვნელოვანია, რომ მისმა ფსიქოლოგიურმა პორტრეტმა და თუნდაც, გარეგნობამ შეძლოს შესაბამისი კონტაქტის დამყარება არასრულწლოვან დამნაშავეებთან.⁴

განვსაზღვროთ ძირითადი თვისებები და უნარები, რომლებიც აუცილებელია თითოეული პოლიციელისთვის, რომელიც ეწევა არასრულწლოვანთა დანაშაულთან ბრძოლის აქტივობებს, რათა ეს საქმიანობა წარმატებული იყოს:

- არასრულწლოვანზე გამარჯვების უნარი;
- მოზარდში პოლიციელის მიმართ ნდობის გრძნობის აღძვრის უნარი და მოთხოვნილება;
- საკუთარი აზრისა და პირადი პოზიციის დაცვის უნარი;
- მნიშვნელოვან თემაზე საუბრის მოსმენისა და კომპეტენტურად მიხვედრის უნარი;
- გამოიყენოს ფსიქოლოგიური ტექნიკა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაღებად;
- „ოქროს შუალედის“ პოვნა არასრულწლოვანთან ურთიერთობაში, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და პიროვნული მახასიათებლების მიხედვით.

ჩამოთვლილი უნარებისა და შესაძლებლობების მიზანია – პოლიციელის უნარი, დაამყაროს ჭეშმარიტად სანდო ურთიერთობა არასრულწლოვან დამნაშავეებთან, რაც გაზრდის არასრულწლოვანთა დანაშაულთან ბრძოლის აქტივობების ეფექტიანობას.

პოლიციელმა უნდა იცოდეს და გაითვალისწინოს არასრულწლოვანთა ქცევის ისეთი თვისებები, როგორცაა ცხოვრებისეული გამოცდილების ნაკლებობა, ვარაუდობის მაღალი

დონე, ინფორმაციის კრიტიკული აღქმის მნიშვნელოვანი დონე, მათი უარყოფითი ქმედებების გაცნობიერების შეუძლებლობა. ეს და სხვა ასპექტები გასათვალისწინებელია სანდო ურთიერთობების დამყარების პროცესში, მათ შორის, ისეთი ნეგატიური გამოვლინებები, როგორცაა უხეშობა, უხამსობა, რაც ყველაზე ხშირად არის შფოთვის, დაბნეულობისა და გაუგებრობის შენიღბვა, თუ როგორ გამოვიდეთ არახელსაყრელი სიტუაციიდან. პოლიციელებს არ უნდა მიეცეთ უფლება, იყვნენ ზედმეტად მკაცრი არასრულწლოვნებთან ურთიერთობაში, მათ უნდა ეძებონ საერთო ინტერესები და, პირველ ყოვლისა, აჩვენონ არასრულწლოვან დამნაშავეებს, რომ პოლიციელი არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებთან გამკლავებაში ბოლომდე შეგნებულ ადამიანად რჩება.⁵ დაუშვებელია მოზარდის ნდობის მოტყუება. ყოველი არასრულწლოვანი მოზარდი, მათ შორის კანონის დამრღვევი, არის ადამიანი, რომელიც მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას. მოზარდი „საშუალო“ არ არის და არც შეიძლება იყოს.

სანდო ურთიერთობების დამყარების წარმატება დამოკიდებულია პოლიციელის პროფესიონალიზმზე, რომელიც ახორციელებს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას. მოზარდთან და მის ოჯახთან მუშაობა დანაშაულის პრევენციაზე უნდა იყოს აგებული ისეთი პრინციპების საფუძველზე, როგორცაა:

- კონფიდენციალურობა;
- პოლიციელის ლექსიკის ადეკვატურობა, დიალოგის ტემპი, ხმის ტემბრი;
- განსჯის გარეშე (პოზიციის დაკავება);
- არასრულწლოვნის ნორმებსა და ღირებულებებზე ორიენტაცია;
- ტოლერანტობა;
- ორიენტაცია მომავალზე.

გარდა ამ პრინციპებისა, მნიშვნელოვანია კონტაქტის დამყარების ტექნიკის სწორად შერჩევის უნარები.

რეკომენდაციები პოლიციის როლის გაზრდის შესახებ არასრულწლოვანთა დანაშაულის აღკვეთაში

დღეს სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე დგას მნიშვნელოვანი ამოცანა, გააძლიეროს არასრულწლოვანთა პოზიტიური ქცევის ტენდენცია, ვინაიდან მათგან დამოკიდებული ქვეყნის მომავალი. უნდა შემცირდეს არასრულწლოვანთა დანაშაულის დონე და ამისთვის აუცილებელია ბავშვებში დანაშაულის პრევენციის ეფექტური მეთოდების შემუშავება სხვა საკითხებთან ერთად, უცხოურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

არასრულწლოვან დამნაშავეთა სპეციფიკიდან გამომდინარე, პოლიციის თანამშრომლების საქმიანობაში არასრულწლოვანთა დანაშაულთან საბრძოლველად უნდა ტარობდეს საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომელიც ეფუძნება ნდობით ურთიერთობას ასეთ მოზარდებთან.

გემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს ჩამოვაცალიბოთ არაერთი რეკომენდაცია პოლიციელსა და არასრულწლოვან დამნაშავეებს შორის კომუნიკაციის პროცესში, ნდობის ურთიერთობის დასამყარებლად არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიზნით. თითოეული პოლიციელი უნდა ეცადოს, რომ არ დაუშვას ზედმეტი სიმკაცრე და დისბალანსი მოზარდებთან ურთიერთობაში, გამონახოს საერთო ინტერესები, არ მოატყუოს მოზარდი, რომელიც ენდობოდა პოლიციელს. დევიანტური ქცევის მქონე მოზარდებისთვის მოტყუება ღალატის ტოლფასია და ამის შემდეგ პრევენციის სუბიექტთან ურთიერთობის დამყარება თითქმის შეუძლებელია.

არასრულწლოვანებთან კომუნიკაციისას, პოლიციელმა უნდა შეასრულოს მთელი რიგი მოთხოვნები: სწორად შეადგინოს წინადადებები; მასთან ისაუბროს გასაკებ ენაზე, იყოს თავაზიანი, არ გამოიყენოს უხამსობა, არ დაუშვას უხეშობა, არ გამოავლინოს ცუდი მანერები არასრულწლოვან დამნაშავესთან მიმართებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოიყენონ ყველა შესაძლო ძალისხმევა სანდო ურთიერთობის დასამყარებლად. ამისათვის საჭიროა შემუშავდეს და განხორციელდეს სპეციალური სასწავლო პროგრამები, როგორც მოწინავე სასწავლო კურსების ნაწილი იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ღონისძიებებში.⁶

მიზანშეწონილი იქნება განათლებისა და იუსტიციის სამინისტროს სპეციალისტების მიერ ერთობლივად შემუშავებული და განხორციელებული იქნას სპეციალური პროგრამა, რომელიც სავალდებულო გახდება ყველა იმ პოლიციელისთვის, რომელიც დაკავშირებული იქნება არასრულწლოვანთა პრობლემებთან. კურსის დაუფლების შემდეგ, პოლიციის თანამშრომლებმა თავიანთი პასუხისმგებლობის სფეროში მუდმივად უნდა ჩაატარონ სპეციალური კურსი – „მოზარდი და კანონი“ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამ სპეციალური კურსის ფარგლებში, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციაში ჩართული პოლიციელი ჩაატარებს ყოველკვირეულ გაკვეთილებს სკოლაში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, მათ შორის:

- სემინარები კანონიერი ქცევის შესახებ;
- კრიმინალური რისკის სიტუაციების ანალიზი;
- განათლება ნარკოტიკების წინააღმდეგობის შესახებ;
- როლის თამაშები;

– ფილმების ყურება ნარკომანიის ფატალური შედეგების შესახებ, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში დაკავების პირობების შესახებ;

– ექსკურსიების ორგანიზება პოლიციის დეპარტამენტებსა და მუზეუმებში;

– უსაფრთხო თვითდამკვიდრების უნარებისა და სტრატეგიების განვითარება;

– არაფორმალური კომუნიკაციის საათები;

– იურიდიული კონსულტაცია და ა. შ.

პროგრამის ფარგლებში მეცადინეობები უნდა წარიმართოს გასართობ და ინტერაქტიულ ფორმაში და რაც მთავარია, პოლიციელი უნდა შეეცადოს მოზარდებთან ნდობის ურთიერთობის დამყარებას.

შენიშვნები:

¹ Zanina T. M., Butova M.V., Foreign experience in organizing preventive work about juvenile offenders; Society and law, 2019, N2 (68), p. 97-101.

² Sorokotyagin I. N., Legal psychology: Textbook. M.: Jurite, 2019, p. 360.

³ Ilyin E. P., Psychology of trust. St. Petersburg: Peter, 2013, p. 288.

⁴ Yenikeev M. I., General, social and legal psychology: Textbook. Spb.: Peter, 2015, p. 420.

⁵ Lebedev A.V., Belicheva S.A., Psychology, and prevention of social behavior of minors. M.: School psychologist, 2017, P. 304.

⁶ Plan the main activities of the Decade of childhood until 2020 [Electronic resource]. URL: <https://edu.gov.ru/press/137/utverzhden-plan-osnovnyh-meropriyatiy-desyatiletiya-detstva-do-2020-goda/>

THE POLICE'S ROLE IN SUPPRESSING JUVENILE CRIME

NATALIA VASHAKIDZE

*Ph.D. in Law,
Associate Professor*

The proposed article addresses the role of the police in combating juvenile delinquency in the context of the need to establish a relationship of trust between police officers and juvenile offenders. The author focuses on the peculiarities of the interaction of police officers with juvenile offenders and offers recommendations for increasing the role of the police in the suppression of juvenile delinquency through the introduction of a special program intended for implementation in educational institutions and police officers who have undergone special training. In conclusion, it is concluded that in modern conditions, the ability of a police officer to establish truly trusting relationships with juvenile offenders becomes important, which should ultimately increase the effectiveness of activities to counter teenage crime and, accordingly, minimize the risks of bullying in educational institutions.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 292 34 90, +995 599 51 97 36

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 299 70 01



9 771512 259002